ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისარი

10

1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. კოზირევი

ახალი უბანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

257

გამოცემის მეოცე წელი

10

ოქტომბერი

1978

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


3. საგზოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში

## დიდება ლენინურ კომკავშირს!

6. ჯანსულ ჩარკვიანი — ქალა ერთგულებისა
9. რევაზ ოსეფაშვილი — კომკავშირო — იმედო ბავშვინდელი დღის!; ელდარ კერძეშაძე — უფთავრისა რწმენას; ჯემალ ჩახავა — ვაჟათა კავალზე; ბაჟა ოთარაშვილი — და ეს ეი ფლელი!.. ლექსები
12. ზოთა ნიფნიანიძე — ეარადიული სიმღერები. ლექსები
20. გურამ ფანჯიკიძე — პატიური ზღის ფლეიფადი. რომანი. დასაწყისი
102. ოთარ ბაჟფორია — შეგონება. ლექსი
103. ლიანა ჯანელიძე — მოთხრობები
108. ნოდარ ჯალალონია — ლექსები
110. რევაზ კაცია, ნოდარ შამანაძე, ზაჭარო სამაფაფაშვილი, ბაჟა ხორანული, ზოთა ხოდაშვილი — ლექსები

## მეგობრობის მერიდიანები

115. ალეგანანებს მიაშუბანი — ხატგის ბაკეფილი — ლექსი; ანთანეს ა. იოსიანი — ცრეფლის ბარდები — ლექსი, თარგმნა ე. ნიფარაძემ; რომაშალდს ბრანაშაბანი — ხის კაცუნები. მოთხრობა, თარგმნა ნ. ზაგანიძემ; ოზბაკ ბაკუტისი — ფლეფილი, 1944 წლის ეროი ლამი. მოთხრობა, თარგმნა გ. ლომაძემ

## ეი — იოსეფ ვონეშვილი — ეი

122. ბეიოგრეი ნატროშვილი — სიკეთის ბზა; ლეგეფ ხანიაძემ; ფუხარა ბაბაპარიანი — ძველ იოსეფ; ჯუფეფაფ ოიფთეარია — ბილოცვეფი

## პოლეფიკა

128. რევაზ ბიშველაძე — ეინოუზიაზმი, თუნდაც „ენაკიფო"

## წერილები

137. რევაზ თავარაძე — კლაბოფი ქართელ ნაუზრეფეში

## მოგონებათა ფურცლები

147. თინა კოპალაძე — დაუფიწყარი ხეები

## პირველი ფთაბეგდილება

155. რეზო გოგრაძე — ფინ ბაბადეგეული ნაბეჭი; ჯანარი გოგეშვილი — სასიამოვნო მიუფლოდნელობა; ალთანდილ ჩხეიძე — ჩემნი თანამგზრთე; რევაზ კაცაძე — ქართული კოფედია

159. კულტურული ცხოვრების ქრონიკა



მთავარი რედაქტორი
გურამ ფანჯიკიძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ავიერეჯანი,
ფურამ გეეარდიეთელი,
ბეჟი გეგეჯაორი,
რენეგან ბოროდეჯანი,
ბეიორი ბეგლია,
ნოდარ ფეშვაბაძე,
ბეარა ელიოზეშვილი,
ედუარდ ბეინაფიდ,
იოსეფ ორჯონიკიძე,
ოფეა ბაბაკორია
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
ნუგზარ ფეშაბაძე,
ჯანსულ ჩარკვიანი,
ბეჟი ძნელაძე,
ნუგზარ ფიბეთელი,
თამაზ ფიბეთელაძე,
ბარიელ ბანაფარა,
რევაზ ბეეფეფელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში

მიმდინარე წლის 27 ოქტომბრიდან 3 ნოემბერამდე საქართველოში ტარდება საბჭოთა ლიტერატურის დღეები. ახეთი შემოქმედებითი შეხვედრები ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვან ტრადიციად იქცა. ჩვენ სრული შეგნებით ვფუწოდებთ ამ ოთხეულს მნიშვნელოვან ტრადიციას, ვინაიდან თავისი ხაზოგადოებრივი ხასიათით, მომზადების მასშტაბებითა და მხატვრული კონცეფციით, სხვა წმინდა ლიტერატურული ფაქტორებით ეს შეხვედრები წარმოადგენს ახალ ეტაპს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურათა და მსოფლიოს მოწინავე პროგრესული ლიტერატურის მოღვაწეთა შემოქმედებითი ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის გაღრმავებისა და განმტკიცების პროცესში.

ამ შეხვედრებისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, აქტუალური მხატვრული ამოცანების კონკრეტულობა და წინა ეტაპზე წამოწეული, პრაქტიკული შემოქმედებითი საკითხების გადაჭრა და, მეორეს მხრივ, დიდი იდეურ-პოლიტიკური ეფექტიანობა, რაც თავისთავად სოციალისტური რეალიზმის განვითარებული თანამედროვე ლიტერატურების თვისებურებებით არის განპირობებული. შეიეცდებით დავუზუსტოთ ნათქვამი: საბჭოთა ლიტერატურა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში დიდ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის. უსალმენოვ ყველა ლიტერატურაში — დიდი ტრადიციის მქონეს იგი თუ საბჭოთა ნიადაგზეა აღმოცენებული, ამ ბოლო პერიოდში შეიქმნა დიდი მხატვრული დ. ინების მქონე ნაწარმოებები, რომლებიც ნებსმიერი მაღალგანვითარებული მკითხველის ყურადღებას იმსახურებს. გარდა სხვა ფაქტორებისა, ამ გარემოებამაც განაპირობა და შეეძლებელი გახადა, რომ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით დღეს, წინ წამოწეულიყო და, ლიტერატურის ბეშჩრაკტი ინტერესებიდან გამომდინარე, რეალური შემოქმედებითი კონტაქტების გამხორციელების აუცილებელ პირობად ქცეულიყო ხარისხის — მაღალი მხატვრულობისა და იდეურობის საკითხი. ამ ხაქმეში საბჭოთა ლიტერატურას ისტორიამ მეწინავის შეტად საპასუხისგებელი მისია დაკისრა, რაც თავისთავად განსაზღვრება ამ ლიტერატურის შინაგანი ბუნებით — მკეეთრად გამოხატული ეროვნულობით, ადამიანისადმი პატივისცემისა და უმაღლესი სამართლიანობის იდეალებით.

ჩვენს შემოქმედებით შეხვედრებს ცალეული ეროვნული ლიტერატურისათვის აქვს შემდეგი ასპექტიც: ყოველი ლიტერატორი, მწერალი ამ „ლიტერატურათა შეხვედრის“ დროს თავის შემოქმედების უდარეს მოძმე მწერალთა ნამუშევრებს, ამოწმებს თავის მხატვრულ მიღწევებს; მოწმდება ისიც, თუ ესა თუ ის ეროვნული მხატვრული ქმნილება რამდენად უწყობს ნაბიჯს საერთო ინტერნაციონალურ რიგმს, რამდენად პასუხობს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ეთიკურ-ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს, კომუნისტურ და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. თანამედროვე შემოქმედი ამა თუ იმ ზომით აუცილებლად თვალისწინებს ხსენებულ ლიტერატურების გამოცდილებასაც: შემოქმედებითად ითვისებს ამ გამოცდილებას და ამდიდრებს თავის მშობლიურ ლიტერატურას. ცხადია, მთავარი და უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორი ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში, როგორც, საერთოდ, ყოველი ლიტერატურის განვითარებაში, ეროვნული საწყისია, საკუთარი რეალობა და ბარემ-სინამდვილეა. ეროვნულ ლიტერატურათა გამდიდრება სხვა ლიტერატურათა გამოცდილებით არავითარ შემთხვევაში არ მოსაწყვეს ამ ლიტერატურათა ნიველირებას. რეალისტურ და ეროვნულ ნიადაგზე ფაუძნებული, მხატვრული თავისთავადობით გამოკეეთილი და ჩამოყალიბებული ლიტერატურისათვის, ისევე, როგორც სოციალისტურ სინამდვილეში განვითარებული ან წარმოქმნილი ლიტერატურებისათვის, საბოლოო ჯამში, რეალურად არ არსებობს უცნო გავლენების, ეკზოტიზმისა და მიმბაძველობის საშიშროება. პირიქით, სხვა ლიტერატურათა გამოცდილებით ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება ხელი ერ ღირებულებათა ურთიერთგაცვლის, ურთიერთგამდიდრების ბუნებრივი პროცესის ერთი მხარე — მისი შემადგენელი ნაწილია. ხოლო საბჭოთა თანამედროვე ლიტერატურული კავშირები, შემოქმედებითი შეხვედრები თავისი შინაარსით, სიღრმისეული ასპექტებით თავისთავად დიდ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ეროვნული ლიტერატურების განვითარება-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ზე და ჰქმნიან საფუძველს უფრო მკვეთრი აღმავლობისათვის.

წინა ეპოქებში ლიტერატურულ ნაწარმოებზე მსჯელობა ეურდნობოდა იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მოპოვებული იყო კაცობრიობის გასვლითარების სხვადასხვა კულტურულ ეტაპზე. შეფასება უპირატესად და ძირითადად ხდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ნაწარმოებს ეროვნული ლიტერატურის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ეროვნულ თვალსაზრისს ნაწარმოების შეფასებაში ახლაც ეარქვეული უპირატესობა ენიჭება, მაგრამ თანდაყოლილ პირობებში, გაცხოველებული შემოქმედებითი ურთიერთკავშირისა და თანაშეხლილობის ატმოსფეროში, იქმნება ამის საჭიროება-აუცილებლობა, ლიტერატურული ფაქტის შეფასება მოვახდინოთ არა მარტო ეროვნული პოზიციიდან, არამედ საერთო პოზიციიდანაც, რომელიც თვალისწინებს, თავისთავში მოიცავს, საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის და მსოფლიო პროგრესული ლიტერატურის კულმოცდილებასა და დონეს. ამის საჭიროებას, პირველ რიგში, ადასტურებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ზრდისა და აღმავლობის, ჰუმანისტური ტენდენციების, განვითარების ინტერესები, ლიტერატურული პროცესის ღრმად გაცნობიერებისა და მისი შეგებული, მაღალი კომუნისტური იდეურობის ნაწილით წარმართვის ინტერესები. ლიტერატურაში ხალხურობისა და პარტიულობის განსაკუთრების პრინციპები, რაც თავისთავად წარმოადგენს ყოველი ცალკეული ეროვნული მხატვრული კულტურის საუკეთესო ტრადიციების ახალ, მაღალ საწყისებზე გაგრძელებასა და განვითარებას.

ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ შემოქმედებითით კონსტრუქტების თანშიმდეგრული მიზნადასახული წარმართვის საქმეში, მსატვრულ თარგმანს. მართლაც, ხალხთა შორის ურთიერთგაგება, მათ შორის ნდობის გაღრმავება და განმტკიცება დღეს ძნელად წარმოსადგენია საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა სულიერი კულტურის გაცნობიერებისა და ათვისების გარეშე. მაღალმხატვრული თარგმანი აუცილებლად ფეხისმტვრევის სხვადასხვა ლიტერატურის წარმმოადგენელთა ურთიერთ პატივცემასა და მოწიწებას. ასეთი მიდგომა აუცილებლად ხელს უწყობს ხალხთა შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას — ურთიერთ კეთილშობილური სურვილებს, ემოციებს გაღვივებას, საუკეთესო ეროვნული თვისებებისა და მაღალი იდეურობის წარმოჩენას, იმას, რაც ადამიანებს, საზოგადოებას აერთიანებს, ეწინააღმდეგება გათიშულობასა და შუღლს.

საქართველოს მწერალთა კავშირმა, რესპუბლიკის გამომცემლობებმა, ჟურნალებისა და კალენდრების რედაქციებმა, მოეწვნა ლიტერატურულსა საზოგადოებრიობას დიდი შემოქმედებითი საქმიანობა გამოველინა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების ჩატარებაში. ეს ფაქტი, ალბათ, ადასტურებს, ეროვნული ლიტერატურა, ეს ის, რომ ეუძლოდა ამ „დღეებს". ეს, ზაალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის ღონისძიებებიდან დავასახელებთ მხოლოდ ერთს — „ეროვნული კავშირის პრეზიდიუმის გამსვლელ სხდომას, რომელიც ცხინვალში ჩატარდა. სხდომაზე მეტად საუფლებიანი, შინაარსიანი ყმაფილი ეთქმოდა ოსური ლიტერატურის განვითარების ძირითად საკითხებზე. ამ დისკუსიის პირდაპირ გაგრძელებად წარმოთქვეს „მრგვალი მაგიდები", ჩატარებული საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი საბრედაქციო კოლეგიის მიერ მომდინარე წლის ივნისსა და ივლისში, თბილისსა და ცხინვალში, ოქტომბერ: „ოსური ლიტერატურა ქართველად" და „ქართული ლიტერატურა ოსურად". ყოველივე ამის შედეგად დასახულია და ხორციელდება ქართულ-ოსური ლიტერატურულ ურთიერთობის მეტად მნიშვნელოვანი პროგრამა. უფრო ადრე ანალოგიური დისკუსიები ჩატარდა თბილისსა და სოხუმში: „აფსაზური ლიტერატურა ქართველად" და „ქართული ლიტერატურა აფსაზურად". მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოსაცემად ამზადებს აფსაზური და ოსური ლიტერატურის ბიბლიოთეკებს. ამ სერიების პირველი წიგნები — ოსური და აფსაზური პოეზიის ქართული კრებულები საბჭოთა ლიტერატურის დღეებში გამოვა. საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები აქვთ დასაბეჭდად ეურნალ „მნათობს", ავრეთვე „ლიტერატურნაია გრუზია" და „ცისკარს", რომელშაც ჩატარა „მრგვალი მაგიდები" რუსიანელ პოეტებთან და პროზაიკოსებთან, ბუფალენელ და მაკედონელ მწერლებთან, შემოქმედებით შეხვედრა ვიეტნამელ პოეტებთან და სხვ. მნიშვნელოვან მასალებს აქვეყნებდა რესპუბლიკის ალმანახები „ვანიოდა", „ხასლი ჭადრეს ქვეშ" და განსაკუთრებით, ალმანახი „საუნჯე", რომელის ბოლო ნომრები გამოიჩჩეკა საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა ლიტერატურულ ნაწარმოებთა მაღალხარისხიანი თარგმანებით, მიზანდასახულობითა და დიდი მომთხოვნელობით მასალის შერჩევაში. განსაკუთრებულ ალნიშვნას იმსახურებს რუსული ლიტერატურის გენიის — ლევ ტოლსტოიისადმი მიძღვნილი სპეციალური მე-4 ნომერი.

მეტად საყურადღებოა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ ლიტერატურის დღეებთან დაკავშირებით მომზადებული გამოცემებები: თ. დოსტოიევსკი, ლ. ტოლსტოის, ს. ალნის, ვ. ასპაფაველის, ტ. ბროს და სხვათა პროზაული ნაწარმოებები; კრებული „პარადი ექაპ" — მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ზოთხრობები, პოეტური კრებული „ბელორუსი საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა პოეტები" (სერია „ზომმე რესპუბლიკების პოეზიაა"), კარელიურ-ფინური ეპოსი „კალევალა"; აგრეთვე გამომცემლობისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის საერთო გამოცემები — ჰრ. მათეოსიანის მოთხრობები კრებული „აგვისტო", ა. ტვარდოვსკის „პოემები", ვ. ბელინის „სამი სათრეელის მიდგა", „უნგრული პოეტები", ე. შტრიმმატერის „ლექსები".

საბჭოთა ლიტერატურის დღეებს ასევე პირნათლად ხდება გამომცემლობა „მერანი". საუურადღებოა მისი რუსული გამოცემები: ა. ბეგეშვილის თხზულებათა ორტომეული, ნ. ტაბუნოვის რჩეული ორ ტომად, არს. ტარკოვსკის „ჯადოსნური ფეხი", ბ. ახმადულინის „სიზმრები საქართველოზე", ი. ენიკოლოპოვის „ლეტ ტოლსტოი საქართველოში" და სხვ. შეიძლება დავასახელოთ მწერალთა კავშირის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ „მერანში" გამოსაცემად მომზადებული რუსული თარგმანებიც: ნ. ნაკუშიძის „რამოდენიმე წელი ლევ ტოლსტოის ახლოს", ე. ეფტუშენკოს „მიწაზე უფრო ძლიერ" (თანამედროვე ქართველი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანები) გ. ტაბიძის ლექსების კრებული, „ალმ მთაზედან" — ქართული ფოლკლორის ნიმუშები, თარგმნილი ი. გოლცმანის მიერ და სხვ. საკუთრივ „მერანმა" ქართულ ენაზე გამოსაცემად მოამზადა პოლონელი პოეტის ი. სეკერიეცკის ლექსების კრებული, ი. სემიონოვის „ეგზაფფოლის ჩვიდმეტი გალეკები", ვს. კოტეტოვის „ვარდნის კუთხე", კრებული „ქმნის ხალგალბელი" (აზერბაიჯანელ პოეტთა ლექსები) რ. ასავეის „ლექსები", კ. ლიმოს „ნემი სტ", რ. ალაბაშის რჩეული ლექსების კრებული — თარგმანი სომხურიდან, ქორეი პოეტის დ. ასადის „ლექსები" და სხვ. ქართულ ენაზე „მერანში" გამოსაცემად ამ დღეებისათვის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებულია ი. ბუნინის „მიტიას სიყვარული", კრებული „თანამედროვე რუსული მოთხრობა", პოლონელი მწერლის ი. ივაშკევიჩის „ორეს ბალა", თანამედროვე ოსური და აფხაზური პოეზიის კრებულები, გამოჩენილი სომეხი პოეტის ვ. სევაკის ლექსების კრებული და შ. პეტფოეს პოემა „მოციქული".

საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეებთან დაკავშირებით ასევე დიდი მუშაობა აწარმოებს „ლიტერატურული გამომცემლობა „ნაკადული". ეს კოლეგიტგმა გამოსცა მეგრი სანტერესო წიგნი: ასე, მაგალითად, რუსული „ბილეფები" (ზომზაღდა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში) ალ. პუშკინის „მცირე ტრაგედიები" (კოლეგიისა და „ნაკადულის" საერთო გამოცემა), ლ. ტოლსტოის ნაწარმოებების ორი წიგნი — „მოთხრობები კრებული" და „ომაბები" (კოლეგიისა და „ნაკადულის" საერთო გამოცემა), მ. ლერმონტოვის, მ. გორკის, ი. სოტნიკოვის, ა. ალექსანინის, მ. ზოშენკოს, ვ. სიმონოვის, ვ. პაველსისის, ა. მარკაროვიჩუნის, ნ. თარბას, ლ. ბისმენნეიის, ა. თამსაარეს, ვ. ბიკოვის და სხვათა პოეტური და პროზაული ნაწარმოებები.

გამომცემლობა „ჯანთლება" ასევე დიდი გულისყურით მოეკიდა საბჭოთა ლიტერატურას დღეებისადმი მზადების საქმეს და გამოსაცემად მოამზადა გამორჩენილი საბჭოთა მწერლების ჟ. ყუფლიევის, რ. გამზათოვის, კ. სიმონოვის, ა. ქეშოკოვის პოეტური კრებულები; ამასთანავე მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მოამზადებული წიგნები: ვეფა ფშაველას „სამი პოემა" ინგლისურ ენაზე, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" ფრანგულ ენაზე, ქართული ხალხური პოეზიის კრებული რუსულ ენაზე (ნ. ვრებნევის თარგმანი) და ბ. ტიჩინის ლექსები ქართულად.

საბჭოთა ლიტერატურის დღეებთან დაკავშირებით მეგრი მნიშვნელოვანი თარგმანის მოამზადება — გამოცემა ითავეს აგრეთვე გამომცემლობებმა „ალაშარამ" და „ირისტანმა".

აღსანიშნავია აგრეთვე რესპუბლიკაში ლიტერატურული ურთიერთობის ხაზით ჩატარებული ერთადელი ღონისძიება. მათ შორის დავასახელებთ მიმდინარე წლის ივლისში ჩატარებულ გამოფენას „პუშკინისდროინდელი ეტიკეტრეტრა".

საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების ჩატარება ქართველი მწერლებისათვის დადად საპატიო და, ამავე დროს, საპასუხისმგებელი მოვალეობაა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მწერლები, ლიტერატურული საზოგადოებრიობა, მეოელი რესპუბლიკა ღირსეულად უმასპინძლებს საბჭოთა მწერლებს ამ დიდ ფორუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ᲯᲐᲜᲑᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ*

# ᲙᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ გადაიხადა, ათასი დანგრეული ქალაქი, როგორც ზღაპარში, ისე აღადგინა, ათას საქმეს საქვეყნო გვირგვინი დაადგა და მაინც არ ჩაუმუხლია, არ დაღლილა, სამართლიანად ამშვენებს სამშობლოს კიდლდოები.

არ გამოვეკიდები ანბანურ ჭეშმარიტებას, არაფერს არ გავიხსენებ და ვიტყვი: კომკავშირი ის ლამპარია, რომლის მეოხებითაც გზას იკვლევს ჩვენი ახალგაზრდობა.

კომკავშირის ძლევამოსილება მისივე აზროვნების ჭეშმარიტების საფუძველში უნდა ვეძიოთ, იგი ლენინიზმია.

ქართველ შემოქმედთა არაერთ თაობას აუსახავს ჩვენი კომკავშირის საქმენი, დაუსატავს მათი თავდადებული შრომის სურათები, მხატვრული სიტყვით შეუსხამს ხორცი მათი მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის.

ძალიან დიდი ხანია, კომკავშირი, ახალგაზრდული მწერლობა და ხელოვნება ერთი გულისთქმითა და ოცნებით, ერთი ფიქრითა და ერთი მიზნით არის შეკავშირებული. რაც შეეხება დღევანდელ კიდევ უფრო სიახლოვესა და მონოლითურობას, ეს ყველაფერი ახალახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაუფლების საწინდარია. სამოცი წლის თავზე კიდევ უფრო ძალუმად ეღერეს სიტყვები: „შეკავშირება“, „მონოლითურობა“, „ერთობა“.

ერთიანობა, ერთობა — დიდი ძალაა ამ სიტყვაში, ტევადია იგი. ასე განსაკუთ — მთელი ჩვენი ცხოვრების ძალა, ძალა ერთგულებისა და ძალა ძალისა ერთობაშია ჩაქსოვილი.

მოგეხსენებათ, რომ დიდია ჩვენი საამო და სადროშო, მოძმე რესპუბლიკების კავშირი, ერთა კავშირი. თუ გავიხსენებთ, ადვილად მივხვდებით, რომ მტერი, სწორედ ერთობის ძალასთან შეცდა, კავშირის ძალასთან შეცდა. ერთობის ძალის ერთი ძლიერი რგოლი კომკავშირი იყო და არის, ერთობამ დაამარცხა მრისხანე მტერი, ხალხთა ერთობამ.

„კავშირი გულთა შორის“ თქვა მეოცე საუკუნის დიდმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ და დროშად აიტაცეს ეს სიტყვები ინტერნაციონალის-

ტებმა, ახლა ეს მშვენიერი სიტყვები წიგნების ყდებზე აწერია — სომხების წიგნებს, ქართველების წიგნებს, რუსების წიგნებს, აზერბაიჯანელების წიგნებს, აფხაზებისა და ოსების წიგნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადლობა მშვიდობის ღმერთს, რომ დღეს მშვიდობა სუფევს დედამიწაზე. იქნებ დღეს, ამ მშვიდობის ჟამს კიდევ უფრო საჭირო იყოს ერთობა? კავშირი გულთა შორის? დიდი დაკვირვება არ სჭირდება, რომ დღესაც სწორედ ერთობა აახლოვებს და მოწინავეთა რიგებში აყენებს პოეტს და მექანიზატორს, მხატვარსა და მშენებელს, კომპოზიტორსა და მეზღვრეს, მეცხვარესა და მეჩაიეს, ხეროსა და ფეიქარს.

ერთობაში და მონოლითურობაში შემოქმედი კაცის იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, მებრძოლი სული და მაღალი მორალი იწრთობა. კომკავშირმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი მეწინავეობა და სიჩაუქე... ჩვენ, დღესაც კარგად ვიცით, გადამწყვეტ ჟამს, ჟამს ყოფნა-არყოფნისა, სად დადგებიან ჩვენი ახალგაზრდა მწერლები, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები, ჩვენი მუსიკოსები — მხოლოდ სწორ გზაზე, ერთგულების გზაზე და იტყვიან, „სინდერას ქვეყნის გადარჩენისას“.

დღეს, როცა ასე ერთობლივი და შეუპოვარი ნგრევაა დრომოჭმულისა და უდდეურისა, როცა ერის ისტორიის ბორბალი კვლავაც სასიკეთოდ ბრუნავს, ახალგაზრდა კაცის შემოქმედება ახალი ქვეყნის პოეტური მატიანე უნდა იყოს, მან თაობებს უნდა გადასცეს ჩვენი შრომისა და შემოქმედების ვგრიული ტრადიციები, მან უნდა დაამყაროს განუწყვეტელი კავშირი დღევანდელსა და ხვალინდელს შორის.

60 წელი გავიდა, ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედის წინაშე დღეს განსაკუთრებით რთული ამოცანებია დასახული, მათი განხორციელებისათვის ბრძოლა მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასა და პასუხისმგებლობას, ღრმა მეცნიერულ ახრს, ცოდნასა და ენერგიას მოითხოვს.

კომკავშირი ის მოწინავე რაზმია, რომელმაც ახალგაზრდობის მიერ დასაბულ მიზნებს თავისი სულიერი ძალა, მხნეობა, ძიება და ნიჭი ბოლომდე და ერთიანად უნდა მოახმაროს.

განუზომელია ახალგაზრდა შემოქმედთა სიტყვის ძალა, შემოქმედის სიტყვა ნაღდი უნდა იყოს, წყალი არ უნდა ეპარებოდეს. „გაქეიქილს გატეხილი ჯობიაო“ უთქვამთ და შემოქმედს კეკლუცობასა და მოჩვენებითობას არ აპატიებენ.

ჩემის აზრით, მთავარი მაინც თემისადმი ერთგულებაა, რასაც ვერ წერ, არ უნდა დაწერო, ბუზის გაკუკუმართება მკრეხელობაა...

თემისადმი ერთგულების ნიმუშია შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ჩემი თაობის ბიოგრაფია“, რომელიც ასე თავრდება:

ასე ვმრავლდებით, ასე ვიზრდებით,
ვზრდით ლეგენდების მწერივს,
კომუნისტებო, კომუნისტებო,
კომუნისტებო, წინ...

ერთგულება ხომ უპირველესი თვისება გახლავთ პროფესიონალი მწერლისა. მთავარია და უმთავრესი ავტორი ერთგული იყოს ამისა, რასაც წერს და მკითხველს სთავაზობს. მე ერთი მაგალითი მოვიტანე, ბევრი ემსახურება ამ სიმართლით ჩვენს მწერლობას. აქედან კიდევ და კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ყველაფერში ერთგულებაა საჭირო, მხოლოდ ერთგულება.

მახსოვს, კომკავშირის ოცდამეთე ყრილობისადმი მიძღვნილი „ცისკრის“ დამატება, „ნობათი“ გამოვეცით, კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე წერდა, პაეკას სახელს ომველიებდა: „ყანაში წამყვა, კვალი გამატანინა, ვაზი გამასხვლევინა, უდარდელი ვიყავი და დარდი მაცოცხლა, მშიშარა ვიყავი და უშიშარი გამხადა, ტირილი ვიცოდი, ქალიეთ ცრემლიანი, კაცური უცრემლო ტირილი მასწავლა, მადლობელი ვარ ჩემო პაეკა, მადლობელი ვარ, ჩემო კომკავშირო.

„ენგელსისა და კიროვის ქუჩათა შორის, მაჩაბლის კოსტა ქუჩაზე მომავალს, ხან ერთი ძვირფასი შენობა შემომხვდება და შემომცინებს და ხანაც მეორე. ერთ მათგანში, ქართველი მწერლების კავშირია, ხოლო მეორეში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი. ორივე ძვირფასია ჩემთვის“, — წერდა მერაბ ელიოზიშვილი.

საბოც წელს „ბამის“ დიადი მშენებლობებით ხედება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, რა ხდება აქ, საქართველოში? აშენდა დიდი და ღონიერი ქალაქი თელეთში, „ბორის ძელაძე“. მე მჯერა და მწამს, ეს ქალაქი იქნება ის დიდი ცენტრი, რომელიც გასცემს ღრმა ცოდნას და მტკიცესა და მარადიულ სიყვარულს დანერგავს ახალგაზრდობაში. სწორედ ამ ქალაქში გაუმტკიცდებათ ჩვენს ახალგაზრდებს ინდივიდუალობისა და დამოუკიდებლობის გრძნობა და ინტერიოტიზმი, რაც ჩვენი მომავალი ცხოვრების დაუშრეტელი წყაროა. ჩქეფს სიცოცხლე საქართველოში, გაგიხარდებათ მეცნიერთა კლუბში შესვლა. მეტეხის თეატრში არც არასდროს დაშვებულა ფარდა. ჩვენი შემოქმედი ახალგაზრდობის რესპუბლიკურმა ცენტრმა ავტორიტეტული სიტყვა თქვა მოსკოვში.

თერჯოლაში აშენებული პიონერთა ქალაქი „საპოვნელა“ დასტურია იმისა, თუ რა შეუძლია ახალგაზრდა კაცის შემართებას, მონდომებას და უფროსი თაობის გამჭრიახ გონებასა და გამოცდილებას. ქუთაისი, გორი, ბათუმი, სოხუმი, ბურჯაანი, გარდაბანი, ცაგერი, ზუგდიდი, საგარეჯო, რამდენი ერთი ჩამოთვალოთ? კარჩაკეტილი და უსინათლო სვანეთის ბოლოდროინდელი დიდი გამარჯვებები ხომ კომკავშირის გამარჯვებაცაა...

კომკავშირი დღეს სასახელოდ იბრძვის ენგურჰესიდან მოყოლებული, ბამზე გამართულ საუკუნის მშენებლობამდე.

რა თქმა უნდა, უკან არ დაიხევენ, რა თქმა უნდა, კვლავაც ასახელებენ ჩვენს დიად სამშობლოს.

ვაშა, ჩვენს ახალგაზრდობას, ქვეყნის მომავლის ენერგიას!

ვაშა, კომკავშირს, ვაშა, მის სახელოვან 60 წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ ოსეფაიშვილი

### კომკავშირო — იმედო ხვალინდელი დღის!

1

მეისრე და მოისარი, —
კაცი — კაცით,
ღობე — სარით:
შვილო, როგორ მჭირდებოდი,
შვილო, დროზე მომესწარი.

შვილო, იცან მოკეთე და,
შვილო, იცან მოსახსარი, —
ჩვენი ასე მოკეთება
ამ ახალი დროის არის;
შვილო, როგორ მჭირდებოდი
და რა კარგ დროს მომისწარი.

2

ძალა რომ გაიმეტო,
გამეტებად ღირს,
კომკავშირო, იმედო —
დღევანდელი დღის;
გული რომ გაიმეტო,
გამეტებად ღირს,
კომკავშირო, იმედო —
ხვალინდელი დღის;
თავიც რომ გაიმეტო,
გამეტებად ღირს, —
კომკავშირო, — იმედო —
ხვალინდელი დღის!..

3

ლაჰკარ გრდემლს და ახმიანე
ნამგალი და ჩაქური,
ლაჰკარ, ნუღარ აგვიანებ —
დროა ნიჭის გაფურჩქნის!
თქვენს ცქრიალა თვალებს ვხედავ,
თქვენს კრიალა გულს.
იცან თავი შემოქმედად,
უმკურნალე წყლულს.
ენთე ცეცხლის ენებივით,
შრომა — შრომის წილ,
ახალგაზრდულ ენერგიით
კომკავშირო, — წინ!

4

მზეს — სინათლე უფრო მეტი,
მიწას — სახე ედემის...
კომკავშირო! — უფრო მეტი
ცეცხლი შემოქმედების!
უფრო მეტი გუთანი და
უფრო მეტი სახნისი, —
რაც სამშობლოს უხარია,
სამერმისო ახლისთვის.
უფრო მეტი გრდემლი, დაზგა,
ტრაქტორი და მანქანა,
რომ სამშობლო იქცეს ტაძრად,
იქცეს შრომის აკვანად!
უფრო მეტი, უფრო მეტი
აგური და ფიცარი,
რომ დაგვიდგეს ნათლის სვეტად
მიწა — დასაფიცარი!..

5

ასწიეთ და აფრიალეთ
მარად წინსვლის დროშა,
ის არ კმარა, რაც ვიარეთ,
ახლა სხვა სურს დრო-ჟამს.
ასწიეთ და აფრიალეთ
დროშა — დიდი რწმენის!
ის არ კმარა, რაც ვიარეთ,
დღეს სხვა მზეა მწველი, —
არ მოაკლოთ მზეს მზეობა —
დღეთა დამამშვენი,
იყოს მარად დღეგრძელობა
კომკავშირო, შენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელდარ კერძევაძე

### უმთავრესია რწმენა!

იმ გატანილ ლელოს,
იმ ლამაზ სიმღერას,
კომკავშირო, ჩემო,
ვიგონებ და... ვდელავ!..

ო, რა გზები ვთელეთ,
ღღეს ზღაპრად რომ მოჩანს, —
გვგრიდიან ელვეთ-მელეთს
ვრანგელსა თუ კოლჩაკს;

ორთქლმავალში გვწვავდნენ,
ხიშტით გვგლეჯდნენ ენას,
ვერ წაგვართვეს მაინც
უმთავრესი —
რწმენა!

და არ შეგვიტყვია
ჭრილობები მეტად,
ერთის გარდა — ტყვია
როცა მანდატს ხვრეტდა.

ღამის დილეგიდან
ხარ დაწსნელი მიწის —
შენი ოლეგით და
შენი გამცემლიძით;

მირზა გელოვანის
სისხლით უწმინდესით,
მრავალფერთვანი
საქმითა და ლექსით!..

უჩვეულო გზებით
და ჩვეული ბიჯით,
იმ უსაზღვრო გზნებით,
ხალისით და ნიჭით, —

კვლავ კაშკაშებს შენი
ჯილაგი და გვარი,
შენი ახალშენი,
ენგური და ბამი;

შენი „კომსომოლსკი“
და მზის ცხელი კალო, —
კალმის ერთი მოსმით
როგორ ჩამოვთვალო...

შენს ლამაზ სიმღერას,
შენს გატანილ ლელოს —
ვიგონებ და ვდელავ, —
კომკავშირო, ჩემო!..

## ჯემალ ჩანკვა

### მამაცია კვალზე

არდაგიწყლების შუქი ფარავს
გადოვლილ მანძილს, —
სამოცი წელი, ბრძოლის, შრომის
და ეკეკლობის,
სამოცი წელი ზეიმია
ნათელი აზრის,
სამოცი წელი — აღმფრენის,
ლტოლვის და წვდომის.

ის დაიბადა ოქტომბერში, —
ავრორას ბათქში,
მემატიანე იყო ცივი
და მოწყენილი;
იმ დიად ბრძოლებს როცა ვუმზერთ
ქრონიკის კადრში, —
ცოცხლდება თვალწინ
საოცარი სახე
ლენინის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირული ნიჭი, ძალა,
გამბედაობა,
მწვერვალებისკენ, სინათლისკენ
მლტოლველი მარად,
მამების კვალზე მიმავალი
ჩვენი თაობა,
ზურგმეკცეული — უკაცობას,
შურსა და ღალატს.

სამოცი წელი — ბრძოლის,
შრომის და სიხარულის,
არდავიწყების შუქით არის
იგი ფენილი, —
მილიონების იმედია და სიყვარული,
რადგან ჩვენს დროშას ახატია
სახე
ლ ე ნ ი ნ ს!!!

## ვაჟა ოთარაშვილი

### და ეს 60 წელი!..

ჩვენი 60 წელი! — მოჰქრის ფოლადის
ფრთებით, —
და ეს 60 წელი — ხომ სიცოცხლეა ჩვენი,
ეს ზეიმია ჩვენი,
ეს სიმღერაა ჩვენი,
ეს შენებაა ჩვენი,
ეს მშვენებაა ჩვენი,
ეს სახელია ჩვენი,
ეს დიდებაა ჩვენი!
და ეს 60 წელი — დაბადებაა ჩვენი!
და ეს 60 წელი — ღიმილი არის ჩვენი

და ეს 60 წელი — გაზაფხულია ჩვენი, —
ახალი ქარხნით ველით,
ახალი ჰესით ველით,
ახალი ფესვით ველით,
ახალი გზებით ველით,
ახალი გზნებით ველით,
ახალი ხიდით ველით,
ახალი ფიქრით ველით!..
და ეს 60 წელი — დედაბოძია ჩვენი,
საძირკველია ჩვენი!
ეს ხომ ჰიმნია ჩვენი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ნიშნიანიძე




## ქართული ზღაპარი

იქ, რიონზე სანაოსთან
ბონდის ხიდი ქანაობდა...

გავდიოდი გაღმა მხარეს და ჯადოსნურ ლერწამს ვთლიდი,
თურმე ბეწვის ხიდი იყო, მე მეგონა ბონდის ხიდი.

ვიღაც ქალი ბჟოლას სხეპდა
და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,
მე მეგონა გლეხის ქალი, თურმე ღვთისმშობელი იყო...
ვიღაც შუაღზე ხარს კოცნიდა და მთესვარად ხნულს მისდევდა,
თურმე ქრისტე-ღმერთი იყო, მე მეგონა გუთნისდედა.
იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი, ხთარს არ მიტეხავდა ისიც...
თურმე ამირანი იყო, ძმა ბადრის და უსუპისი.
ერთი გოგო მომეწონა — ირმის ჯოგს წველიდა მთაში,
თუ ქალღმერთი დალი იყო, ბრიყვმა რა ვიცოდი მაშინ.
კოლხის ქალი მყავდა ძიძად — ამირძალი ენამწარე,
ნიშახარის სიყვარული იმ მხარეში შემასწავლეს,
ლედაჩიტი ბარტყებისთვის ღმერთს უნთებდა თაფლის
სანთლებს,
ჩიტის ლოცვას ყურს ვუგდებდი და იმ მაღლით გავიზარდე.
გზაზე ბერი გადამიდგა... შემომცინა „გიხაროდენ".
— წადი, შვილო და რაც ნახე, ქართული ხმით იგალობე.
. . . . . .
— ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,
ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი,
ბონდის ხიდი მაპოვნინე, ზღაპრის ხიდი... ოქროს ხიდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ერთი ქვეყანა ვიცი

მე ერთი ქვეყანა ვიცი, —
სამოთხის კარია ღია,
იქ მართლა გვარზე ხტის კვიცი,
და სხვებიც თავის გზით ვლიან.

იქ მლიქნელს აჭრიან ყურებს,
მაჩუღარს აჭრიან ენას,
პოეტი იქ უფრო ურევს
და ბევრი როდი აქვს წყენა.

იქ უკვე არაენ ქურდობს,
დახლიდარს არა აქვს ფამვი
და თუკი აწუქე ხურდა —
სასტიკად გაგლანძღავს მაშინ.

უქრთამოდ იღებენ მცოდნეს,
უმეცარს სჭრიან და სჯიან,
იქ აღარ სჭირდებათ ცოტნე,
თაფლი კი სუყველას სცხია.

**დახლებთან არ არის რიგი,**
**წიგნის მაღაზიის გარდა,**

**არავის უნახავს იგი**
**არც ერთი მინისტრის კართან.**

ერთი ტროლეიბუსში ადი,
რაინდი რაინდზე თვალე:
მოხუცებს უთმობენ ადგილს,
მეტადრე — ბავშვიან ქალებს.

იქ მართლა ფასდება ჭკუა,
იქ გულიც ფასდება ბავშვის,
კრიტიკა იქ აღარ ცრუობს,
პოეტებს არ უყვართ ტაში.

არცა აქვთ მეგობრის შიში,
კაცს ვიღარ შეხვდები მტრიანს,
ერთმანეთს არცხვენენ პირში,
ზურგს უკან არავის თხრიან.

. . . . . .

იმ მხარეს ოცნება ჰქვია,
იმ მხარეს სიზმარი ჰქვია,
თუ გინდათ წავიდეთ, ძმებო,
არასდროს არ არის გვიან.

●

სულ ომობ და პაჭანიკობ,
დროზე ვერ დამიქორწინდი,
ხარ მერანის გაჭენება
„ქებათ-ქება ნიკორწმინდის“.
როცა აღარ ჭაჭანებდი,
ცხენის ფაფარს გიოცნიდი.

ღვეთ მეფეს ანისს ეახლდი
და შამქორთან ვყიჟინებდი,
ო, რამდენჯერ განმიახლდი
კოცონით და ქინქილებით.

ო, ხალისო უმრეტელო,
თავსაც მოვიაფრაკებდი,
ის დრო სამი მუშკეტერის,
მხიარული სიფრანგეთის!

**დრო ხიფათთა სიიოლის,**
**ძალვის, არა უძლურების,**

**დრო რუსოს და ვიიონის,**
**საიდუმლო კუნძულების.**

**დრო პოეტი მეფეების,**
**პოეტების გამეფების,**
**ამბოხება პლებეების,**
**მეფეების ანათემის.**

**დრო მღელვარე, არამშვიდი,**
**ზეთის, არა პლასტილინის,**
**ბასტილიის პანაშვიდის,**
**სასახლის და ბასტილიის.**

**სულო, მოგზაურის სულო,**
**ჟინო, მაძიებლის ჟინო,**
**ერთხელ კიდევ გავეშუროთ**
**საკალმასოდ, საყიჟინოდ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომფესვე ფორმულიდან,
გამიტაცე სინჯარიდან,
დამიხსენი ნიკარიდან
გინდ ხარკითაც, იჯარითაც.

ყველაფერი გაადვილდა,
რაკ ოცნების შუქით ვძერწე,
ხომ ფართხალებს სინამდვილე
ლამანჩელის შუბის წვერზე!

მიხმობს ჩემო ელდორადო,
ჩემი ომიც და სერობაც.

მაშ, ესროლე ხელთათმანი
ჩუმ, უფერულ არსებობას.

## სიმღერა კატერინაზე

### I.

სალამი ბებიაკალო, სალამი კატერინა!
თქვენ უფრო კენარი ხართ თუ წერო ბალერინა?..

მოვარდა ნათლიდედა — არიქა, კატერინა!
ნათლული მითხოვდება — მზითევი გაკერინა.
მოგადგა მეზობელი — გვიშველე, კატერინა!
ვიღაცა მოწამლულა — ცხრა ღამე ვათევინა.
სასიძო გაფრენილა...
ნათლული გაბერილა...
— გვიშველე, კატერინა,
— გვიხსენი, კატერინა!

დამწყდარა საქონელი და ველარ გადენილა,
იქნება შეულოცო,
მადლია, კატერინა!

— დათვები შემოგვიჩნდა, ყანები გათქერილა...
წამოხტა, მაჭახელით მიუხტა კატერინა.

სახნისი გაკვერილა,
— აფერუმ კატერინა!
ნამგლები გაფერილა,
— აფერუმ კატერინა!

### II.

დაბერდა კატერინა, კეთილი კატერინა,
ლამაზი კატერინა, ქალღმერთი კატერინა.

მოსულა ანგელოზი — ცა შუქით დასერილა.
— წამოდი სამოთხეში... და წაპყვა კატერინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით ქრისტეს დაო, მშვიდობით, კატერინა.
მშვიდობით უმარშვილო, წმინდაო კატერინა.
ლეიდა კატერინა,
მამიდა კატერინა,
ბიცოლა კატერინა,
გამდელო კატერინა.

გალობენ ანგელოსნი — სხივებად ატევრილან:
— კურთხეულ იყავ, დაო, კურთხეულ კატერინა!

## აპრილი

თმას მომიჩეჩავს
და გუგუ-ო ბექიდან მისტვენს,
წვიმის წკიპურტებს მთავაზობს და
სიცილით კვდება...
ყოველ ბუჩქს უკან მემალება ეს ანი გოგო.

ეს, მისი ჯიბრით დავიჭირე ჭიამაია
და ხელისგულზე ღილივით მიდევს
და მე თითები იმგვარად მითრთის,
თითქოს იმ ანი გოგონასათვის
შემეწყვიტოს კაბაზე ღილი..

## სანახევრო ვინ თქვა მიზანი?

ნახევრად ვინ რა აღმოაჩინა,
ან ნახევარი რაა დიდება..
სრული სიცრუე უფრო გაშინებთ
თუ ნახევარი ჭეშმარიტება?

ვინ თქვა ნახევრად ძლევა მწვერვალის,
ან სანახევროდ ვინ თქვა მიზანი.
აუსტერლიცი და ნახევარი?
ნახევრად ბრძენი ანდა მისანი?

ქვეყანას ბევრჯერ არ გაუმართლდა
და გამუდმებულ სიკვდილის ქიშით
მუდამ ნახევრად გიჟი ღუპავდა
და არა თხემით ტერფამდე გიჟი.

სულ ასე იყო კაცთა სიყრუე,
ერთმანეთს ბევრი ჰგავდა ეპოქა,
ნახევარ ყმობას უფრო ვიგუებთ,
ვიდრე ნახევარ ტახტს და მეფობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სწორი იყოს შენი გზა, ამინ!
ეშმაკისაგან გაუჭლიკავი
და თუ იქნები ნახევრად რამე,
მაშინ ნახევრად ღმერთი იყავი.

## რძალ-მამამთილის გალობა

— მამილო, მამილო, როდესაც დათბება,
იქნება წახვიდეთ ტყეში?
(იქნება შეგვამონ დათვებმა
ან გადაიჩეხო ტყეში!).

აპრილში, მაისში მთაბარი ყვავილობს,
ტყის თაფლი, მთის თაფლი მომარჩენს,
მამილო.

როცა გაზაფხულზე დათბა,
მოხუცმა დატოვა სოფელი,
ყურით მოათრია დათვი
და თაფლიც აკიდა როფებით.

მინახავს დაირით, ჩაჩით,
ხტუნავდა, ბუქნავდა დუქანში,
მთვრალები ასმეოდნენ ჭაჭას
და სულიც ამოძვრა ბუქნაში...

— მამილო, მამილო, ავად ვარ, ძვირფასო,
კალმახი მომიხდეს იქნება...
(იქნება მოგგუდოს ტყისკაცმა,
იქნება დაგახრჩონ ჭინკებმა).

წავიდა მოხუცი... წავიდა... ჰოდა,
ჭინკა გაიხადა საყვარლად...
იმ დღიდან სკაც ბევრი, სხვაც ბევრი ჰქონდათ
და თვეზიც თავზე საყრელად.

## მეფისძვილე

რაკი უყვარდა ნუნუა
და არანაკლებ ჭანარი —
წისქვილს დამდგარა მესაყდრედ
ძველი ნადიაკვანარი.

ერთხელაც, შედამბულზე,
კაცისგან ვერ შეცნობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარს მიდგომია ალქაჯი —
მღვდლის ცოლად გამოწყობილი.

თქვენ რაღა დაგიმალოთ და,
კი შეჰყოლიან პურმარილს,
იმ მუსუსს ჭუკჭუკ-ჭუკჭუკში
შეუცდენია სტუმარი.

თუმცა ქვეყანა დიდია,
არც დახურულა ჩალითა,
მაინც სხვაგვარი ცხოვრების
ყიყინი ისმის ჭალიდან.

ჰოი რა სასაცილოა
სურათზე შავი არშია,
თუკი იმისმა პატრონმა
ოჩოკოჩობა არჩია.

## თქვენი და ჩემი არ იყოს

იყო და არა იყო რა... თავი რაღაცა ეგონა,
ამიტომ მასზე ნიგბიერს ვეღარ იტანდა მეგობარს,
თქვენი და ჩემი არ იყოს.

კრებაზე სიტყვას ამბობდა ოქროს ფარაყით დანავერს,
ქუჩაში სულ სხვას ამბობდა, ან არ ამბობდა არაფერს,
თქვენი და ჩემი არ იყოს.

სმაში ყალბ სადღეგრძელოებს წარბშეუხრელად ამბობდა,
მეორე დილით ნანობდა თავის წუხანდელ ნამოდგარს,
თქვენი და ჩემი არ იყოს.

აქებდა, რაკი აქებდნენ, უნიგო წიგნს და მხატვრობას,
გულში კი მათი ავტორის გაქიაქეპას ნატრობდა,
თქვენი და ჩემი არ იყოს.

გაქურდულ-მოტყუებული გამოდიოდა დუქნიდან,
მიმტანს კი მაინც ჩუქნიდა, თანაც მადლობას უხდიდა,
თქვენი და ჩემი არ იყოს.

ტაქსის მძღოლს ხურდას არ თხოვდა, პასუხს არ თხოვდა ძულიგანს,
თავხედებს ანდა ლამაზებს ყველგან უშვებდა ურიგოდ,
თქვენი და ჩემი არ იყოს.

თქვენი და ჩემი არ იყოს, მის ბავშვებს ხშირად შიოდათ,
თვითონ კი ქვეყნის წასდენა-უწესობაზე ჩიოდა
თქვენი და ჩემი არ იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორი სიჩუქარი

თქვენს სახელზე შევიძინე იადონი
და სახოტბოს ვასწავლიდი ლექსებს,
მერე, როგორც მგალობელი პრიმადონა,
თქვენ მოგართვით დაბადების დღეზე.

. . . . . .

და გალობდა და კვდებოდა იადონი,
როგორც გული შეყვარებულ მგოსნის.

ო, ძვირფასო... ო, ქალღმერთო... ო,
მადონა...
გკოცნი მე თქვენს ნაფეხურებს... გკოცნი...

თქვენ კი ბრძენი თუთიყუში გამოგზავნეთ
და მარტოსულს დამიყენეთ მდგმურად,
ისიც მიხსნის წუთისოფლის გამოცანებს
და ქირქილით გადმომძახის: ღურრრაკ!..

•

ბიჭი რომ ვიყავ პატარა,
მაფრთხობდა წუთისოფელი,
ბუნების ძალას შევთხოვდი:
შენ მიღღეგრძელე მშობელი.
ჯილდოდ მიეცი სიბერე,
მუხა დაბერდეს მუხადვე,

მის ამაგს ვერ გადავიხდი,
ისევ შენ გადაუხადე.

. . .

გამცვლარხარ, დაჟანგებულხარ,
ჩემო ფარო და შიმშერო,
ო როგორ დაბერებულხარ,
რა გიყო, როგორ გიშველო?

## ქალების შეფასება ბერბიჭას მიერ

ლამაზი ქალი სხვისია,
ლამაზი ქალი მტრისას,
თავს მოგვჭრის, ძმაო, ნისიად,
ისეთ რამეებს იზამს.

ჭკვიანი ქალი რად გინდა,
ჭკვიანი ქალი მტრისას,
თავს დაგაჯდება, გაგეირდავს
და ამოგიხმობს ტვინსა.

მდიდარი ჭირვეულია,
მდიდარი ქალი მტრისას.
ღარიბი სულწასულია,
სხვისი შეაცდენს ქისა...

— თქვენ, ვაჟბატონო, რამდენი ცოდვა
გდებიათ კისრად
ჰაუ, რამდენი ოჯახი აშენებულა მტრისა...

## ხალიბური სიმღერა

ნაწყვეტი პოემიდან „რკინის ნოველა"

1

ჩვენ ვართ ჰეფესტოს მაცნე,
რკინას პირველნი ვკვერავთ.
ჩვენ ისტორიას ვაცმევთ
რკინის წვრილთვალა პერანგს.

კირის თუხთუსებს გუბე,
მდუღარე რკინა მოჰყეფს,

ვკვერავთ ფარებს და შუბებს,
ნამგლებს, ნაჯახებს, თოხებს.

•

თვითეულ ქვას და ლითონს,
როგორც "ზოძახილ"ს კრინი,
ჩაჰკაკუნებია თითქოს
სხივ-ნაპერწკალი რკინის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, ხალიბთა ტომიც
რკინის ულეველ მადნად,
როგორც ღრიალი ლომის,
ქართულ გვარებში გადნა.

გაჭექილია ვაშლი
რკინის შუშხუნა წვენით...

რკინანარევი წყალი,
რკინანარევი საზრდო —
კაცს შეასხურებს ხალისს
და რკინასავით აწრთობს.

მახვილია თუ ჩანგი
ერთიმეორეს შეცვლის.
რაც დაბერდება ჭანგით,
გაქმაწვილდება ცეცხლით!

II

იქნება დიდი გამოცდა
უთანასწორო რკენა,
სამასი რკინის სპარტელი,
სამასი რკინის ქართველი —
ერთხელაც კიდევ გამოცდის
რკინის ბულსა და რკინას!

თუნდაც ქვეყანა დაინგრეს,
ცის ჩამოიქცეს ერდო,
დრო დააკისრებს სტალინგრადს,
ვით ბოროდინოს ერთ დროს,

სიკვდილში, ტყვიის ღაღარში
დუღდა რამდენი კვირა,
კაცში (და მთავარსარდალშიც!)
რამდენი იყო რკინა!

ალბათ იქნება რუსთავი,
ბრძმედთა ლომური კმინვა,
დაკრისტალდება უდაოდ,
დაფოლადდება რკინა.

## რკინის კაცისა და ხალიბის დიალოგი

— ვინ იდგეს ერის წინაშე
მაღალთაღოვან სხვენად?
— ვინც გამოკვეროს რკინაში
რწმენა, კანონი, ენა.

ერი რომ გადაარჩინო
ყველა ცთუნების კართან, —
რკინის მუშტია საჭირო,
რკინის ლოგიკის გარდა.

— მუშტი — სიტყვაა გოროზი,
ვინ გაპატიებთ ახლა.
მუშტი, თუნდ იყოს ოქროსიც,
უკვე ბოქლომი გახლავთ,
არათუ ციხის — აზრისაც, —
თავისუფალის, ბასრის.
ბოლომდე თუ ვერ გასრისა,
ხომ დაბლაგვა აზრი?

. . . . . .

## ავტორისა და მკითხველისაგან

აღლუმი!.. დრო საშინელი,
იდგა ნოემბრის შვიდი.
ძველი ნაცნობი შინელით
მთავარსარდალი მშვიდი.

მან ამ შინელით გამოვლო
ქვეყნის ათასი შფოთი,
ინტერვენტებთან ბრძოლების
თუ ცარიცინის ფრონტი.

მერე სანგრებშიც უნახავთ,
როცა ვიხევდით უკან,
სულ რკინის მუშტით უნაყავს
წითლად ნახაზი რუკა...

ვინ თქვას სიმართლე ბოლომდის,
თუნდაც სიმართლე მკაცრი?
რამდენი იყო ფოლადი
ანდა რამდენი კაცი?

გურამ ფანჯიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ROMANI

### თავი პირველი

ქალი ვიგრძენი, ვიღაც თავზე მადგას და დამჩერებია. უცნაურმა, შიშნარევმა გრძნობამ შეშიაყრო. თვალი ნელა გავახილე. ჯერ ძველი, ნახევრად დანგრეული ეკლესიის სითეთრემ შემომანათა, მერე თანდათან, თითქოს ფოკუსი გაასწორესო, უფორმო რუხმა მასამ ადამიანის გამოსახულება მიიღო.

უცნობი ორმოცდახუთი წლისა იქნება, მაგრამ შესახედავად კაცს მეტისა ეგონება. ეს მუდამ ასეა ხოლმე. სოფელში ხალხი უფრო ჯანმრთელია, ვიდრე ქალაქში, მაგრამ მათი სახის გამომეტყველება გაცილებით წინ უსწრებს ასაკს. მარცხენა მხარზე თოფი აქვს გადაკიდებული, მარცხენა ხელის ცერა თითი ტყავის საკიდზე ისე ჩამოუდვია, თითქოს ეყრდნობაო. მარჯვენა ხელში სიგარეტი უჭირავს და დინჯად ეწევა.

ერთბაშად ვერ გავერკვიე, სად ვარ. ჩემი დაფანტული, ჯერ კიდევ სიცხით და ძილით დანისლული გონება ისე ხედავს ამ ეკლესიას, ცაცხვის უზარმაზარ ხეებს, ამ გაუმჭვირვალე მასას, ადამიანი რომ ყოფილა, როგორც აპარატის ობიექტივი. ეს ლამაზი, მაგრამ ივლილას სიცხისგან გათანგული პეიზაჟი ჩემს ტვინში ჯერ არც ერთ უკრედს არ აღიზიანებს.

ამას მერე ვხედავ. როცა თავში ნისლი ნელ-ნელა გაქრა. წვერგაუპარსავი უცნობი კი იმ უსიუეტო და უთავბოლო სიზმრის გაგრძელება მგონია, წელან რომ ვხედავდი.

სიზმარი სწორედ ამ კაცის დაჭიანებულმა მზერამ შემაწყვეტინა. იქნებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრც დამჩერებოდა ასე დაკინებით? ვინ იცის, იქნებ უბრალოდ იდგა და ჩვენს გაღვიძებას ელოდა? რაღა მაინცდამაინც ძე ვიგორძენი ორი მწველი სხეული, ჩემი სხეული რომ გასწოლა?

ვხედავ ნახევრად დანგრეულ თეთრ ეკლესიას.

ვხედავ და ვგრძნობ, გონება ნისლისაგან გადამეწმინდა. მხოლოდ გული მიცემს დუნედ. მაჯებიც თითქოს კვნესისო, ისე მისუსტებული ფეთქავს.

სამაგიეროდ ვგრძნობ, სისხლი როგორ მიდი-მოდის ძარღვებში.

გვერდზე მოვიხედე. დათოს და გიას ისევ სძინავთ.

დათო გულაღმა წევს. თავი ცაცხვის ფესვზე აქვს ჩამოდებული, წითელი, ნახატიანი კეპი ახურავს, უფრო სწორად, ისე ადევს თავზე, რომ შუბლი და თვალები აღარ მოუჩანს.

გია თავდაღმა დამხობილა, თავი გვერდზე მოქცევია, ცხვირი თითქმის მიწაში აქვს ჩარგული, ხელები და ფეხები გაუჩახია, მარცხენა თვალი ოდნავ ღია აქვს. უსიამო გრნობამ შემიპყრო, თვალი უნებურად მისი ზურგისკენ გამექცა და ნატყვიარს დავუწყე ძებნა...

საათს დავხედე. ათი სრულდება. დავამქნარე, თითქმის ორი საათი გვძინებია.

ცაცხვს ავხედე, მის დაბურულ შტოებში მზის ერთი სხივიც ვერ იპარებოდა.

უზარმაზარ ცაცხვებსა და ნეკერჩხლებს შუა მოქცეული თეთრი ეკლესია ისე თვალისმომჭრელად ბზინავს, თითქოს ვიღაცას მზის სხივები უზარმაზარ ბროლის ლინზაში შეუკრებია და ეკლესიისაკენ მიუთართია.

ლამის ეხეოდ კიდეც, ეკლესიის თავზე გამჭვირვალე, თითქმის უჩინარი ალი ქოჩორს როგორ იხვევს.

ისევ უცნობს შევხედე. ამჯერად თვალი გავფსწორე. იგი, თითქოს ამას უცდიდაო, ხმადაბლა მომესალმა. ალბათ ეშინია, დათო და გია არ გაიღვიძოს.

უცნობი თოფს იხსნის და მინდორზე ფრთხილად დგებს. ჰერე ზანტად ჩაცუცქდა, მიწას მარჯვენა ხელით ფაფარდნო და ჩემს პირდაპირ დაჯდა.

სალამზე უხმოდ გპასუხობ. მიწას მეც ორივე ხელით ვეყრდნობი. ჯერ წამოვჯექი, მერე უკან მივჩოჩდი და ცაცხვს მივაწექი.

ისევ ვამთქნარებ.

მერე ხელებს ვშლი და ენერგიულად ვიზმორება.

მეცინება. ისე, ჩემთვის მეცინება გულში „ენერგიულ გაზმორებაზე“.

ჯიბეში სიგარეტს ვეძებ.

ვერ ვპოულობ.

უცნობი მიმიხედა, რასაც ვეძებ. მარდი მოძრაობით გახეხილი სამხედრო „გიმნასტურის“ გულის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

— გმადლობთ! — დავასწარი მე და წამოდგომა ადარ ვაცალე.

უკვე მიეკვენი ჩემს „მარლბოროს“, იქვე, მინდორზე ეგდო. შეიძლება მოულოდნელად ჩამეძინა და შენახვა ვერ მოვასწარი. შეიძლება განგებ დავდე მინდორზე, ჯიბეში რომ არ მომესვრისა, ალბათ იმიტომ.

ვიცი, ამაზე ფიქრი უაზრობაა. თუმცა მე სხვა რამ უფრო მაღიზიანებს, გულმავიწყობა ხომ არ დამჩემდა?

ჯერ ადრეა. ჯერ მსოლოდ ოცდათოთხმეტი წლისა ვარ. ოცდათოთხმეტი წლის და ცხრა თვის, მაგრამ მაინც ოცდათოთხმეტი წლის.

უკვე თვეებსაც ვებღაუჭები. კიდევ კარგა ხანს ვიქნები ოცდათოთხმეტის.

— მოსწეე! — ვეუბნები უცნობს.

სიგარეტი უხერხულად ვესროლე. უცნობი ისე სხარტად იქერს, უკვე ეჭვი მეპარება ჩემს ვარაუდში. იქნებ ორმოცი წლისაც არ არის?

კოლოფს ყურადღებით ათვალიერებს. ცდილობს, წარწერა წაიკითხოს, მისი ბაგეები მოძრაობენ, ხმას არ იღებს, მაგრამ დიდი მიხვედრა არ უნდა, წარწერებს კითხულობს. ინგლისური

გურამ ფანჯიკიძე
აქტიური მზის წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტი არაფერ შუაშია. ეტყობა, საერთოდ არ შუძლია თვალებით კითხვა.

უცნობის დაღარულ, გაუპარსავ სახეს რომ ვუყურებ, ეს არც მიკვირს. თუმცა მე ვცდები. დაღარული და გაუპარსავი სახე ამ შემთხვევაში სულაც არ კმოდგება ჩემი დასკვნის დასასაბუთებლად. მე გამომრჩა მთავარი, — მისი პატარა შუბლი და არაფრის მთქმელი თვალები, არასდროს რომ არ გადაღღილან წიგნით და გაზეთით.

უცნობი ისევ კოლოფს თვალიერებს და ერთ ცალ სიგარეტს პირში იჩრის.

მე ვეწევი და გიას ზურგზე ნატყვიარს ისევ ვეძებ, ნატყვიარი ცოტაა. — ავტომატით გაგლებულ მრავალწერტილს. ოღონდ ახლა აღარ მაღიზიანებს მისი ჩამხმარი სხეული.

უცნობმა უკან დამიბრუნა სიგარეტის კოლოფი.

გადმოგდება, ისე როგორც მე გადავუგდე, ვერ გამიბედა. ჯერ წამოიწია, მერე წამოიჩოქა, თავისუფლად შეეძლო ხელი მოეწვდინა, მაგრამ ესეც არ მაკადრა. წამოდგა, სიგარეტის კოლოფი რაც შეეძლო ზრდილობიანად გამომწოდა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. აქ მარტო ზრდილობა არაფერ შუაშია. მან აღიარა ჩემი უპირატესობა.

„უპირატესობა“ — მეცინება გულში. უფრო სწორად, მწარედ მეღიმება. შეიძლება „წარეცე“ არ იყოს იმ ცნების ზუსტი გამომხატველი, რაც ახლა მინდა ვთქვა. შეიძლება „ირონიულად მეღიმება“ უფრო გამოხატავდეს ჩემი განცდის არსს.

სოფელში სხვის უპირატესობას ძალიან ოლად აღიარებენ ხოლმე. ამ უცნობისთვის ახლა ისიც კმაროდა, რომ შეგვატყო, ქალაქელები ვიყავით. ქალაქელობა მისთვის მხოლოდ თბილისელობას ნიშნავს. თუმცა, ჩვენი უპირატესობა რომ ეღიარებინა, ამისათვის დათოს წიფელი, ნანატიანი ქუდიც იკმარებდა. ჩემს ამერიკულ სიგარეტზე რაფერს ვამბობ.

სიგარეტის კოლოფი გულის ჯიბეში ჩავიდე.

მარჯვნივ, ჩვენგან ასე ოცდაათი — ორმოცი მეტრის დაშორებით ცაცხვის ძირში ხუთი კაცი ისვენებს. დილით ისინი ბალახს თიბავდნენ.

სამი გულაღმა წევს და სძინავს. ორი ჩემსავით ცაცხვს მიყრდნობია და თვლემს.

საოცარია, როგორ გაიზარდნენ აქ ეს ცაცხვები და ნეკერჩხლები?!

ეკლესია ალპიურ ზონაში მდებარეობს, სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით. ორი კილომეტრი თითქოს არაფერია, მაგრამ მთის კალთაზე შეფენილი სოფელი, ქვემოთ რომ მიჩანს, იმდენად დაბლაა, უკვე აღარ არის ალპიური ზონაში.

ეკლესიის ირგვლივ სათიბები ბიბინებს მწვანედ. ალაგ-ალაგ კარტოფილის ნათესებიც ჩიჩანს.

მაღლა, ასევე სათიბებით დაფარული ქედის გადაღმა, კავკასიონის თოვლიანი მთები ბრწყინავს ვერცხლისფრად.

ეკლესიის შორიახლო ერთი ხეც არ ხარობს. აქედან თვით სოფლამდეც ვერ ნახავთ თუნდაც ერთ ბეჭქს. რაღაც განგებით, მხოლოდ ეკლესიის ირგვლივ აქრილან ცაში უზარმაზარი ცაცხვები და ხუთიოდე ძირი მუხა. ალაგ-ალაგ კი ამ ცაცხვებსა და მუხებს შორის ნეკერჩხალსაც და თელასაც საფუძვლიანად გაუდგამთ ფესვები.

ეკლესიის გალავანში, ხეებს შორის მიმობნეული საფლავები დიდი ხნის მიტოვებულსა ჰგავს. უმრავლესობა შამბნარს დაუფარავს. თითო-ოროლა ალაგას, სადაც ალბათ ბოლო ორ-სამ წელიწადში მიებარებინათ მიცვალებული მიწისათვის, იგრძნობოდა ადამიანის ხელი.

სოფელი ნახევრად დაკარიელებული იყო და, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო იშვიათად თუ დაარღვევდა აქ გამეფებულ მყუდროებას ჭითქმისა და ტირილის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა, თეთრი ქვით ნაგები ეკლესია სანახევროდ დანგრეულა. წითელი კრამიტით გადახურული გუმბათი თითქმის მთლიანად ჩაშლილა. ჩრდილოეთის კედელიც უმოწყალოდ მორღვევია. გუმბათის ნარჩენებზეც და კედლებზეც ბალახი ამოსულა. სამრეკლოზე კი ნეკერჩხალს ღონივრად აუყრია ტანი, ფესვები გაბზარულ კედლში გაუდგამს და იგრძნობა, კედელსა და ნეკერჩხალს შორის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მალე ბუნების ქმნილების გამარჯვებით დამთავრდება.

ბოლს ღრმად ვისუნთქავ.

ხველება ამიტყდა. გაბრაზებულმა სიგარეტი ორი თითით შორს მოვისროლე.

ჩემს ხველებაზე ჯერ დათოს გაეღვიძა. მკვირცხლად წამოჯდა, ქუდი გაისწორა და თვალები მოისრისა.

გიამ უფრო დინჯად ასწია თავი, ერთხანს ასე იყო, მიწას დასჩერებოდა, მერე გადაბრუნდა, ზეცას ახედა, ხელები გაშალა და ნეტარებით გაიზმორა. უცნობი შენიშნა, მაგრამ თავი მოვალედ არ ჩათვალა, ამ ფაქტის გაცნობიერებით ტვინის ორმელიმე უჯრედი შეეწუხებინა, თვალი დახუჭა და ისევ დაძინა.

ნიავი არსაიდან იძვრის. მოსარკულ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანს.

ცხელი. საშინლად ცხელა. შუა იულისსთვისაც კი უჩვეულო სიცხე დგას.

დღეს კვირაა. ჩვენი ჭკუით, დაბლა, ჭალაში თევზის საუკრად წამოვედით.

ღელის ხუთ საათზე გამოვედით ლაბორატორიიდან, მაგრამ სანამ აქ ჩამოვაღწევთ, თითქმის სამი საათი გავიდა.

სიცხემ დილიდანვე გვაგრძნობინა თავისი ძალა, ეკლესიასთან შესვენება გადაწყვეტეთ. მივხედი, ან რა დიდი მიხვედრა უნდა, ამით დამთავრდა ჩვენი თევზაობა. როდის ან როგორ ჩაგვეძინა, არ მახსოვს.

გიას და დათოს მაგივრად რატომ ვლაპარაკობ?

ეს მე არ მახსოვს, როგორ ჩამეძინა.

ახლა აზრი არა აქვს სათევზაოდ წასვლას. სხობია, ლაბორატორიაში დაბრუნდეთ. აქედან ათი კილომეტრი მაინც იქნება, თუ მეტი არა, თან სულ აღმართ-აღმართ უნდა ვიაროთ.

ტანში უსიამოდ მაჟრიალებს. რა გაივლის ათ კილომეტრს ამ სიცხეში? თერმომეტი დაიწყო. ნამდვილი სიცხე აწია მოსალოდნელი. სიცხეში კი გზა ორმაგდება.

სხობს, ისევ დავიძინოთ, საღამომდე აქ ვიყოთ, ცაცხვების ჩრდილში. ჭიდრაკი მაინც წამოგვეკი. საღამოს აუცილებლად დაიქროლებს ნიავი.

ვამთქნარებ.

ისევ მომინდა მოწევა, მაგრამ ვგრძნობ, თვალი მელულება და სიგარეტის ამოღება მეზარება.

ფოკუსი ისევ აირია, თითქოს ვიღაც უხილავი არსების ხელმა შეატრიალა. თეორი ეკლესია გაბუნდოვანდა, უცნობი ისევ იქცა რუს. უფორმო მასად.

ვგრძნობ, ტვინის ნაოჭებში როგორ შედის მონაცრისფერო ნისლი. იქნებ ეს ყველაფერი მომეჩვენა? იქნებ ისევ გრძელდება წეღანდელი ამდაუბდა და უთავბოლო სიზმარი?

— რა თოფია? — ჩამესმის დათოს მჯახე ხმა.

ეს სიზმარი აღარ არის. თვალს ვახელ. დათო და უცნობი ფეხზე დგანან.

— უბრალო თოფია, ტულისა!

— მაჩვენე.

დათომ თოფი ჩამოართვა და გააკეთა ის, რასაც, ჩვეულებისამებრ, ამ დროს აკეთებენ ხოლმე — ლულა გადახსნა და ცალი თვალით გაიხედა.

— ცოტა დაჭანგული.

— მე და ჩემს შვილთან ვნელებს კოდევ მოგვინელებს! — ღიმილით ამბობს უცნობი.

— აბა ერთი მე მაჩვენე! — ვეუბნები და ფეხზე სწრაფად ვდგები.

---

გურამ ფანჯიკიძე
აპტიური მზის ფილიფადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ზუსტად იმას ვაკეთებ. რაც ერთი წუთის წინ დათომ გააკეთა:

ლულა გადავსებენი და ცალი თვალით გავხედე.

— გუტყობა, გაწშენდა გეზარება, ვაზნები გაქვს?

ძალი და მოთენთილობა საღღაც გაქრა, სხეულის რომელიღაც ნაწილში მიიკუმა.

— კი ჰაქვს, მაგრამ აქ რას უნდა ესროლო?

— ერთი ვაზნა მომეცი, მიზანში ვისვრი. ვნახოთ, როგორ მიაქვს შენს „ვინჩესტერს“.

გიამ თვალი გაახელა და ისე წამოჯდა, თითქოს არც სძინებოდეს. ვიცი, იარაღი არ უყვარს. ზურგშექცეული ვდგავარ და ბუნებრივია, ვერ ვხედავ მეგობრის სთნთ, გულუბრალული სახეს, მაგრამ ვგრძნობ, არა. „ვხედავ“ მას თვალებში ჩამდგარ შიშს. წუთი-წუთზე ველი, როდის მეტყვის. შეეშვი მაგ ეშმაკის მოგონილ მანქანასო, მაგრამ აგვიანებს.

უცნობი ვაზნას მაწვდის.

— რიმელი ნომერია?

— მაჩვისაა.

ვაზნას თოფში ვდებ, მაგრამ ლულას ჯერ არ ვხურავ, ისე გადახსნილი თოფით ვზეერავ გარეშოს და ვფიქრობ, რას ვესროლო.

უცნობი მიხვდა, რომ თოფი ჩემთვის არაა უცხო ხილი. ერთი წამით შეეკვლე თვალი მის გაუპარსავ სახეს და უმალვე დავიჭირე ეიწრო შუბლის უკან მობოგინე, ტანჯვით დაბადებული აზრი.

„როგორ, ეკლესიის გალავანში ამირებ სროლას?“

სიტყვა „გალავანს“ აქ პირობითად ხმარობენ და სასაფლაოს საზღვრებს გულისხმობენ.

პაუზა.

— აქ ნუ ისვრი, ეკლესიის გალავანში სროლა არ შეიძლება! — გაბედა ბოლოს უცნობმა.

— რატომ, ღმერთი გვწყენს? — მეღიმება მე და თან ეკლესიას გავცქერი.

— ჰო, ღმერთი გვიწყენს.

— აბა, მოდი, ღმერთს ვესროლეთ!

ეკლესიაზე სროლას სულაც არ ვაპირებდი. მაგრამ ახლა რატომღაც მინდოდა უცნობი გამეღიზიანებინა.

— არ გინდა, ჰაგას ნუ იზამ, სულ ერთია, თოფი მაინც არ გავარდება.

ვგრძნობ, უცნობის ხმაში ერთდროულად შიშიც ისმის და მკაცრი მოთხოვნაც.

— გეშინია? — ეეკითხები გამომცდელად.

— მე რისა უნდა მეშინოდეს, — უცნობს აცოფებს ჩემს ბაგეებზე გამოსახული ირონიული ღიმილი, — შენ ნუ იზამ საძრახის საქმეს, სულ ერთია, თოფი მაინც არ გავარდება.

— ვინ გითხრა, რომ არ გავარდება? — ჩემს ბაგეებზე გამოსახულმა დამცინავმა ღიმილმა უცნობის ტეინს რომელიღაც უჯრედში გადაინაცვლა და იქ ჩაიბეჭდა.

— არავის არ უთქვამს. მე თვითონ ვიცი.

—საიდან იცი?

— ბევრჯერ უსვრიათ და არ გავარდნილა.

— სხვის ნაამბობს ჰყვები თუ თვითონ შესწრებიხარ?

— თვითონ შევესწრებივარ.

დათოს და გიას გადავხედე.

მიწაზე წამოჯდარი გია ხურგს უკან ხელებს დაყრდნობოდა და ისე მოგვჩერებოდა. დათოს კეპი შუბლზე წამოედო, თავი მაღლა აეწია და თვალებდაწკურული ინტერესით ელოდა, რა მოხდებოდა.

— შარშან, აღდგომას, ერთმა მოკარალმა ნაგანი ამოიღო და ეკლესიის კარს ესროლა. ე, იმ კარს! — გაიშვიტა უცნობმა ხელი დაკანგული ბოქლომით დაკეტილი კარისაკენ.

— მერე, არ გავარდა?

— სამჯერ დაიცემინა, არც ერთხელ არ გავარდა.

— იქნებ ნაგანი არ ვარგოდა ან ვაზნა იყო ძველი?

— გვერდზე ისროლა, პირველსავე გამოსცმაზე იშუქა.

— სხვა დროსაც შესწრებიხარ?

— მე არა, მაგრამ სხვები შესწრებიან.

— მაინც?

— თვითონ ჩემს ძმას უნახავს დაბლა სოფელში. ერთ მონადირეს მარიამობას თოფი მიუშვერია ეკლესიის კარისკენ.

— მერე? არ გავარდნილა?

— პირველ დაცემაზე არა.

— ესე იგი, მეორეზე აღარ უმტყუნია.

— ჰო, მეორეზე აღარ უმტყუნია. მაგრამ საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდნენ, მანქანა ხევში გადაჩეხილა, ოცი კაციდან მარტო ის მომკედარა, სხვას ბეწვიც არ დაშავებია.

— მით უმეტეს, უნდა ვესროლო.

ეკლესიისკენ მტკიცედ შევბრუნდი, ლულა გავასწორე და თოფი ფეხზე შევაყენე.

— მე მაინც გირჩევ, ნუ ესვრი.

ახლა მის ხმაში შეშფოთება უფრო მეტი იყო, ვიდრე გულისწყრომა.

შემოვბრუნდი და ჯიქურ შეეხედე. უნებურად შემაკრთო უცნობის თვალებში ჩამდგარმა შიშმა და სასოწარკვეთილებამ.

„ვესროლო?“ — უკვე ვყოყმანობ.

— ხომ არ შეგეშინდა? — მესმის დათოს ხმა.

გამოვერკვეე, მაგრამ ვეღარ მოვასწარი დათოს ხმაში დაცინვა დამეჭირა. მეგობარს ეჭვიანად გავხედე.

— ხომ არ შეგეშინდა-მეთქი, — გაიღიმა დათომ, — ჩვენ და ჩვენს წინ, ვინ იცის რამდენი ათეული თაობა ლაბორატორიებში ვამტკიცებთ სამყაროს წარმოშობის მატერიალურობას. თურმე რა უბრალოდ, მხოლოდ ერთი გასროლით შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი!

— ნოდარ, არ გინდა, გამოიღე ვაზნა! — მესმის გიას ნერვიული ხმა.

ერთბაშად დადავწყვიტე, მესროლა. თოფი შევმართე და ეკლესიის კარს დავუმიზნე.

—მე ჩემი მითქვია! — მუქარაშერეული ხმით თქვა უცნობმა და რამაცა მე ნაბიჯით უკან დაიხია.

„დანარჩენი შენს თავს დააბრალე“,— დავასრულე ძისი ფრაზა გულში და თოფი მხარზე მივიყრდენი.

საკუთარი გულის ცემა მესმის. ნუთუ მეშინია? არა, ამას შიში არ ჰქვია, აბა რა არის ეს საშინელი გრძნობა, ტყვიასავით რომ დამაწვა გულზე?

თითი ნელა შევიხე სასხლეტს. გული თითქოს გაჩერებულა ლამობს.

ერთბაშად შემაკრთო ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ და უნებურად უკან მოვიხედე.

გია ისევ ისე იჯდა და სროლის მოლოდინში თვალები სანახევროდ მოეჭუტა.

დათოს სიგარეტი გაეჩარა პირში და აწვალებდა.

უცნობი სანახევროდ მიბრუნებულიყო, თითქოს არ უნდოდა დაენახა, როგორ ვისროდი, მაგრამ საშინელი ცნობისმოყვარეობა მთლიანად შებრუნების ნებას არ აძლევდა.

იმ ხუთი წელიწადან, წელან რომ ცაცხვის ძირში ვეძინეთ, ოთხი უკვე წამომდგარა და ახლოს მოსულა. მხოლოდ მეხუთე დარჩენილა ადგილზე და მუხლებზე წამოჩოქილი მომჩერებია. ხუთივეს თვალებიდან შიში და ცნობიაკოყვარეობა იღვრება.

არავითარი სურვილი აღარა მაქვს ვისროლო, თან ჩემს თავზე გული მომდის, ნუთუ მეშინია? რისი? რისი უნდა მეშინოდეს?! სისულელეა...

— ნოდარ, არ გინდა!

გიას ხმა თითქოს შორიდან ჩამესმის, ძალიან შორიდან.

უკვე გვიანაა, თოფმა იშუქა. მისმა გრიალმა ისე შემაკრთო, თითქოს გასროლას არ ველოდი. ბეჭის ტკივილი ვიგრძენი, მერე ისიც გავიგონე, ეჭო როგორ დაენარცხა გადაღმა კლდეებს, დაენარცხა და იქვე დაიმსხვრა.

უცებ ეკლესიის კედელმა იხუვლა და

---

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიკოს მზის ფალიფაზე

ერთიანად ჩამოინგრა. ერთბაშად აიშალნენ შაი მერცლები და ღამურები, ნანგრევები თეთრმა მტვერმა დაფარა.

როცა მტვერი შეთხელდა, პირველად ვეერდზე გადახრილი სამრეკლო გამოჩნდა.

უკან მოვიხედე.

ყველანი გაშეშებულნი იდგნენ, გიაც და ის კაციც, წეღან რომ წამოჩოქილი მიცქერდა.

უცად გლეხები შეშინებული გაბრუნდნენ, გაბრუნდნეს ერთდროულად, თითქოს ვიღაც უჩინარმა ბრძანება მისცათო. ერთმა პირჯვარიც გადაიწერა.

თოფის პატრონი ხან მე მომჩერებია, ხან ჩამონგრეულ ეკლესიას.

ლულა გადავსენი, ჰილზი ამოვიღე. ვცდილობ, სახეზე უდარდელი გამომეტყველება მივიღო. ლულას სული შეუბერე, ჩარჩენილი ბოლი მთლიანად გამოვდენე. მერე თოფი დავკეტე და პატრონს გავუწოდე.

— ხომ ხედავ, შენს თოფს ღმერთისა არ ეშინია! — ვუთხარი ღიმილით.

დაბნეული მომჩერებია, ალბათ ცდილობს გამოიცნოს, რამდენად ბუნებრივია ჩემი ღიმილი.

ვინ იცის, რა წაიკითხა მან ჩემს თვალებში. იქნებ სინანული, მე თვითონაც რომ კარგად ვგრძნობდი? იქნებ შიშიც, იქნებ... არ ვიცი, კიდევ რა, იქნებ ხედავდა იმ პიტალო, უზარმაზარ, ცივ ლოდსაც, გულზე რომ მაწვა და გასრესას მიპირებდა?

მზერა უცებ თოფზე გადაიტანა. ახლა მივხვდი, თითქმის ნახევარი წუთი ვიდექი ხელგაწვდილი.

თოფი ჩამომართვა, ფიცსლად გაბრუნდა. ცაცხვის ხესთან შეჩერდა, ჩემსკენ მოიხედა და თვალი ჯიუტად გამისწორა. მერე თოფს ლულაში მოჰკიდა ორივე ხელი და ცაცხვის უზარმაზარ სხეულზე ხმელი ჯოხივით გადამტვრია. ნამტვრევები იქვე მიყარა ხბზღითი და სოფლისკენ დაეშვა.

ერთხანს თვალი გავაყოლე სიმინდის ყანაში ძუნძულით მიმავალ კაცს.

კარგად ვხედავ უცნობის ოთხ კედელ სხეულს, ძაგრამ გონება სულ სხვა ფიქრითაა დაკავებული. არ მინდა, დათომ და გიამ სინანული შემატყოს. ვუყურებ სიმინდის ყანაში დთვივით ძოძუნძულე უცნობს და ვფიქრობ, რა მოვბრუნდები, რა ვქნა, გავიღიმო? ან პირველი სიტყვა რა უნდა ვთქვა?

ბოლოს მაინც შემოვბრუნდი. მე თვითონ ვხედავ ჩემს სახეს. ტუჩებზე მიწებებული ღიმილი სრულებით არ შეესაბამება თვალების გამომეტყველებას. მგონია, ეს ღიმილი სადაცაა კედელზე ცუდად მიმაგრებული ფირნინშივით ჩამოვარდება.

— წავიდეთ ჭალაში, რაღას ველოდებით?— ვამბობ და პირველი მე თვითონ ვგრძნობ ჩემი ხმის სიყალბეს.

ახლა ჭალაში წასვლა სისულელეა. ყველაფერს მირჩევნია, ლოგინში თავდაღმა ვეგდო და არაფერზე არ ვიფიქრო, რომ ერთი საათით მაინც გამოვეთიშო სამყაროს.

—რა დროს ჭალაა!

ეს გიას ხმაა.

— სჯობია, ლაბორატორიაში წავიდეთ!

მჭახედ ნათქვამი ფრაზის ავტორი უკვე დათოა.

არაფერი მითქვამს. წინაადმდეგობა არ გამიწევია. რამდენიმე წუთის შემდეგ შევნიშნე, სათიბში აღმა მივაბიჯებდით. ჩემმა გონებამ არ აღნუსხა, როდის დავემორჩილე დათოს სურვილს და როგორ გადავჭერით სასაფლაო.

მზე ულმობლად გვაფრქვევს ეკლიან სხივებს. ბალახი თითქმის მუხლამდე გვცემს. ყველაფერი გამიმშრალა და გახისტებული.

სიგარეტს ვიღებ და მოსაკიდებლად ვჩერდები.

— ნამწვავი ან ცეცხლმოკიდებული ასანთის ღერი არ გადაადგი, ხანძარი გაჩნდება.

გიას ხმაა.

სიგარეტს ვუკიდებ, თან ცალ თვალს მეგობრებისკენ ვაპარებ..

დათო შედგა და მელოდება. გია ჯი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტად მიუყვება აღმართს. ლაპარაკის სურვილი არა აქვს და იმიტომ. ვიცი, მისი მგრძნობიარე გული კიდევ ორი დღე ვერ გადახარშავს ღღეკნდელ ამბავს.

დათო სულ სხვაა. დარწმუნებული ვარ, მას უკვე დაავიწყდა ჩამონგრეული ეკლესია და ღამურების საშინელი, უფრო სწორად, ამაზზენი წრიპინი. მჯერა, იგი აღარც ჭალაზე ფიქრობს, აღარც თევზობაზე. მისი ფიქრი ახლა ან ვილსონის კამერას დასტრიალებს, ან ფირზე აღბეჭდილ მახინჯ პროტონს.

უცებ საშინელი გრუხუნი გაისმა. უკან მოვიხედე. ცაცხვის ხეებით დაფარული სასაფლაოს შუაგულში ისევ ავარდა თეთრი კირის მტვრის სვეტი. გულმკერდის არეში ისევ ვიგრძენი მძიმე და ცივი, უზარმაზარი, პიტალო ლოდი. ხელებით გარშემორტყმული სასაფლაო ძაღლიდან ისე ჩანდა, გეგონებოდათ კოატერი ბოლავსო.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექით ასე გაშეშებული.

ალბათ იმდენ ხანს, რამდენიც ერთი სიგარეტის მოწევას სჭირდება. ეს ბრძნული დასკვნა მაშინ გამოვიტანე, როცა უკანასკნელმა ნაფაზმა ხელის თითები დამწვა.

სიგარეტის ნარჩენი იქვე დავაგდე და ფეხით საიმედოდ მოვსრისე. მერე ისევ სასაფლაოს გავხედე.

მტვერი გაფანტულიყო. გვერდზე გადაწოლილი სამრეკლო აღარსად ჩანდა.

## თავი მეორე

მამაჩემის კაბინეტი.

კუთხეში სავარძელში ვზიავარ. ფეხი ფეხზე მაქვს შემოდებული და სიგარეტს ვეწევი. საფერფლე ქვეღებერი სავარძლის ფართო სახელურზე მიდევს.

ჩემი უფროსი ძმა ფანჯარასთან დგას. ხელში ძვირფასი კვესი უჭირავს და ათამაშებს. ხან აანთებს, ხან ჩაკრობს.

მისი გამომწვევი, უდარდელი და კმაყოფილებით სავსე სახე მაღიზიანებს. კიდევ უფრო მაღიზიანებს კვესის ჩხაკუნი.

ვცდილობ, ნერვები მოვთოკო. ბოლოს, როგორც იქნა, კვესს ჯიბეში ოდებ და სასადილო ოთახში გადის.

იქ სუფრაა გაშლილი. მაგიდას სახეიმო ეერი დაჭკრავს. უძვირფასესი სერვიზი, ბროლის ჭიქები, ვერცხლის მძიმე, მოჩუქურთმებული დანა-ჩანგალი ვიღაცის გაწფფულ ხელს კოხტად და ფაქიზად გაუწყვია. ორ-ორი დანა, ორ-ორი ჩანგალი ძალზე უჩვეულოდ მეჩვენა შინაურული სადილისათვის. ეს „ვიღაც“ ჩვენი ახალი შინამოსამსახურე ქალია, უფრო სწორად, მამაჩემის შინამოსამსახურე, მისი სახელი არც კი ვიცი. სულ რამდენჯერმე მყავს ნანახი. არასდროს არ დავლაპარაკებივარ. ალბათ ორჯერ ან სამჯერ თუ მექნება ნათქვამი „გმადლობთ“, როცა წინ წვნიანს დამიდგამდა ხოლმე.

სასადილო ოთახში ჩემი უმცროსი ძმა დაბიჯებს ნერვიულად.

ყველაფერი მზადაა, მამაჩემი კი აგვიანებს სუფრასთან მიწვევას. იქნებ ვინმეს ველოდებით? უნებურად სკამებს ვთვლი. თავში, ჩვეულებისამებრ, მამაჩემის ქვეღებური, ბაღალი, მოჩუქურთმებული სკამი დგას. მაგიდის ბოლოში, მამაჩემის პირდაპირ დედაჩემი ჯდებოდა ხოლმე. თეფშები, დანა-ჩანგალი, ჭიქები ისევ ისე დევს ქვეღებურად თავის ადგილზე. თითქოს დედაჩემი ცოცხალი იყოს. მამაჩემისგან ხელმარჯვნივ ჩემი უფროსი ძმისა და მისი მეუღლის ადგილებია. ხელმარცხნივ მე და რეზო ვსხდებით, ჩემი უმცროსი ძმა.

მაშინაც კი, როცა ვახტანგ გელოვანი უცოლოდ მოსვლას ინებებს ხოლმე, მას გვერდით მეუღლისათვის თეფშები და დანა-ჩანგალი ისევეა გაწყობილი, როგორც გარდაცვლილი დედაჩემისათვის.

---

ბურაკ ფანჯიკიძე
აკაციური მზის ფელიფადი

ალბათ, ვიღაცას ველოდებით, მაჰაჩემისგან ხელმარცხნივ, იქ სადაც ჰე და რეზო ვსხედართ ხოლმე, მესამე სკამი დგას.

ცნობისმოყვარეობა უმალვე შემიძვრა ტვინში. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ამაფორიაქა. უბრალოდ, საინტერესოა, ვინაა დაპატიჟებული დღევანდელ ტრადიციულ საოჯახო სუფრაზე?

უნებურად მამაჩემს გავხედე. ბოლო ორ წელიწადში ძალიან მოტყდა, მაგრამ თავის ასაკთან შედარებით მაინც ახნედ გამოიყურება. მის ჩვეულებრივ მშვიდ სახეს დაძაბულობა შეპპარვია. ძნელი გამოსაცნობი არაა, ნაღდად ვიღაცას ველოდებით. არც ისაა ძნელი მისახვედრი, რომ მამაჩემი ღელავს. თუ კარგად დაავკვირდები, შეამჩნევ, — მისი თვალებიდან შიშიც კი გამოკრთის.

„ნეტავ ვინ უნდა მოვიდეს?“ — ახლა ჩემი ტვინის უფრო მეტი უჯრედი შეაშფოთა ცნობისმოყვარეობამ.

ყოველ შემთხვევაში, თანამდებობის პირი არ უნდა იყოს, მაშინ აუცილებლად მინისტრის პირველი მოადგილის, ვახტანგ გელოვანის გვერდით დადგამდნენ სკამს.

მამაჩემი ყოველთვის ითვალისწინებს იერარქიულ საფეხურებს.

ერთი თვეა ოჯახში არ ვყოფილვარ. რა არის ერთი თვე? არაფერი, მაგრამ შშბლიური სახლი მაინც უცხოდ მეჩვენება. მართალია, ორწელიწადნახევრია, რაც საკუთარ, ერთთოთახიან ბინაში გადავედი, მაგრამ აქაურობა მაშინაც უცხოდ მეჩვენებოდა, როცა შშობლებთან ვცხოვრობდი.

რატომ?

პირში მწკლარტე გემო ვიგრძენი. სიგარეტი ბოლომდე დამოყვანია.

მახსოვს, ბათუმში ათწლიანი შუალედის შემდეგ ჩავედი. ყველაფერი შშობლიური მეჩვენა, ის ქუჩებიც კი, არასდროს რომ არ გამევლო. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბათუმი როგორც ერთი ცოცხალი ორგანიზმი. ერთი არსება, ერთი პიროვნება, ისე მიყვარდა.

აქ კი, შშობლიურ სახლში თავს უცხოდ ვგრძნობ. არა, მარტო ახლა არა, ბოლო სიცოცხლე.

რეზო ნერვიულად დაბიჯებს. მინისტრის პირველ მოადგილეს, და ალბათ ძალე მომავალ მინისტრს, ვახტანგ გელოვანსაც ნელ-ნელა შეეპარა ნერვიულობა. მამაჩემის მღელვარება ეტყობა მთავაც გადაედოთ. ალბათ ერთი სული აქვთ, როდის დასრულდება ტრადიციული ოჯახური რიტუალი, ესოდენ მნიშვნელოვანი მამაჩემისთვის და ესოდენ უაზრო და მომაბეზრებელი ჩვენთვის.

ყველაზე ნაკლებად მაინც მე განვიცდი ამ უაზრო დუშილს და მოლოდინს. აქ რომ მოვდიოდი, წინასწარ უკვე შეეგეგე, რა მომაბეზრებელი და გაულა წამიება საათები მელოდა. ეს სამი თუ ოთხი საათი გონებაში უკვე გამოტირებული და გადახარშული მქონდა. ახლა, უბრალოდ, აუღელვებლად ველოდებოდი მათ გასვლას.

მამაჩემს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს და ჰიდროლიკის კათედრის გამგეს უგემოვნობას ვერ დასწამებდით. სასადილო დარბაზში, კაბინეტში თუ საძინებელ ოთახებში არაფერი ზედმეტი არა დგას, მაგრამ რაცა დგას, ყველაფერი მდიდრულია და ძვირფასი.

თუნდაც უძვირფასესი სერვიზი, ჩვენს საზეიმო მაგიდას რომ ამშვენებს, ეს ვერცხლის მოჩუქურთმებული დანა-ჩანგალი, ბროლის მძიმე ჭიქები.

მამაჩემს უყვარს, როცა სუფრას საზეიმო იერი დაჰკრავს. რაც თავი მახსოვს, სულ ძვირფასი სერვიზით გაწყობილ სუფრაზე ვსაუზმობდით, ვსადილობდით და ვვახშმობდით.

ყოველთვის მაღიზიანებდა და მღლიდა სუფრის საზეიმო იერი. მამაჩემი კი, იშვიათად მახსოვს, უპალსტუხოდ მისჯდომოდა სუფრას.

უყვარდა, როცა ათეულობით წლების მანძილზე დაკანონებულ რიტუალს ვიცავდით. თვითონ, მგონი უკვე ვთქვი, მაგიდის თავში ჯდებოდა ყრუ კედლის მხარეს, მოპირდაპირე მხარეს კი დედა-

ჩემი. ხუთი წელია, რაც დედაჩემის ადგილი თავისუფალია, მაგრამ ამ ხუთი წლის მანძილზე მისი სკამი ყოველთვის თავის ადგილზე იდგა, არ მახსოვს, იქ ვინმე დამჯდარიყოს. ეს ტრადიცია მაშინაც არ ირღვეოდა, როცა სტუმრები გვეწვეოდნენ ან შემოგვესწრებოდნენ ხოლმე და დასაჯდომი ადგილი ადარსად იყო.

ყოველთვის მაღიზიანებდა და ახლაც მაღიზიანებს ეს უაზრო რიტუალი, უფრო კი მამაჩემის კაპრიზი.

მაღიზიანებს სრულიად გასაგები მიზეზის გამო — იგი პრეტენზიულია და არაგულწრფელი.

იქნებ ვცდები, იქნებ გულწრფელიც იყოს, მაგრამ ხელოვნურია, თეატრალურია, ყალბია. არაფერი კი ისე უაზროობად არ აქცევს ტრადიციას, როგორც სიყალბე.

მამაჩემს ყოველთვის უყვარდა ძვირფასი ნივთების შეძენა. თანაც ყველაფერს გემოვნებით არჩევდა. თუნდაც ის დიდი, ძველებური საათი რად ღირს, რომლის ზარის ხმა ჩემში ყოველთვის რაღაც გამოუცნობი სიმოვნების გაჩენას ბადებდა. მახსოვს, ბავშვობაში, როცა ცელქობით იქაურობას ვიკლებდი, საათის ზარის ხმაზე აუცილებლად შევჩერდებოდი ხოლმე. მისი სასიამოვნოა უფრო დამამშვიდებლად მოქმედებდა და მაწყნარებდა, რიდითა და მოკრძალებით მავსებდა, ვიდრე მამაჩემის მუქარა ან დედაჩემის ისტერიული დაკივლება, ნუ დაანგრიე აქაურობაო.

ძველებურ, მაგრამ კარგად შენახულ ავეჯს თავისი პეწი არ დაუკარგავს. შავი ხის უზარმაზარი, ნატიფი ხელოვნებით მოჩუქურთმებული სერვანტი, ძმიმე, მაგრამ ლამაზი საკარძლები და დივანი, ჩინური ვაზაც კი, კუთხეში რომ მორცხვი ბავშვივითა დგას, თვალში არ გეჩხირება და არ გაწუხებს.

სასადილო ოთახში კედელზე ორად ორი ნახატი ჰკიდია. ერთი უფრო დიდია, ნატურმორტი. სიმაღლე დაახლოებით ოთხმოცი სანტიმეტრი ექნება, მეორე პატარა მინიატურაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოდიური ზარი. უკვე ორი საათია. სიგარეტს ვეწევი.

არ მახსოვს, როდის მოვუკიდე.

მამაჩემს თვალი კარისკენ გაურბის. თუმცა ცდილობს, მღელვარება არ შეიმჩნიოს.

საერთოდ, მამაჩემის ასაკისა და პროფესიის ხალხს უყვარს ნატურალისტური ნახატები, მათთვის ფერწერას ჭეშ უფრო დიდი ფასი აქვს, რამდენადაც ნახატი უახლოვდება ნატურას. ამიტომაც მაკვირვებდა მამაჩემის არჩევანი — მოხრდილი ნახატი საკმაოდ მოდერნიზებულ ნატურმორტს წარმოადგენდა.

გაპრტყელებული რიდინი და სამი თავი ნიორი ტალოზე მიმაგრებულს უფრო ჰგავდა, როგორ მოუვიდა მამაჩემს თავში აზრად ეყოდა ასეთი ნახატი?

მინიატურაზე ძველი თბილისის სახურავები იყო გამოსახული, მხოლოდ ერთ ადგილას, შუაგულში მოჩანდა რიკულებიანი ივანი და ეზოს ნაწილი. ვფიქრობ, ეს ნახატი უფრო შეესაბამება მამაჩემის გემოვნებას.

სამუშაო ოთახიც ნორმალურად გამოიყურება. წიგნის კარადები და თაროები ერთთავად წიგნებითაა გადატენილი, მაგრამ მაინც იგრძნობა სივრცე და სიხალვათე.

იატაკი მოწითალო, ძვირფასი აღმოსავლური ხალიჩითაა მოგებული. საოცარია, ეს მდიდრული წეთელი ხალიჩა თვალს სრულებით არ ხვდება. ხალიჩა საკმაოდ ღრმა და რბილი, ამას მხოლოდ მაშინ იგრძნობ, როცა ფეხს დააბიჯებ.

კარგად ვიყავი დაკვირვებული, კაცი რომ პირველად შევიდოდა კაბინეტში, ფეხს ღრმა ხალიჩაზე დაადგამდა და უჩვეულო იატაკს იგრძნობდა, ოდნავ შემკრთალი მხოლოდ მაშინ დაიხედავდა ხოლმე ძირს.

შესვლისთანავე რატომ ვერ ამჩნევენ ისინი მოწითალო ხალჩას? იქნებ ფერების საოცარი შეხამების შედეგი იყო, რომ მისი მოწითალო ფერი შეუმჩნეველი რჩებოდა?

არა მგონია.

მე, მაგალითად, ჯერ ყოველთვის ხალჩას შევავლებ ხოლმე მზერას, როცა მამაჩემის კაბინეტში შევდივარ. თუმცა იმიტომ კი არა, რომ თვალში მხვდება მისი მოწითალო ფერი. უბრალოდ, რეფლექსი გამომიმუშავდა ასე ღრმა ხალჩაზე ფეხის დადგმისა.

ხალჩას რომ ვერ ამჩნევენ, ვფიქრობ, ეს ფიროსმანის ნახატის ბრალია. მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული სურათი უპირველესად იტაცებს თვალს, ესაა ოთახში ყველაზე მახვილი წერტილი, უმალვე რომ იპყრობს კაცის ყურადღებას.

სურათზე გამხდარი ძროხა და ასევე გამხდარი პატარა ბავშვია დახატული. უკან მწერი და ჭაკარი, მომწვანო სერები მოჩანს. როგორა ჰგავს ძროხის სვდიანი თვალები პატარა ბავშვის დიდრონ და კიდევ უფრო დიდი სვდით სავსე თვალებს. კარგად რომ დაკვირდები, ბავშვის თვალები სულაც არ არის არაბუნებრივად დიდი, პირველად რომ მოეჩვენება კაცს. უბრალოდ, გამხდარი სახე და ჩავარდნილი უბეები აღიდგმს მას.

ბავშვობაში ყოველთვის გული მეკუმშებოდა, ამ ნახატს რომ ვუყურებდი. რატომღაც ძროხა უფრო მეცოდებოდა. ახლა კი უფრო ძროხის გამხმარი სხეული მაშფოთებს, ვიცი, ეს ძროხაა ამ დიდრონთვალებიანი, ნაღველით სავსე ბავშვის დედაც, მამაც და მარჩენალიც.

სურათი ისე ჰკიდია, სასადილო ოთახიდან პირდაპირ მოჩანს. სასადილო ოთახი კაბინეტს სიგრძეზე ებმის. სასადილო მაგიდაც სიგრძეზე დგას. მამაჩემი სწორედ კაბინეტის მოპირდაპირე თავში ჯდება, კარს ყოველთვის დიას სტოვებს ხოლმე და ნახატს პირდაპირ გასჩერებია.

როგორც თვითონ ამბობს, ფირსმანის ნახატი სრულიად შემთხვევით ეროვნული ბიბლიოთეკა უყიდია 1935 წელს. ჩალის ფასად. მომცესო, არასდროს არ დაავიწყდება ამ სიტყვების დამატება.

ჩემთვის დღესაც გამოცანაა, მართლა ასე უყვარს მამაჩემს ფიროსმანი ან თუნდაც ფიროსმანის ეს ნახატი?

საერთოდ არასდროს გამოუმეღავნებია მხატვრობის სიყვარული, მუზეუმებს გულცივად ჩაუვლის ხოლმე გვერდზე და გარდა საყოველთაოდ აღიარებული ნახატებისა, ფეხის ყოველ ნაბიჯზე რომ შეხვდებით მათ რეპროდუქციებს და ასლებს, არაფერი იცის და დარწმუნებული ვარ, არც აინტერესებს.

მაგრამ რატომ უყვარს ასე საოცრად ფიროსმანის ნახატი? დღესაც არ შეიძლია ამის ახსნა. თუმცა ისე არ გამიგოთ, ძალიან ვიმტვრევდე თავს ამ სიყვარულის გამომწვევი საიდუმლო მიზეზის ამოხსნით. უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ გამახსენდა.

მე ნახატისაკენ ზურგით ვზიავარ და პირიქით, სასადილო ოთახს ვაყურებივარ.

პირველად ვხედავ ასე აწრიალებულ მამაჩემს. იგი დუმს, მაგრამ ამ დუმილშიც იგრძნობა დიდი მღელვარება, დიდი წუხილი, მის სულში რომ ტრიალებს.

ისევ ვეწვევი. არ ვიცი, იგივე სიგარეტია, წყდან რომ ვეწეოდი თუ სხვაა. რეზოც ეწევა. ვახტანგ ველოვანიც აბოლებს თავის „კენტს“. გაქანქარებული მანქანებიდან ციმციმებს ბრილიანტისთვლიანი საკინძე. ცხელა, მაგრამ პიჯაკის ღილიც კი არ აქვს შეხსნილი. უზადო ჰალსტუხი ამშვენებს უკანასკნელ მოდაზე შეკერილ ძვირფასს კოსტიუმს. მხოლოდ ივლისის სიცხე ხდის სასაცილოს მის უნაკლო ჩაცმულობას, მხოლოდ ჩახუთული ჰაერი უსვამს ხაზს ამ ჩაცმულობის უადგილობას.

მამაჩემს ცუდად ვიცნობ, სულიერად ახლოს არასოდეს ვყოფილვარ მასთან.

ის ინსტინქტური სიყვარულიც კი, შვილს რომ აქვს მამის მიმართ, ეტყობა ჩემს არსებაში ძალზე მისუსტებულა.

**ამას აქვს თავისი მიზეზები.**

მამაჩემი არასდროს არ ყოფილა უშუალო. მისი თეატრალური ბუნება, რიტუალებითა და დისტანციით გატაცება, შვილებთან, ყოველ შემთხვევაში ჩემთან, ასლოს არ უშვებდა. უფრო სწორად, ეს თვისებები მე არ მიშვებდა მასთან ახლო.

აი, ახლაც თეატრალურად დაამიჯეს იგი. თუმცა ასაკი ხელს აღარ უწყობს, მაინც უნდა შეინარჩუნოს ოჯახის უფროსის როლი.

გულუბრყვილოა მისი სურვილი, მაგრამ მამაჩემი, პროფესორი გიორგი გელოვანი, ისევ ენერგიულად და ჯიუტად ებღაუჭება ოჯახის ლიდერის ტახტს.

უკვე გვიანია. იქნებ თვითონაც მიხვდა თავისი სურვილის უაზრობას, მაგრამ არ იმჩნევს, სულიერად არ ტყდება, იქნებ სულაც არ უგრძვნია ოჯახში თავისი პოზიციების შესუსტება? თუ მართლა არ უგრძვნია, დაჭკვიანებია. ჩვენ იმ იხვის ჭუჭულებს ვგავართ, ქათამს რომ გამოაჩეკინეს. როგორც კი ჭუჭულებმა მდინარე ნახეს, გაიმა გაცურეს. ამაო იყო გამოღმა კრუხის ქოთქოთი და კრიახი.

მშობლიური ბინის აღწერა შემთხვევით არ დამიწყია. არც მამაჩემის კარგი გემოვნება გამიხსენებია უმიზნოდ. საწოლი ოთახებით თავს აღარ შეგაწუხებთ. ერთი რამ კი უნდა ვთქვა — დედაჩემის პატარა სურათი იქვე, თავთან უკიდია.

მაგრამ ასეთი მკაცრი გემოვნებით მოწყობილ სასადილო ოთახში აუტანელი ზედმეტობის გრძნობას ბადებს ჩემი გარდაცვლილი ძმის გადიდებული სურათი.

რატომ მისი სურათიც დედაჩემის სურათის მსგავსად არ დაჰკიდა თავის საწოლთან?

რატომ გვახვევს თავის მწუხარებას მთელ ოჯახს?

ჩვენი უფროსი ძმა რვა წლისა გარდაცვლილა. მაშინ მინისტრის პირველი მოადგილე სამი წლისა იყო, მე კი ორი წლის შემდეგ მოვევლინავარ ამ ქვეყანას. უმცროს ძმაზე აღარაფერს მოგახსენებთ.

ჩემს არსებაში სათვალეებიანი, ჭკვიანი ბიჭის სურათი არასდროს ბადებდა განცდას, ოდესღაც რომ იგი ცოცხალი იყო. მე მისი სიკვდილის შემდეგ დავიბადე. და როცა ამ ქვეყანას მოვევლინე, სურათი უკვე ორი წელი იყო ეკიდა იქ, სადაც ახლა ჰკიდია.

მას შემდეგ, რაც ახრი მომეცა და სიკვდილის ახსნა ასე თუ ისე შევიგრძენი, თვით სტუდენტობის დროსაც კი, ვცდილობდი, ძმის სურათისკენ არ გამეხედა. იგი ჩემს ენით აუწერელ განცდას ბადებდა. სულ მეჩვენებოდა, რომ სასადილო ოთახიდან სიკვდილი ჯერ კიდევ არ იყო განდევნილი. განსაკუთრებით მაშინ ვკანკალებდი, როცა შემთხვევით მარტო დავრჩებოდი ხოლმე. სასადილო ოთახში გასვლა მეშინოდა. საშინელი ძრწოლა მიპყრობდა და გული მეწურებოდა ჩემიანების მოლოდინში.

ერთხელ, არ მახსოვს როგორ გადავწყვიტე, გაბრაზებულმა სასადილოს კარი შევაღე და ძმის პორტრეტს თვალებში შევხედე. მინდოდა, ერთხელ და სამუდამოდ დამეთრგუნა შიში. ერთხელ და სამუდამოდ განმედევნა სიკვდილი, სასადილო ოთახში რომ იყო დაბუდებული, მერე ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს.

ჩემმა ძმამ თვალი თვალში გამიყარა. შეშინებული მარცხნივ გავვარდი, ჩემი ძმა ისევ მომჩერებოდა, საითაც გავიწიე, მისი თვალებიც ისევე მიმართულებით მოძრაობდა, თან დამდევდა, თითქოს დაყინებით ცდილობდა სათვალის უკან მოკიაფე ჭკვიანი, მაგრამ ცივი და შეუბრალებელი თვალებით ჩემი შუბლი გაეხვრიტა.

მერე, როცა თვალი გავახილე, მეზობლის ქალი მადგა თავზე და ს

ხელსახოცით გულმკერდს მიზანავდა. ჩემი გულის შეღონება სისხლის ნაკლებობას დაბარალეს. დღესაც არ იციან, რა მოხდა მაშინ.

მაინც რატომ ჰკიდია პატარა ზურაბ გელოვანის უზარმაზარი სურათი დიდ ოთახში?

მამაჩემი რატომღაც თვლის, რომ დედაჩემის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება მხოლოდ მას ეკუთვნის, ძმა კი... ეტყობა ოჯახის საერთო მწუხარების გამოხატულებად მიაჩნია.

მე პირიქით მგონია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დედაჩემი მაინც მიყვარდა განსაკუთრებული სიყვარულით. მე იგი უფრო მეცოდებოდა, ვიდრე მიყვარდა. ალბათ იმიტომაც, რაკი მეცოდებოდა, ვერაფერზე უარს ვერ ვეუბნებოდი. დედაჩემს სჯეროდა, რომ შვილებიდან ყველაზე უფრო იგი მე მიყვარდა. იმიტომ სჯეროდა, რომ არასდროს მისთვის არაფერზე უარი არ მითქვამს. მის სურვილს არასდროს წინ არ აღვდგომივარ. ასე იყო ბავშვობაში, ასევე იყო სტუდენტობის დროსაც.

იქნებ ესაა დედის სიყვარული? ვინ იცის. მე კი შშობლის სიყვარულზე სულ სხვა წარმოდგენა მაქვს. იგი რაღაც დიდი, განუზომელი, წმინდა და ღვთიურიც კი მგონია. რატომდაც მჯერა, რომ ჩემსა და ასეთივე ჩემისთანას გარდა შშობლები ყველას ამ განუზომელი და ღვთიური სიყვარულით უყვარს.

— მდაა! — დამთქნარა უცებ ვახტანგ გელოვანმა და თავის ძვირფას, იაპონურ საათს დახედა, თითქოს მის პირდაპირ უზარმაზარი საათი არ ყოფილიყოს. — მამაჩემო, გვითხარი მაინც, ვის ველოდებით?

მის ხმაზე სასადილო ოთახში შინამოსამსახურეს შემოჰყო თავი.

— პირველი ხომ არ დავასხა? — ჰკითხა მამაჩემს.

მამაჩემმა ხმა არ გასცა. ქალი დაიბნა, ასე იდგა ერთხანს, მერე შებრუნდა და წავიდა. თვალი მხოლოდ რეზომ გააყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენც და შენს ძმებსაც გარკვევით გითხოვეთ, დღევანდელი დღე ჩემთვის შემოგეწირათ.

— კი, ბატონო, მაპატიე! — გაიღიმა მინისტრის პირველმა მოადგილემ და ჩვენ გადმოგვხედა.

რეზოს თავი არ აუწევია, იატაკს დასჩერებოდა.

არ ვიცი, მინისტრის პირველმა მოადგილემ რა წაიკითხა ჩემს თვალებში, რომ მზერა უცებ მომწყვიტა და ფანჯრისკენ შებრუნდა.

გუშინდელივით მახსოვს, დედაჩემის სიკვდილი რომ შემატყობინეს, მთაში, ლაბორატორიაში ვიყავი. ვილსონის კამერასთან ვმორგიგობდი. უფრო სწორად, მაგიდასთან ვიჯექი და მძიმე მეზონების ფოტოებს ვათვალიერებდი.

მახსოვს, გია შემოვიდა.

ოთახში ბნელოდა, მაგიდას მხოლოდ ფოტოფირების გასაშუქებელი აპარატი ანათებდა. ვინ შემოვიდა, არ დამინახავს, მაგრამ გულმა მიგრძნო, გია იყო. იგი უკან იდგა, ჩემს ზურგს უკან. მაინც მივხედე, რომ გია იყო, სახეზე ნაცრისფერი გადაჰკვროდა. როგორ დავინახე გია სიბნელეში? ან საერთოდ როგორ დავინახე მისი გაფითრებული სახე, როცა უკან არც შეებრუნებულიყარ?

ამას შემდეგ ვფიქრობდი, გზაში, თბილისისკენ რომ გამოვემგზავრეთ.

ალბათ კი არ დავინახე, მივხვდი. მისმა თვალებმა იმპულსი გადმომცა. ტრაგიკული იმპულსი. ამ იმპულსმა მიმახვედრა, რომ ოთახში გია შემოვიდა, რომ მას სახე ერთთავად გაფითრებული ჰქონდა, რომ...

... რომ დედაჩემი მოკვდა.

რატომ დედაჩემი და არა, ვთქვათ, მაჩაენი ან რომელიმე ძმა? უმალვე მივხვდი, რომ დედაჩემი გარდაიცვალა.

შემდეგ, გზაში, თბილისისკენ მიმავალი დიდხანს და დაჟინებით ვფიქრობდი — რატომ მაინცდამაინც დედაჩემი? რატომ მაინცდამაინც დედაჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა სხვა ვინმე? ალბათ მილიონჯერ დაეუსვი ეს კითხვა ჩემს თავს. პასუხი ერთხელაც ვერ გავიცი. დედაჩემი რომ ავად ყოფილიყო, კიდევ ჰო, იგი არაფერს არ უჩიოდა, არც გულს, არც წნევას. ერთი სიტყვით, არაფერი მიზეზი არ მქონდა იმისა, რომ დედაჩემის სიკვდილი მეაზრა. ან საერთოდ, რატომ უნდა მომსვლოდა ეს აზრი თავში? გიას ხომ ჩემთვის ჯერ არაფერი ჰქონდა ნათქვამი?

იგი მხოლოდ შემოვიდა ოთახში.

ამას მე თბილისისკენ მომავალი ვფიქრობდი მანქანაში.

იგი ოთახში შემოვიდა, მაგრამ, ეტყობა, სხვანაირად შემოვიდა. ეს არ ჰგავდა გიას შემოსვლას, დაუდეევარი, მხიარული ჭაბუკის შემოსვლას, თვით გაჩერაღდნებულ ოთახშიც აუცილებლად რომ რაღაცას წამოიღებდა ხოლმე.

გია მოკრძალებით შემოვიდა. ეს მოკრძალება თუ შიში ისე ვიგრძენი, რომ იქით არც გამიხედავს.

ამ დროს მე აპარატს ჩაჩერებოდი და ფირზე ალბეჭდილ დამახინჯებულ პრტრონს სევდიანად დავცქეროდი.

აშკარად დავინახე, გიას სახეზე ნაცრისფერი გადაჭკვრდა. მაგრამ ვერ გეტყვით, როგორ დავინახე. ვერც იმას გეტყვით, როგორ მიეხედი, დედაჩემი რომ გარდაიცვალა.

წყნარი ნაბიჯების ხმაზე უკან მოვიხედე. საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ მაინც გავარჩიე, ეს მართლაც გია იყო.

— ნოდარ, — დაიწყო მან წყნარად.

ვიგრძენი, ყბა უკანკალებდა.

— რა მოხდა, დედაჩემი ხომ არ მომკვდარა?

გია დაიბნა და გაჩერდა.

საშინელი პაუზა.

მეგონა სუნკუნე გავიდა.

სინამდვილეში, სანამ გია დაილაპარაკებდა, მხოლოდ სიგარეტის ამოღება მოვასწარი ჯიბიდან.

— ჰო, ახლა დარეკეს. დათოს უკვე მზადა ჰყავს მანქანა, ორთავე წამოგყვებით.

ადგილზე გავშეშდი, საოცარი განწყობილება დამეუფლა. ნუთუ მეტი ტკივილი არ უნდა მეგრძნო? ბავშვობაში დედის სიკვდილი რაღაც ენით აუწერელ ტრაგედიად მქონდა წარმოდგენილი.

პაუზა.

გაშეშებული ვიდექი, არ ვიცოდი, რა მექნა.

მერე ჯიბიდან ასანთი ამოვიღე და სიგარეტს მოვუკიდე. ჩემს თავზე ეული მომდიოდა, ასე მშვიდად რომ მოვისმინე მშობელი დედის გარდაცვალების ამბავი.

გიამ ბოლოს გაბედა და თვალებში შემომხედა.

— ნუ გეშინია, ნოდარ, ყველანი შენს გვერდითა ვართ.

გიამ ეს ფრაზა ისე არაბუნებრივად და პათეტიკურად წარმოსთქვა, თავი ვერ შეეიკავე და ხმადაბლა გამეცინა.

გია კიდევ უფრო დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა და თვალი აპარატისაკენ გაექცა. მერე თითქოს გამოერკვა, სახეში შემომხედა.

არ ვიცი, მაშინ რა წაიკითხა გიამ ჩემს გამოხედვაში, ჩემს თვალებში.

იმ ხმადაბალმა სიცილმა ისე დამცალა, როგორც დამუხტული ელექტროსკოპის ფირფიტებს განმუხტავს ხოლმე კოსმოსიდან შემოპარული იონები.

ეტყობა, საშინელი გამოხედვა მქონდა.

— ნოდარ, ნუ გეშინია! — მითხრა მან. ახლა მისი ხმა ბუნებრივი იყო და უშუალო.

„მაინც როგორი სახე მქონდა?“

ამას მანქანაში ეფიქრობდი, თბილისისკენ მომავალი.

პირველი ფრაზის შემდეგ ხმადაბალი სიცილი რომ წამსკდა, გია ვეღარ გაბედავდა მსგავსი ფრაზის წარმოთქმას, მაგრამ, ეტყობა, სახე ძალზე შემეცვალა. ეტყობა, უხილავმა ძალამ ჩემს გულსა და ტვინს ქვეშეცნეულად აგრძნობინა დედის სიკვდილი.

ფუნგა ფანჯიკიძე
აკაკიევრი მზის ფულიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელმა სურვილმა მომიარა, მე თვითონ დამეხახა, როგორ გამოვიყურებოდი, ჩემმა სხეულმა ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად როგორ შეიგრძნო და გამოხატა მშობელი დედის სიკვდილი.

მაინც რატომ მივხვდი, რომ მოკვდა დედაჩემი და არა სხვა ვინმე? მართალია, და ღელავდა, ეს მე მისი ნაბიჯებიდან დავასკვენი, არა, შევიგრძენი, — რადგან მაშინ არაფერზე არ ვფიქრობდი და დასკვნასაც ვერაფერს გამოვიტანდი. მე მხოლოდ ფირზე აღბეჭდილ დამახინჯებულ პროტონს დავაკვირდი.

დიახ, შევიგრძენი, რომ გია ღელავდა, რომ მან რაღაც ტრაგიკული იმპულსი გადმომცა. იქნებ ამ იმპულსში იყო ჩადებული დედის გარდაცვალების ცნობა? თორემ ცუდი, უსიამოვნო ამბავი მარტო სიკვდილთან ხომ არ არის დაკავშირებული. ახლობელის სიკვდილის გარდა ხომ შეიძლებოდა ათასგვარი უსიამოვნო ამბავი ეთქვა ჩემთვის? თუნდაც ეკას ამბავი. მაშინ ეკა ხომ თავდაყოფამდე მიყვარდა.

ვთქვათ, გიას ეთქვა, ეკა გათხოვდაო, რომელ ამბავს უფრო ტრაგიკულად აღვიქვამდი, დედის სიკვდილს თუ ეკას გათხოვებას?

სახეზე მწარე, ირონიული ღიმილი გამომეხატა. მანქანას დათო მართავდა. გია მის გვერდით იყო მოკალთებული, მე უკან ვიჯექი. ჩემი ღიმილი არ შეუმჩნევიათ.

რატომ გამეღიმა? ამ ბოლო გაფიქრებამ მომგვარა მწარე ღიმილი. მართლაცდა, რომელ ამბავს უფრო მწარედ აღვიქვამდი, დედის სიკვდილს თუ ეკას გათხოვებას?

ყველას როდი შესწევს უნარი, ასეთი რამ გაიფიქროს, ან თუ გაიფიქრებს, თავის თავს უმალვე დატუქსავს მკრეხელობისათვის.

მორალისტებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. მე აქ ტრაგიზმის განზომილებას კი არ ვადგენ, არამედ მისი წმიერი გამოხატვის ხარისხს. ადვილი შესაძლებელი იყო, ჩემთვის საყვარელი ქალის გათხოვების ამბავს უფრო დაეცა ფასი. ზარი. იმ წამში, იმ წუთში, თუნდაც ამ დღეს ჩემს არსებაში შეიძლება ამ ამბით გამოწვეული მეტი ტანჯვა ჩაღვრილიყო... მარტო ელდა და თავმოყვარეობის შელახვაც გაგლიჯავდა გულში რამდენიმე ძარღვს.

დედის სიკვდილს კი იმ დღიდან ეგუება ბავშვი, რა დღესაც გაიგებს სიკვდილის არსს. ბავშვმა იცის, ადრე თუ გვიან დედა უნდა მოკვდეს.

დედის სიკვდილი წლების მანძილზე შეგუებული სიკვდილია. ამიტომ მას მოულოდნელობის ეფექტი ისეთი მძლავრი არა აქვს, როგორც სრულიად გაუთვალისწინებელ შემთხვევას. სამაგიეროდ, იგი ხანგრძლივი ტკივილია. განსაკუთრებით მაშინ, თუ დედა ახალგაზრდა მოკვდა.

მანქანაში სიჩუმე იყო. მხოლოდ მოტორის რიტმული ზუზუნი ესმოდა. საერთოდ ვერ ვიტან, როცა მოტორი რიტმულად არ ზუზუობს, გინდ ჩემი იყოს მანქანა და გინდ სხვისი. ეს განცდა მხოლოდ იმასა აქვს განვითარებული, ვისაც მანქანა ცოცხალ არსებასავით უყვარს. დათოს მანქანის მოტორი უნაკლოდ ზუზუობს. მე ვგრძნობ, როგორ ლაღად მოძრაობენ დგუშები, როგორ უნაშთოდ ფეთქდება ბენზინი. დათომ კარგად იცის მანქანა და არც მისი მოვლა ეზარება.

ისევ დუმილი.

შემდეგ სიგარეტი.

ფანჯარა ბოლომდე ჩამოეწია. რაკი მე არ ვლაპარაკობდი, ისინიც დუმდნენ. უკანიდან კარგად ვხედავდი. დათო ხანდახან სარკისკენ გააპარებდა თვალს, უნდოდა დაენახა, რა დღეში ვიყავი. არ მინდოდა, ჩვენი თვალები ერთმანეთს წასწყდომოდნენ და ამ დროს თავს ან ფანჯრისკენ მივაბრუნებდი, ან დაბლა ვიცქირებოდი.

უკვე ათას რამეზე ვფიქრობდი. თბილისში მთელი თვე ვერ მოვახერხებდი ჩამოსვლას. ჩემს თავს ვტუქსავდი, ჩემს არსებაში სადღაც აღძრულ სიხარულს ჩანასახშივე ვკლავდი, ფონებში გაელე-

ბულ აზრს ბოლომდე არ ვამთავრებდი, მაგრამ ამ აზრმა მაინც თავისი ქნა.

მდინარე შეიძლება შეაგუბო, მაგრამ ვერ შეაკავებ. ადრე ოქნება თუ გვიან, საგუბარი გაივსება, მდინარე გადმოვა და ძველებურად წავა თავისი გზით.

დიდხანს ვიგუბე ეს აზრი, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადმოხეთქა. მიხაროდა, თბილისში რომ მივდიოდი, მიხაროდა, ეკას რომ ვნახავდი. მიხაროდა, მასაც პირისუფლების შორიახლოს მოკრძალებით მდგომსა და თვალცრემლიანს რომ დავინახავდი. მიხაროდა, მის ხმადაბალ ტირილს რომ გავიგონებდი, მის ნაღდ, გულწრფელ ტირილს. მიხაროდა, რომ ეს ტირილი ისეთივე ალალი და წმინდა იქნებოდა, როგორც ჩვენი სიყვარული.

სასაცილო იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ ეკა დედაჩემს დაიტირებდა. იგი ჩემი სიბრალულით იტირებდა, ჩემი უბედურებით იქნებოდა უბედური... და ეს სიამოვნებით ვამბობდა. მიხაროდა, რომ მისი გულწრფელი ცრემლები კიდევ უფრო განუყოფელს გაგვხდიდა.

კიბე როგორ ავიარე, არ მახსოვს. მარჯვნიდან გია ამომიდგა მხარში, მარცხნიდან — დათო. თავი შეეცავე, რომ კიდევ არ გამღიმებოდა. ორთავეს ხელი გავაშვებინე. ფიზიკურ უძლურებას არ ვგრძნობდი, ორტისტობას, სიყალბეს კი ვერ ვიტანდი.

ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, სანამ ტახტზე დედაჩემს დავხედავდი. მას მძიმე, თამბაქოსფერი ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული, მაგრამ უმალვე ვიცანი მშობლიური სხეულის კონტურები. მერე თმა დავინახე, დედაჩემის თმა, მხოლოდ ახლა ვიგრძენი, როგორ შეიკუმშა, როგორ დაპატარავდა ჩემი გული.

თვალში ცრემლი მომერია.

მაშინდა გამახსენდა, რომ აქამდე ერთი ცრემლიც არ გადმომვარდნია.

უმწეოდ მიმოვიხედე. იქვე, კუთხეში ეკა დავინახე. გავეოცდი, როდის შემოვიდა? წეღან იქ არ იდგა, ალბათ ბიჭებს შემოეკვა. იგი ტიროდა და მე მომჩერებოდა. ვეცოდებოდი და იმიტომ ტიროდა. დედაჩემს არ იცნობდა, ალბათ ხულიც კი არ ჰყავდა. იგი ჩემს ტკივილს გრძნობდა, შეიძლება ჩემზე უფროც გრძნობდა და იმიტომ ტიროდა. როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ყელში უზარმაზარი ბურთი გამეჭირა. მერე ერთბაშად დავშვიდდი — ეკა აქ იყო, ეს ყველაფერს ნიშნავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიხარე და მიცვალებულს ქსოვილი მშვიდად გადავხადე. საცოდავს სახეზე ღიმილი შერჩენოდა, ეეჭვობ, გაღიმებული მომკვდარიყო. ალბათ ტუჩები დარჩა ასე, ღიმილს რომ ჰგავდა. ზეწარი ისევ წავაფარე. როცა წამოვდექი, თვალი ეკასკენ გამექცა. ახლა იგი არ ტიროდა, შეშინებული მომჩერებოდა. ალბათ ეგონა, ისტერიკული ტირილი ამოვარდებოდა ან გული წამივიდოდა. თვალზე ცრემლი შეშრობოდა და მზად იყო მომშველებოდა.

მე უკვე საოცრად მშვიდად ვიყავი. ახლაღა შევამჩნიე საცოდავად მოკუნტული მამაჩემი, ძმები, ნათესავები.

მაღლიდან ისევ დამყურებდა ჩემი გარდაცვლილი ძმის სურათი. მისკენ გახედვა არ მინდოდა, მაგრამ თვალი მაინც გამექცა. სათვალის მიღმა მოციაფე ორი ჭკვიანი, მაგრამ ცივი და შეუბრალებელი თვალი დაჟინებით მომჩერებოდა. ცივმა ოფლმა დამასხა. მინდოდა სურათი ჩამიმეგლიჯა და სადღაც შორს გადამეგდო. სახეზე მკვდრისფერი დამედო.

— რა დაგემართა!

ეს რეზო იყო, მან ხელი მომკიდა და მამაჩემის გვერდით დამაყენა.

— მოდი, შვილო! — წასკდა ტირილი მამას და გულში ჩამიხუტა.

ასე ახლოს არასდროს ვყოფილვარ მამასთან, ასე ახლოს არასდროს მიგრძვნია მისი სუნთქვა და გულის ფეთქვა. ასე მძაფრად არასდროს აღმოჩენამს, რომ მისი სისხლის და მისი ხორცის ნაწილი ვიყავი. მოვეხვიე და კინაღამ ხმამაღლა

ქურაბ ფანჯიკიძე.
აძღეული მზის ფოლიანდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავღრიალდი, ხელში რომ მომხვდა მისი მოშვებული, სუსტი მკლავები.

იქნებ სულ ეს არის მშობლის სიყვარული?

ეს სიბრალული უფროა, ვიდრე სიყვარული.

მამაჩემს გავხედე. აღელვებას ვეღარ მალავს. მოშეწონა მოხუცი. საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურება, ასაკმა ენერგიული იერი დაუკარგა, თვალებში ცეცხლი გაუნელა, სამაგიეროდ, მეტი ინტელიგენტურობა შესძინა.

გაუნძრეველად ეზიარ და მშობლიურ სახლს ისე ვათვალიერებ, თითქოს პირველად შემოვდგი ფეხი. გული მეტკინა — საბოლოოდ დავრწმუნდი, რა უცხოა ჩემთვის აქაურობა. არა, მარტო უცხო როდია, გამაღიზიანებელია და მტანჯველი. ერთი სული მაქვს, როდის გავიდწევ აქედან.

რაც თავი მახსოვს, ავეჯი ყოველთვის ასე იდგა ჩვენს ბინაში, მამაჩემს და ესე იგი დედაჩემსაც — მისთვის მხოლოდ ქმრის ნება-სურვილი არსებობდა ამ ქვეყანაზე — ბინაში ავეჯის გადაადგილ-გადმოადგილება არ უყვარდათ. ყველაფერს მხოლოდ ერთხელ მოუნახეს ადგილი, ერთხელ და სამუდამოდ. თუ ახალ რამეს იყიდდნენ, მისთვის წინასწარ იყო შერჩეული დასადგმელი, მისამაგრებელი ან ჩამოსაკიდებელი ადგილი. დიახ, ჯერ ადგილს გამონახავდნენ და ნივთს იმის მიხედვით შეარჩევდნენ.

გარდაცვლილი ქმის სურათი ოცდათექვსმეტი წელია ჰკიდია აქ, მაგრამ იგი ვერ დამკვიდრდა ჩემს გონებაში, თავისი ადგილი ვერ დაიჭირა.

სასადილო ოთახში ჩემი სკამი ტრადიციულად ისე დგას, რომ გარდაცვლილი ქმის სურათი ზურგს უკანაა მოქცეული.

ჭირის დღესავით ველი იმ წუთს, როცა სუფრას შემოვუსხდებით. ეზიარ და ვგრძნობ ხოლმე, კეფას როგორ მიხვრიტავს მისი ულმობელი, ცივი თვალები.

დუმილი ზარის ხმამ დაარღვია.

მამაჩემი შეკრთა.

მიეხედა, ამ ზართან იყო დაკავშირებული ჩვენი დღევანდელი სადილი.

მინისტრის პირველი მოადგილე გამოცოცხლდა.

რეზოსაც ცნობისმოყვარეობით აეესო სახე.

მამაჩემმა ოსტატურად დამალა მღელვარება. თითქოს არც კი ელოდა ამ ზარს. კარისკენ არ წასულა.

„ალბათ შინამოსამსახურე ქალი გაიღებს კარს“, — გავიფიქრე მე.

ზარი განმეორდა.

არ მოეტყუებულვარ. სასადილო ოთახში შინამოსამსახურე ქალი შემოვიდა და კარის გასაღებად გაემართა.

მხოლოდ მაშინ წამოდგა მამა, წამოდგა დინჯად, ერთის შეხედვით, აუღელვებლად და შინამოსამსახურე ქალს ანიშნა, მე გავიდებო. მალე იგი ოთახში ქერა, ცისფერთვალება, მაღალ ვაჟს შემოუძღვა, თვრამეტი ან ოცი წლისა იქნებოდა.

შეეხედე თუ არა, გულმა რეჩხი მიყო. არც თმის, არც თვალების ფერით იგი ქმებს არ გვგავდა, მაგრამ რამდენი საერთო ჰქონდა ჩვენთან, განსაკუთრებით რეზოსთან.

ახლა რეზოს შევავლე თვალი, მერე მზერა ისევ უცნობ ჭაბუკზე გადავიტანე.

ტანის მოყვანილობა, ტუჩები, ცხვირი, შუბლი, ყურებიც კი რეზოსი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაჩემმა დაიჭირა ჩემი მზერა და ხმადაბლა თქვა:

— შენ მიხედი, ნოდარ, ეს ყმაწვილი თქვენი ძმაა.

დუმილი.

ამ სიტყვებს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, ალბათ ჩემი ძმებიც შეხედვისთანავე მიხვდნენ, ვინ იყო ეს ქერა, ცისფერთვალება ჭაბუკი.

— მას გიორგი ჰქვია. დედამისმა ჩემს საპატივცემლოდ დაარქვა ეს სახელი.

ჭაბუკი დგას და ყველას რიგრიგობით გვაკვირდება.

ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ.

ახალგაზრდა გიორგი გელოვანს, ჩემს დღემდე უცნობ ძმას თუ ნახევარძმას, „ვრანგლერის“ ფირმის ჯინსი და წითელი პერანგი აცვია. წელზე ფართო ქამარი აქვს შემორტყმული.

სიგარეტს მოვუკიდე. მწარედ ვამეღიმა. შევამჩნიე, რომ სამივე ძმას სიგარეტი გვიჭირავს ხელში, სამივემ ერთი და იგივე ნიუანსით გამოვხატეთ მოულოდნელი ამბით გამოწვეული შინაგანი რეაქცია.

ყელზე ძეწკვით რაღაც ავგაროზი ჰკიდია. ავგაროზი არ ჩანს, პერანგშია ჩამალული, მხოლოდ ძეწკვი მოჩანს, მსხვილი ვერცხლისფერი ძეწკვი.

— გოგი, გაიცანი, შენი ძმები: ვახტანგი, ნოდარი და რეზო.

ჭაბუკი ადგილიდან არ დაძრულა, ისე დაგვიკრა ყველას თავი, მერე ცისფერი თვალები მომავალ მინისტრს შეანათა. შევატყვე, სარითოდ ნაზ, ცისფერ თვალებში რისხვა ჩასდგომოდა.

დიდი ინტუიცია არ იყო საჭირო მიხვდარიყო — მის გამოჩენას უფროსი ძმა ყველაზე მტრულად შეხვდა.

— კი, მაგრამ, ახლა გვაცნობ ძმას?

რეზოს ხმაში წყენა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე გოცება.

მამაჩემი ამ დროს მინისტრის პირველ მოადგილეს მისჩერებოდა, აღელვებული მოხუციც მიხვდა, როგორ ...ეღრუბლა უფროს შვილს სახე.

— ალბათ იყო მიზეზები, რის გამოც ეს ამბავი ვერ გაგიმხილეთ, ახლა ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. არ მითქვამს გუშინ? გეუბნებით დღეს!

მამაჩემმა ეს სიტყვები ისე წარმოსთქვა, უფროსი შვილისთვის თვალი არ მოუშორებია. მერე სანახევროდ შემობრუნდა და ჭაბუკს სავარძელი შესთავაზა.

— გმადლობთ, — თქვა გოგიმ და დაჯდა. თან ისევ ვახტანგ გელოვანს ვახედა.

მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურგი შეგვაქცია და ფანჯარასთან მივიდა. ცდილობს უდარდელი იერი მიიღოს და ამით გამოხატოს თავისი პოზიცია.

— მაინც რა მიზეზი იყო ასეთი? მე მყავს მეოთხე ძმა და ამას უნდა ვიგებდე დღეს? ვინ იცის, რამდენჯერ შევხვედრივართ ქუჩაში, შევხვედრივართ და ისე ჩაგვივლია, სალამიც კი არ გვითქვამს ერთმანეთისათვის.

— შენ იურისტი ბრძანდები და ყველაზე უკეთ უნდა იცოდე უაზრო ლაპარაკის ფასი. ახლა შენს გულისწყრომას აზრი აღარა აქვს. აქამდე არ იცნობდით? ვთქვათ, არ ვიყავი მართალი. აგერ, დღეს გეუბნებით, რომ ეს ჭაბუკი თქვენი ძმაა. მინდა, რომ იქმოთ და შეიყვაროთ, ვალდებულია ხართ...

— გვარი თუ აქვს ჩვენი? — ჰკითხა ისევ რეზომ.

მამაჩემმა ერთბაშად არ უპასუხა. სავარძელთან მივიდა, ჩაჯდა და საზურგეს მიეყრდნო.

რეზო ჯიქურ უცქერდა, პასუხს ელოდა.

— არა, იგი დედამისმა თავის გვარ-

---

ფეხრა ფანჯიკიძე
აკადემიკოს მზია ფელიფანიძე

ზე დაიწერა. ახლა, როცა დედათქვენი ცოცხალი აღარ არის, ხოლო ამ სამი თვის წინ გიორგის დედაც გარდაიცვალა, გადავწყვიტე, ყველაფერი თქვენთვის გამეშმხილა და შვილისთვის ნაძდვილი გვარი მიმეცა („შვილისთვის“ — რა უხერხულად წარმოსთქვა ეს სიტყვა).

— ვფიქრობ, ეგ არ იქნება სწორი!— თქვა უცებ მინისტრის პირველმა მოადგილემ. თქვა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ. ჩვენსკენ არც შემობრუნებულა. იგი ისევ ფანჯარაში იცქირებოდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, ეს სიტყვები რა რეაქციასაც მოახდენდა.

გოგის შეუხედე, მის თვალებში ახლა რისხვის მაგიერ ზიზღი იდგა.

— რატომ?

მამაჩემის ხმას ბზარი შეეპარა.

მინისტრის პირველმა მოადგილემ შემობრუნება ინება, ჯერ „კენტის“ კოლოფს დასწვდა, წელან რომ მიაგდო მამაჩემის საწერ მაგიდაზე, სიგარეტი დინჯად ამოიღო, კვესით ეფექტურად მოუკიდა და ბოლი ღრმად შეისუნთქა.

— იმიტომ, რა მიზეზითაც ადრე არ მიეცი შენი გვარი.

— იმ მიზეზებს დღეს ვერა ვხედავ.

— ცდები, მამაჩემო! — მინისტრის პირველი მოადგილე მიხვდა, ახლა ენერგიული მოქმედება იყო საჭირო, ჩემი სავარძლისაკენ გამოემართა, ფაროთი სახელურზე მოთავსებული საფერფლე აიღო და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა.

საფერფლე მაგიდაზე არ დაუდგამს, კვლავ ხელში უჭირავს. ალბათ ფიქრობს, ასე უფრო მტკიცე და აუღელვებელი გამომეტყველება მაქვსო.

— დიახ, სასტიკად ცდები! ჩვენ ისეთი ბავშვები არა ვართ, იოლი იყოს ჩვენი მოტყუება. მარტო დედაჩემის ხათრით შენ ამას არ იზამდი. მაშინ ისე როდი ქვეხნდა გაკაფული გზა, როგორც დღესა გაქვს. ოცი წლის წინ გააფთრებული იბრძოდი კეთილისათვის. მართალია, ერთადერთი ღირსეული კანდიდატი იყავი, მაგრამ მოწინააღმდეგეც ბევრი გყავდა. კარგად იცოდი, ამ თვალსაზრისით, როგორ გამოიყენებდნენ კონკურენტები. რაკი მეცნიერებაში ვერ გაჯიბებდნენ, ამორალობას დაგწამებდნენ!

— ვახტანგ! — იყვირა მამაჩემმა.

— მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს, მამაჩემო, არ იფერმერო, გამტყუნებდე. პირიქით, მივესალმები მაშინდელ შენს საქციელს. გრძნობებს რომ დაეთრგუნე, ადარ გექნებოდა ცხოვრება ისე აწყობილი, როგორც დღესა გაქვს. ეს კი ჩვენს კარიერაზეც მოახდენდა გარკვეულ ზეგავლენას.

— მხოლოდ შენს კარიერაზე. ზუსტად თქვი სათქმელი! — კბილებიდან გასცრა რეზომ, — მე მხოლოდ ახლა გამიშვეს მივარდნილ რაიონში პროკურორად. ნოდარი კი ფიზიკოსია და საერთოდ მიუფურთხებია კარიერისთვის!

— თუნდაც აგრე იყოს, იმოქმედებდა ჩემს კარიერაზე, — მინისტრის პირველმა მოადგილემ ბოლო სიტყვები განსაკუთრებულად ხაზგასმით და დამცინავად წარმოსთქვა, სხლიმეზეს გამომეშვავებული თავდაჯერა საშუალებას აძლევდა, ყველაზე კრიტიკულ წუთშიც არ აღელვებულიყო. პირიქით მისი უსიცოცხლო, ცივი და გამომწვევი ლაპარაკი სხვებზე მოქმედებდა საშინლად და წონასწორობას აკარკვინებდა.

— დიახ, ასე იყოს, იმოქმედებდა ჩემს კარიერაზე. — სიგარეტი საფერფლეზე დინჯად მოსრისა. მერე საფერფლე ფანჯრის რაფაზე დადგა, — სულ დამავიწყდა, შენ ხომ უკვე ორჯერ გახდი ძძულებული, მიგეტოვებინა სამსახური ყოველ-ოდ უაზრო პრინციპების გამო.

— ჰო, მართლა, მინდა წარმოგიდგინოთ თქვენი უფროსი ძმა. ვახტანგ გელოვანი, მინისტრის პირველი მოადგილე და მალე, ალბათ, მინისტრიც. თუ დროზე მიაბარა უფალს სული განუკურნებელი სენით ლოგინად ჩავარდნილმა მინისტრმა! ზიზღნარევი დაცინვით წარმოსთქვა რეზომ, უნდოდა გაეშვარებინა უფროსი ძმა.

მინისტრის პირველ მოადგილეს ნირიც არ შეუცვლია. მაგ მსეკან, ლოყაწითელა და ენერგიული. მაგრამ კმაყოფილებით სავსე სახეზე მხოლოდ დამცინავი ღიმილი გამოკრთა ერთი წამით. კამათში გამობრძმედილმა რეზო პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა და გაწყვეტილი სიტყვა გააგრძელა.

— თუ მაინც გამეღვიძებინა ეგ ამბავი, შენს ბედზეც იმოქმედებს, მამაჩემო! ხომ არ გავიწყდება, სამოცდაათს უახლოვდები. კათედრაზე ბევრი გყავს ჩასაფრებული და მოუთმენლად ელიან, როდის გადაგიბრუნდება ფეხი ან როდის გიმტყუნებს ორგანიზმი. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მადლობა უფალს, ჯანმრთელი კაცი ხარ, მაგრამ სამარცხვინო არ იქნება ამორალობაში დაგდონ ბრალი ასეთ ასაკოვან პროფესორს? ვინდა, აცინო და ახითხითო შენი მტრები?! იქნება იმედი გაქვს კოლეგების დიდსულოვნებისა?!

— ვახტანგ! — იყვირა გაფითრებულმა მამაჩემმა.

რამდენი სასოწარკვეთა იყო ამ ხმაში.

— ასალეკვებელი არაფერია, მე ჩემი აზრი ვთქვი, თუ ჭაუში არ გიჯდება, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგრამ კიდევ გაფრთხილებთ, ეს ამბავი მთელ თბილისს მისცემს საქილიკო და საკრრაო მასალას. საქმესაც გავვიფუჭებს ყოველ ჩვენგანს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ახალგაზრდა პროკურორსაც კი, გონებაში ოცნების კოშკებს რომ აგებს და სამყაროში უსამართლობის აღმოფხვრა რომ დაუსახავს მიზნად. ყველაზე მეტად კი მე და შენ გვავნებს, მამაჩემო, შენს თავზე თუ არ ფიქრობ, შვილის ბედზე ხომ უნდა იფიქრო. ამ ახალგაზრდას, რომელიც თურმე ჩემი ძმა ყოფილა, ცხრამეტი თუ ოცი წლის მანძილზე (ეტყობა, ყველამ ერთნაირად განვსაზღვრეთ მისი ასაკი) იცნობდნენ თავისი გვარით. აქვს ახლა აზრი გვარის შეცვლას? აქვს აზრი მივიწყებული ჭორების ამოტივტივებას? ყველა მდინარეს თავისი კალაპოტი აქვს, ღირს შეუცვალოთ ეს კალაპოტი, ღირს ალმა ავაპრუნოთ დაღმა მიმავალი მდინარე?

— შენ გარეწარი ხარ!

— არა მგონია, ასეთი ზიზღით სავსე ხმა როდესმე ამოსულიყოდა რეზოს პირიდან.

მინისტრის პირველი მოადგილე არც ამ სიტყვებზე გაფითრებულა. მის კმაყოფილ სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებულა.

— შენ რატომ არ იღებ ხმას? — მომვაჯია რეზო მე.

— მეე?...

შეკითხვას არ ველოდი, დავიბენი. არ ვიცი, რა უნდა ვთქვა...

— ნუ ღელავთ, ბატონო გიორგი, ნურც თქვენ, ბატონო მინისტრის პირველო მოადგილე (ღმერთო, სად მომისმენია ეს ხმა?), ვთხოვთ, ერთი წუთით დამიგდოთ ყური და ყველას გაგაგებინებდეთ ჩემი შვილობით და ძმობით გამოწვეული უსიამოვნებისაგან. აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ ჩემი ძმობა ვთხოვოთ, მით უმეტეს — გვარი. სასაცილოდაც კი მიმაჩნია გვარზე ლაპარაკი. მე, უბრალოდ, გამიკვირდა, დედაჩემის გასაენებაზე რომ გამოჩნდა ბატონი პროფესორი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბიძაჩემს თურმე სამსი მანეთიც კი დაუტოვა მიცვალებულის დასაკრძალავი ხარჯებისათვის. ოცი წელია მას არ გახსენებია, რომ შვილი ჰყავს (ლაპარაკობს აფდელვებლად და მხოლოდ მინისტრის პირველ მოადგილეს მისჩერებია). ოცი წლის მანძილზე აზრადაც არ მოსვლია, შვილისთვის გვარი მიეცა. პირიქით, როდესაც მე გავჩენილვარ, დედაჩემისთვის უთქვამს, დარწმუნებული ხარ, რომ ბავშვი ჩემიაო? (მამაჩემი გაფითრდა, საფეიქლეზე ძარღვები დაებერა, მგონი, რაღაცის თქმას აპირებს). ნუ შეერთვიმი, ბატონო პროფესორო, არა მგონია, ის სა-

ჯუმბა ფანეზიშვილი
აკაკიანი მზის ფენიფაადი

შინელი სიტყვები დაგვიწყნოდეთ, თქვენზე უზომოდ შეყვარებულ ქალს რომ თოფივით ესროლეთ. სავსებით დარწმუნებული კი ბრძანდებოდით დედაჩემის ერთგულებაში და კარგადაც იცოდით, რომ თქვენი შვილი ვიყავი, მაგრამ მაშინ ბევრი რამის შეგეშინდათ, რაც თქვენმა უფროსმა შვილმა უკვე მოგახსენათ. პირველად საკუთარი მამა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ ვნახე. თქვენ კარგად გამოიცანთ ჩემი ასაკი (მაინც სად გამიგონია ეს სმა?). დედაჩემის გარდაცვალებიდან სამი თვის თავზე შინაც მიმიწვიეთ. თქვენი წეღანდელი ლაპარაკიდან დავიწყენდი, საკმაოდ კეთილშობილური ზრახვებიც გქონიათ. ვერ გამიგია, რამ გამოიწვია, თქვენს არსებაში რამ აღძრა ეს სასიამოვნო ძვრები?! ვითომ სინდისის ქენჯნამ? არა მგონია, რადგან ამისათვის ოცი გრძელი წელიწადი გედოთ წინ. ამ ოცი წლის მანძილზე თქვენს გულში არც შერხეულა მსგავსი გრძნობები. მაშ რამ? იქნებ იმან, რომ თურმე სამოცდაათ წელს უახლოვდებით, ხოლო მოსალოდნელი აღსასრულის მოახლოებამ ღმერთი გაგახსენათ? ღმერთის გახსენებას კი შიში მოსდევს ხოლმე, შიში საკუთარი ცოდვებისა. იქნებ ახლა ცდილობთ, ცოდვები გამოისყიდოთ? კარგად ჩაიხედეთ გულში და იქ იპოვთ ნამდვილ მიზეზს თქვენი დღევანდელი მამობრივი ზრუნვისა. არც თქვენი მამობა მაინტერესებს და არც თქვენი მზრუნველობა მჭირდება. თუ თქვენი მოწვევა მივიღე და აქ მაინც მოვედი, მხოლოდ იმიტომ, რომ პირადად მოვრთმია თქვენს მიერ შემოწირული სამასი მანეთი, რომლის გამოგზავნასაც ფოსტით ვაპირებდი!

სად გამიგონია ეს ხმა? მანქანაში? მეტროში? იქნებ კინოთეატრში, ფილმის დაწყების ან დამთავრების შემდეგ? სად მინახავს ეს ცისფერთვალება, ქერა ჭაბუკი, თურმე ჩემი ძმა რომ ყოფილა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანაში, მგონი, ჩემს მანქანაში მჯდარა, მაგრამ სად? როდის? ლაბორატორიიდან რომ მოვდიოდი? ზღვაზე რომ მივდიოდი? მარტო იყო თუ ამხანაგებიანად ჩავიჯინე?

ხუთი წუთი მაინც გავიდა მას შემდეგ, გოგამ რომ კარი გაიხურა. არც ერთი არ გავნძრეულვართ. მამაჩემი ისევ სავარძელში იყო გადაწოლილი, ოღონდ თვალები გაშტერებოდა. საფეთქლის ძარღვები კიდევ უფრო დაჭბერვოდა. რეზო ხან მე მიკქერდა დაჟინებით, ხან მამაჩემს. მხოლოდ მინისტრის პირველ მოადგილეს შეეცვალა ოდნავ პოზა, ჭერს მისჩერებოდა და სიგარეტს დინჯად ეწეოდა. ისეთი მშვიდი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. თვალში ისევ მხვდება მისი გაქათქათებული პერანგის მანჟეტები და ბრილანტისთვლიანი საკინძე.

— რეზო!

ძალზე მისუსტებული მეჩვენა მამაჩემის ხმა.

— რა იყო, მამა!

— წყალი მომიტანე, შვილო, გული მაქვს ცუდად.

— მე თქვენ არ გახსოვართ? — ვეკითხები და მიკვირს, ძმას რომ თქვენობით ველაპარაკები.

პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში პატარა სკვერში ვსხდებოდით, მრგვალ მერხზე.

— არა.

— არსად არ გინახივართ?

— არსად.

მპასუხობს მოკლედ, ცივად. თან გამ-ველელ-გამომველელს აკვირდება.

ნუთუ ვცდები? არ შეიძლება ვცდებოდე მტკიცედ მჯერა, სადღაც მინახავს ეს თვალები, ეს სახე. ხმაც როგორი ნაცნობი მეჩვენება.

— როგორ მომაგენით? — მეკითხება სხვათაშორის, თან სიგარეტს ქაჩავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დღეს თბილისში კაცის მიგნება არ წარმოადგენს დიდ ფილოსოფიას.

— რატომ მომნახეთ?

— განა ეს საკითხავია?

— ჩვენს ძმობას არა აქვს აზრი.

— რატომ?

— მე ძმობისა მაშინაც არა მწამს, როცა ისინი ერთად იზრდებიან. მით უმეტეს ახლა, ოცი წლის შემდეგ... მე თქვენ ამხანაგადაც კი არ გამომადგებით. უბრალოდ, საერთოს ვერ გამოვნახავთ. მე არა ვარ კომფეტიკაბელური, ახლა ეს სიტყვა მოდაშია, ადამიანებთან მიჯერს დაახლოება.

— სწავლობთ?

— ჰო, დაესწრებელზე, რადიოტექნიკურზე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

— მუშაობთ? — ნერვები მეშლება, ისევ თქვენნაირი რომ ველაპარაკები.

— ვმუშაობ რადიოსტუდიაში, ფირზე ჩამწერი ოპერატორი გახლავართ. ეს არის ჩემი პირველი და უკანასკნელი ხელობა.

— რატომ უკანასკნელი? — ვეკითხები დაინტერესებული.

— მომწონს ოპერატორობა. სტუდიაში ყველაზე პატარა კაცი ვარ, სამაგიეროდ, აბსოლუტურად თავისუფალი ჩემზე კარგი სპეციალისტი მათ არა ჰყავთ. ამიტომ მიფრთხილდებიან. სამუშაოს ყოველთვის დროზე და ხარისხიანად ვასრულებ, წესრიგს არ ვარღვევ. მეშინია, ვინმემ არ მისაყვედუროს, ხმამაღლა არაფერი მითხრას. მე თავისუფალი პიროვნება ვარ და ხმამაღლა ნათქვამ სიტყვას არავის ვაპატიებ. ჯერ უბრალო თათბირსაც კი არ დავსწრებივარ. არც მაიძულებენ, დაესწარიო. სამსახურში თითქმის არ ვიღებ ხმას. რასაც მეტყვიან, ვაკეთებ. ეს არის და ეს. ამ ქვეყანაზე ჩემს თავს გარდა უფროსი არ გამარნია. ეკონომიურადაც არა მიშავს რა. კერძო შეკვეთებს ვიღებ, მაგნიტოფონის ფირებზე მუსიკას ვწერ. კარგად მიხდიან. თუ კაცი არ მომეწონა, მის შეკვეთას არ მივიღებ, ხარბი და ღორი არასოდეს ვყოფილვარ. იმდენ ფულს ვაკეთებ, ნორმალურად რომ ვიცხოვრო.

— ცოლი გყავთ?

— არა. თქვენ?

— არც მე. ჰო, გოგი, როდემდე უნდა ვილაპარაკოთ თქვენობით? გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ძმები ვართ.

გოგის გაელიმა. უცებ როგორი კეთილი გაუხდა სახე!

— ცოლის მოყვანა სისულელეა.

— რატომ?

— ცოლსაც მოიყვან და თავისუფლებასაც დაკარგავ. ცოლის მოყვანა თავისთავად გულისხმობს შვილის ან შვილების ყოლას. შვილებს კი მოვლა უნდა, ბნის გაკაფვა. ოჯახის კეთილდღეობა გაიძულებს რაღაცას მიადწიო, თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიურად უღრმაგრად იდგე ფეხზე, აქედან იწყება ყველა უბედურება. მეტი რა ბედი გაქვს, ვიდაცას უნდა ელაქუცო, კრეტინ უფროსს გენიოსი უნდა უძახო. ხშირად საყვედური და დამცირებაც უნდა აიტანო. თავმოყვარეობა ნერვების დაგლეჯვის ფასად უნდა ჩაჯო, რომ შვილი ან შვილები არ დაგეჩაგროს. ასე ცხოვრება და სიცოცხლე არც მსურს და არც შემიძლია. მე მომწონს ჩემი ცხოვრების სტილი. ნაცნობები ძალზე ცოტა მყავს. მეგობრობა არ მწამს და არც მეგობარი გამაჩნია.

— სამსახურის შემდეგ რას აკეთებ?

— შინ მივდივარ და მუსიკას ვუსმენ. ამასობაში რომელიმე ქალიშვილიც მომაკითხავს...

— ნაცნობი ქალიშვილები ბევრი გყავს?

გოგი მიხვდა, როგორ ქალიშვილებზეც ვეკითხებოდი.

— საკმაოდ.

გაეცინა.

— რატომ გაგეცინა?

— ისე... სიგარეტი გაქვს?

— მაქვს. მაინც რატომ გაგეცინა?

— ეს სამი კვირაა ჩემთან ერთი ქა-

ბუბა ფანჯიკიძე
აბრეშუმი მზის წელიწადი

ლიშვილი დადის, ახლა გამახსენდა, რომ მისი არც სახელი ვიცი, არც გვარი. უბრალოდ, არ მიკითხავს, ეტყობა, იმის საჭიროება არ ყოფილა, ერთმანეთის ვინაობით დავინტერესებულიყავით.

— როგორ გიიცანი?

— ძმაკაცთან ვნახე პირველად.

— აკი ძმაკაცი არა მყავსო?

— ძმაკაცი როგორ არა მყავს. მე გითხარი, მეგობარი არა მყავს მეთქი. ძმაკაცი რა არის? ახლო ნაცნობი და მეტი არაფერი.

— მერე?

— მერე ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. კონიაკს ვსვამდით. შევატყვე, ჩემს ძმაკაცს თავის გოგოსთან მარტო უნდოდა დარჩენა, მის მეგობარს ხელი დავავლე და ჩემთან წამოვიყვანე. სულ ეს იყო.

— ვგრძნობ, ტვინი როგორ მინათდება. თითქოს რკინიგზის სადგურში საცნობარო ავტომატის ღილაკზე სასურველი ქალაქისათვის დამეჭიროს ხელი. ვხედავ, რა სწრაფად ბრუნავენ ჩემს წინ წარწერიანი ფირფიტები, სანამ ის ქალაქი არ გამოჩნდა, მე რომ მაინტერესებს.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა თუ მეტი არა. კიკეთის გადასახვევთან ვიდაც სათვალიანმა ბიჭმა ამიწია ხელი. ფიქრში წასულმა მანქანა მექანიკურად გავაჩერე. ბიჭისთვის არც შემიხედავს, უბრალოდ, ველოდი, როდის ჩაჯდებოდა. მან წინა კარი გააღო, ცალი ფეხი მანქანაში შემოჰყო და დაუსტვინა. სიბნელეს სამი ბიჭი კიდევ გამოეყო. ისინი უფრო ტანსრულები ჩანდნენ.

— კოჯორში ჩაგვიყვან? — მკითხა როყიო ხმით ერთმა.

შევატყვე, ყველანი ნასვამები იყვნენ.

პასუხს არც დაელოდა, კარი ისე მოჯახუნა.

სანამ კარი ღია იყო, მანქანაში სინათლე ენთო და მოვასწარი სარკეში თვალი შემევლო ამ ხმის პატრონისათვის. სარკიდან ბორიტმა თვალებმა შემომანათეს. ამასობაში კარმაც გაიჯახუნა და მანქანის სალონში სინათლე ჩაქრა. თანელისში დაბრუნებას, ბუნებრივია, მოკლე გზით, წყნეთიდან ვაპირებდი. რაღას ვიზამდი, კოჯრისკენ გადავუხვევ.

მანქანაში სიჩუმე ჩამოწვა.

ამ სიჩუმისთვის პირველად ყურადღება არ მიმიქცევია, ფიქრებში ვიყავი წასული. მერე თითქოს გამოვერკვევ, საეკვოდ მომეჩვენა მათი დუმილი. ღილაკს ხელი დავაჭირე და სალონი გაანათე.

— რა იყო, ბიჭებო, ხომ არ დაგეძინათ? — მივიხედე უკან. მაშინ დავინახე ეს ცისფერი თვალები. მანქანაში მეორე შემოსულა და შუაში მოკალათებულა. ჩემს უკან გამხდარი, უშნოდ აწოწილი ბიჭი იჯდა, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა, გამონაყარში საზიზღრად მოუჩანდა ახლადწამოსული მეჩხერი ღიღნი. მსაც ისეთივე ბოროტი თვალები ჰქონდა, როგორც როყიო ხმის პატრონს, მანქანაში ბოლოს რომ შემოვდა.

— ჩაჯერ რა, თვალებში გვაჭყიტავს! — უხეშად მითხრა მან.

თავი შევიკავე, არაფერი მითქვამს, ღილაკს თითი დავაჭირე და სინათლე გამოვრთე.

ბნელ ხვეს ვუახლოვდებოდით.

მერე ჩემს თავს დიდხანს ვერ ვაპატიე, რომ შემშინდა. ამ საოცარმა, რაღაცის მოლოდინით აღსავსე დუმილმა შემძრა. გული შემეკუმშა. ეკლებზე ვიჯექი, ველოდი, რომ ან ახლა ვიგრძნობდი კისერში ცივი დანის წვერს, ან ახლა.

უცებ უკნიდან მანქანის ხმა მომესმა. ჩვენს შორის მანძილი ოცდაათ მეტრამდე იქნებოდა. სიჩქარეს ოდნავ დავუკელი, მალე უკანიდან ფარებმაც მოგვანათა. „ვოლგა“ იყო. მალე წამომეწია. ჩვენს შორის მანძილი თხუთმეტ მეტრამდე შევამცირე. მერე სიჩქარეს ისე ვარეგულირებდი, „ვოლგას“ გადასწრების საშუალებას არ ვაძლევდი. კოჯრამდე მთელი გზა მისი ფარების შუქში ვიყავი გახვეული.

კოჯორში მანქანა მალიჩისთან გავა-

ჩერე. მაღაზიის პირდაპირ, ხის ძირში, გრძელ სკამზე ახალგაზრდები ისხდნენ და მღეროდნენ.

— აბა კარგად იყავით, ბიჭებო.

ისე გადავიდნენ, მაღლობაც არ უთქვამთ. მარტო ცისფერთვალებამ შემოხედა მანქანაში.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბოდიშს გიხდით, რომ გზა გაგიმრუდეთ!

ეს გოგის ხმა იყო, ის ხმა, ოთხი წლის შემდეგ რომ აღდგა ჩემს მეხსიერებაში.

„წარმოუდგენელია! — გაფითრდა გოგი, — ნუთუ ეს თქვენ იყავით? წარმოუდგენელია!“

„ისევ თქვენობითზე გადახვედით?“ — ვამბობ ღიმილითვე, თუმცა გოგის გაფითრებულმა სახემ ძალზე შემაშფოთა.

„წარმოუდგენელია! — თქვა ისევ და სიგარეტს დასწვდა. — მაშ ეს თქვენ იყავით? საოცარია!“

„საოცარი და წარმოუდგენელი არაფერია! — ვაცილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო. — ჩემს მანქანაში მილიონი კაცი მჯდარა, რა გასაკვირია, ერთხელ შენც შეგხვედროდი“.

გოგი ყურადღებით მაკვირდება. თითქოს ცდილობს ჩემს თვალებში რაღაც ამოიკითხოს, მე ცეცხლს ვაწვდი, მერე სიგარეტს თვითონაც ვუკიდებ. როცა რამეს აკეთებ, მაშინ უფრო იოლად იმორჩილებ ნერვებს.

სიგარეტი გავაბოლე და სკამის საზურგეს უდარდელად გადავწექი.

შორიდან ვიღაც ნაცნობი მომესალმა და ჩემსკენ გამოემართა.

ვინ არის, ვერ ვიხსენებ. მაინც ღიმილით ვეგებები.

— ნოდარს გაუმარჯოს, ჩემს ნოდარს. სად ხარ, როგორ ხარ.

— რა მიშავს, ვარ ჩვეულებრივად! — მაინც არ მაგონდება, ვინ არის. შეკითხვებზე ავტომატურად ვპასუხობ. ვერც კი ვაცნობიერებ, რას მეკითხება ან მე რას ვპასუხობ. თვალი გოგისკენ გამირბის. სახეზე სიფითრემ გაუარა, მაგრამ ახლა დაკონებული და ჩაფიქრებული წერტილს. ვგრძნობ, თავის თავს ეკითხებ ვის, რაღაც აწუხებს, რაღაც აღელვებს.

უცებ მაგონდება მანქანაში გამეფებული დუმილი, რაღაც საშინელების მოლოდინით გაყეფნილი სირუმე და ტანში უსიამოდ მაკრიალებს.

— აბა კარგად იყავი, ჩემო ნოდარ! — თითქოს შორიდან ჩაგესმის ამ ნაცნობის თუ უცნობის ხმა.

— კარგად იყავი! — ვეუბნები პასუხად. ვინ არის, მაინც ვერ ვიხსენებ. ისევ გოგისთან მივდივარ და გრძელ მერხზე ვჯდები.

„ნუთუ ეს შენ იყავი?!“ — მეუბნება ისევ გოგი.

არაფრის მოყოლა აღარ იყო საჭირო, მისმა თვალებმა, მისმა გამოხედვამ ყველაფერი მიამბო.

„ზუსტად ხევთან ჯაბა (ჩემს უკან რომ იჯდა) საძილე არტერიასთან დანას დამადებდა. დანის წვერით ისე მომაწვებოდა, რომ მეგრძნო ფოლადის ფხა და მიბრძანებდა მანქანა გამეჩერებინა. ეოვა კი (როყიო ხმიანი) რევოლვერს ამისვამდა სახეზე. „თუ გინდა, ცოცხალი დარჩე, ხმა არ ამოიღო, ისე გადმოდი მანქანიდან!“ — მეტყოდა გაბზარული ხმით. ეს ზუსტად ხევის პირზე მოხდებოდა, ყველაზე ბნელ მოსახვევში. შემდეგ ხევის პირას მიმიყვანდნენ და მოულოდნელად უკანიდან რკინის კეტს ჩამიშვებდნენ თავში. თუ გავძალიანდებოდი, მესროდნენ. თუ ყველაფერი შშვიდად მოგვარდებოდა, კეტს კიდევ ორჯერ მაინც ჩამარტყამდნენ. როცა დარწმუნდებოდნენ, ამ ქვეყნისა აღარ ვიყავი, ხევში გადამიძახებდნენ. საუნე ეოვა მიუჯდებოდა“.

„არ გეგონოს თავს ვიმართლებდე. მე და ის საოცალიანი ბიჭი ძალით წამოგვიყვანეს, შეგვაშინეს. მას მერე ჯაბას და ეოვას აღარ გავკარებივარ“.

---

ᲔᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ
ᲙᲐᲪᲘᲣᲜᲘ ᲛᲬᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲬᲐᲓᲘ

„ახლა სად არიან?“

„ვოვ ხის, ჯაბა მოკვდა, დოზა მოუვიდა ბეტი, თერმომეტსართულიანის ლიფტში იპოვეს მკვდარი“.

„დოზა მოუვიდა მეტი“.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ამ ოთხი წლის წინ შეგხვდი.

— შეიძლება, მაგრამ არ მაგონდები. ოთხი წლის მანძილზე იმდენს შეხვდები, ნაცნობსაც და უცნობსაც, ყველას რას დაიმახსოვრებ.

— ჩვენ ბეთანიაში შევხვდით ერთმანეთს. კიკეთის გადასახვევთან. სათვალიანმა ბიჭმა ხელი ამიწია, ღამის თორმეტი საათი მაინც იყო თუ მეტი არა. მანქანა გავაჩერე — თქვენ მხოლოდ მაშინ დაგინახეთ, სათვალიანმა ბიჭმა რომ მანქანის წინა კარი გამოაღო და დაგიძახათ. სამნი იყავით. იმ სათვალიანი ბიჭიანად — ოთხნი. შენ უკან იჯექი, შუაში. კოჯორში წაყვანა მთხოვეთ.

— კიკეთის გადასახვევთან ამ ოთხი წლის წინ? — დაფიქრდა გოგი.

სახეზე ყურადღებით ვაკვირდები და ვცდილობ გამოვიცნო, ტყუის თუ გულწრფელად ლაპარაკობს.

— არ მაგონდება. იქით იშვიათად თუ ვყოფილვარ. ბეთანიის რესტორანში არასდროს ავსულვართ. მე და ჩემი ძმაკაცები არა ვართ მოქეიფე ხალხი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. „ივერიის“ და „თბილისის“ კაფეი ჩვენი თავშესაყარი. უფრო ხშირად კი სახლებში ვიკრიბებით. მუსიკა, კონიაკი, შამპანური და ქალიშვილები. რას იზამთ, ასეთია ახლანდელი ახალგაზრდობა. დედმამიშვილებისა და ცხრა ძმა ხერხულიძის სადღეგრძელო არაა ჩვენი საქმე! — დაამთავრა ღიმილით და თვალებში შემომხედა.

ნუთუ ვცდები?

— არც მე ვარ ჩამოსაწერი მოხუცი, მაგ საქმისა მეც გამეგება ცოტა რამ!— ვღიმები და თან თვალს ვუსწორებ.

— თქვენ ოცდათხუთმეტი წლისა ხართ, არა?

ვგიგმ გაუძლო ჩემს დაკინებულ მზერას.

— ჰა და ჰა!

— თხუთმეტი წელი დიდი განსხვავებაა, ჩვენ ვერ გავიგებთ ერთმანეთს. ახლა ისე სწრაფად იცვლება მოვლენები, ყოველ ხუთ წელიწადში სრულიად ახალი ფსიქოლოგიის ხალხი მოდის. მე, ოცი წლის ბიჭი, უკვე სულ სხვა ფსიქოლოგიისა და შეხედულებებისა ვარ თხუთმეტი წლის ბავშვებისათვის.

— არც ძალად ეგრეა საქმე! — ვიღიმები მე.

„ნუთუ ვცდები, ნუთუ მოვტყუვდი?“ — ვფიქრობ და თან ისევ თვალებში ჩავყურებ დაკინებით. გოგი არ გაურბის ჩემს მზერას. ორი ცისფერი, კეთილი თვალი გულუბრყვილოდ მომჩერებია.

ისევ ამუშავდა რკინიგზის საღგურის საცნობარო ავტომატი. გონებაში ღილაკს ისევ დავაჭირე ხელი, მოგონებები წარწერიანი ფირფიტებივით ჩამორბიან და იკეცებიან. ბოლოს ავტომატი სასურველ წერტილზე ჩერდება. „კოჯორში ჩაგვიყვან?“ — ისევ ჩამესმის ყურში როყიო ხმა. მანქანის უკანა საკარძლიდან ისევ შემომანათა ორმა ბოროტმა თვალმა, მერე კარმაც გაიჯახუნა და სალონში სინათლე ჩაქრა.

მერე გადის დრო.

დუმილი. საოცარი დუმილი.

ფიქრში წასული ამ დუმილს ყურადღებას არ ვაქცევ. მერე, თითქოს რაღაცას მიეხვდიო, გულში შიშს ჭია შემიძვრა. „როდის იყო, ნასვამი ხალხი მანქანაში ასე ჩუმად რომ იჯდა? ალბათ გამოუცდელები არიან და ღელავენ. იქნებ ეს მათი პირველი ოპერაციაც იყოს“. ღილაკს თითს ვაჭერ და სალონში სინათლეს ვანთებ. „რა იყო, ბიჭებო, ხომ არ დაგეძინათ?“ — ვამბობ განგებ რიხიანად და უკან ვიხედები. ვიხედები ახლა, ოთხი წლის შემდეგ და კადრსაც ვიჩერებ. ამას კინემატოგრაფში „სტოპ-კადრი“ ჰქვია. „კადრს“ დინჯად, სა-

ფუძვლიანად ვაკვირდები შუაში ცისფერთვალება ბიჭი ხის. ახლა, ოთხი წლის შემდეგ ვამჩნევ მის თვალებში ჩადგარ ქიშს.

ეს გოგის თვალებია. საეჭვო აღარაფერია.

„დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბოდიშს გიხდით, რომ გზა გაგიმრუდეთ". — თქვა ცისფერთვალებამ კოჯორში, მანქანიდან გადასვლის შემდეგ. ჩემს მოპირდაპირე ფანჯარაში შემოიხედა და ისე მითხრა ეს სიტყვები.

ახლა მაგნიტოფონზე ჩაწერილივით ვაბრუნებ ამ ფრაზას: „დიდ მადლობას მოგახსენებთ..." „დიდ მადლობას მოგახსენებთ..." „დიდ მადლობას გახსენებთ, ბოდიშს გიხდით, რომ გზა გაგიმრუდეთ", — საეჭვო არაფერია, ნამდვილად გოგის ხმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ალბათ მე ვცდები, — ღიმილი ნაძალადევი გამომდის, — ოთხი წლის ამბავს დღეს რას გიხსენებ!

— ისევ იქა ხარ? — მეკითხება გაოცებული.

— რასაკვირველია, ვცდები. უბრალოდ, ვიღაცას მიგამსგავსე.

## თავი მესამე

ორთავეები დაბალ ტახტზე ვწევართო, ჩემს ოთახში. ზემოდან მოჩითული ზეწარი გვაქვს გადაფარებული. უფრო ზუსტად, ზეწარი მკერდამდე მე მიფარავს სხეულს. ეკა კედლისკენ წევს თავდაღმა. თავი ჩემს მკლავზე აქვს დადებული და სძინავს. ქვეშ თეთრი, ქოქათა ზეწარი გვიგია. თეთრ ფონზე ლამაზად იკვეთება ეკას მკერვი, ზღვიზე გარეკილი სხეული. მარცხენა ხელი ჩემს მკერდზე უდევს. მკლავს ზეწარი ფარავს, მხოლოდ ხელის მტევანს ვხედავ. შუა თითზე ალექსანდრიტისთვლიანი ბეჭედი უბრწყინავს. მე გულადმა ვწევარ და ჭერს შევცქერი. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მაინც ვხედავ ეკას ნატიფ თითებს. ალბათ იმდენად ვგრძნობ, იმდენად აღვიქვამ, რომ აშკარად ვხედავ, თუმცა ისევ ჭერს შევჩერებიგარ და განძრევა მეზარება. ბეჭედი დამასკონში ვუყიდე. რომ ჩამოვფრინდი, აეროპორტშივე გაეუკეთე თითზე, განა შეიძლება აღწერო ეკას მაშინდელი სიხარული?! თვალზე ცრემლი მოადგა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. მთელი სხეული მადლიერებით და სიყვარულით ჰქონდა სავსე.

ტახტს უკან გრძელი, დაბალი კარადა დგას. ჩემი იაპონური მაგნიტოფონი კარადაზე ისევ მოთავსებული, რომ ლოგინიდან სულ ფილად ვწვდები ხელით.

ოთახში მუსიკის ხმა ისე წყნარად ისმის, თითქოს შორიდან ნიავს მოაქვსო. გვერდით, ტაბლაზე, შამპანურის ბოთლი და ორი ჭიქა დგას. ბოთლი სავსეა, ჭიქებიც კი არ შეგვივსია. არც შოკოლადის გახსნილი კოლოფისთვის გვიხლია ხელი. პატარა, ლამაზი ფაიფურის ჯამით მოტანილი ყინული უკვე გამდნარა. გრძელი, ეკრამიკული საფერფლე სიგარეტის ნამწვავებითაა სავსე. კოლოფში მხოლოდ სამი თუ ოთხი ცალი სიგარეტია მოჩანს.

ეკა მშვიდად სუნთქავს, მხოლოდ ოდნავ იწევა მაღლა მისი ლამაზი, თხელი მხრები. დიდი ხანია შეჩვეული ვარ მისი სუნთქვის რიტმს. სულ უმნიშვნელო ცვლილებაც არ გამომეპარება.

სიგარეტი მოშინდა.

მარჯვენა ხელს ტაბლაზე ვაფათურებ. ჰოზას არ ვიცვლი. ისევ გულადმა გწევარ, მეშინია, ჩემმა განძრევამ ეკა არ გამოაღვიძოს. სიგარეტის კოლოფს ოდესდ ვპოულობ. ახლა ასანთს ვეძებ.

— შებრუნდი, მე არ მძინავს. — მესმის ეკას ხმა.

ვერ ვხვდები. საერთოდ არ ვძინავ თუ ჩემმა თითქმის შეუმჩნეველმა მოძრაობამ გამოაღვიძა? ეკას თავქვეშ ამოდებულ მარცხენა ხელს ვინთავისუფლებ

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიკოსი მზის ფლეროვანდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტაბლისკენ სანახევროდ შებრუნებული ასანთს ვიღებ.

ლოგინზე წამოვჯექი. საფერფლე ახლოს მოვიდგი.

ჩემს ოთახს ამ ტახტისა და გრძელი კარადის გარდა საწერი მაგიდა, წიგნით სავსე თაროები და ტანსაცმლის კარადა ამშვენებს. ეს არის ჩემი ერთოთახიანი ბინის მთელი მორთულობა.

— ცოტა შამპანური დამისხი, — ამბობს ეკა.

შამპანურს ჭიქაში ვასხამ.

— ყინული სულ გამდნარა. ახლავე მოვიტან.

— მე თვითონ მოვიტან.

ეკა წამოდგა, ფეხი ჩემს „ბოტასებში" გაუყარა, ჯამს დასწვდა და სამზარეულოსკენ გაემართა. რა ლამაზად წაიღო მზეზე გარუჯული, ბრინჯაოსფერი უნაკლო სხეული, ერთ დროს რომ ასე მაღელვებდა და თავგზას მიბნევდა. ეკა ახლა ოცდაშვიდი წლისაა. კაცმა რომ თქვას, ოცდაშვიდი წელიც რა არის, მაგრამ მისი სხეული ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილის სხეულივით მკვრივია და შეკრული. მისი პრიალა თეთრი კანი, ახლა რომ ბრინჯაოსფრად ელავს, მისი ღია ცისფერი ძარღვები, ჯანსაღ, დაჭიმულ გრძელ ბარძაყებს რომ განუმეორებელ ქალურ სინაზეს ანიჭებს, ერთ დროს ჭკუას მაკარგვინებდა, ენით აუწერელ ნეტარებას მანიჭებდა.

ახლა?

რა მოხდა ახლა?

უნებურად ის ღამე მახსენდება, ეკამ რომ პირველად გაიხადა ჩემთან კაბა. ნომერში მხოლოდ მაგიდის ნათური ენთო. შებრუნებული იდგა, მხოლოდ კედელს ანათებდა: ეკამ ისიც გამოთიშა. ერთბაშად სიბნელე ჩამოწვა, ვეღარაფერს ვხედავდი. მერე ფანჯრიდან შემომავალ მცირეოდენ შუქზე ნელ-ნელა გამოიკვეთა ოთახის კონტურები, თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს. არც ისე ბნელოდა, სინათლის ჩაქრობის შემდეგ რომ მომეჩვენა.

ეკა ლოგინთან მოვიდა და ბალიშზე გადაშალა. მაშინ კი მიმტყუნა შეჩვენებამ. გულს ისეთი ბაგადუგი გაჰქონდა, ალბათ კედლებშიც გაიტანდა. ნამდვილად შემეშინდა, კედელს ეჭით, მეორე ოთახში არ გაეგონოთ.

ეკამ კაბა გაიხადა და სკამზე გადაჰკიდა. სიბნელეში მოჩვენებასავით აკიაფდა მისი თეთრი სხეული. ტანში მაშინ დამიარა ელექტრონის პირველმა ნაკადმა. თუმცა მოშორებით იდგა, მაინც დამწვა მისი სხეულის მბურვალებამ. ძარღვებში ისეთი საშინელი სისწრაფით ბრუნავდა ცალი სისხლი, მეშინოდა, გონება არ დამეკარგა.

მერე?

მერე გაშმაგებული ვკოცნიდი ტუჩებში, ყელში, მკერდზე, მთელს სხეულზე.

მერე?

მერე აღარაფერი მახსოვს, ოღონდ ვგრძნობდი, სხეულში ელექტრონის ნაკადი ბრუნავდა ტვინის ქერქიდან ფეხის გულებამდე. ბრუნავდა და საოცარი ნეტარებით მავსებდა.

მერე... ისიც ვიგრძენი, ლითონივით როგორ გალღვა ჩვენი სხეულები და ერთმანეთს როგორ შეეფრიეთ...

როცა გონს მოვეგე, მაშინლა შევამჩნიე: ეკას სხეული ისე უცაბაცახებდა, მონადირის უხეშ მუჭებში მოქცეული დაჭრილი მწყერი რომ ცაბაცახებს ხოლმე.

ეკა ტიროდა.

თვალები დავუკოცნე, მინდოდა ცრემლი კოცნით ამომეშრო.

ეკა მაინც ტიროდა, ხმადაბლა, უხმოდ ტიროდა.

— ნანობ, რაც მოხდა? — ვკითხე გულმოკლულმა.

— პირიქით, ნოდარ, პირიქით, ბედნიერებისგან ვტირი. მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ. თუნდაც ამ ერთი დღისთვის ღირდა ჩემი სიცოცხლე.

ახლა, ახლა სად გაქრა ის ნეტარებით აღსავსე მღელვარება, ეკას მოლოდინში რომ მეუფლებოდა? სად გაქრა ის დრო, ეკას მოლოდინში, ფანჯარაში ცქერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებმოღრეცილი, ოთახში რომ ნერვიულად დავაბიჯებდი და თან საათის ისრებს გაცოფებული დავჩერებოდი?! რა ნელა მძიმეობდნენ მაშინ საათის ისრები, რა ნელა გადიოდა დრო! ეკა არასდროს არ აგვიანებდა ერთ წუთსაც კი, მაგრამ მოლოდინის ნერვიულობა მთელი ორი საათით ადრე მიპყრობდა ხოლმე. როცა მისი გამოჩენის დრო დადგებოდა, მოთმინება უკანასკნელ მისხლამდე მქონდა ამოწურული, ხოლო უკიდურესად დაჭიმული ნერვების დაწყვეტას აღარაფერი უკლდა.

მერე, როცა ჩემსკენ მომავალს ქუჩაში თვალს მოვკრავდი, გული მიჩერდებოდა და ვგრძნობდი, მკერდში როგორ მიწყდებოდა კიდევ ერთი ძარღვი. როგორ მინდა, კიდევ ერთხელ მაინც დამეუფლოს ის სანეტარო გრძნობა, ეკას სადარბაზო შესასვლელში გაუჩინარებისთანავე რომ მეუფლებოდა ხოლმე. ენებისგან ატაცებული კარს უკან ვიდექი და სუნთქვაშეკრული ველოდებოდი, მეოთხე სართულამდე კიბეს როდის ამოათავებდა. მისი ფეხის ხმით, პირველი სართულიდანვე რომ მესმოდა, შემძლო ზუსტად განმესაზღვრა, რომელი სართულის რომელ საფეხურზე მოაბიჯებდა.

სად გაქრა ის სულსწრაფვა, კარის შემოღებისთანავე რომ მიპყრობდა? კარი ხელრიანადაც კი არ იყო ხოლმე მიხურული, რომ უკვე კისერზე მეკიდა. მოთმინება აღარ მყოფნიდა, ერთი ხელით კარს ვკტავდი, მეორეთი მისი კაბის ღილებს ვეძებდი.

ასე გაგრძელდა ჩვენი ექვსწლიანი ნაცნობობის თითქმის ოთხ წელიწადს.

მერე?

ალბათ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მოხდა ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად, სრულიად შეუმჩნევლად.

კარგა ხანს ვერ ვიგრძენი, როგორ მოაკლდა ჩემს ვნებას ცეცხლი, თანდათანობით როგორ დადინჯდა და როგორი მდორე გახდა სიყვარული.

ხოლო ერთხელ, ამ ექვსი თვის წინ, როცა ეკას ლოგინში ვკოცნიდი და თან სერპუხოვის ამჩქარებელზე ვფიქრობდი, მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრებულიყო.

ეკამ კარი შემოაღო. ხელში ყინულის კუბიკებით სავსე ჯამი ეჭირა. ჯამი მაგიდაზე დადო და ერთი ცალი კუბიკი თავის ჭიქაში ჩაადო.

— დაგისხა?

უარის ნიშნად თავს ვიქნევ. სიგარეტს ვეწევი და ბოლს ჭერისკენ ვუშვებ.

ეკა აღარ დაწოლილა, ჭიქა ხელში აიღო და ტახტზე ჩამოჯდა. ახლა მას ახლოდან ვხედავ. შშვენიერი წაბლისფერი თმა მხრებამდე სწვდება.

— მე შენ აღარ გიყვარვარ, ნოდარ!

შეკვრთი.

ჩემი დაჭიმული ნერვების ჟღარუნი გავიგონე. ვიგრძენი, ეკამ რა მოულოდნელად ჩამოუსვა მათ ხელი.

ვიცოდი, ადრე თუ გვიან ეს საუბარი გარდაუვალი იყო. შინაგანად სადღაც ვემზადებოდი კიდეც ამ უსიამოვნო წუთებისათვის.

აბა რატომ მეცა ელდასავით ეკას სიტყვები? ახლა არ ველოდი და იმითომ.

იქნებ...

იქნებ სჯობია კიდეც, ახლავე ითქვას სათქმელი, ახლავე გაირკვეს ყველაფერი?

—განა მე როდესმე მითქვამს შენთვის, რომ მიყვარხარ?

ეკა შემობრუნდა, სახეზე დამაკვირდა. ეტყობა, მარტო ინტონაციით ვერ მიხვდა ამ ფრაზის მნიშვნელობას. უნდოდა ჩემს სახეზე წაეკითხა ნათქვამის მთელი შინაარსი.

მე ვერ ვუძლებ მის თვალებში ჩამდგარ რისხვას და ისევ ჭერს ვუშტერებ თვალს.

ეკამ ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— მართალი ხარ, შენ არასდროს არ გიყვარვარ, რომ გიყვარვარ. ამას მე ახლა მივხვდი, თითქმის ექვსი წლის შემდეგ.

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიური მზის ფალიფადი

მანამდე ყურადღება არ მიმიქცევია, შენი ბაგეები ამ სიტყვას წარმოსთქვამენ თუ არა. ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან შენ ნამდვილად გიყვარდი. მართალია, შენი ენა არ ამბობდა ამ სიტყვას, მაგრამ სიყვარულს ლაპარაკი როი უნდა. შენი თვალები მეუბნებოდნენ, რომ გიყვარდი, ჩემი მოლოდინით აკანკალებული შენი სხეული მეუბნებოდა, რომ გიყვარდი, შენი გულის ბაგაბუგი და შენი ათრთოლებული სახე მეუბნებოდა, რომ გიყვარდი! მაშინ არც გამხსენებია ამ სიტყვის არსებობა, რადგან მე მაშინ ნამდვილი, ყველაზე წმინდა და ამაღლებული სიყვარულით ვცხოვრობდი და სულაც არ მიგრძნია ამ გრძნობის სიტყვიერად გამოხატვის აუცილებლობა.

დავიჯერო, ახლა, ამ წუთში ან თუნდაც ამ დღეებში მიხვდა ეკა ჩემი გრძნობის გაცივებას? შეიძლება აღრეც იგრძნო, მაგრამ არ დაიჯერა. თავის თავს არ გამოუტყდა. ამ შვიდი თვის წინ დამასკოდან რომ ბეჭედი ჩამოვუტანე, როგორ გაეხარდა... ეკა ის ქალი არაა, ძვირფასი ბეჭდის ღირებულება რომ მოხიბლავს.

მაშინ ალბათ უკვე გრძნობდა, რომ აღარ მიყვარდა, ამის აშკარად გაფიქრებას ვერ ბედავდა, მაგრამ ეჭვის ჭია უკვე გულს ღრღნიდა. ბეჭედმა იმედები გაუღვივა, რწმენა დაუბრუნა, — ჩვენს სიყვარულს საფრთხე არ ელისო.

— ეკა!

—„ეკა!“ — გაიმეორა ჩემი ინტონაციით ეკამ და მწარედ გაიღიმა,—მე ველოდი ასეთ დასსრულს, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე მალე მოხდებოდა ყველაფერი. ამ დარტყმისათვის ჯერ მზად არა ვარ, მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ, ნოდარ!

თვალზე ცრემლი აუკიაფდა. ცალი ხელით მიეწვდი, ლოგინზე გადმოვაჯინე, გულზე მივიხუტე და თვალები ამოვუკოცნე. თვითონაც მივხვდი, ყველაფერი რა ხელოვნურად გამომდიოდა. ეკას ბაგეზე დამცინავი ღიმილი გამოესახა. შევცქი, დანაშაულზე წასწრებულ-ივით ბავშვივით დავიბენი და უკანასკნელობის გასაფანტავად სიგარეტს დავუწყე ძებნა.

— რა ვქნა, ეკა, განა როდესმე დაგპირდი რამეს? განა შემეძლო სულელური ფიცი დამედო, ჩვენი სიყვარული სიკვდილამდე ისეთივე იქნება, როგორიც პირველ დღეს ირის-მეთქი. ეტყობა, ყველაფერი იცვლება, სხვივე აკლდება, ცვდება, მაგრამ იქნებ სხვა თვისებას იძენს? განა მე შენ არ მიყვარდი? განა ახლა არ მიყვარხარ? ალბათ ისეთი ჟინი და ლტოლვა აღარა მაქვს, უწინ რომ მქონდა, მაგრამ შენი გულისთვის განა ახლაც არ გავაკეთებ ყველაფერს, განა სიცოცხლესაც არ შემოგწირავ, თუ საჭირო იქნება? ეტყობა, სიყვარულსაც გაუღის ყაელი, ეკა, ისეთ სიყვარულს, პირველ წლებში რომ ბობოქრობს ხოლმე, განა რომელიმე ჭკუათმყოფელ ადამიანს მოუვა აზრად პირობა დადოს, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩება? მე შენ არასდროს არაფერს არ დავპირებივარ, ეკა!

—ასეთი ლაპარაკი არ შეგფერის, ნოდარ, ვეყო, რაც გული მატკინე, შეურაცხყოფას მაინც ნუ მომაყენებ...

ტელეფონის ზარი.

ეკა უმალვე ზეწრით იფარავს შიშველ სხეულს.

აპარატი ჩემს თავთან დგას, იატაკზე.

— გისმენთ... გისმენთ, ბატონო ლევან!

ეკას ვანიშნებ, საათი მომაწოდოს.

— დიახ, დიახ... (ზეწარშემოხვეული ეკა სწრაფად მაწვდის საათს). ახლა ათის ნახევარია, ორმოც წუთში თქვენთან ვიქნები.

ყურმილი დავდე და ეკას შევხედე.

— რა მოხდა?

— ჩაიცვი, აკადემიკოსი მიბარებს.

პატარა ბიჭივით წამოვხტი და ჩაცმა დავიწყე. მიხაროდა, — სათქმელი უკვე ითქვა, აკადემიკოსის ტელეფონის ზარმა გადამარჩინა ზედმეტ ცრემლსა და ახსნა-განმარტებას. ახლა, როცა ჩვენ ურთიერთობა თითქმის საცხებით გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვა, უზარმაზარი ტვირთი მომეხსნა და შვებით ამოვისუნთქე.

მანქანა სადარბაზო შესასვლელის წინ მივაყენე.

— მალე ჩამოვალ, — ვუთხარი ეკას, თუმცა ჩემი სიტყვების სიმართლეში მაინცდამაინც არ ვიყავი დარწმუნებული.

მესამე სართულზე თითქმის სირბილით ავედი და ზარს თითი დავაჭირე.

გული გამალებით მიცემდა. ნუთუ მწია ასაკმა? არცოუ დიდი ხნის წინ. ხუთ სართულს ისე ავირბენდი, გული ოდნავადაც არ ამიჩქარდებოდა.

კარი აკადემიკოსის შინამოსამსახურემ გამიღო.

—კაბინეტში გელოდებათ! — მომაძახა, თან კარი დაკეტა.

— გამარჯობათ, — ვთქვი შესვლისთანავე.

— დაბრძანდით, — მითხრა პასუხად.

მაგიდასთან იდგა, რაღაც ჩანაწერებს ახარისხებდა.

სავარძელში ჩავჯექი და კაბინეტი ისე მოვათვალიერე, თითქოს აქ პირველად შემოვსულიყავი. ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა: მაგიდაც, დიდი და ფართო სკამი თუ სავარძელი, აკადემიკოსს საწერ მაგიდასთან რომ ჰქონდა მიდგმული, მარმარილოს ძმიმე საფერფლეც, გვერდით მაკუოული ოქროფალი, შავი ტელეფონიც, სტუმრისთვის გამიზნული ორი სავარძელიც, ამ სავარძლებს შორის პატარა მრგვალი მაგიდა, ყოველთვის წიგნებით რომ იყო გავსებული. კედელზე ერთხელ და სამუდამოდ მიჩენილ ადგილზე ეკიდა საათიც და რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი ინშტაინისა და ნიუტონის პორტრეტები.

მაგიდაზე ფოტოკარტოთეკაც თავის ადგილზე იდგა. იგი წინა კვირას ლაბორატორიაში გადაღებული პი-მეზონების ფირებით იყო გაჟეფილი. ამ სამი დღის წინ ჩვენმა ლაბორანტმა ჩამოუტანა. იქვე თიხის მძიმე თასი იდგა, ჩვეულებისამებრ კალმისტრებით და წვრილ ბუსუსებით სავსე. წიგნებით გამოტენილი კარადებიც ზუსტად ისევე გამოიყურებოდა, როგორც მრავალი წლის მანძილზე.

მე მაინც ვგრძნობდი რაღაც უჩვეულო სიახლეს, აშკარად ვგრძნობდი და კაბინეტს ისევ დაკინებით ვათვალიერებდი. ყოველ ნივთსა და მისთვის წლების მანძილზე მიკუთვნილ ადგილსამყოფელს ვამოწმებდი. ყველაფერი ძველებურად იყო. რაღაც მაინც მაწუხებდა, ვერ კი გავრკვეულიყავი, რა? კაბინეტში რაღაც მაინც მოქმედებდა ჩემზე უჩვეულოდ. აკადემიკოსი კი ისევ თავისთვის ფუსფუსებდა, ჩანაწერებს ახარისხებდა.

თვით აკადემიკოსიც კი ისე გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის, საშინაო ტანსაცმელშიც ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევდი.

— ლაბორატორიაში რა მდგომარეობაა? — მკითხა მან.

თავი არ აუღია, ისევ რაღაც ქაღალდებს ჩასჩერებოდა, კითხულობდა, ზოგს ცალკე ალაგებდა, ზოგს ხევდა და საქაღალდეში ჰყრიდა.

არაფერი მიპასუხია. მივხვდი, ზრდილობისთვის მკითხა, ჩემი პასუხი არც ინტერესებდა.

უცებ აკადემიკოსმა ერთ ქაღალდს ჩახედა დაკინებით. სათვალე შეისწორა და სავარძელზე რაც შეიძლებოდა მოხერხებულად მოერგო. ალბათ ძალზე მნიშვნელოვან ჩანაწერს წაეწყდა. ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა. დაძაბული კითხულობდა, ჩემი არსებობა საერთოდ გადაავიწყდა. ღიმილი საშინელი ხდებოდა. ხელი ჯიბისკენ წავიღე, სიგარეტის ამოღება მინდოდა. მომერიდა და უმალვე დადავიფიქრე. ეკას დარღი მაწუხებდა.

გულნატკენი ეკა მანქანაში ზის და მელოდება.

---

გურამ ფანჯიკიძე
აქტიური მზის ფელიფადი

„მაინც რატომ ვერძნობ ასე უჩვეულოდ თავს?“ — ხელახლა ამეკითხა წელანდელი განწყობილება და აკადემიკოსს ყურადღებით შევხედე.

ლევან გზირიშვილნ მაღალი, ხმელი და ლამაზი კაცი იყო. სამოც წელზე მეტს ვერ მისცემდით. თუმცა უკვე საოცდამეშვიდე წელს ამთავრებდა. საფეთქლები შესთეთრებოდა. საკმაოდ შეთხელებული თმა, ფართო, ჭკვიანი თვალები და შავი, ოთხკუთხაჩარჩოიანი სათვალე ძალზე ინტელიქტუალურ იერს აძლევდა. მარჯვენა ხელის არათითზე გიშრისთვლიანი ბსხვილი ბეჭედი ეკეთა. მისი მიხრა-მოხრა, თანდაყოლილი თუ ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული მანერები იმთავითვე მიგანიშნებდათ, რომ ინტელიგენტობა სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ლაპარაკის სასიამოვნო ტონი, ყველაზე და მომხიბვლელი ღიმილი ლევან გზირიშვილის ტრადიციულ ინტელიგენტურ ოჯახისშვილობაზე მეტყველებდა.

რაოდენ განსხვავდებოდა იგი იმ მეცნიერებისაგან, ინტელიგენტური მანერების დაუფლება და საზოგადოებაში თავის დაჭერის ჩვევების გამომუშავება ძალიან ბევრ რომ გაახსენეს, უფრო სწრაფად, მას შემდეგ დაიწყეს, სამეცნიერო ტიტულები რომ განაადღეს.

აკადემიკოსი გაუნძრეველად იჯდა და ისევ ძველ, სიყვითლეშეპარულ ფურცელს დასჩერებოდა. მერე უცებ ყუთში რაღაცას დაეწყო ძებნა, მუყაოზე დაკრული ფოტოსურათი ამოიღო და სინანულით დახედა.

უცებ საათმა ჩამორეკა. ზარის ხმამ შემაკრთო. თერთმეტის ნახევარი იყო. ჩემს საათს დავხედე, ერთი წუთით ჩამორჩებოდა.

უკვე ნახევარი საათი გაპარულიყო, რაც აქ ვიჯექი.

ისევ მანქანაში მიტოვებული ეკა გამახსენდა და გული უსაამოდ შემეკუმშა. ვატყობდი, სულ ცოტა, კიდევ ერთი საათი მაინც მომიწევდა აქ ჯდომა.

— რამდენი წლისა ხარ? — მკითხა უცებ აკადემიკოსმა.

— ოცდათოთხმეტის. — ჩივუგე ვარ ვირვებულმა, მან ჩემი კი არა, უფროსი ლაბორანტების ასაკიც მშვენივრად იცოდა.

— ცოლი რატომ არ მოგყავს?

ფოტოსურათი მაგიდაზე დადო, სათვალე მოიხსნა და შემოხედა. როგორი მოხუცი მეჩვენა ახლა იგი. ალბათ იმიტომ, სათვალე რომ მოიხსნა. მისი თვალები ბოლომდე ჩამოღვენთილ, მბჟუტავ სანთელს ჰგავდა. გონებას ძალას ვატან და ვფიქრობ, ადრე მინახავს თუ არა იგი უსათვალოდ. იქნებ მინახავს კიდეც, მაგრამ არ დაკვირვებივარ, ასე პირდაპირ არ ჩამახედავს მისთვის თვალებში. ახლა ენერგიით სავსე ფიზიკოსი კი არა, მოტეხილი, დაღლილი მოხუცი შემომჩერებოდა.

ალბათ საკმარისი იქნებოდა სათვალე გაეკეთებინა, კვლავ ენერგიული, თითქმის ახალგაზრდული იერი დაუბრუნდებოდა. მაგრამ... ეჭვი შემეპარა, რომ მის მოტეხილ, ბოლოლილ გამომეტყველებას სათვალე უშველდა რამეს.

ერთი თვეა არ მინახავს, ნუთუ ამ ერთ თვეში მოტყდა ასე?! იქნებ რაიმე უსიამოვნო შემთხვევამ დააბერა და გაწყვიტა წელში?!

— ცოლი რატომ არ მოგყავს-მეთქი? — გაიმეორა შეკითხვა აკადემიკოსმა.

— არ ვიცი, — დავიბენი მე.

— არავინ გიყვარს?

არაფერი ვუპასუხე, დუმილი ვარჩიე, ან რა უნდა მეთქვა? მთელი ჩვენი ათწლიანი ურთიერთობის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა აკადემიკოსი უტაქტო შეკითხვას იძლეოდა.

აკადემიკოსმა სათვალე ისევ გაიკეთა და ფოტოსურათი კვლავ ხელში აიღო.

ჩემი ეჭვი გამართლდა, სათვალემ ველარ გამოცვალა მისი მოღლილი სახე, ველარ დაუბრუნა ძველებური ენერგიული იერი. ფოტოს კარგა ხანს დაჰყურებდა, მერე გაიღიმა და მე გამომიწოდა. ჩემი სავარძელი მოშორებით იდგა, სწრაფად წამოვდექი და მაგიდასთან მივედი.

— აბა დახედე, მოგწონს?

ფოტოსურათი გამოვართვი და ყურადღებით დავხედე.

— შენ რას მოგეწონება, ეგ ქალბატონი არ ემორჩილება სილამაზის დღევანდელი მოდის კანონებს.

ფოტოსურათიდან ახალგაზრდა ქალის კეკლიანი სახე შემომჩერებოდა. მისი თმის ვარცხნილობა და ჩაცმულობა ისე გამოიყურებოდა, დედაჩემის ახალგაზრდობის დროინდელი სურათებიდან რომ მახსოვდა.

— იქნებ შეცდომა დავუშვი?! იქნებ საყვარელ ადამიანთან გატარებული ერთი წელიც კი გადასწონიდა მთელ ჩემს ცხოვრებას?!

აკადემიკოსის სიტყვებმა გამაოცა. ლევან გზირიშვილს თვალი ჯიქურ გაეუსწორე, მინდოდა მისი გამოიტყველებიდან მივმხვდარიყავი, — რა მოხდა ამ ერთ თვეში.

ოთახში შინამოსამსახურე ქალი შემოვიდა.

— ყველაფერი გაიტანე და შინ წადი! — ხელით მიანიშნა დახეული ქაღალდებით სავსე საქაღალდეზე.

ფოტოსურათი მაგიდაზე დავდე და ისევ სავარძელში ჩავჯექი. აკადემიკოსს აღარ დაუხედავს, ფოტოსურათი თითქოს დაავიწყდა კიდეც. აღარც ჩემი პასუხით დაინტერესებული, მომეწონა თუ არა ფოტოზე გამოსახული ქალი. ფიქრმა გაიტაცა და თვალი ერთ წერტილს გაუშტერა. მანამ დუმდა, სანამ შინამოსამსახურე ქალმა იქაურობა არ მიალაგა.

— ახლა წადი, ზეგამდე თავისუფალი ხარ! — არც შეუხედავს, ისე უთხრა.

ქალმა თავი მორჩილად დაუკრა და კარი გაიხურა.

— ცხრაწყაროზე როგორ მიდის ლაბორატორიის მშენებლობა? — შეატრიალა საუბრის თემა აკადემიკოსმა.

— უკვე შემუშავდა ათტონიან ნაწილებად დასაშლელი ათასტონიანი მაგნიტის პროექტი. ლენინგრადმა ამჯერად უარი აღარ გვითხრა მაგნიტის დამზადებაზე.

— სჯობია, გეგმაზომიერად იმუშაოთ. მამუკა თორაძემ სამართავი სვეტების შექმნას უხელმძღვანელოს, შენ ვილსონის კამერებს მიხედე.

აკადემიკოსი შეჯერდა, თვალი კვლავ ფიქრმა მოსტაცა.

— ვილსონის კამერები რაც შეიძლება მძლავრ მაგნიტურ არეში უნდა მოვაქციოთ. სხვანაირად მაღალი ენერგიის ნაწილაკების იმპულსს ვერ გავზომავთ.

ლაპარაკობს დინჯად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თითქოს თვის თავს ესაუბრებაო, არც მიქერის, მისმა დაჟინებულმა მზერამ ალბათ იატაკი უკვე გახვრიტა და შორს, შორს, უსასრულობაში იყურება.

— ათასტონიანი მაგნიტი მოგცემთ ზემაღალი ენერგიის მქონე ნაწილაკების იმპულსების გაზომვის საშუალებას. მაგნიტური ველის მოცულობის გაზრდასთან ერთად მაქსიმალურად გაზარდეთ კამერებიც, რითაც მნიშვნელოვნად გაიზრდება კოსმოსურ ნაწილაკთა რაოდენობა. ჰმ! ჩვენ სულ სხვანაირად დავიწყეთ მუშაობა, უბრალო ხელსაწყოებიც კი არ გვქონდა...

აკადემიკოსი წამოდგა, ხელები უკან შემოიდო, ფანჯარასთან მივიდა და დაბლა გადაიხედა. ერთხანს ასე იყო. ვიგრძენი, არაფერს არ უყურებდა, იგი ახლა მოგონებებში იყო ჩაფლული. მერე ხმადაბლა ჩაიცინა, თავი გააქნია, შემობრუნდა, საწერი მაგიდისაკენ გაეშურა, სავარძელში ძმიმედ ჩაეშვა, რამდენწერმე შეინძრა, მოხერხებულად ჩაჯდა და დაფიქრდა.

ოთახში ისევ გამეფდა საშინელი სიჩუმე.

უცებ საათმა დარეკა.

ვიცოდი, თერთმეტი შესრულდა. საათს მაინც შევხედე.

ხარის თერთმეტმა ჩამორეკვამ აკადემიკოსს ფიქრი ვერ გაანწყვეტინა.

გაოცებული მივჩერებოდი ლევან გზირიშვილის ღრმად დაფიქრებულ სახეს.

გურამ ფანჯიკიძე
აპტიური მზის ფელიფადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომეტყველების ცვალებადობაზე ვატყობდი, ძალზე სწრაფად, თითქოს ელვისებურად აზროვნებდა. შუბლზე ხან გაუჭრიბოდა ნაოჭები და თვალში სიხარულის სხივი აუკიაფდებოდა, ხან ნაოჭები კიდევ უფრო მოსჭარბდებოდა და ტუჩები ნერვიულად უკანკალებდა. მოულოდნელად ცივი ოფლი დაასხამდა. უცებ ბაგეზე ღიმილი გადაეკვრებოდა, ბაგეები სისწრაფეში ფიქრებს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. აკადემიკოსს ტუჩებზე წეღანდელი ღიმილი ისევ ჰქონდა შერჩენილი, თვალებში კი რისხვა ჩასდგომოდა.

ნეტავ რას ფიქრობს?

ვცდილობ ავყვე მისი აზროვნების რიტმს.

თითქოს ვხედავ, შუბლს უკან რა საშინელი სისწრაფით ბრუნავს ბორბალი.

თითქოს ვხედავ, როგორ ენაცვლება წელიწადი წელიწადს, დღე დღეს, საათი საათს, წუთი წუთს.

თითქოს მეც ვხედავ ბედნიერებისა და უბედურების, წარმატებისა და წარუმატებლობის, რწმენისა და იმედის გაცრუების, სიხარულისა და ტრაგიკული დღეების რგოლებით შეკრული ძმიერ ჯაჭვს, რომლის სიმძიმესაც საბოლოოდ გაუტეხავს წელში მოხუცი აკადემიკოსი.

დაკინებით შეგყურებ ჩემს ხელმძღვანელს და მასწავლებელს, მაგრამ ვეღარ ვხედავ, ვერც წიგნებით სავსე ქველებურ, უზარმაზარ კარადას ვხედავ. ჩემმა თვალებმა გაარღვია კედელი, გაარღვია სივრცე, გაარღვია დრო... დიახ, გაარღვია დრო, მე უკან მიდივარ, ელვისებურად მივდივარ უკან. თვალში ჩხედება ნაცნობი და მივიწყებული პიროვნები, მივიწყებული მოვლენები, მივიწყებული გარემოებები, მივიწყებული სიხარულიც და იმედის გაცრუებაც.

ბაღში პატარა ბიჭუნა ეს-ესაა სწავლობს სიარულს. შეშინებულს ცალი ხელი დედის თითისთვის სასოებით ჩაუკიდია და შიშნარევი სიხარულით დააბიჯებს. ეს მისი პირველი ნაბიჯია და პირველი გამარჯვებაა. ბავშვმა უკვე ოცი-ოცდაათ ნაბიჯი გამარჯვების ბემი. დედა შეშფოთებულია, ბავშვი გაიოფლა და არ გაცივდესო. ბიჭუნა ჯიუტობს, არ ცხრება, ისევ უნდა სიარული. ბედნიერი მამა მერხზე ზის, შვილს მისჩერებია და ცოლს ანიშნებს, ნუ გეშინია, არაფერი მოუვა, იაროსო. მამის თანხმობით აღფოთოვანებული ლამაზი ბავშვი უფრო მტკიცედ დგამს პირველ ნაბიჯებს.

ლაბორატორიაში მაღალი, ხმელი, სიმპათიური სათვალიანი ახალგაზრდა გაოცებული დასჩერებია ელექტროსკოპს.

„იქნებ მომეჩვენა? იქნებ ელექტროსკოპი დამუხტული არ დამიტოვებია?“

ლაბორანტი დაბნეული ლაპარაკობს, ბოლოს მაინც მტკიცედ ამბობს, ელექტროსკოპი დამუხტული იყოო.

ახალგაზრდა ფიზიკოსი მხრებს იჩეჩავს.

ელექტროსკოპს ისევ მუხტავენ და ჯუჯბლის იზოლაციას ამოწმებენ.

მეორე დილით ელექტროსკოპი ისევ განმუხტული დაუხვდა ლაბორატორიის უფროსს — ლითონის თხელი ფირფიტები ძირს იყო დაშვებული.

ლაბორანტი შეშინებული იჩეჩავს მხრებს, თითქოს მისი ბრალია ელექტროსკოპის განმუხტვა.

ლაბორატორიის უფროსი ღრმად ჩაფიქრდა. იზოლირებული ჯოხის ბოლოზე მიმაგრებული ლითონის ორი ფირფიტა დამუხტვისას ერთმანეთისგან განიზიდებიან და ამ მდგომარეობაში რჩებიან მანამ, სანამ მათ რაღაც არ განმუხტავთ. იზოლირებულ გარემოში ფირფიტები ბოლომდე ინარჩუნებენ განზიდვის უნარს.

რამ დაადფიქრა ახალგაზრდა ფიზიკოსი?

რა პრობლემას შესჭიდებია მისი გონება?

ამ უბრალო ხელსაწყოს განმუხტვამ რატომ ააფორიაქა და დაეჭვა?

ელექტროსკოპში რაღაც შეიპარა. ეს რაღაც, ვთქვათ, ნაწილაკი, უზარმაზარი ენერგიის პატრონი უნდა იყოს, სხვანირად იგი ვერ აჯობებდა სამყაროს იზოლაციას.

მაინც რა ენერგიამ გადალახა ამოდენა წინააღმდეგობა? ვინ იცის, იქნებ ზეენერგიული და ყველგან შემღწევი ნაწილაკები ახლაც, ამ წუთშიც სპოლვენ აქაურობას, სათვალიანი ფიზიკოსის ხმელ სხეულს?

ახალგაზრდა ფიზიკოსმა გაიხსენა, რომ ადრე სხვა მეცნიერებმაც შენიშნეს ეს მოვლენა, მაგრამ რატომღაც მივიწყეს, ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს, მისი მნიშვნელობა ვერ შეიგრძნეს.

„მაინც რა ხდება?“ — ეს შეკითხვა ღრღნის ახლა მის გულსა და ტვინს.

ლაბორატორიის უფროსის ბრძანებით ელექტროსკოპს ნეიტრალურგაზებიან ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში ათავსებენ. არც იზოლირებისა და არც ჰერმეტულობის სიმედოობაში ეჭვი არავის ეპარება.

ასისტენტები და ლაბორანტები უხალისოდ, მაგრამ ზუსტად ასრულებენ უფროსის ბრძანებას. მათ არ ესმით ამ ცდის მიზანი, მათი გონება ვერ სწვდება ამ მოვლენის აზრს.

„ელექტროსკოპი ალბათ ცუდად იყო იზოლირებული, მასში საიდანღაც შეიპარა დამუხტული ნაწილაკი, რომელმაც განმუხტა ელექტროსკოპის დამუხტული ფირფიტები. ეს არის და ეს!“ — ამბობენ ისინი.

„მაგრამ იქნებ ელექტროსკოპი კარგად იყო იზოლირებული?“ — ფიქრობს ახალგაზრდა, სათვალიანი ფიზიკოსი.

გავიდა დრო, ელექტროსკოპი ისევ განიმუხტა. საეჭვო ღოლაფერია. კარგად ხედავენ ლაბორატორიის უფროსი და მისი მეცნიერ-თანამშრომლებიც, ფირფიტები ძირსაა დაშვებული.

„რაღაც დიდი ძალა იოლად სძლევს ჰერმეტული ჭურჭლის შეღწევლობას და თავისუფლად სპოლავს მის კედლებს“.

ეს ფაქტი ბეგრს ეუბნება ლაბორატორიის უფროსს. ახალგაზრდა ინჟინერ-რიმენტატორის ინტუიცია რაღაც საიდუმლო მოვლენას გრძნობს.

მოუსვენრობა იბუდებს მის არსებაში.

მეცნიერმუშაკებმა დაიჯერეს, რომ რაღაც ძალამ მარილაც შეაღწია ჰერმეტულ ჭურჭელში და განმუხტა ელექტროსკოპის ფურცლები. მაგრამ ისინი არ არიან მაძიებელი სულის ადამიანები, მათი მეცნიერული შინაგანი სამყარო არ არის პოეტური. ისინი ვეღარ მიდიან უკვე დაკანონებულზე მაღლა. მათ არ გააჩნიათ ფანტაზიის უნარი. მათი გონებრივი შესაძლებლობანი მაინც შემოსახზღვრულია, ამიტომაც მათ დასკვნებს აკლია გამბედაობა და რომანტიზმი.

„აქ გასაოცარი და აურზაურის ასატეხი არაფერია, — ამბობენ ისინი, თავის სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებულნი, თან მათ ინტონაციაში დაცინვის ნიუანსებსაც ადვილად შეიგრძნობს კაცი, — ჰერმეტულ ჭურჭელში ადვილად შეაღწევს რენტგენული და რადიოაქტიური ელემენტების სხივები. ეს კი საკმარისია ნეიტრალური გაზის იონიზაციისათვის“.

„მართალი ბრძანდებით, — ახალგაზრდა ფიზიკოსი გონებაში ეპაექრება თანამშრომლებს, — მაგრამ საიდან მოდიან ეს რენტგენისა თუ რადიოაქტიური ელემენტების სხივები?“

„მაგის ახსნა სულ ადვილია! — რა იოლად წყვეტენ საკითხებს საშუალო გაქანების სწავლულები, — ალბათ არსებობს ჩვენთვის უცნობი ბუნებრივი წყაროები“.

მწარედ ეღიმება ლაბორატორიის უფროსს ამ დასკვნაზე: „იოტისოდენა ეჭვიც კი არ ეპარებათ თავისი მოსაზრებების სიმართლეში!“

მერე, თეორი ღამეები.

მერე, წიგნების ქექვა.

მერე, მივიწყებული, არქივის მტვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწყარილი პრობლემის ისევ სამზეოზე გამოტანა.

ჯერ კიდევ ძალიან ადრე, საუკუნის დასაწყისში შენიშნეს ეს უცნაური მოვლენა. ეგონათ, ზემძლავრი ნაწილაკები მიწის სიღრმიდან მოდიანო. მერე დამტკიცდა, — ისინი ცით მოვლენილი სტუმრები იყვნენ. ღრუბლებს ზემოთ, ხუთი კილომეტრის სიმაღლეზე, ნეიტრალური კამერის იონიზაცია თითქმის ოცდათჯერ უფრო ძლიერად ხდებოდა.

მერე ეს პრობლემა მივიწყეს. ტექნიკისა და მეცნიერების მაშინდელმა ღონემ მისი საჭიროება ვერ დაინახა. ომის შემდგომმა ნახტომებმა ფიზიკაში სულ სხვა პრობლემები დასვა მეცნიერების წინაშე.

„ფაქტი უკვე დადასტურებულია, — სხივები ციდან ჭობრძანდებიან, მაგრამ ციდანაც ხომ შეიძლება გვესტუმრონ რენტგენისა და რადიოაქტიური ელემენტების სხივები?“

ახალგაზრდა სათვალიანი ფიზიკოსი მთელი კვირა არ გამოჩენილა სამსახურში. იგი ხან გულალმა იწვა ლოგინში, ხან გულდაღმა. მისი თვალები ამ დროს არც ჭერს ხედავდა და არც იატაკს. ახალგაზრდა ფიზიკოსის გონება და სული უცნობ და თვალით უხილავ საშეაროში დაბორიალობდა. ცდილობდა რაღაც დაენახა, რაღაც შეემჩნია, რაღაც ეგრძნო.

მაძიებელი მეცნიერი ისაა, ვინც გრძნობს არსებულს, უკვე აღმოჩენილს, დაკანონებულს და... კიდევ ცოტა მეტს.

„სად არის ლაბორატორიის უფროსი?“ — რეკავს ტელეფონი.

„ლაბორატორიის უფროსი ფიქრობს“, — იყო თანამშრომელთა ირონიული პასუხი.

ახალგაზრდა ფიზიკოსი კი ფიქრობდა, მისმა ინტუიციამ მიიღო საიდუმლო იმპულსი. ახლა ამ იმპულსს გამიფვრა სჭირდებოდა.

„ელექტროსკოპის ფირფიტების განმუხტვა შეიძლება მართლაც უცნობი ბუნებრივი წყაროდან მოსული რენტგენისა და რადიოაქტიური სხივების შედეგია, მაგრამ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობენ სხვა ზეძლიერი სხივებიც?“

ფიქრობს ლაბორატორიის უფროსი და თავის გულს ასკდება.

„იქნებ რაღაც მოდის ჩვენამდე, იქნებ ჩვენს სხეულს, ჩვენს მიწას სჭოლავს ფანტასტიკური ენერგიის ნაწილაკები, რომლებსაც სრულიად უცნობი წყაროება გამოსცემენ?“.

მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა ფიზიკოსი გრძნობს, როგორ გაძლიერდა ის იმპულსი, მისმა ინტუიციამ რომ დაიჭირა, გაძლიერდა და მოღონიერდა. ლაბორატორიის უფროსს უკვე სჯერა, რომ არსებობს რაღაც მესამე წყაროც ზეენერგიული გამოსხივებისა. ამ სხივების არსებობა რომ დამტკიცოს, ჯერ პრობლემიდან უნდა გამოთიშოს რენტგენული და რადიოაქტიური გამოსხივება.

ამოოწურავი ეჭვერგითი ივსება ახალგაზრდა ფიზიკოსის სხეული,გაბეღდული და რომანტიკული იდეების ქარიშხალი ბობოქრობს მის სულში.

ბაღში პატარა ბავშვი ჯიუტად სწავლობს სიარულს. დედას უნდა მისი ვაჟი ექიმი გამოვიდეს, მამას — ინჟინერი. ბავშვი კი დაადაჯუნებს და თან სიხარულით ჭყლოპინებს. მამა ისევ ცისფერ მერხზე ზის და იქიდან მისჩერებია დედის თითზე ჩაბღაუჭებულ ბიჭუნას. ვერასდროს ვერ წამოვიდგენდი, ოდესღაც თუ ასეთი ჭაბუკი იყო მამაჩემი.

ლაბორატორიის უფროსს ერთი სული აქვს დღესვე, ამ საათში, ამ წუთში დაიწყოს ექსპერიმენტი. მაგრამ ახალგაზრდა ფიზიკოსს სისხლში აქვს გაბჯდარი არისტოკრატიზმი. ვნებებს უზარმაზარი ენერგიის დახარჯვის ფასად იოკებს. წვერს დინჯად იპარსავს, თითზე გიშრისთვლიან ბეჭედს იკეთებს, სარკის წინ ჩერდება, ჰალსტუხს ისწორებს, ყველი ღილს ცალ-ცალკე ამოწმებს.

იგი ჯერ არავის უნახავს ლაბორატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაში ჩამოჩაჩული და მოშვებული. ჯერ არავის შეუნიშნავს თუნდაც ძალზე მოღლილსა და მოქანცულს სიტყვა-პასუხის დროს მისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლე და სიდინჯე დაეკარგოს. ჯერ არავის აკონდება ერთი შემთხვევაც კი, უძილო ღამეებით დაწყვეტამდე დაჭიმულ ნერვებს მისთვის როდისმე ეღალატოს.

ახლა ექსპერიმენტია საჭირო. ლაბორატორიის უფროსს მოთმინება ეკარგება, სული მისდის, პრობლემიდან როდის გამოთიშავს რენტგენისა და რადიოაქტიური ელემენტების გამოსხივებას. მას მტკიცედ სჯერა მესამე წყაროს არსებობა. ახალგაზრდა ფიზიკოსის შინაგანი მღელვარება მხოლოდ მის გაფითრებულ, ალგზნებულ სახეზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ, იგი ძველებურად დინჯია და თავაზიანი, ყურადღებიანი და ალერსიანი.

მაგრამ მისი თვალები? მისი ნაკვთები? მისი ნერვიული თითები? მისი წამიერი გამოთიშვა?

ყველა გრძნობს, ლაბორატორიის უფროსს რა რკინისებური ნებისყოფის, რა უზარმაზარი შინაგანი ენებათაღლეგის დაოკების ფასად უჯდება ეს თავშეკავება.

მისი რწმენა თანდათანობით და საფუძვლიანად გადადის სხვა ფიზიკოსებზეც, მისი უპირატესობა თანდათან უფრო ხელშესახებად იკვეთება. მის მიერ წინა პლანზე გამოტანილი პრობლემა ძალზე რეალური და მნიშვნელოვანი ხდება.

კამერას, რომელშიც ელექტროსკოპია მოთავსებული, ტყვიის სქელი კედლები შემოავლეს. კედლის სისქე წინასწარ განსაზღვრეს. მას უნდა შთაენთქა ყოველგვარი რენტგენული და რადიოაქტიური გამოსხივება.

უკლებლივ ყველა საოცარმა მღელვარებამ მოიცვა. გამოუსწორებელი სკეპტიკოსებიც კი დაძაბული ელიან, რა მოხდება.

თუ ელექტროსკოპის ფირფიტები არ განიმუხტა, მაშინ საკითხი ნათელია — მისი განმუხტვის მიზეზი უცნობი ბუნებრივი წყაროდან მოსული რენტგენული ან რადიოაქტიური გამოსხივების შედეგი ყოფილა, მაშინ ყველა ვნებათაღლეგა ჩაქრება, ტყუილი განგაში მიწყნარდება და ცოტა სასაცილო მოსაგონარიც გახდება. რენტგენული და რადიოაქტიური გამოსხივება დიდი ხანია ცნობილია, ხოლო გამოსხივების სხვა წყარო მხოლოდ ფუჭი ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდება.

სიმპათიური სათვალიანი ფიზიკოსი გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მომხიბვლელობას არ ჰკარგავს, ძველებურად ყურადღებიანი და თავაზიანია. ოღონდ ხანდახან ითიშება, სულ სხვაგან, უცნობ და უხილავ სამყაროში მიჰყავს ფიქრებს.

— ხომ არ ისაუზმებთ? — უხერხულად იგრიხება ლაბორანტი, რადგან პასუხი ერთხელ უკვე ვერ მიიღო.

— ხომ არ ისაუზმებთ? — მეორდება კითხვა.

— რა ბრძანეთ? — ღიმილით კითხულობს თვალებდანისლული ფიზიკოსი.

ღიმილი მისი სისხლში გამჯდარი თავაზიანობის რეფლექსია. დანისლული თვალები კი მოწმობენ, რომ მისი ტვინის მაქსიმალურად დაძაბული უჯრედები სულ სხვა პრობლემით არიან დაკავებულნი.

— საუზმეს ხომ არ მიირთმევთ?

— საუზმეს? ჰო., მართლა, რომელი საათია?

ახალგაზრდა ფიზიკოსი უკვე მიწაზეა, აქაა, თავის ლაბორატორიაში.

ყველანი ჩუმად საუზმობენ.

რატომღაც ხმამაღლა ლაპარაკს ვერ ბედავენ.

„ვნახოთ და, განიმუხტა ელექტროსკოპის ფირფიტები!“ — ეს ფიქრი ბრუნავს ახლა მათ გონებაში.

მაშინ?

თუკი ელექტროსკოპის ფირფიტები მართლაც განიმუხტა, შესანიშნავად იციან, რაც იქნება მაშინ. ისინი დადგე-

გურამ ფანჯიკიძე
აკაკიური მზის წელიწადი

ბიან სრულიად უცნობი მოვლენის პირისპირ. რასაკვირველია, ჯერ არავის არ ეცოდინება ამ მოვლენის არსი და ბუნება. ჯერ მხოლოდ მისი არსებობა დადასტურდება.

ხოლო როცა მოვლენა რეალურია, უკვე შეიძლება იფიქრო მისი არსის გაშიფვრაზე.

ექსპერიმენტისათვის ათი საათი კმარიდა, ლაბორატორიის უფროსმა დრო ოცდაათ საათამდე გაზარდა.

ოცდაათი საათის მანძილზე ლაბორატორია არავის დაუტოვებია. ისხდნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა. ხელმძღვანელიც და მისი თანამშრომლებიც ახალგაზრდები იყვნენ. მათი ცხოვრება ჩვეულებრივი მეცნიერების ცხოვრება იყო და ჯერ არასდროს შესჯახებოდნენ მნიშვნელოვან პრობლემას.

მხოლოდ ახლა იგრძნეს დიდმნიშვნელოვანი საიდუმლოს წინაშე რომ იდგნენ, მიხვდნენ, მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წუთები დგებოდა. ათას საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, გულს ვერაფერს უდებდნენ, რადგან ყველას თავში ისევ ერთი აზრი ბრუნავდა ბორბალივით — „და თუ მართლა განიმუხტა ელექტროსკოპის ფირფიტები?“.

ლაბორატორიის მოქუშულ დერეფანსა და ოთახებში ფრთხილად, ფეხაკრეფით დადიოდნენ, ჩუმად, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ვერავის აეხსნა, საიდან დაეუფლათ ასეთი განწყობილება.

ბოლო საათამდე კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა. ყველანი საათის ისრებს დასჩერებოდნენ ჯიუტად. დრო თითქოს განერდა, ნერვები დაიჭიმა. საშინელი დუმილი გამეფდა.

მერე ვეღარავინ იგონებს, როგორ გაიარა ბოლო ხუთმა წუთმა, ვეღარავინ აცნობიერებს, რას ფიქრობდნენ, ტყვის კედლების შეხსნის დროს.

ელექტროსკოპის ფირფიტები განმუხტული აღმოჩნდა.

არა, თვალი ნამდვილად არ ატყუებდათ. ლითონის თხელი ფირფიტები ძირს იყო დაშვებული.

მერე ბევრს ცდილობდნენ გაეგებინა, აღედგინათ, რა გაიფიქრეს იმ წამს, შეცდა, რომ ვერ აღადგინეს.

ისიც კი არ უგრძვნიათ, გულები რომ შეუჩერდათ. მხოლოდ ერთი ახსოვთ, თვალზე სიხარულის ცრემლი რომ სდიოდათ და ერომანეთს რომ ეხვეოდნენ.

— ახლა დავისვენოთ! — მხოლოდ ეს თქვა ლაბორატორიის უფროსმა და წასასვლელად მოემზადა.

ორი დღე შინიდან არ გამოსულა. დიდი მღელვარების შემდეგ ერთბაშად დაუმშვიდდა ნერვები და თვრამეტი საათი გაუნძრეველად ეძინა.

ახალგაზრდა ექსპერიმენტატორისათვის ყველაფერი ცხადი იყო, ეს ზეენერგიული, ყველგან შემაღწეველი სხივები კოსმოსის იდუმალი სიღრმეებიდან მოდიოდა. ჩვენი პლანეტის მასშტაბების მიხედვით მათ უზარმაზარი, თითქმის დაუკვრებელი, ფანტასტიკური ენერგია გააჩნდათ. უცნობმა კოსმოსურმა სხივმა თუ ნაწილაკმა (პირველად ახლა უწოდა ახალგაზრდა ფიზიკოსმა „კოსმოსური“) სრულიად თავისუფლად გაიარა ტყვიის სქელი კედელი და განმუხტა ელექტროსკოპის ფირფიტები.

რა ბუნებისანი არიან ეს კოსმოსური სხივები? მათი ნაწილაკები პირველადი სახით შემოდიან ჩვენს ატმოსფეროში თუ მეორადით? იქნება ისინი სრულიად უცნობი ელემენტები არიან? იქნებ მათი პირველადი სახეა მატერიის საფუძვლები?

ახალგაზრდა ფიზიკოსის ტკინში საშინელი ქარიშხალი ბობოქრობდა.

საათის ზარის ხმა შორიდან მომესმა, მეგონა, თორმეტის ნახევარი იყო. თორმეტი შესრულებულა. არც მე გამიგია თორმეტის ნახევრის ზარი როდის ჩამორეკა.

ოთხმა კედელმა სივრცე ისევ შემოფარგლა.

— ხომ არ გშია? — მკითხა უცებ აკადემიკოსმა.

— გმადლობთ, მოსკლის წინ ვიჭამეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ კონიაკი დავლიოთ.

ლევან გზირიშვილი დინჯად წამოდგა, წიგნის თაროებს შორის მოთავსებულ კარადასთან მივიდა, კონიაკი და ორი პატარა ჭიქა გამოიღო.

— გახსენი! — თქვა წყნარად და ისევ საკარმიდეში მოკალთდა.

კონიაკის ბოთლი სწრაფად გავხსენი და ჭიქები შევავსე. მოხუცმა აკადემიკოსმა ჭიქა აიღო და მოწრუპა. მეც მას მივბაძე. როცა ჭიქა მაგიდაზე დადგა, მივხედი, რომ მან მხოლოდ დაყნოსა სასმელი.

— როდისმე გიფიქრია, ვინა ხარ შენ? — მეკითხება აკადემიკოსი.

არ ვიცი, ამ უცნაურ კითხვაზე რა ვუპასუხო და დუმილით თვალებში ვეჩერებივარ.

შევატყვე, პასუხს არც ელოდა, უფრო სწრაფად, მივხედი, ამ კითხვაზე თვითონვე აპირებდა პასუხის გაცემას.

— მილიციისთვის შენა ხარ მოქალაქე ნოდარ გორგის ძე გელოვანი; ნიმფოვის თანამშრომელი, ნიკიერი მეცნიერი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, კარგი და ალღოიანი ექსპერიმენტატორი; მეზობლებისათვის ცოტა ცივი, მაგრამ ზრდილი და კორექტული ახალგაზრდა; ავტობუსის კონდუქტორისათვის მეშავრი; ექიმისათვის პაციენტი, მაგრამ შენ თვითონ იცი, ვინა ხარ? რას წარმოადგენ, რა გინდა, რისკენ ისწრაფვი და რის საფასურად?

გაოცებული შევცქერი ხანშიშესულ აკადემიკოსს. არასდროს მინახავს ასეთი აღგზნებული და აღელვებული. თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა, ჯერ ჭიქა შეავსო, მერე თავისი ჭიქაც აიღო და ტუჩებთან მიიტანა.

— ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ, შენ მოქმედებს, გრძნობებს მიპყვები. ჯერ ჯანი და ენერგია არ გდალატობს, ჯერ მომავლის იმედებითა ხარ აღსავსე და ნამოქმედარს არ აანალიზებ, შედეგებს დარდი არ გაწუხებს. თან სევდიანი, გულჩათხრობილი კაცი ხარ. ტოლებში, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მაინც შენ გაწუხებს შენი პიროვნება, ყველაზე უფრო შენ ცდილობ ჩაიხედო საკუთარ სულსა და არსებაში. თავიდანვე გატყობდი, რაღაც იდუმალი სევდა გიდგენია და ახლაც გიღრღნის გულს. ეს არ იყო ექსპერიმენტატორი ფიზიკოსის გზასაცდენილი ცდებით გაცრუებული იმედების სევდა. შენ ადამიანის სულის საიდუმლო უფრო გაინტერესებს, ვიდრე მძიმე პროტონები და ელეზონები. შეიძლება მე ვცდები, შეიძლება მეჩხვენება... დალიე.

ახლა მე დავყნოსე კონიაკი და სავსე ჭიქა მაგიდაზე დავდგი. უცნაური მოლოდინი დამეუფლა. მივხედი, აკადემიკოსს რაღაც სტანჯავდა, რაღაცის თქმა უნდოდა.

„ვითომ სათქმელს შორიდან უვლის?“.

„აპირებს კი გული ბოლომდე გადამიშალოს?“.

„რატომ მაინცდამაინც მე დამიძახა? ვითომ მე მივაჩნივარ აღსარების მოსმენის ყველაზე შესაფერ პიროვნებად?“

„აღსარების?“ — ამ სიტყვამ შემაშფოთა, თითქოს გულზე მძიმე ლოდი დამეცა.

ახლა მივხედე, წეღან რა მაწუხებდა. აკადემიკოსის კაბინეტში ყველაფერი ძველებურად იყო, ერთ პაწია ნივთსაც კი არ ჰქონდა ადგილი შეცვლილი, მაგრამ რაღაც უხლავი, თვალით შეუმჩნეველი სიახლე სიგნალს იძლეოდა, თავის არსებობას გვამცნობდა.

ახლა, ამ წუთში თუ ამ წამში ერთბაშად მივხედი, რა იყო ეს სიახლე — მოხუცი აკადემიკოსის კაბინეტში სიკვდილი დადიოდა.

კონიაკს მექანიკურად დავწვდი და ბოლომდე დავცალე.

— მე ჩემი ცხოვრება უკვე დავამთავრე. ცუდად დავამთავრე. ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ გავაკეთე.

პაუზა.

მეტი აღარ შემიძლია. ჯიბეში სიგა-

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიკი მზის ენერგეტიკის

რეტს ვაწვალებ. ამოლებას მაინც ვერ ვბედავ.

— მოსწიე! — მიმიხვდა ლევან გზირიშვილი.

სიგარეტს ვუკიდებ. კვამლს ისე გეწაფები, თითქოს თავი წყლიდან ამოგეყოს და დახრჩობის პირას მისული ჰაერს ხარბად ვისუნთქავდე.

— რა არის ცხოვრება, რისთვის წვალობს ადამიანი? იქნებ უკეთესი იყო, საოცნებო ქალის ტრფობაში გამეტარებინა ჩემი სიცოცხლე? მაგრამ მე ჭეშმარიტების ჩაწვდომისაკენ ვისწრაფვოდი. არ დაგენანება ორმოცდათი წლის დაუღალავი შრომა — ოჯახი რომ ვერ შეჰქმენი, საკუთარი თავისთვის რომ ვერ მოიცალე — თუკი ამ ჯოჯოხეთურ, ტკივილებით აღსავსე ბრძოლის დაგვირგვინებს გამარჯვების წამი, არნახულის დანახვის, ჩაუწვდომლის ჩაწვდომის, ამოუხსნელის ამოხსნის წამი! ღმერთს, ეტყობა, ასეთი წამები ძალიან ცოტა აქვს და იგი რჩეულთათვისაა გადანახული. ამაო ყოფილა ჩემი მეცნიერული მოღვაწეობა, ამაოდ დავშვრი. ამაოდ ვიგემე ცრუ გამარჯვების სხარული და შემდეგ... შემდეგ საშინელი გულისტკივილი, იმედის გაცრუება.

აკადემიკოსმა ხელში ისევ ძველი ფოტოსურათი აიღო და ყურადღებით დაჰერდა.

— ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ და არ იცი, რა არის იმედის გაცრუება, ჯერ შენ მხოლოდ ოცდათოთხმეტი წლისა ხარ...

— ბატონო ლევან, თქვენ თუ მაგას ამბობთ, სხვამ რა უნდა თქვას. თქვენ ხომ მსოფლიო გიცნობთ, თქვენ ხომ უმაღლესი რანგის მეცნიერი ბრძანდებით...

— ეგ მხოლოდ ჩემი ნათესავების და კეთილმოსურნეების თვალში, ჩემთ ნოდარ, — ფოტოსურათი ისევ თავის ადგილზე დადო, — მე, მე ხომ ვიცი, ვინცა ვარ და რაცა ვარ.

— ჩემთვის და ჩემისთანებისთვის თქვენ ნიმუში ხართ როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება. მე მიმაჩნია, რომ თქვენ გამოკვლევებს მნიშვნელობა აქვს.

— — თქვენ ალბათ გინდათ თქვათ, ჩემს მცდარ გამოკვლევებს, რამდენიმე წლის ცრუ ზეიმი და ცრუ დიდება რომ მომიტანა?!

აკადემიკოსმა ირონიულად ჩაიცინა, უცებ შეამჩნია, რომ ვიტანჯებოდი და საფერფლე მომაწოდა. აღარ დამჯდარა, ფანჯარასთან მივიდა და სიბნელეს თვალი გაუშტერა.

— ხანდახან შეცდომა არანაკლებ როლს თამაშობს ჭეშმარიტების დადგენაში. ხანდახან სწორედ შეცდომის უკან იმალება ჭეშმარიტება.

— ეგ მხოლოდ თავის დამშვიდებაა, ყმაწვილო, ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა მიუვალ ციხესა ჰგავს. მიუვალს და უხილავს, რაც მთავარია! — აკადემიკოსმა სიტყვა „უხილავს“ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი. — ამ ციხისკენ მილიონი გზა მიდის, ბოლომდე კი მხოლოდ ერთი ადის. დიდი ვერაფერი გამჭრიახობაა, შეუდგე იმ გზას, ცოხემდე რომ ვერასდროს მიგიყვანს.

აკადემიკოსი შემობრუნდა, ფანჯრის რაფას მიეყრდნო და ხელები გულზე გადაიკეთ.

— შენ არ იფიქრო, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის დაფნის გვირგვინი იყო ჩემი ოცნება და მიზანი. არც ის ბაწუხებს დიდად, ჩემი ნახევარსაუკუნოვანი დაძაბული შრომის შედეგად მესამეხარისხოვან მეცნიერთა კოჰორტაშიც რომ ვერ მოვხვდი. მხოლოდ ერთ რაჟეზე მტკივა გული, ბედმა არ მარგუნა დიდი გამარჯვების წუთები, ჭეშმარიტების შეგრძნების წუთები. ყოველთვის მზად ვიყავი, ასეთი წუთებისათვის სიცოცხლეც კი შემეწირა. არ იფიქროთ, რომ ციხე-სიმაგრისკენ მიმავალ ერთადერთ გზას იღლიანნი მეცნიერები აგებენ. მხოლოდ დიდი მეცნიერების ხეიდრია იმ ეკლიან გზაზე გავლა.

— თქვენ ხომ... — დავიწყე მე, მაგრამ მოხუცმა აკადემიკოსმა ხელით მანიშნა, გაჩერდიო.

— მე ბევრჯერ ვიყავი რუბიკონთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს წყეული მდინარე ვერც ერთხელ ვერ გადაეცალა, ხოლო, ვისაც რუბიკონი არ გადაულახავს, ვისაც დიდი გამარჯვების წამი არ განუცდია, იგი ვერასდროს გაიგებს დიდი სიცოცხლის სილამაზეს, ვერასდროს ვერ შეიგრძნობს თავის პიროვნულ სიდიადეს, ვერასდროს ვერ წარმოიდგენს ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობებს.

რა არის ამ ერთი დიდი წუთის ემოციასთან შედარებით თუნდაც მთელი სიცოცხლის ყოველდღიური ცხოვრების სიხარული? არარაობა და მხოლოდ არარაობა! მის სიდიადეს ჩვეულებრივი ადამიანები ვერც ვერასდროს შეივიგრძნობთ და ვერც ვერასდროს გაიგებენ. რა ბედნიერია ის ხალხი, რომელთა ემოციისა და განცდების, სიხარულისა და ტკბობის განზომილებანი ავტომაჩქანისა და ავეჯის შეძენის სიხარულით გამოწვეულ საზღვრებშია მოქცეული.

პაუზა.

მეორე სიგარეტს უკვე მექანიკურად ვიღებ ჯიბიდან.

საათის ზარი. უკვე პირველის ნახევარია. რა დღეშია ახლა ეკა?

მოხუცი აკადემიკოსი ისევ სავარძელში ჯდება.

— დიახ, ვერასდროს ვერ გადავლახე ჩემი წყეული რუბიკონი.

ახლა მისი ინტონაცია უფრო დინჯია, წეღანდელი აღტყინება თითქოს ჩაქრა.

— იმ დროს ბევრი რამ არ იყო ცნობილი, ის, რაც დღეს უკვე დადგენილი და აღიარებული ჭეშმარიტებაა. მაშინ, როდესაც ჩვენ ვადგენდით მასათა სპექტრს, იგი ტალღისებური ხასიათისა იყო და პიკებისა და ჩაღრმავებების ერთობლიობას წარმოადგენდა, აი ამ მრუდზე ელექტრონების გარდა უნდა ყოფილიყო კიდევ ორი პიკი — მეზონური და პროტონული. ოღონდ დიდი იყო ჩვენი გაოცება და სიხარული, როცა სულ სხვა სურათის მოწმენი გავხდით: მათ შორის ბორცვებმა წამოიყო თავი.

რა იყო ეს ბორცვები? საიდან გაჩნდა? ვერ წარმოიდგენ, როგორი გრძნობა დაგვეუფლა (აკადემიკოსმა ისევ აუწია ხმას, სათვალის იქით ისევ წამოენთო მომქცალი თვალები). — არავინ ვიცოდა მარტო სიხარულისა და ინტერესის ერთმანეთში შეზავებულ მღელვარებას ვერ დაარქმევ. ჩვენ სოცრების წინაშე ვიდექით. იქნებ... იქნებ... დიახ, ეზრის, რაიმე ვარაუდის გამოთქმისა ვერიდებოდა. უფრო გულწრფელი თუ ვიქნები, გვეშინოდა. პირადად მე მეშინოდა! იქნებ ეს ბორცვები კოსმოსური სხივებში სულ მთლად ახალი, უცნობი ნაწილაკების ვრაფიკული გამოსახულებანი იყვნენ?

პაუზა.

— რამდენი უძილო ღამე (ისევ დინჯი ტონი), თვე, წელი, ცრუ ზემი და იმავე წუთში დაბადებული, ჩვენი არსების შეუცნობ კუნჭულში ჩაბუდებული მღრღნელი ეჭვი. ჩემთვის და ჩემი თანამშრომლებისთვის ალარ არსებობდა ალარავითარი მიწიერი ცხოვრება. საჭმელსაც რომ ვჭამდით, მხოლოდ უცნობ ნაწილაკებზე ვფიქრობდით. აშკარად ვიდექით დიდი აღმოჩენის წინაშე, პირველებმა შევამჩნიეთ მიკროსამყაროს უცნობ ბინადართა არსებობა, მაგრამ ჩვენს მიერვე მიღებული სპექტრული მრუდის კუნჭები მხოლოდ მირაჟები გამოდგა. აღმოჩენის სიომ კი იაპონიიდან და ამერიკიდან დაჰქროლა. ჩვენ მოგვატყუა პი-მეზონებმა. ეს მირაჟები სწორედ პი-მეზონებმა წარმოქმნა და ხელი შეგვიშალა აღმოგვეჩინა მთელი მათი ოჯახი. პირველებმა შევამჩნიეთ ეს მოვლენა, პირველებმა ვიგრძენით მათი არსებობა. სხვებმა სულ სხვა მეთოდით აღმოაჩინეს ისინი, ჩვენ კი იმ წყეული მრუდებით მხოლოდ დავადასტურეთ მათი აღმოჩენა.

— სამაგიეროდ, პირველებმა თქვენ მიაგვინეთ მეზონების კვალს...

— „პირველებმა“, — მწარედ ჩაიცინა აკადემიკოსმა.

პაუზა.

ისევ სიგარეტი.

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიური მზის ფლეიფადი

ისევ საათის ზარი.

უკვე თვალსათლივ ვხედავ მანქანაში ლოდინით დატანჯულ ეკას სახეს.

წასვლა მაინც არ მეჩქარება. მხოლოდ ვფიქრობ, ჯერ მაინც ვერ მივხვდი, საით მიდის ჩვენი საუბარი, გული რატომ გადამშალა მოხუცმა აკადემიკოსმა?

— თავის მოტყუება იქნებოდა, ყველაფერი იდბლიანობისთვის დაგვბარალებინა (ხმაში სევდა, სინანული). მე, როგორც საერთოდ ყველა ადამიანს, გამიჭირდა სიმართლისათვის თვალებში შემეხედა. დიახ, ფაქტია, სქემის ბოლომდე მისაყვანად ძალა არ მეყო, ნიჭი და უნარი არ გამწვდა. ელემენტარული ნაწილაკების აღმოჩენა არ იყო ის პრობლემა, ჩემი ნიჭისა და ერუდიციის კაცი რომ დასძლევდა. ამ საქმეს შევწირე მთელი პირადი ცხოვრება, და აი, ახლა, როცა სიცოცხლეს სადაცაა დავამთავრებ, ხელცარიელი მივდივარ ამ ქვეყნიდან.

დუმილი, მტანჯველი დუმილი.

ისევ ჩაცინება, — ხანმოკლე, მაგრამ მწარე.

— ამბა გაიხსენე რომელიმე საფეხბურთო მატჩი, როცა ერთი გუნდი დიდი ანგარიშით იგებს, ვთქვათ, ხუთით ნოლს, ხოლო დამთავრებამდე რამდენიმე წუთიღა დარჩენილი. აღარავითარი შანსი არ არსებობს ანგარიშის გასათანაბრებლადაც კი. აღარც მოგებული გუნდი ცდილობს ანგარიშის გაზრდას და აღარც წაგებული გუნდი იკვებება ილუზიებით. ორთავენი მატჩის დამთავრებას ელიან მოუთმენლად: ასეთ დროს იტყვიან ხოლმე რუსები: „матч доигрывается“. მეც იმ წაგებული გუნდივითა ვარ: ყველაფრის იმედი უკვე კარგა ხანია დავკარგე და მოუთმენლად ველოდები საფინალო სასტვენის ხმას.

— ბატონო ლევან...

— თუ ჩემი გამხნევება ან დამშვიდება გინდა, თავს ნუ შეიწუხებ. მე ისეთი კაცი არ გეგონო, სიტყვებით რომ ამხნევებენ ხოლმე.

პაუზა.

— აი ეს (იგი მაგიდაზე გამობერილ საქაღალდეს დასწვდა) ლაბორატორიიდან წაიღე. ყველა ფოტოკადრს გავეცანი. ჩემი დასკვნები და მოსაზრებანიც აქ არის. ღმერთს სამება უყვარს, თითოც დავლიოთ.

მოხუცმა აკადემიკოსმა ჭიქა შემოვსო.

— ცუდია, თუ შეყვარებული არა გყავს. იმ დიდი გამარჯვების წუთების განცდას, წელან რომ ვლაპარაკობდით, ნამდვილი და დიდი სიყვარული თუ გაუწევს ღირსეულ მეტოქეობას (ჭიქას მიჭახუნებს); ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ბოლომდე გამოცალე. დალევა არ მინდოდა, მაგრამ უზრდელობად მივიჩნიე, ჩემი ნასვამი ჭიქაში ჩამეტოვებინა.

კარებამდის მიმაცილა.

— ამა შენ იცი! — კარი გამიღო და ხელი გამომიწოდა.

შეეკრთი, მისი თვალებიდან სიკვდილი მიმზერდა.

კიბე სწრაფად ჩავირბინე და ქუჩაში გავედი. გრილი ნიავი მესიამოვნა. ეკა მანქანაში აღარ იყო, შეშინებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. უმალვე დავწუწანარდი, იქვე, პატარა სკვერში გრძელ მერხზე იჯდა მარტოდმარტო.

— ბოდიშს გიხდი, დამიგვიანდა.

— საბოდიშო არაფერი გაქვს. სერიოზული ხომ არაფერია?

— არის და ძალიან სერიოზულიც. ჩაჯექი.

— მაინც? — ეკამ კარი ჩვეულებისამებრ ნაზად მოიხურა.

— მაინც ვერ ისწავლე დაკეტვა! — ეკასკენ გადავიხარე, კარი გავაღე და ღონივრად მოვაჯახუნე.

გასაღები ნელა გადავატრიალე, სანამ მანქანას დავძრავდი, აკადემიკოსის ფანჯრებს ავხედე. კაბინეტში შუქი ისევ ენთო.

„ხომ არ მითვალთვალებს?“ — ვფიქრობ და ფანჯარაში მის სილუეტს ვეძებ.

— არ მეტყვი, რა მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთ წუთს მადროვე.

მანქანა ნელა დაეძარი. ასე, სამოცი-სამოცდაათი მეტრი გავიარე, შემოუხვიე და ისევ ლევან გზირიშვილის სახლის წინ დავაყენე, ოღონდ გადაღმა, ჭადრის ძირში. აქ სინათლის შუქი ვერ აღწევდა. აკადემიკოსის კაბინეტის ფანჯრები კი კარგად მოჩანდა.

— ნოდარ, ადელვებული ჩანხარ, რა მოხდა, აღარ მეტყვი?

— ლევან გზირიშვილი დღეს თავს მოიკლავს.

— დიდი ვერაფერი ხუმრობაა!

— მე არ გეხუმრები!

— გესმის, რას ამბობ? — დაეჭვდა ეკა და ხმაში შიში შეეპარა.

— სამწუხაროდ, მესმის.

— თვითონ გითხრა?

— არა, მე მივხვდი.

ვიგრძენი, ეკა დამშვიდდა.

— ალბათ მოვეჩვენა.

— ვინ იცის, იქნებ მომეჩვენა კიდეც. — ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ და ვუკიდებ.

—ნამდვილად მოგეჩვენებოდა. — საბოლოოდ დასაკვნა ეკამ და შეებით ამოისუნთქა.

— მაინც საიდან გამოიტანე ასეთი საშინელი დასკვნა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— არ ვიცი, ეკა, იქნებ ვცდები, მაგრამ არა მგონია. დარწმუნებული ვარ, თავს მოიკლავს.

ეკა განცვიფრებული მომჩერებია. ცდილობს ჩემს გამოხედვაში ამოიკითხოს რა მოხდა იქ, მაღლა, აკადემიკოსის ბინაში. შეკითხვით აღარაფერს შეკითხება, იცის, მეტს მაინც არაფერს ვიტყვი.

გამვლელების ფეხის ხმა კანტი-კუნტად ისმის. საიდანღაც ნიავს მუსიკის ხმა მოაქვს. ფანჯრები ყველას ღია აქვს, თუმცა შუქი ორიოდე ბინიდან თუ გამოდის. უცებ მოპირდაპირე მხრიდან ტაქსმა შემომანათა. ტაქსიდან ქალ-ვაჟი გადმოვიდა, როცა მძღოლმა შუქი გამორთო, მერე დაეინახე, რომ ტაქსი იყო. ქალი სადარბაზო შესასვლელში გაუჩინარდა. ვაქმა მძღოლს ფული გაუწოდა და შეჩერდა. ეტყობა, მსხვილი ფული მისცა, ტაქსის შოფერი ხურდას დიდხანს თვლიდა. ზემოთ, მეორე სართულზე ორი ფანჯარა სინათლემ გაანათა. ალბათ იმ ქალიშვილმა ანთო სინათლე თავის ოთახში, ტაქსით რომ მოვიდა. ბიჭმა ხურდა ჯიბეში ჩაიდო და ისიც სადარბაზო შესასვლელში გაუჩინარდა. ტაქსის შოფერმა ფარები ანთო და მანქანა მთელი სისწრაფით დასძრა ადგილიდან. საბურავების ხრჭიალმა დაძაბული ნერვები კიდევ უფრო გამოიზიანა.

მალე ფანჯარაში ვაჟიც გამოჩნდა. სიგარეტს ეწეოდა. ისევ ლევან გზირიშვილის კაბინეტს ავხედე. სინათლე ძველებურად გამოდიოდა.

ვაქმა, ეტყობა, უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა, სიგარეტის ნამწვი ქუჩაში მოისროლა და გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ მათ ფანჯრებშიც ჩაქრა სინათლე.

— ნოდარ, ცოტა სასაცილო მეჩვენება შენი საქციელი. თუ ხუმრობ, ვერ გამიგია, რა ხუმრობაა. თუ მართლა შეატყვე, რომ ის კაცი თავის მოკვლას აპირებს, აქ რადას უდგახარ. იქნებ კიდევ შეიძლება შველა?!

ხმას არ ვიღებ და მაღლა ვიცქირები. სინათლე ისევ ანთია. ნეტავ რას აკეთებს? იქნებ ანდერძს წერს? იქნებ მომეჩვენა?

არა, არ მომჩვენებია, მე ვგრძნობდი, მის ოთახში სიკვდილი როგორ დადიოდა. გამომშვიდობებისას, თვალებში რომ ჩავხედე, იქიდანაც სიკვდილი მიმზერდა.

— ლოდინის აზრი ვერ გამიგია, — ასე შტერებივით ვიდგეთ და ველოდოთ, როდის შეასრულებს თავის სულელურ განზრახვას?

— ჩვენ არ შევგწევს უნარი, შევაფასოთ — ბრძნულია მისი განზრახვა თუ სულელური.

— იყოს, ბატონო, ბრძნული, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ კიდევ შეიძლება შველა? იქნებ კიდევ მოასწრო გადააფიქრებინო, თუკი ეს თვითმკვლელობა შენი ფანტაზიის ნაყოფი არ არის?!

ეკას მოსმენა უკვე აღარ შემიძლია, ნერვები სადაცაა დამიწყდება.

— ნოდარ, ნოდარ, სინათლე ჩაქრა!— ჩურჩულით ამბობს ეკა. შიშისგან ხმა უკანკალებს.

ფანჯრებს ავხედე, აკადემიკოსის კაბინეტიდან შუქი აღარ გამოდიოდა. გული შემეკუმშა, ცივმა ოფლმა დამასხა. რა მძიმე ყოფილა საბედისწერო მოლოდინის წუთი, საფლავის ლოდივით დამაწვა და გამსრისა, საფეთქლები საშინლად დამიბერა, სისხლი წივილით ბრუნავს ძარღვებში.

ღამის მდუმარება გასროლის ყრუ ხმამ დაარღვია.

— ნოდარ! — იკივლა ეკამ და აცახცახებული მკერდში ჩამეკრა.

— ყველაფერი დამთავრდა! — ვამბობ რატომღაც ჩურჩულით;

უნებურად საათს დავხედე, ზუსტად ორი იყო.

—ნოდარ, წავიდეთ აქედან, მეშინია, გესმის, ძალიან მეშინია!

მისი მკლავების მარწუხებისგან ხელი გავინთავისუფლე და მანქანის გასაღები ფრთხილად გადავატრიალე.

## თავი მეოთხე

მაღელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

მოახუცი აკადემიკოსის თვითმკვლელობამ მერე უფრო იმოქმედა ჩემზე, როცა სროლის ყრუ ხმა გაისმა. სანამ მანქანაში ვიჯექი და ამ გასროლას ველოდი, თითქოს უფრო მშვიდად ვიყავი, გაცილებით მშვიდად. მხოლოდ მაშინ მქონდა საფეთქლები დახეთქვაზე, აკადემიკოსის კაბინეტში რომ სინათლე ჩაქრა. ძარღვებში რა საშინლად მიწიოდა სისხლი! ახლაც ყურში მიდგას ეს ამაზრზენი ხმა. იქნებ მეჩვენებოდა? სისხლი თუ წივილით იბრუნებდა ორგანიზმში, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ალბათ ისე მქონდა სმენა დაძაბული, ისე მქონდა გრძნობა გამახვილებული, რომ ყველაზე სუსტ სიგნალსაც კი ვიგრძნობდი, თვით უფაქიზესი ხელსაწყოებიც რომ ძლივს აღნუსხავენ ხოლმე.

თვალები დახუჭული მქონდა. ვითომ მეძინა. არ ვინძრეოდი, მაგრამ ვგრძნობდი, სული როგორ ბორგავდა სხეულში. საშინელი სისწრაფით ტრიალებდა, ბობოქრობდა, თითქოს გასაძრომს ეძებდა, ვერ პოულობდა და კიდევ უფრო შშაგდებოდა.

— რა გემართება, ნოდარ! — მესმოდა ეკას აკანკალებული ხმა.

თავს ვიმძინარებდი, არ ვინძრეოდი, თვალიც დახუჭული მქონდა. საიდან ხვდებოდა, ჩემს სხეულში რა ქარიშხალიც ტრიალებდა? იქნებ მასაც ახლა ისე უკიდურესობამდე ჰქონდა გრძნობა განვითარებული, რომ სხეულში ჩემი სულის ბორგვა შეუმჩნეველი არ რჩებოდა?

იქნებ ჩემი მღელვარებაც ტალღების ან იმპულსების სახით გადადიოდა მის სხეულში?

ღმერთო, რამდენი რამ არის ჯერ კიდევ შეუსწავლელი და დაუდგენელი. რამდენი საიდუმლო არ ვიცით ჩვენივე სხეულისა და ჩვენივე სულისა. რამდენი თვისება და ძალა არ ვიცით ჩვენი ტვინისა და ორგანიზმისა, ჩვენი ნერვებისა და ინსტინქტებისა. ისინი მხოლოდ მაშინ გვაძლევენ თავისი არსებობის ნიშანს, როცა ენით გამოუთქმელი გასაჭირი მოულოდნელად დაგვატყდება თავზე. მხოლოდ მერე ვათვითცნობიერებთ, რომ ჩვენი ტვინი ამ დროს გამორთული იყო და აღარ აზროვნებდა. მხოლოდ მერე ვხდებით, ამ უკიდურესი განსაცდელის დროს რაღაც უხილავი ძალა გვკარნახობდა, რაღაც საკუთარი სხეულის დღემდე უცნობი თვისება წარმართავდა ჩვენს მოქმედებას, გვმატებდა უზარმაზარ ენერგიას, საშინელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალით აძლიერებდა აზროვნების სისწრაფეს, თითქოს ჩვენსავე ორგანიზმში არსებულ ან სხვა პიროვნება განაგებდა ჩვენს არსებას.

მახსოვს, მაშინ ათი თუ თეთრმეტი წლისა ვიყავი, ვენაში მგზავრობა გადაპარულებს მეველე გამოგვედევნა. იგი უეცრად წამოგვადგა თავზე და თოფი ისროლა, უფრო სწორად, ჯერ თოფმა იჭექა იქვე, ყურის ძირში. თოფის ხმას ყვირილი მოჰყვა — „ჰაიტ, თქვე მამაძაღლებო!“ ეს სიტყვები მაშინ გავიგონე, რკინის ეკლებიან ღობეს რომ გადავეცალ.

მერე თითქმის ყოველდღე მივდიოდი იმ ღობესთან, გოცებული შევცქეროდი მაყვლის ბარდებში გახლართულ ეკლიან მავთულებს და წვეტიან სარებს. თვითონაც არა მჯეროდა, რომ ამსიმაღლე ღობეს გადავხტი. რამდენჯერმე მიდოდა, ძმებისთვის ან მამაჩემისთვის მეთქვა, აი, ამ ეკლებიან და თითქმის ორმეტრიან ღობეს გადავეცალ-მეთქი თავზე. ვერ გავბედე, ვიცოდი, მაინც არ დამიჯერებდნენ და სასაცილოდ ამიგდებდნენ.

ვინ იცის, რამდენი საოცარი, დღესდღეობით დაუჯერებელი და წარმოუდგენელი თვისება თვლემს ადამიანის არსებაში. ჯერ ჩვენ არც კი გვიგრძვნია საკუთარი შესაძლებლობები. მის დამორჩილებაზე და დაუფლებაზე ხომ ლაპარაკიც სასაცილოა. დღევანდელი ადამიანისათვის მის ორგანიზმში არსებული და მიძინებული ეს უხილავი ძალა ისეთივე გამოუსადეგარია, როგორი გამოუსადეგარიც ალბათ თვითმფრინავი იქნებოდა თემური ყუბილების დროს.

ალბათ დადგება დრო და ადამიანი ჩაიხედავს თავისი სულის ყველაზე უხილავ კუნჭულებში. ალბათ დადგება დრო და ადამიანი საბოლოოდ დაეუფლება იმ ურთულეს ინსტრუმენტს, საკუთარი ორგანიზმი რომ ჰქვია.

— ნოდარ, წყალი ხომ არ გინდა? მიპასუხე, ვიცი, არ გძინავს.

ხმას არ ვიღებ.

ეკა თავის სახლთან მივიყვანე, მანქანა გავაჩერე და დაველოდე, როდის ჩავიდოდა.

პაუზა.

მე წინ ვიყურები, საჭეზე ორივე ხელით დაყრდნობილი. ეკა მე მომჩერებია.

— დღეს შენი მარტო დატოვება არ შეიძლება.

სიგარეტი.

— ბევრს ეწევი, ნოდარ. ძალიან ღელავ, თვითონაც ვერ გრძნობ, როგორი ღელავ. ამაღამ შენი მარტო დატოვება არ შეიძლება, წავიდეთ, შენთან გავათევ ღამეს.

— ჩადი, დაიძინე და დაისვენე. ტყუილად გაგხვიე ამ უსიამოვნო საქმეში, შეგაშინე და გაგანერვიულე. მე არაფერი მიშავს, წავალ და დავიძინებ.

— ვერ დაიძინებ, ნოდარ. ახლა გეჩვენება, რომ მშვიდადა ხარ. შინ მარტო რომ დარჩები, მერე ვეღარ მოისვენებ. მერე უფრო შეიგრძნობ იმ საშინელებას, რაც მოხდა. (პაუზა) თუ მარილა მიხვდი, რასაც ამირებდა, ნუთუ არ შეგეძლო დაგეშვიდებინა, მოგეფერებინა. იქნებ...

— ხომ გითხარი, ამ საქმის განმსჯელებად მე და შენ არ გამოვდგებით მეთქი. ჩადი.

— არ ჩავალ, ნოდარ. ამაღამ გავიჭირდება მარტო ყოფნა. წამოვალ შენთან. სულ ერთია, მე მაინც ვერ დავმშვიდდები, შენი დარდით ვერ დავიძინებ. მეც მეშინია, ნოდარ, შენს გვერდით მირჩევნია ყოფნა.

— მერე თქვენები რას იტყვიან?

— ჩემებზე?—მწარედ ჩაიცინა ეკამ, — მე ჩემებისთვის უკვე...

მანქანა დავაძარი. არ მინდოდა ეკას სათქმელი დაემთავრებინა. თუმცა ვიცოდი, თვითონაც არ დაამთავრებდა.

„ნეტავ მილიციამ თუ გაიგო?“, ვფიქ-

გურამ ფანჯიკიძე
აკტიური მზის ფალიფადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ და სიგარეტს ვეძებ. კოლოფი ცარიელია.

— ეკა, სიგარეტი საწერი მაგიდის უჯრაში უნდა იყოს.

— ახლავე.

ეკა სამზარეულოდან გამოდის, საწერ მაგიდასთან მიდის და უჯრიდან სიგარეტს იღებს.

სიგარეტს ვაბოლებ და ვახველებ, თითქოს ვხედავ, ყვითელი შხამი როგორ მეწვეთება ორგანიზმში.

„თუ საერთოდ ვინმემ გაიგონა გასროლის ხმა, მილიციისთვისაც ყველაფერი ცნობილი გახდება. თუ არ გაუგონიათ, მაშინ ზეგამდე ვერავინ შეიტყობს ლევან გზირიშვილის თვითმკვლელობის ამბავს. ზეგ, როცა შინამოსამსახურე ქალი კარს გააღებს... არა, მოხუცი აკადემიკოსი ამასაც გაითვალისწინებდა, ქალს შინით არ გადარევს...“

— ეკა!

— რა იყო? — შეშინებული გამოვარდა ეკა სამზარეულოდან.

მიგხვდი, რატომღაც ხმამაღლა დავიყვირე.

— როგორ გგონია (უკვე დინჯად ვლაპარაკობ და თან ვახველებ), აკადემიკოსი მილიციაში არ დარეკავდა?

— მილიციაში?! ხომ არ გადაირიე. ვთქვათ, დარეკა, რა უნდა ეთქვა?!

ისევ ვახველებ.

— წამალს ახლავე მოგიტან.

—თავის ტკივილის წამალიც წამოიღე.

ეკას წამალი მოაქვს.

— მილიციაში რომ დარეკა, რას იტყოდა, თავს ვიკლავო?

— ბოდიში, სისულელე ვთქვი. (პაუზა, მერე კიდევ ოთხი ჩახველება). მაინც მჯერა, რომ დარეკავდა.

ეკას თმები ისევ სველი ჰქონდა. უთენია ადგა და იბანავა, სამზარეულოში, ეტყობა, თმას იშრობდა. დღეში იმდენჯერ შეუძლია ბანაობა, რამდენჯერაც აბაზანას დაინახავს.

— ყავა მოგიხარშო?

— სხვა მაინც არაფერი მაქვს.

— ჯერ მაღაზიები დაკეტილია, ოღონ არ არის. ოც წუთში ჩავალ და [illegible] ამოვიტან.

— არაფერი არ მინდა, გული მაქვს ცუდად.

— ვალიდოლი მოგიტანო?

— არ მინდა. ყავა მომიხარშე.

— ყავა უარესია, ჩაის აგიდუღებ.

— ყავა მირჩევნია.

ეკა სამზარეულოში გადის. სიგარეტს საფერფლეზე ვაგდებ და თავდაღმა ვწევები, მესმის ელექტროსაფქვავის ხმა

ყურს ხერეტს რეაქტიული ძრავის გუგუნი.

ნერვები მეშლება. ფრენა ერთი საათით გადაიდო. დავდივარ თბილისის აეროპორტის სიცხით გათანგულ დარბაზში და ვგრძნობ, თავი როგორ მიმძიმდება.

ჩავდივარ დაბლა, აფთიაქს ვეძებ.

— ანალგინი გაქვთ?

თავი ისევ მიმძიმდება, წამალი არ მშველის. უფრო სწორად, არ მოქმედებს. გადაქანცული და განერვიულებული ვარ.

საათზე ვიყურები. ახლა უკვე ჰაერში უნდა ვიყო. ამინდი კარგია, თვითმფრინავებიც მიფრინავენ და მოფრინავენ. ამ ზეგს რეისს რა ღმერთი გაუწყრა? ვინ დამთარსა? სერიოზულად ვფიქრობ და ვიხსენებ, ვინ შემხვდა სახლიდან გამოსვლისას პირველი.

ეკა ახლა დომოდედოვოს აეროპორტში ზის და მელოდება. მან ჯერ არ იცის (ვინ ეტყოდა), რომ ჩემი რეისი აგვიანებს. იგი საათს ახლა სასოებით შესცქერის (ან დასცქერის, თბილისში საათს არ ატარებს, მოსკოვში კი ძნელია უსაათოდ სიარული). ისრები ძალიან ნელა, მაგრამ მაინც მიიწევენ წინ. ის კი არ იცის, ფრენა რომ ერთი საათით გადაიდო. ვინ იცის. იქნებ იკითხა კიდეც ცნობათა ბიუროში, ჩვენი რეისი ხომ არ გაფრენილა, რასაკვირველია იკითხავდა. რას მოიშსამებოდა! ერთი საათი ჯანდაბას, თუ კიდევ არ გაგვიხლაფორთდა საქმე!

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო ქართველ მხატვართა რეპუბლიკური გამოფენა, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი.

შემოქმედთა ნიჭიერ კალიტრაში საინტერესოდაა წარმოდგენილი ახალგაზრდობის, კომკავშირის სისხლსავსე ცხოვრება.

გამოფენაზე ექსპონირებული იყო საშუალო და ახალი თაობის მხატვართა ნამუშევრები — ფერწერა, მცირე და დიდ ^ ანდაზაები, გრაფიკა, კერამიკა, დაზგური ხელოვნება, ჭედურობა, მინა, კლაკატი.

გთავაზობთ რამდენიმე ნამუშევარს ამ გამოფენიდან.

ნ. აბაევი

განთიადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა

ა. მოსიაშვილი

მესამე
სემესტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. კანდელაკი შესვენება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ი. ვეფხვაძე ექსპერიმენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ახობაძე

ზემოდგომა ქართლში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ. გოგაბერიშვილი



შესვენებაზე

ვ. მარგიანი

ფერმა მთაში

ვ. თოლიძე

ბაკურიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**აეროპორტის** დარბაზში ნაცნობები ირევიან. ყველას თვალს ვარიდებ. არა ვარ ლაპარაკის გუნებაზე. მით უმეტეს, ნერვები არ მეყოფა, სიფხიერის არისტოკრატულ მანერებზე ვიფიქრო და ვიჩრუნო. ღიმილით მისალმებისათვის სამყოფი ენერგიაც კი არ მაქვს.

ჯიბეში ისევ წამალს ვეძებ. მერე ავიკაზე გავდივარ და მოაჯირზე გადაყრდნობილი თვითმფრინავებს ვუყურებ. გვერდზე არ ვიცქირები, მეშინია, ნაცნობს არავის გადავეყარო.

უცებ მხარზე მაინც ვგრძნობ ვიღაცის ღონიერ ტორს.

უხალისოდ შეებრუნდი. ოცდაათიოდე წლის ვიწროშუბლიანი ათლეტი მიღიმის და ხელს მიწვდის.

„ალბათ ვიღაცაში ავვრიე“, — ეფიქრობ მე, ხელის ჩამორთმევას ვაგვიანებ და უცნობის მოობდიშებას ველოდები, უკაცრავად, სხვა მეგონეთო.

— გამარჯობა, ჩემო ნოდარ, მოსკოვში მიხიდარ?

„რატომ მაინცდამაინც მოსკოვში და არა თელავში ან ხერსონში?“ — ამას მერე ვფიქრობდი, როცა უცნობი წაეკიდა. მე მის თვალში იერარქიულ საფეხურზე გაცილებით მაღლა მდგომი პიროვნება ვიყავი და სხვა ქალაქი ალბათ ამიტომ ვერ შემომბედდა, როსტოვი ან თუნდაც ვიღნიუსი ჩემს საკადრისად არ ჩათვლა. როცა ამას მეკითხებოდა, ალბათ წინასწარ სჯეროდა, რომ აუცილებლად მოსკოვში მივდიოდი.

ეს მერე გავიფიქრე, როცა დამემშვიდობა (თვითონ ქუთაისში მიდიოდა). პირველი კი, რაც უცნობი ათლეტის მოსალმებაზე ჩემს ტვინში მომწიფდა, იყო ოთხი სიტყვისგან შემდგარი უხმო ამოძახილი — „ვაი შენ, ჩემო თავო!“ მერე მეხსიერებას მთელი მონოდმებით დავატანე ძალა, იქნებ როგორმე გავიხსენო, ვინ არის-მეთქი. სიცხისგან გათანგული, ხოლო ნერვიულობისა და მოქანცულობისაგან გაღიზიანებული ჩემი ტვინი ძალზე უხალისოდ და მფორად აზროვნებდა. ჩემი ტვინის ის უჯრედი, რომელმაც ოდესღაც ამ ვიწროშუბლიანი ათლეტის ვინაობა და ფიზიოგნომია შემოინახა, ან უიმედოდ იყო მიძინებული, ან მოლად გადაგვარებული.

— ჰო, მოსკოვში მივდივარ.

— რაიმე ოჯახურ ცვლილებას ხომ არ ჰქონია თქვენს ცხოვრებაში ადგილი, ცოლი ხომ არ მოგიყვანიათ?

— ჯერ არა, — ვიგრიხები უხეიროდ და თან ცოფი მიპყრობს.

— ნოდარს ვენაცვალე, ვერ მიცანით, ხომ?

— როგორ ვერ გიცანით!

ჩემს თავზე გული მომივიდა, ისე გაუბედავად წარმოვთქვი ეს სიტყვები.

— აბა ვინ ვარ მე?

ამ ადიოტურ შეკითხვას აღარ ველოდი. ერთი სული მქონია, სილა პირდაპირ სახეში მეთხლიან.

— მართალი ყოფილვარ, ხომ? — თქვა რაღაცნაირი სისარულით.

„ნეტა რას იღრიჭება ეს უბედური, მართალი რომ გამოდგა, ალბათ, ის უხარია“.

— სერგო ვარ, მოდებაძე.

— ოო, მაპატიე, რომ თავიდან ვერ გიცანი !— დავკარი მხარზე ხელი. განგებ შენობით ველაპარაკები. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ვიცანი და შინაურულად ვეძცევი.

— იმ წუთში მივსდი, რომ ვერ მიცანი! მოსკოვში, ალბათ, მივლინებით მიდიხარ? — გამიშინაურდა თვითონაც.

— დიახ, მივლინებით.

— ნოდარა, ბიჭო, მგონია, ახლაც ვერ მიცანი.

— როგორ ვერ გიცანი!

— რომელი ქალაქიდან ვარ აბა მე?

უკვე მინდა მუშტი მე თვითონ ვითხლიშო სახეში.

—ქუთაისიდან ვარ; ბიჭო, სოსოია ალმახელიძე ხომ გახსოვს, იმის ოჯახში შეეხვედით ჩვენ. არ ვარაა ასე დავიწყება. აბა, გავიქეცი, ჩვენს თვითმფრი-

ნაში ჩაჯდომა კარგა ხანია გამოაცხადეს.

ხელს მექანიკურად ვართმევ.

გაცოფებული ჯიბეში სიგარეტს ვეძებ და ისევ მოაჯირისკენ ვბრუნდები.

კიდევ ოცი წუთი.

ფრენა მეტი ალარ გადაუდვიათ. ალბათ რაიმე ტექნიკური მიზეზით მოხდა შეფერხება. სალონში საშინლად ცხელა. ოფლი მახსამს. ჯიბიდან ცხვირსახოცს ვიღებ. უკვე ალარ შემიძლია ამდენი ყაყანის, სტიუარდესის განერვიულებული ლაპარაკისა და დასიცხული ძუძუთა ბავშვების ტირილის მოსმენა. ჩემს გვერდით ვიღაც სქელი კაცი გაუთავებლად ბორგავს. ვერა და ვერ მოერგო სკამს. თან ხვნეშის. ეტყობა ასთმა აწუხებს. ნიკაპზე და ლოყებზე უსიამოვნო შუქი სიწითლე გადაჭრავს, ზუსტად ისეთი, ინფარქტით გარდაცვლილ ადამიანს რომ ადევს ხოლმე მეორე დღეს.

მინდა ყველაფერს გამოვეთიშო და თვალს ვხუჭავ. სამწუხაროდ, თვალის დახუჭვა ყურებს ვერაფერს შველის.

ჯიბიდან ანალგინს ვიღებ და ენერგიულად ვღეჭავ.

როგორც იქნა, ავფრინდით. თვითმფრინავის ბორბლები რომ მიწას მოსწყდა, იმავე წამიდან ვიგრძენი შვება. ეპოქის სისწრაფემ ჩვენს თაობას თავიდანვე სხვა ინერცია მისცა. ამ ინერციას მოერგო ჩვენი ნერვები და მოქმედების რიტმი, ჩვენი ფსიქიკა და აზროვნება. ჩემი ასაკის ხალხი უფრო ვერ იტანს ლოდინს, ვიდრე, ვთქვათ, მამაჩემის ასაკისა. რამდენჯერ ვყოფილვართ ერთად აეროპორტში, ფრენა რომ გადადებულა, ნერვიც არ შერხევია, უკმაყოფილებასაც ისე, სხვათაშორის თუ გამოთქვამდა. მერე კითხავ მიაშურებდა, რაიმე წიგნს ან ჟურნალებს ყიდიდდა, სადმე მოხერხებულ სავარძელს მონახავდა და მშვიდად კითხულობდა.

ვითომ ისინი უფრო ზრდილნი არიან ჩვენზე და თავშეკავების უნარიც მეტი აქვთ? არა მგონია. ისინი ჩვენს აღზრდასა და თავდაჭერილობაზე სკეპტიკურად იღიმებიან ხოლმე. ერთი რამ კარგად მაქვს ნაფიქრალი. ეს ეპოქა ჩვენ ყველანი ერთად ვართ. ამ ეპოქის ინერციას ჩვენ ყველანი ერთად ვიგრძნობ. ეს ინერცია ჩვენ ერთად ვიგრძნეთ. ეს ინერცია ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უკეე კარგად ვგრძნობ, ნერვები თანდათან მიწყნარდება, ლაი განწყობილება მეუფლება. წუთში თხუთმეტი კილომეტრის სისწრაფით ვუახლოვდები ჩემს ეკას, დომოდედოვოს აეროპორტში რომ მელოდება მოუთმენლად. ჩვენს შორის ახლა ათას შვიდასი თუ ათას რვაასი კილომეტრია. დროის სხვადასხვა ინერციული სისტემისათვის მანძილს სრულებით არა აქვს მნიშვნელობა. ჩემსა და ეკას შორის ახლა მხოლოდ ორი საათი და თხუთმეტი წუთი დევს, მატარებლით რომ წამოვსულიყავი, ჩვენს შორის ორმოცდაოთხი საათი აიზვინებოდა. ამიტომ დამიგლიჯა ნერვები ფრენის ერთი საათით გადადებამ, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ცხრაასი კილომეტრით გადამიდეს ეკასთან შეხვედრის სიხარული.

ეკა ალბათ ვერ მოისვენებდა, ცნობათა ბიუროში იკითხავდა და გაიგებდა, რომ ერთი საათით ვიგვიანებდით.

ალბათ, უკვე ვამოცსადეს ჩვენი თვითმფრინავის დაჯდომის ამბავი.

საოცარი ხალისით ჩავრბივარ ტრაპზე. იქვე აეროპორტის ღია ვაგონ-ავტობუსი გველოდება. აი, უკვე კიბე ვავარე და შემინულ დერეფანში ვავედი. ჩვენს შორის ახლა ალბათ ორმოცი მეტრიც არ იქნება. ეკა, როგორც ყოველთვის, შესასვლელი კარის გვერდით დგას, სქელი მინის კედელზე სასაცილოდ ცხვირმიბჯენილი, ჩვენს შორის მანძილი კი მცირდება და მცირდება. მე მას უკვე ვხედავ, ათი, ხუთი მეტრი... ბოლოს მანძილი ნოლის ტოლი ხდება...

ალბათ დიდხანს ვიყავით ასე თავდავიწყებით ჩახუტებულნი. კარში გამვლელებს ვეჩხირებოდით, მაგრამ შენიშვნა არავის მოუცია.

— ნოდარ! — გაუთავებლად იმეორებდა ჩემს სახელს ეკა და მკერდში მეკვროდა. საოცარი ნეტარებით მავსებდა ეკას მოცახცახე სხეული, იმის გაფიქრებაც კი დიდ სიამოვნებას ნაჰეებდა, რომ მე ვიყავი ამ მოცახცახე, უმწეო არსების ერთადერთი მფარველი. იგი მე მეკუთვნოდა, მხოლოდ მე, მთელი თავისი არსებით, ფიქრით, განცდით, სხეულით. მე უნდა მეზრუნა, ეს ბედნიერებაზე და ეს ზრუნვა მანიჭებდა უზომო სიხარულს.

სამი დღე ნომრიდან არ გავსულვართ. საშველს ნომერშივე ვუკვეთავდით. ენით აუწერელი ყინი მიპყრობდა, მისი თვალები გაუთავებლად მეკოცნა, მისი ლაპარაკი გაუთავებლად მესმინა, მისი ცხელი სხეულით გაუთავებლად მეესუნთქა.

მხოლოდ მეოთხე დღეს გადავიხედე სასტუმროს ფანჯრიდან. მშვენიერი, გრილი საღამო იდგა. ქუჩა მანქანებით და ხალხით იყო სავსე. სასტუმროს წინ უცხოელები ირეოდნენ, ავტობუსებში სხდებოდნენ. გადაღმა, პატარა სკვერში ბავშვები თამაშობდნენ. მერხზე ჩამომჯდარი მოხუცები გაზეთებს და წიგნებს კითხულობდნენ. თან ცალი თვალი ბავშვებისკენ ეჭირათ. დასუქებული და დაზარმაცებული მტრედები გამვლელ-გამომვლელებს ფეხებში ებლანდებოდნენ.

სამი დღის მანძილზე სასტუმროს მყუდრო ნომერში გამოკეტილებს არც კი გვივრძვნია, რომ ჩვენს ირგვლივ რვამილიონიანი ქალაქი არსებობდა.

— ყველაც გითავდება, რამდენიმე დღე კიდევ გეყოფა.

ყავის ფინჯანი ტაბლაზე დადგა.

ლოგინზე წამოვჯექი და ფინჯანს დავწვდი.

— ცხელია, აცალე გაცივება.

ეკა სამზარეულოში გადის, თავისი ფინჯანიც გამოაქვს და ტაბლაზე დგამს.

ფინჯანი ხელში მიჭირავს, თან რაღაცას ვფიქრობ.

— ნოდარ, თვალები გაქეს დაწოლებული, სიცხე ხომ არ გაგიზომია?

— არა, ეგ უძილობის ბრალია.

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიკოსი მზის წელიწადი

— გინდა, წავიდე და გავიგო, რა ხდება აკადემიკოსის სახლში?

— ხომ არ გადაირიე!

— რა მოხდა, ქუჩაში ჩავიდეს უბრალოდ. თუ მილიციამ ან ვინმე მეზობელმა უკვე გაიგო, რაც მოხდა, იქაურობა ხალხით იქნება გაჭედილი.

— ნუ სულელობ. მჯერა, აკადემიკოსი თავის მოკვლის წინ მილიციაში დარეკავდა. შინამოსამსახურე ორი დღით ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად იმიტომ გაანთავისუფლა, რომ უეცრად შუბლგახვრეტილი აკადემიკოსის დანახვაზე შიშისგან სული არ გასცრობოდა. ჭილიციაში დარეკვის შემდეგ, ეადრაკისა არ იყოს, ყველაფერი უკვე ტექნიკის საქმეა. მილიცია მონასახეს შინამოსამსახურეს, ის ქალბატონი კი იტყვის, რომ ღამის თერთმეტ თუ თორმეტ საათზე, ხუსტად ვერ გეტყვით, მე, ნოდარ გიორგის ძე გელოვანი, მოხუცი მეცნიერის უსაყვარლესი მოწაფე, აკადემიკოსთან ერთად დამტოვა. ო, რა ბეერისმომქმელი ფაქტია ეს გამოუცდელი გამომძიებელისათვის. თვითმკვლელობის წინ სრულიად მარტონი იყვნენ კაბინეტში ჩაკეტილები აკადემიკოსი და მისი საყვარელი მოწაფე, უნ-ჭიერესი ფიზიკოსი და ექსპერიმენტატორი! ჩემს ნიჭიერებასაა და პიროვნებას ბოლუხვად გაბუქავენ, რადგან ეს ფაქტი უფრო დაძაბავს და საიდუმლოებით ადავსებს აკადემიკოსის თვითმკვლელობას. (ერთი ყლუპი ყავა) ყოჩაღ, კარგი ყავა მოგიხარშია. მაგრამ მივუბრუნდეთ საქმეს. ადამიანთა ცნობისმოყვარე გონებას მარტივი და ერთსვლიანი ტრაგიკული სიუჟეტი არ აკმაყოფილებს. თუ ისიც ვინმემ დაინახა, რომ ქვემოთ მანქანა მელოდებოდა, ხოლო მანქანაში ულამაზესი გოგო იჯდა (მეორე ყლუპი ყავა), მაშინ ხომ ათი დღის საკვები მაინც მივეცით ქალაქს (ვახველებ, ყავას ვაყოლებ. მესამე ყლუპზე ფინჯანი უკვე ცარიელია). მაგრამ როგორი იქნება მათი იმედის გაცრუება, როცა ბოლოს და ბოლოს, დღეი ძებნის შემდეგ მიაგნებენ ანდერძს. ეს ფარატინა ქაღალდი თურმე იქვე, მაგიდაზე იდო, საფანელზე ქვეშ. რას იზამ, ეკა, ასეთი ყრუ ადამიანის ბუნება. ვთქვათ, ავარიაში მოჰყვნენ უფროსი და მისი მძღოლი. ბედისწერას ვერ წაუხვალ, ხალხი ბუზებივით იხოცება ტრასებზე. ადამიანი უკვე შეეჩვია და შეეგუა ამ ტრაგედიას. ამიტომ ეს ფაქტი მხოლოდ ხაცობ-მეგობრებს თუ გააშწარებს. მაგრამ როდესაც ფაქტი ჩვენს გაზრდილ ცნობისმოყვარეობას არ აკმაყოფილებს, იგი სრულიად უბრალოდ შეიძლება აქცეო საინტერესოდ: საჭეს თურმე მძღოლი კი არა, თვითონ ტრესტის მმართველი უჯდა. თანაც დაიღუპა მძღოლი და დაიმტვრა ტრესტის მმართველი. ამ საქმეს, ჩემო კარგო, — მრავალმნიშვნელოვნად იტყვიან ნაცნობ-მეგობრები, თანაშშრომლები, — ცოტა სხვანაირი სუნი უდისო! აბა რა გგონია, ქალბატონო ეკა!

— დაწყნარდი, ნოდარ, რა გემართება, ასეთი აღზნებული არასდროს არ მინახიხარ.

— ფინჯანი გამომართვი.

ციცაბო მთის კალთებს ოცეციანი ექსპედიცია შესდგომია. ცხენებით, ვირებით, ზურგით მიაქვთ ფიცრები, ხელსაწყოები, ლოგინი, ჭურჭელი. მიდიან სამი ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე კოსმოსური სხივების ლაბორატორიის ასაშენებლად. ამ საცოდავ ფიცრულში, ასეთი ელფრადი სახელი რომ ჰქვია — „კოსმოსური სხივების ლაბორატორია“, უნდა აღმოაჩინონ მიკროსამყაროს ზემძლავრი და ზეშემღწევი ნაწილაკები, რომელთა ენერგიები ფანტასტიკური რიცხვით — ათეული მილიარდობით ელექტრონ-ვოლტით განისაზღვრება. მიდიან ენთუზიაზმით, იმედებით, გამარჯვების რწმენით ოსსავსენი, რომ ფარდას ახდიან საოცარ საიდუმლოს, აღმოაჩენენ სრულიად უცნობ ელემენტარულ ნაწილაკებს, უფრო ახლოს მიგლენ მატერიის პირველსაწყისებთან. ლევან გზირიშვილს, მომავალ აკადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკოს წყვილი მოუშვია. მაღალ, ტანხმელ, მზეზე გარუჯულ, ენერგიით და ხალისით სავსე ეაკაცს შვენის მწვანე ფერის სპეციანსაცმელი და ჯარისკაცური ბალინკები. რა იცოდა მაშინ, რომ ამდენი წლის შრომის, ამდენი უძილო ღამის, დაგლეჯილი ნერვების და ამოწურული ენერგიის საფასურად ტყვიის მიხლიდა შუბლში.

უცებ ფოტოსურათი მაგონდება. თვალებში შემომეკქარის ლამაზი ქალის ჭკვიანი, სევდიანი თვალები. ვინ იყო ეს ქალი? რა გრძნობა აკავშირებდა ლეკან გზირიშვილთან? რა ზეგავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე? რატომ გახსენდა სადღაც არქივში შენახული, გაყვითლებული ფოტოსურათი თავის მოკვლის წინ? იქნებ არც ჰქონდა არქივში, იქნებ სულაც საწერი მაგიდის უჯრაში ედო და ყოველ საღამოს ეტრფოდა მის სახეს?

„როდესმე გიფიქრია, ვინა ხარ შენ?“ — ყურში ჩამესმის აკადემიკოსის სიტყვები. მე ვეღარ ვხედავ მის მოტეხილ სახეს, თვალებში რომ სიკვდილი ჩასდგომია, მხოლოდ ხმა მესმის, თანაც ისეთი ადგზნებული კი არ ლაპარაკობს, როგორც წუხელ თავის კაბინეტში, თითქოს ჩამჩურჩულებს, ძალიან შორიდან, სხვა სამყაროდან ჩამჩურჩულებს: „მილიციისთვის შენ ხარ მოქალაქე ნოდარ გიორგის ძე ველოვანი; ჩემთვის თანამშრომელი, ნიჭიერი მეცნიერი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, კარგი და ალღიანი ექსპერიმენტატორი; მეზობლებისათვის ცოტა ცივი, მაგრამ ზრდილი და კორექტული ახალგაზრდა. იტობუსის კონდუქტორისათვის მგზავრი; ექიმისათვის პაციენტი. მაგრამ შენ თვითონ იცი, ვინა ხარ? რას წარმოადგენ, რა გინდა, რისკენ ისწრაფვი და რის საფასურად?“

— ეკა, წყალი!

თვითონვე შემეშინდა, როცა ყვირილს ნაცვლად ხავილი ამომივიდა ყელიდან.

შეშინებული ეკა სამზარეულოში გარბის და წყალი მოაქვს.

— სჯობია, ადგე, ნოდარ! ცივი შხაპი მიიღე, გამოვაცოცხლებს.

ორი ყლუპი წყალი რიყის კენჭებივით ჩამდის ყრონტში. სავსე ჭიქა ტაბლაზე დავდგი. ვიგრძენი, როგორ გავფითრდი. სუნთქვა აღარ მყოფნის, გული თითქოს ამოვარდასა ლამობს.

— ნოდარ, რა გემაერთება!

ბუნდოვნად ვსედავ ეკას შეშინებულ თვალებს და აკანკალებულ ყბას.

— ნოდარ, ნოდარ! — ეკა ლოყაზე პირტყაპს თითებს, ალმათ ჰგონია, გული მიმდის და გრძნობას ვკარგავ.

— ნოდარ, ნოდარ, ნოდარ! — ხმას თანდათან ემატება სასოწარკვეთილება.

— მე ნაძირალა ვარ, ეკა...

— ნოდარ... — ქალი თითქოს გააშეშა სრულიად მოულოდნელმა ფრაზამ.

— ჯერ არასდროს არ დაფიქრებულვარ, ვინა ვარ მე, — ხმადაბლა ვლაპარაკობ, მაგრამ სიტყვებს კბილებშუა ეცრი გამწარებული, — ჯერ ვერ მოვიცალე, ვადამეხედა განვლილი გზისათვის, რომ საფუძვლიანად განმესაჯა, ვინა ვარ მე. ახლა დავრწმუნდი. წუხელ დავრწმუნდი, ამ დილით, ამ წუთში დავრწმუნდი, რომ ელემენტარულად ნაძირალა ვარ და მეტი არაფერი.

— ნოდარ, დამშვიდდი! — ეკა ცდილობს ჩკერდში ჩამიკრას და დამამშვიდოს.

უხეშად ვიშორებ მის ხელებს, თვალები გადმოვარდნაზე მაქვს. ისევ გავიგონე ძარღვებში სისხლის წვივილი. თავის ქალა სადაცაა ამვარდება. გაშმაგებულმა საწოლზე წამოვიჩოქე და კედელს მუშტები მთელი ძალით დავუშინე.

— ნაძირალა ვარ, ნაძირალა, მე არა ვარ შენი სიყვარულის ღირსი! მე... მე... — სიტყვებს ვეღარ ვიგონებ და მუშტებს საშინელი სისწრაფით ვურტყამ კედელს.

ნინარა ფანჯიკიძე
აკაკიევრი მზის ფალიფადი

— ნოდარ! — ეკამ ისტერიული ხმით იკივლა და სახეში წყალი შემასხა.

ერთბაშად ვჩერდები, მუშტები კედელზე მრჩება. მიბჯენილი. თითქოს ამ შეკივლებამ გამომარკვია, იქნება ცივმა წყალმაც, თმიდან რომ მწვეთავს და კისერს და ზურგს რომ მისველებს.

— ნოდარ, ნუ შემშლი ჭკუაზე!

ეს მუდარაა, ოღონდ კილოში დამშვიდება იგრძნობა. მიხედა, გონს მოვედი.

საბოლოოდ ვწუნარდები და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვა — გამომძიებლის საანკეტო მონაცემები. უცებ მისი სახელი ერთბაშად სრულიად მოულოდნელად ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში.

პაუზა.

სიგარეტის კოლოფს დავწვდი.

მან ისევ მოსცა შამპანური და თვალი თითს მოავლო. ალბათ ფიქრობს, რომ ამ საცოდავ ერთოთახიანი ბინის მორთულობა გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ჩემს პიროვნებაზე, ხასიათზე, გემოვნებაზე და ა. შ. რაც არ უნდა იყოს, საკმაოდ პერსპექტიულ და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამეცნიეო წრეებში აღიარებულ ახალგაზრდა მეცნიერად ვითვლები.

სადოქტოროდ დაცული მაქვს, თანაც კარგი ორი წლის წინ. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს მეცნიერებისათვის, მაგრამ საკმაოდ ბევრს ნიშნავს გამომძიებლისათვის. მას, რასაკვირველია, უკვე იცის, რომ აკადემიკოსს უსაყვარლეა მოწაფე ვიყავი, რომ მის არაოფიციალურ მეკავდრედაც კი ვითვლებოდი აკადემიაში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

გამომძიებელმა დინჯად მოავლო თვალი ცხრამეტმეტრიანი დარბაზის აღმურვილობას და მზერა წიგნებით სავსე კარადასა და თაროებზე შეაჩერა.

უცებ საშინელი სურვილი გამიჩნდა, ბოდიში მოვეხადა ჩემი ბინის ღარიბული მოწყობილობის გამო, მის პროფესიულ ფანტაზიას რომ ვერავითარი მასალა ვერ მისცა.

ყველაფერი რომ ჩამოათვალიერა, მზერა რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილ და კედელზე ჭიკარტებით დამაგრებულ ფოტოტაფუდზე გადაიტანა, წელან რომ ვითომ უინტერესოდ შეხედა. უინტერესოდ, ალბათ პროფესიული თვალსაზრისით, როგორც ადამიანს კი, ეტყობა, მოეწონა ფოტოტიუდი. რაღა დაგიმალოთ. ბატონი გამომძიებელო, და მეც ძალიან მომწონს. თუმცა ამას რა განმარტება უნდა, თვითონაც შესანიშნავად მიხვდებოდით, რომ არ მომწონდეს, არც ჟურნალიდან მოკვრილი და, მით უმეტეს, არც კედელზე ჭიკარტებრგადაკრული. ახლა მეც გამომძიებელთან ერთად სიამოვნებით ვუყურებ ამ შეკვნილ ფოტოტიუდს. დიდებული კადრია. წინა პლანზე მოხუცი ქალები შეკავკაფულან და საცოდავად იყურებიან. ღამეკნარი სახეები გასასმობად ჩამოკიდებულ ხის სოკოებს მიეგებიან. მაგ ეკან ლამპაზი, ყელა ქალაშვილი მიაბიჯებს ლაღად. ბოჩარს ბაზოლიდ ღესერი და თავი. თვალნათლივ ეტყვის, როგორ ათამაშებს ნაცი მას ლამაზ, ოქროსფერ თმას. სახე სულყვარულით ფეთქავს. აკვიალი მისახვედრია, თავის გულისუბაჩს ხედავს. ვაჟი ფოტოგაფრში არ არის აღბეჭდილი, მაგრამ ქალაშვილის გამოსედვა გვაგრძნობინებს, რომ იგი აქვეა, სულ ახლოს და ალბათ ეკვე თვალებგაბერწყინებულიც მოემართება სატრფოს შესახვედრად.

ქალაშვილის ტანი არ ჩანს, მაგრამ ოსტატურად დაბერილი ეროვანერთი დეტალი გარკვნილინებს ძირწყლილი ქალების უკან მიმავალი ახალგაზრდა სხეულის პროპორციას და ბალერინებს: ესაა ქალაშვილის გრძელი, მუხლში ლამაზად მოხრილი უნაკლო ფეხი, მოხუცების კაბების შიშველ დარჩენილ ღრიჩოში რომ ბიბინაობს.

გამომძიებელმა ისევ მოსცა შამპანური, ეტყობა ესიამოვნა ან იმ ლამაზმა ქერა ქალაშვილმა აუშალა საღერღელი. ჭიქა თითქმის ბოლომდე დასცალა.

უმალვე შევუვსე და ყინული ჩავუმატე.

საუბრის დაწყებას კი აგვიანებს. ალბათ ვერ გამოძებნა ბუნებრივი დასაწყისი. ის, რაც წინასწარ, აქ მოსვლამდე მოიფიქრა, ჩემი ნაზისა და აქეთრობის დათვალიერების შემდეგ ალბათ შეესაფერისი ადარ ეჩვენა. თვალი გავუსწორე და სახეზე დავაკვირდი. საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურება. საშეკალზე ოდნავ ძალიანა. უკვე ეტყობა მესუქებული ფეხცელი. „ორმოცი წლის ლეცი-

ლებლად იქნება", — ვაზუსტებ გუნებაში გამომძიებლის ასაკს. სახე უფრო ახალგაზრდული აქვს, ამიტომაც მეგონა ჩემი ტოლი ან ჩემზე ცოტა მეტი. შესუქებულმა მეცელმა უფრო ნათელი გახადა მისი ხნოვანება. გუნებაში მეკითხება, — ვითომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს მისი ასაკის დადგენას!

— დღეის ოთხ საათზე დაკითხეთ აკადემიკოსის შინამოსამსახურე ქალი! — დიიწყო ბოლოს გამომძიებელმა.

მივხვდი, ყოველგვარ შესავალ საუბარზე უარი თქვა და პირდაპირ საქმეს მიადგა.

— როცა აკადემიკოსს იგი ორი დღით დაუთხოვია, თქვენ ამ დროს მასთან ყოფილხართ, კაბინეტში.

— დიახ, მე უშუალოდ შევესწარი ამ საუბარს.

— რა დრო იყო, თუ გახსოვთ?

— ზუსტად ვერ ვეტყვით. მგონი, თერმეტი საათი სრულდებოდა.

— კარგი იქნება, თუ უფრო ზუსტად გაიხსენებთ.

— ამას რამე პრინციპული მნიშვნელობა აქვს?

— შეიძლება სრულიად არაფერი უბრალოდ, ჩვენს საქმეს უყვარს სიზუსტე. მაშ ასე... (სიგარეტი), შინამოსამსახურე ამბობს, რომ თქვენ მარტო დარჩით აკადემიკოსთან. გთხოვთ გაიხსენოთ, რომელ საათზე დასტოვეთ მისი ბინა? ამ დროის სიზუსტეს უკვე აქვს მნიშვნელობა.

— ბატონი ბრძანდებით, აკადემიკოსს გამოვემშვიდობე ორის თხუთმეტ წუთზე, ხოლო მან თავი მოიკლა ზუსტად ორ საათზე.

— თქვენ ეგ საიდან იცით? — გაოცდა გამომძიებელი, თუმცა მერე შეეცადა ისეთი გამომეტყველება მიეღო, ვითომც ამ შეკითხვის პასუხი დიდად არც აინტერესებდა.

— ჯერ მე მინდა მოგცეთ ერთი შეკითხვა, თუ, რასაკვირველია, ამას ითვალისწინებს დაკითხვის პროცედურა! — „დაკითხვის პროცედურა" ცოტა ირონიული გამომივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონი ბრძანდებით.

— ძილიანად საიდან გაიგო აკადემიკოსის თვითმკვლელობის ამბავი?

— ვიღაცამ დარეკა, ვინაობა არ უთქვამს.

— მერე? რა გითხრათ?

— აკადემიკოსმა ლევან გზირიშვილმა თავი მოიკლაო.

— რომელ საათზე დარეკა?

— ზუსტად ორ საათზე.

— საქმეც ეგაა! — შევყვირე რაღაც უცნაური ხმით.

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ აქ ასაღლვებელს ვერაფერს ვხედავ.

— ასაღლვებელი შეიძლება მართლაც არაფერი იყოს, მაგრამ მე მაინც ძალიან ამაღლვა ერთმა ფაქტმა. გაძარცულდა ჩემი ვარაუდი. ამ ვარაუდს ჩემთვის მხოლოდ უბრალო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, არ ვიცი, თქვენთვის რამდენად იქნება საინტერესო.

— გამომძიებისათვის, მოგეხსენებათ, ყველაფერი საინტერესოა.

— საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მილიციაში თვითონ აკადემიკოსმა დარეკა, მერე კი თავი მოიკლა.

— თვითონ? — დაფიქრდა გამომძიებელი. — აღგილი შესაძლებელია.

პაუზა.

ორთავემ ერთდროულად წაიღეთ ხელი სიგარეტისაკენ.

— ერთი რამ მინდა გკითხოთ, ოღონდ ისე არ მიიღოთ ჩემი შეკითხვა. თითქოს თქვენში რაიმე ეჭვი მეპარებოდეს...

— ისე მივიღებ, როგორც შემკითხეთ.

— საიდან იცით, რომ ლევან გზირიშვილმა ზუსტად ორ საათზე მოიკლა თავი?

— ამ შეკითხვაზე პასუხის მოსაძებნად დიდი დრო არ დამეკარგება. როცა აკადემიკოსს გამოვემშვიდობე, წელან უკვე მოგახსენეთ, ორის თხუთმეტი წუთი იყო, იქნებ, თექვსმეტიც (ღიმილი). შემდეგ დაბლა ჩავედი და ჩემს მანქანაში ჩავჯექი.

— მანქანაში მარტო იყავით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— გადამწყვეტი არაფერი.

— ესე იგი, რაღაც მნიშვნელობა მაინც ჰქონია.

გამომძიებელი ღროდაღრო გრძნობს ჩემს ირონიულ ინტონაციას, მაგრამ არაფერს იმჩნევს.

— არაფერი არსებითი, ეს ყველაფერი კანცელარიული წვრილმანია. თუ არ გინდათ თქვათ, ვინ იყო თქვენთან ერთად, ნუ იტყვით.

— ყველაფერი რომ თავიდანვე ნაოლი იყოს, მოგახსენებთ, მანქანაში იჯდა ქალიშვილი, რომელიც მე მიყვარს. სხვათა შორის, მასაც ვუყვარვარ. კიდევ მეტი საკანცელარიო სიზუსტეა საჭირო?

— საწყენად არაფერი მითქვამს.

— არც მე მწყენია. ბარემ აქვე დავამთავრებ ჩემს მთავარ სათქმელს. ოღონდ წინასწარ გაფრთხილებთ, მოემზადეთ, ჩემი ინფორმაცია ძალზე გაგაოცებთ... თუ პროფესია და თანამდებობა ნებას გაძლევთ, შეგიძლიათ ემოციები დაუფარავად გამოხატოთ.

თვითონ მიკვირს ჩემი სიმშვიდე. თითქოს იმოდენა ვნებათაღელვა არც გადამეტანოს. სიგარეტს ვეწევი და გამომძიებელს თვალებში ვუყურებ.

— გისმენთ, მე უკვე მზად ვარ! — ამბობს ღიმილით.

— იუმორის გრძნობა გქონიათ, ეს კარგია, მაგრამ მე არ ვხუმრობ. რასაც ახლა გეტყვით, დაუჯერებელიც კი მოგეჩვენებათ. შეიძლება დანაშაულადაც კი ჩამითვალოთ. თქვენ გაინტერესებთ, საიდან ვიცი, რომ აკადემიკოსმა თავი ზუსტად ორ საათზე მოიკლა (რასაკვირველია, ჩემი საათით). ახლავე წვრილად მოგახსენებთ, მე ვიცოდი, უფრო ზუსტად, მე ვიგრძენი, რომ თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. გამომშვიდობებისას აკადემიკოსის თვალებში სიკვდილი დაგინახე. აღელვებული და სუნთქვაშეკრული დაბლა ჩავედი, მანქანაში ჩაეჯექი და მოთმინებით ელოდი, სროლის ხმას როდის გავიგონებდი.

— დაუჯერებელია!

— რა არის დაუჯერებელი?

— თქვენ იცოდით, ბოდიშს ვეკითხ[illegible] იგრძენით, რომ აკადემიკოსი, რამ[illegible] დაც მე ვიცი, თქვენი ხელმძღვანელი და საყვარელი ადამიანი, თავს მოიკლავდა, თქვენ კი შშვიდად ჩამოხვედით ქუჩაში, ჩაჯექით მანქანაში და მოთმინებით ელოდით, გასროლის ხმას როდის გაიგონებდით?!

— დიახ, თქვენ შესანიშნავად ჩასწვდით ეპიზოდის შინაარსს (რასაკვირველია, „ეპიზოდის შინაარსი“ ირონიულად ალერდა), მით უფრო საოცარია, რატომ მოგეჩვენათ დაუჯერებლად?

— როგორ, თქვენ იგრძენთ, რომ კაცი თავს იკლავდა (თვალებში მიყურებს და ხელს ტაბლაზე აფათურებს, ასანთს ეძებს). იმის ნაცვლად, რომ არ მიგეტოვებინათ, დაგეყვავებინათ, დაგეშშვიდებინათ, თქვენ მიატოვეთ და მანქანაში მოთმინებით ელოდით, თავს როდის მოიკლავდა?!

— ხომ გითხარით, ჩემს ნაამბობს მძაფრი რეაქცია მოჰყვება-მეთქი.

— რა იცოდით, რომ რევოლვერით მოიკლავდა თავს? — შეკითხვა ისე მომცა გამომძიებელმა, თითქოს რაღაც წინაღმდეგობაში დამიჭირა.

— ბატონო გამომძიებელო, თქვენს ხმას ცოტა სხვანაირი ინტონაცია შეეპარა!

— რა ინტონაცია? — დაიბნა გამომძიებელი.

— ისე მელაპარაკებით. თითქოს დამნაშავის დაკითხვას აწარმოებდეთ.

— მაპატიეთ, — გაღიმა გამომძიებელს და ახარტში შესული ისევ დაწყნარდა, — თქვენმა ნაამბობმა ისე ამაღელვა...

— მადროვეთ, ჯერ შეკითხვაზე გაგცემთ პასუხს. ლეკან გზიერშეილი დედაკაცივით ან ზიზოფრენიით დაავადებული ადამიანივით თავს არ ჩამოიხრჩობდა, არც საწამლავს დალევდა და არც ფანჯრიდან გადმოხტებოდა. რევოლვერი იმის დამთავრების შემდეგ აჩუქა ვიღაც მეგობარმა. — ნახევარ-

გიორგი ფანჯიკიძე
აკაკი ბაბილოდ
ბაბილოდ

ჯერ მთაში ხარ. ლაპორატორიაში. გამოგადგებაო. როგორც ხედავთ, გამოადგა...

— მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით, თუ ხმაში მარილა შემეპარა რაღაც ინტონაციები, ოღონდ გთხოვთ, კარგად გამიგოთ, უბრალოდ, ძალზე ამაღელვა ამ უჩვეულო ამბავმა. და კიდევ უფრო ამაღელვა — არა, სიტყვა „ამაღელვა“ ნაწყლობრიგადაც ვერ გამოხატავს ჩემს განცდას, კი არ ამაღელვა, აღმაშფოთა, თუკი ამ სიტყვას არ მიწყენთ, სულით ხორცამდე შემაძარწუნა თქვენმა საუკეთესომ. როგორ შეგეძლოთ თქვენ, აკადემიკოსის საყვარელ მოწაფეს, მიხვედრილიყავით მის განხრახვას და ასე უმოქმედოდ მჯდარიყავით მანქანაში, სანამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, სროლის ხმას არ გაიგონებდით? ორმოცდახუთი წუთი ელოდეთ ამ საბედისწერო გასროლას. ვთქვათ, მას თავი დილამდე არ მოეკლა. შეგეძლოთ დილამდე მჯდარიყავით მანქანაში, რათა დარწმუნებულიყავით თქვენი წინათგრძნობის უტყუარობაში და ასე გულჩელდაკრეფილს მშვიდად გეცქირათ, მოხუცი აკადემიკოსი როდის დაიხლიდა ტყვიას შუბლში? ნუთუ გულმა არაფერი გითხრათ, ნუთუ მოხუცი არ შეგებრალათ. ნუთუ ერთხელ მაინც არ დაგებადათ აზრი, დაგემშვიდებინათ, დაგეიმედებინათ, გაგემხნევებინათ თქვენი საყვარელი მეცნიერი? ვინ იცის, იქნება იმ ტრაგიკულ წუთებში ერთი თქვენი იმედიანი სიტყვა, ერთი თქვენი ხალისიანი გამოხედვა გონს მოიყვანდა და ეგებ აღარ გადაეედგა ეს საბედისწერო ნაბიჯი? ყველაზე მაინც ის მაოცებს, ამდენი ხნის მანძილზე როგორ შეგეძლოთ მოთმინებით დალოდებოდით ამ საშინელ თვითმკვლელობას! ნუ გეწყინებათ და, მე თქვენი მშვიდი, ირონიით თუ სარკაზმით შეზავებული ლაპარაკიც მიკვირს. თითქოს სრულიად უმნიშვნელო ამბავი მომხდარიყოს, თითქოს კაცს მხოლოდ თითი გაეჭრას. გულწრფელად გეუბნებით, არც კი მჯერა თქვენი ნაამბობი, გულის სიღრმეში იმედი მაქვს, რომ ხუმრობთ. თუმცა აქვე გამოგიტყდებით, თუ მართლა ხუმრობთ, დიდი ეჭვიანი ხუმრობა გამოგიგდიათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძიებელს სახეზე გულწრფელი მღელვარება ეტყობოდა. ერთხანს აღგზნებული მიყურებდა, თითქოს ჩემს თვალებში უნდოდა ამოეკითხა, ვხუმრობდი თუ მართალს ვლაპარაკობდი. მერე უცებ ჭიქას დასწვდა და შამპანურს ხარბად დაეწაფა.

გულზე ისევ ლოდივით დამაწვა სევდა. ძარღვები თითქოს დამივიწროვდა, სისხლს ადარ ატარებდა. ჰაერი არ მყოფნიდა. თავი დავღუნე, იატაკს დავჰერდი. მალე იატაკი თვალებით გავბურღე და შავი ქვესკნელი დავინახე. თუ გამომძიებელს ოღნავ მაინც შეეძლო ადამიანის სახეზე წაეკითხა, მის ტვინში რა დუღდა, მის არსებაში რა ბობოქრობდა, მაშინ ჩემს სახეზე სულ ოოლად წაიკითხავდა უზარმაზარ სევდას, სასოწარკვეთას, განსჯას, საკუთარ თავთან ბრძოლას და აი ვიცი, კიდევ რა უბედურებას, ჩემს შუბლზე და თვალებში რომ იყო ჩაბეჭდილი.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა. შეიძლება გამომძიებელი მიხვდა ან ქვეშეცნეულად იგრძნო, რომ ჩემი სულის უხილავ ძაფებს შეეხო, ალბათ დაინახა, ამ შეხებამ როგორ ამაფორიაქა, როგორ შემძრა სულით ხორცამდე. ამას მერე ვფიქრობდი, როცა გამომძიებელი წავიდა. მაგრამ რა მაწუხებდა? რა მტანჯავდა? იქნებ სინდისი მქენჯნიდა, რომ საყვარელი ადამიანის გადასარჩენად თითიც არ გავანძრიე? თუ უფრო ღრმა, უფრო შეუცნობელი ტკივილი მესიგრავდა გულს? ვითომ მიხვდა კი რამეს? ვითომ ინტუიციით მაინც იგრძნო რამე?

დუმილი.

მერე, ჩვეულებისამებრ, სიგარეტი.

უცებ გამომძიებელმა ყური ცქვიტა. მიხვდა თუ იაზრა, ჩემს ერთოთახიან სასახლეში კიდევ იყო ვიღაც. საბაბანოდან მხოლოდ ერთ წამს შემოიჭ-

რა მოშვებული წყლის ხმა. ეტყობა, ეკაძ აბაზანის კარი გამოაღო და ბერე ისევ მიხურა. უცებ ფრთხილი ნაბიჯების ხმაც გისმა. გამომძიებელს თვალები გაუფართოვდა. უკან არ ვიხედები, მაგრამ მივხვდი, მოხუცული კარის ღრიჭოში ეკა დაინახა. ვიცი, რა ეფექტსაც მოახდენდა გამომძიებელზე ჯინის შარვალში გამოკვართული ეკას ჰაეროვანი სხეული და წითელ პერანგზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმა (ალბათ მას ახლა პირსახოცი ეჭირა ხელში და თმას იშშრალებდა), მისი გრძელი და მეტყველი მკლავები, ერთი შეხედვით თითქოს ოდნავ უპროპორციო, მაგრამ სათნოებით და ამავე დროს ენერგიით და ენერგია სავსე საზე.

გამომძიებელმა ეკას მხოლოდ წამიერად მოჰკრა თვალი. ეს წამიერი შეხედვაც სავსებით კმაროდა, ქალიშვილს სილამაზე რომ შეეგრძნო. მისთვის უკვე ნათელი იყო, წუხელ ვინ იჯდა ჩემთან ერთად მანქანაში. ეკას სილამაზემ კიდევ უფრო მეტი ქნელა შემძინა გამომძიებლის თვალში. შემომხედა თუ არა, იმავე წუთში შეეგუესე ჩემს მიმართ მეტი მოკრძალება (გმადლობ, ეკა!).

— ორი მიზეზის გამო არ შეეუშალე ხელი აკადემიკოს ლევან გზირიშვილს განეხორციელებინა თავისი განზრახვა. მოდით, ნუ ვიჩქარებთ და ნუ დავარქმევთ ამ განზრახვას უგუნურს.

ისევ სიგარეტს მოვუკიდე, ყვითელი შხამი ნელ-ნელა, მდორედ დაიძრა ფილტვებისაკენ. მარცხენა თვალში ბოლი შემოვარდა, მუშტით მოვისრისე და გამომძიებელს ვვერფულად გამოვხედე. დაძაბული მომჩერებოდა. ნაოზი დავარტყი და სიგარეტი ზიზღით მოვისრისე საფერფლეზე.

— მერე? — მკითხა მოუთმენლად.

— დიახ, ორი მიზეზის გამო არ შეეუშალე ხელი. ჯერ ერთი, არ მიყვარს, როცა ჩემს საქმეში ერევიან და ბუნებრივია, მეც არასდრო ვერევი სხვის საქმეში...

დუმილი.

— მეორე მიზეზი? თქვენ ჯერ არ გინთქვამთ მეორე მიზეზი!

— მეორე?

შამპანურის ჭიქას დავხედე. ცარიელი იყო. უმალვე ბოთლს წაავლო ხელი და დამისხა, ალბათ ნეტარებდა, ყურადღება არ გამფანტეოდა და სათქმელი არ დამავიწყებოდა.

— მეორე მიზეზი უფრო სერიოზულია, კიდევაც რომ მომენდომებინა აკადემიკოსის პირად საქმეში ჩარევა, მაინც არაფერი გამომივიდოდა. უბრალოდ, უფლებას არ მომცემდა, ცხვირი ჩამეყო იქ, სადაც არაფერი მეკითხებოდა. ლევან გზირიშვილი არ იყო ისეთი კაცი, რაიმე პაიპარად გადაეწყვიტა. იგი არ იყო ის კაცი, ემოციური აფეთქება რომ აიძულებს თავის მოკვლას. არ იფიქროთ, ემოციური იმპულსის დაცხრომისთანავე შეცვლილა გადაწყვეტილებას. ლევან გზირიშვილი დიდი მეცნიერი იყო, დიდი პიროვნება. ჩვენს ტვინში არასდროს გაუვლია ისეთი აზრებს, მის ტვინში რომ მწიფდებოდა და იბადებოდა. ჩვენი გული არასდროს გადატვირთულა იმოდენა განცდებით, მისი გული რომ იტვირთებოდა. ჩვენ არასდროს არ ვმდგარვართ ისეთი დიდი, ტრაგიკული პრობლემების წინაშე, იგი რომ შესჭიდებია.

ჩვენ არასდროს არ ვმდგარვართ რუბიკონთან (გამახსენდა ლევან გზირიშვილის სიტყვები), ჩვენ არასდროს არ გვიგრძნია არც დიდი გამარჯვების სიხარული და არც დიდი დამარცხების სიმწარე. ჩვენი ემოციური იმპულსები ძალზე მცირეა და უმნიშვნელო აწ გარდაცვლილი აკადემიკოსის ემოციურ დატვირთვებთან შედარებით. განა ჩვენ შეგვიძლია აწწონ-დაწწონოთ და შეავფასოთ მისი მოქმედება? განა შეგვიძლია, განესაკოთ მისი გადაწყვეტილება ან ხელი შეეუშალოთ განზრახულის შესრულებაში? სასაცილო იქნებოდა ეს, ბატონო გამომძიებელო! ისეთი ადა-

მიანების მსაჯულად, როგორიც აკადემიკოსი ლევან გზირიშვილი იყო, მე და თქვენ ვერ გამოვდგებით სრულიად უბრალო და მარტივად გასაგები მიზეზის გამო. ჩვენ არ შეგვწევს უსარი, ჩავიხედოთ მათი სულის უსიერად ხვეულებში. ლევან გზირიშვილმა თავის მოკვლა გადაწყვიტა! რა უფლება მქონდა მე, — ნოდარ გელოვანს, — მისთვის ხელი შემეშალა, მე არ შემწევს უნარი, შემოფსებინა მისი გადაწყვეტილების ეპიმარტება!

ვიგრძენი, თვალები როგორ წამომენთო, ფეხზე წამოვდექი და ბოლთის ცემას მოვყევი.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რამ მიიყვანა ამ უკიდურეს გადაწყვეტილებამდე? ჰქონდა რიმე მიზეზი ან დიდი სატკივარი?

— ჩემთვის ბევრი რამ ნათელია, მაგრამ განა საკმარია ამაზე ლაპარაკი? თუ მას ჰქონდა სურვილი, გაემჩილა თავისი უბედურების მიზეზები, მოახერხებდა ქაღალდზე მათ ჩამოყალიბებას.

— გამიგეთ, მარტო ჩემი ცნობისმოყვარეობა როდი მალაპარაკებს. სამინისტრომ ოფიციალურად დამავალა ამ საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა. ლევან გზირიშვილი დიდი მეცნიერი იყო, დიდი ფიზიკოსი, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურა საბჭოთა მეცნიერებაში. რამდენადაც მე ვიცი, მუშაობდა მიკროსამყაროს სფეროში. ვერ დავიტრაბახებ, კარგად მესმოდეს, რა არის ეს მიკროსამყარო ან ელემენტარული ნაწილაკები, მაგრამ ზოგადად ვიცი, რომ იგი ფიზიკის ხვალინდელი დღეა. ეი აი, მეცნიერი, ჩვენს ქვეყანაში ბევრია თუ არა, ერთ-ერთი პიონერი ამ დარგისა, კაცი, რომელსაც არ აკლდა დიდება, პატივი და აღიარება, მოულოდნელად იკლავს თავს. ამ უცნაური თვითმკვლელობის ირგვლივ ითასი შეკითხვა შეიძლება დასვას და ითასივე პასუხს მოითხოვს. ვიცი, ყველაზე უფრო თქვენ შეგწევთ უნარი, გამარკვიოთ ამ საიდუმლოებით მოცულ საქმეში.

— ეგ თითქოს ადვილი ამბავია, ... დროს, ძალიან ძნელიც (ძმიძეულ ვეშვები საკარძელში). მაინც შევეცდები ცოტა რამ გიამბოთ და ამ ამბის თაობაზე ჩემი შეხედულებანიც მოგახსენოთ. მივხვდი, აკადემიკოსის თვითმკვლელობა მარილაც ითასი რაშის გამო გაინტერესებთ. თუნდაც დიდ მეცნიერს ხომ არავინ მოუწყო შახტაკი? ავიღოთ კიდევ უფრო გაბედული ვარაუდი, — მოხუც აკადემიკოსს ხომ არავინ მოპპარა რაიმე დიდი აღმოჩენა? რასაკვირველია, ამ მოპარვაში მე და თქვენ პლაგიატს კი არა, უცხოეთის დაზვერვას ვგულისხმობთ.

— ასე მარტივად ნუ გამიგებთ, მეცნიერის შინაგანი მექანიზმიც ძალიან მაინტერესებს.

— ეგ უკვე როგორც ადამიანს და არა როგორც სახელმწიფო გამოძიებელს. მოდით, ამაზე ნუ ვიდავებთ. დალიეთ შამპანური. კიდევ მაქვს რამდენიმე ბოთლი. ყინულსაც ახლავე მოგართმევთ.

ცარიელი ბოთლი და ყინულის ჯამი სამზარეულოში გავიტანე. ეკა ჩემს პერანგებს აუთოვებდა.

— ხომ არ დაიღალე? — თმა ავუწიე და კისერზე ვაკოცე.

— პირიქით, მეც არანაკლები ინტერესით გისმენ. გული იმაზე მწყდება, რაც ბაზანაში ყოფნის დროს ვერ მოვისმინე.

— არაფერი დაგიკარგავს, მთავარი აწი იწყება!

შამპანურის ბოთლსა და ყინულს ტაბლაზე ვდგამ.

— ნუ გახსნით, მე ალარ დავლევ.

— იყოს გახსნილი.

— განაგრძეთ, სჯობია, ილაპარაკოთ.

— დავიწყოთ ძალიან შორიდან (ბოთლს მაინც ვხსნი), დავიწყოთ იმ უძველესი დროიდან, როცა ბერძენმა მატერიალისტებმა პირველად იხმარეს სიტყვა ატომი. ვერ გავბედავ აგიხსნათ, რომ სიტყვა ატომი ნიშნავს განუყოფელს. ეს იყო დიდი აღმოჩენა — მან გაუძლო ოც საუკუნეს. იმავე დროა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენებული დიდი აღმოჩენა მცდარი გახლდათ. „განუყოფლობა“ ანუ ატომი — დამეთანხმებთან, სიტყვა „ატომი“ უფრო მეცნიერულად ჟღერს — ორ იდეას ატარებდა: პირველი იყო მატერიის დანაწევრებული, მაგრამ ურთულესი აღნაგობის იდეა, ხოლო მეორე — პირველსაფუძვლების განუყოფლობის იდეა.

ოცი საუკუნე ვახდა საჭირო, რომ გაფანტულიყო ატომის განუყოფლობის მითი. მეცნიერებმა დაადგინეს ატომის ბუნება და რა აღმოჩნდა? თვითონ ატომი ყოფილა მთელი სამყარო. ჯერ მისი შემადგენელი ნაწილები ელექტრონები, პროტონები და ნეიტრონები აღმოაჩინეს. შემდეგ დაასკვნეს, რომ ეს იყო მატერიის პირველსაფუძვლები და მათ ელემენტარული ნაწილაკები უწოდეს. წელან თქვენ ახსენეთ ელემენტარული ნაწილაკები და ისიც დასძინეთ, კარგად არ მესმის, რა არისო ელემენტარული ნაწილაკები. ამჟამად ამ ნაწილაკების რიცხვმა ორასს საგრძნობლად გადაჭარბა და ძეხორცელმა არ იცის, ექნება თუ არა მათ დასასრული.

რენტგენის სხივებისა და რადიოაქტიურობის აღმოჩენამ ახალი თავსატეხი გაუჩინა ფიზიკოსებს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ რენტგენისა და რადიოაქტიური ელემენტების ყველანაშემდწევი სხივები წარმოიქმნებოდა ატომგულის ახლოს უზარმაზარი სისწრაფით მქროლავი ელექტრონების დაბეგრუბებით. გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

— დაახლოებით მესმის ყველაფერი, ოღონდ ვერ მივმხვდარვარ, რა კავშირი აქვს რენტგენის სხივებს ლეგან გზირიშვილის თვითმკვლელობასთან.

„რენტგენის სხივები“ იმიტომ ახსენა, რომ ამ სხივების თვისებები და ბუნება ისე თუ ისე იცოდა.

— პირდაპირი კავშირი, ბატონო გამომძიებელო, პირდაპირი კავშირი! ოღონდ, თუ აკადემიკოსის თვითმკვლელობის ამბავი ნამდვილად გაინტერესებთ, მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ, თუ შეხსენერება არ მოგიტანს, მგონი, გაფრთხილეთ, ყველაფერი შორიდან უნდა დავიწყო-მეთქი.

— გისმენთ! — თქვა გამომძიებელმა და უხერხულადაც შეიშმუშნა, ვატყობდი, აშკარად არ მოსწონდა ჩემს მიერ პათეტიკურად წარმოთქმული „ბატონო გამომძიებელო“.

— დიახ, მეცნიერები ჯერ კიდევ გუშინ არ იცნობდნენ ატომის აგებულებას, არ იცნობდნენ არც მის შინაგან ბირთვს და მის ელექტრონულ გარსს. მოგვიანებით ერთ რამეს კი მიხვდნენ, რაღაც უხილავი წყარო თავისი არსებობის საგნალებს იძლეოდა. შემდგომში კიდევ ერთმა უჩვეულო ამბავმა იჩინა თავი. ლაბორატორიაში დამუხტულ ელექტროსკოპებს სტოვებდნენ ჰერმეტულ ჭურჭელში. ჭურჭელი თავის მხრივ ნეიტრალური გაზებით იყო სავსე. საიმედო იზოლაცია გარანტიას იძლეოდა, რომ ჰერმეტულ ჭურჭელში ვერაფერი შეიპარებოდა, მაგრამ ხდებოდა საოცრება. დიახ, საოცრება. რაც დღეს უკვე ჩვეულებრივი და დაკანონებული ამბავია, ერთ დროს საოცრება გახლდათ. ასეა, ყოველი აღმოჩენა შემდგომ ყოველდღიური, ბანალური ეშმაკობებადაც კი იქცევა ხოლმე. ელექტროსკოპი განმუხტული ხვდებოდათ. რაღაც უცნობი დამუხტული ნაწილაკები მაინც იპარებოდნენ ჰერმეტულ ჭურჭელში.

საიდან ჩნდებოდა იზოლირებულ ჭურჭელში ეს დამუხტული ნაწილაკები? შევეცდები, რაც შეიძლება მარტივად აგიხსნათ ამ საიდუმლოების არსი. არავის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა, ოღონდ ერთი უტყუარი ფაქტი მაინც არსებობდა — ჭურჭლის ირგვლივ ყველგან შეღწევადი ზეენერგიული სხივები დაჭქონდეს. ლეგან გზირიშვილმა კამერას ტყვიის სქელი ფურცლები შემოაყრა. ტყვია, ალბათ თქვენთვის ცნობილია, შთანთქავს რენტგენისა და რადიოაქტიური ელემენტების სხივებს

ბუბუნა ფანჯიკიძე
აკადემიკოს ბუბა ფანჯიკიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ელექტროსკოპს რენტგენისა და რადიოაქტიური ელემენტების სხივები გ�-ნმუხტავდა, ახლა, როცა იზოლირებული ჭურჭელი ტყვის სქელ ფურცლებში მოთავსეს, იგი დამუხტული უნდა დარჩენილიყო. მოჩდა საოცრება, ელექტროსკოპის ლითონის ფირფიტები მაიიც განმუხტა.

ამ მოვლენამ ყველა აღელვა. აშკარა იყო, არსებობდა ყველგან შემდწევი ზენეგრგიული სხივები. მასთან რენტგენისა და რადიოაქტიური ელემენტების სხივები სინლიერით ახლოსაც ვერ მივიდოდნენ. ბუნებრივია, ყველას სტანჯავდა ფიქრი, განესაზღვრა უცნობი ნაწილაკების ენერგია და, რაც მთავარია, აღმოეჩინა, საიდან მოდიოდნენ ეს სხივები, რა იყო მათი წყარო. ჯერ იფიქრეს, დედამიწის გულიდან ხომ არ გამოისხივებიანო. შემდეგ ცდა მთაში ჩაატარეს — მარტო ლევან გზირიშვილის ცდებს როდი ვგულისხმობ — სხივების ინტენსივობა გაიზარდა. დღესავით ნათელი გახდა — სხივები კოსმოსის სიღრმიდან მოედინებოდნენ. უცვე იქვე დაიბადა შეკითხვა. მატონო გამომძიებელო, გთხოვთ კარგად შეაფასოთ ამ შეკითხვის არსი და მნიშვნელობა — ხომ არ იყო ეს სხივები მატერიის პირველსაფუძვლები?

შემდგომში გაირკვა ერთი რამ — ჩვენამდე მოსული კოსმოსური სხივები იყვნენ მეორადი სხივები. ისინი წარმოიქმნებოდნენ დედამიწის ატმოსფეროსთან შეჯახების შედეგად. გაჩნდა ახალი ვარაუდები — კოსმოსიდან მოსული უცხო სტუმრები ხომ არ იყვნენ ზენეგრგიული ფოტონები? ეს ვარაუდი არ დადასტურდ.. შემდეგ ფიქრობდნენ, რომ კოსმოსური ზენეგრგიული სხივები ელექტრონებს წარმოადგენდა. არც ამ თეორიის მომხრენი აღმოჩნდნენ მართალნი. მხოლოდ ამ ოცი წლის წინ დადგინეს, რომ კოსმოსიდან მოფრენილი სტუმრები გახლდნენ პროტონები. თავის მხრივ, ატმოსფეროს სიღრმეში პროტონების შემოკრა წარმოშობდა მეორად ნაწილაკებს, რაც ნათელს ჰფენდა მისი სტრუქტურის საიდუმლოებასაც. ეს ღელავთ, მატონო გამომძიებელო, ელემენტარული ნაწილაკების აღმოჩენის დიდი და საინტერესო ისტორიის ასეთი ფრაგმენტული გადმოცემის შემდეგ ისევ დავუბრუნდები აკადემიკოს ლევან გზირიშვილს. უფრო სწორად, უკვე მივედით ლევან გზირიშვილის მოდვაწეობის ყველაზე საინტერესო პერიოდამდე. იგი დაწერშენდა, რომ დიდი საიდუმლოებასთვის უნდა აეხადა ფარდა. ლევან გზირიშვილი ფიქრობდა, რომ აღმოაჩენდა ახალ, მანამდე უცნობ ნაწილაკებს. იმ წლებში ატომის შემადგენელი ნაწილებიდან ცნობილი იყო მხოლოდ ელექტრონი, პროტონი, ნეიტრონი, სინათლის მასა — ენერგიის წარმომადგენელი ფოტონი და დადებითად დამუხტული ელექტრონის ტყუპისცალი — პოზიტრონი. თუ რამე ვერ გიგია, შემეკითხეთ, ნუ მოგერიდებათ.

— განაგრძეთ, მე დაახლოებით ვწვდები საქმის არსს.

— მაშინ თავს აღარ შეგაწუხებ ნაწილაკების აღმოჩენის შემდგომი ისტორიით. თუმცა აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მეზონები. ისინი 1940 წელს აღმოაჩინეს. ელემენტარული ნაწილაკების ოჯახი გაიზარდა კიდევ ორი წევრით — დადებითი და უარყოფითი მეზონით. ლევან გზირიშვილი საოცარი ენერგიით შებმია მუშაობას. მე მაშინ, საბავშვო ბაღში დავდიოდი, როცა კაკელსიონის ერთ ლაბან ქედზე აიგო ლაბორატორია. იგი თავდაპირველად ფიზიკურულ ქოხს უფრო ჰგავდა, გვიყვებოდა შემდგომ ლევან გზირიშვილი. სახელი კი ძალზე ყღერადი ერქვა — კოსმოსური სხივების ლაბორატორია. სიუჟეტს აღარ გადაკტივრთავ დეტალებით, ოღონდ თქვენი ფანტაზიისთვის მომიბ-დვია წარმოიდგინოთ, რა ტიტანური შრომის ფასად იქცა ეს ქოხი ნამდვილ მეცნიერულ ლაბორატორიად და — როგორც ჟურნალისტებს უყვართ გამოთქმა — მეცნიერთა კადრების ნამდვილ სამეკედლოდ. დაიწყო დაუღალავი მეცნიერული კვლევა-ძიება. ყველანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობდნენ, ბუნების დიდი საიდუმლო იქვე დაჰქროდა, მათ ირგვლივ, მაგრამ რაოდენ ძნელი იყო მისი დანახვა, მისი ბუნების სიღრმეში ჩაწვდომა. ყველანი გრძნობდნენ, რომ ორდინარულ პრობლემას კი არ იყვნენ შეჭიდებულნი, ბუნების პირველსაფუძვლებს ეძებდნენ, მატერიის არსში ჩაწვდომას ცდილობდნენ. ლევან გზრიშვილმა და მისმა თანამოსაგრეებმა მასათა სპეკტრის დიაგრამა გამოსახეს. თეორიულად იცოდნენ, რომ მრუდზე ელექტრონების პიკებს გარდა უნდა ყოფილიყო მეზონებისა და პროტონების პიკები. მათ შორის კი მრუდი უნდა ჩაღრმავებულიყო (ვდგები, საწერი მაგიდიდან ფურცელს და კალმისტარს ვიღებ, მრუდს ვხაზავ და გამომძიებელს ვაწვდი), აი ასე, როგორც ამ დიაგრამაზეა გამოსახული. მოხდა სულ სხვა რამ; კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებული დიაგრამა მთლიანად ანგრევდა მათ ვარაუდებს და თეორიულ მოსაზრებებს. მეზონებსა და პროტონებს შორის რამდენიმე პიკი კიდევ აღმოჩნდა. აქედან დაიწყო ლევან გზრიშვილის ენერგიადაღლილი. მთელი ლაბორატორია ციებცხელებამ შეიპყრო. ხომ არ იყო პატარა პიკების ერთობლიობა კოსმოსურ სხივებში არსებული სრულიად ახალი ელემენტარული ნაწილაკების გამოსახულება? რაკი ფსიქოლოგიურად გონება უკვე მომწიფებული გახლდათ დიდი მასშტაბის სიახლეებისათვის, მოსაზრებები და ვარაუდები კიდევ უფრო შორს მიდიოდა — ეს უცნობი ნაწილაკები ხომ არ იყო სამყაროს, მატერიის პირველსაფუძვლები? მე თანდათან ვუახლოვდები ტრაგიკულ ფინალს. მოდით, სანამ მოხუცი აკადემიკოსის დიდი ტრაგედიის უკანასკნელ აქტს წარმოვიდგენთ, მისი ხსოვნისა დავლიოთ.

გამომძიებელი უხმოდ სვამს, მხოლოდ მისი თვალები ამბობენ, ღმერთმა განაათლოსო.

— ხომ არ დაიღალეთ?

— პირიქით, პირიქით, გთხოვთ გააგრძელოთ.

სახეზე ეტყობოდა, საშინელმა ცნობიერებამ ყველაფერი შეიპყრო. თან ვგრძნობ, ჩემს მიმართ უფრო და უფრო მოკრძალებული ხდებოდა. ალბათ თავისი პრაქტიკის მანძილზე პირველად ისმენდა სრულიად განსხვავებულ საუბარს, რომელიც აშკარად არ ეტეოდა ჩვეულებრივ დანაშაულთა ჩარჩოში თუ კატეგორიებში.

— შემდგომში გაირკვა, რომ მთელი ეს დიაგრამები, უცნობი ელემენტარული ნაწილაკების გამომსახველი პიკები იყო მირაჟი, ილუზია. გაუკვირდა შეცდომის აღიარება და უიღბლობასთან შეგუება. თავს ზემოთ ძალა არ არის, ჭეშმარიტება არის ჭეშმარიტება. საშინელმა მარცხმა ლევან გზრიშვილს დიდი სულიერი ტანჯვა მოუტანა.

— ხომ არ შეიძლება ყოველი ექსპერიმენტი გამარჯვებით დამთავრდეს. საწყენია, როცა ამდენი შრომა წყალში გადაგეყრება, მაგრამ თავი მაინც არ უნდა მოიკლა.

— მართალი ბრძანდებით, ყველა ექსპერიმენტი გამარჯვებით ვერ დამთავრდება. ალბათ დამავიწყდა მეთქვა, სანამ მირაჟი გაქრებოდა, ლევან ზგრიშვილის „პიკებმა“ მთელი მსოფლიო აალაპარაკა. აირჩიეს აკადემიკოსად, იწვევდნენ სიმპოზიუმებზე, ერთი სიტყვით, ლევან ზგრიშვილის სახელი ქვეყნის ქვეყნამდე ჰქუხდა. მისი პიროვნება თანდათან გაეხვია ლეგენდარულ სამოსელში. ბატონო გამომძიებელო, თქვენ იცით, რას ნიშნავს მარცხი მაშინ, როცა გამარჯვების კვარცხლბეკზე დგახარ? თანაც როგორი მარცხი, სრული გაქარწყლება ყოველი იმედისა. გგონია, მიაგენი სამყაროს ინაგობის ურთულეს სტრუქტურას, გგონია ფარდა ახადე საოცარ საიდუმლოს, მთელმა მსოფლიომ ყურადღებით მოგაპყრო თვალი და უცებ ხელში შეგრჩა მხოლოდ მირაჟი...

პაუზა.

---

ჯურაბ ფანჯიკიძე
აკტიური მზის წ�იწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძიებელს ცარიელი ჭიქა ხელში უჭირავს და ტაბლაზე დდება ვერ მოუფიქრებია. არც დუმილს ირღვევს. ოღონდ მისი თვალები მეხვეწებიან, ბარემ დაამთავრე სთქმელითო.

— შემდგომში გამოირკვა, რომ მეზონების დაშლის შედეგად ატომოფეროს ზედა ფენებში წარმოიქმნება პი-მეზონები. მისი წარმოქმნის საიდუმლო დღეს ძალიან მარტივი გვეჩვენება და საერთოდ, მეცნიერული აღმოჩენა ყოველთვის იოლი და მარტივი გვონია მას შემდეგ, როცა აღმოაჩენ. კოსმოსში ხდება მეზონების „დაბომბვა“ პროტონებით. ხედავთ, დღეს სულ ხუთი სიტყვაა საკმარისი ამ ურთულესი მოვლენის ასახსნელად. სწორედ ამ პი-მეზონებმა შექმნეს ბორცვები პეზონებსა და პროტონებს შორის. ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა (მიყვარს გამოთქმა — დღესავით ნათელი გახდა), დღესასწაული სასოწარკვეთილებამ შესცვალა. პირველი რანგის აღმოჩენა ილუზიად იქცა. ყველაზე გულსაკლავი ალბათ მაინც მოწინააღმდეგეთა დამცინავი ღიმილი და მეცნიერულ ლიტერატურაში ალაგ-ალაგ გაბნეული ირონიული ფრაზები იყო.

ჩემს კოლოფში სიგარეტი გამოლეულა. გამომძიებელი უმალვე თავისას მიწვდის.

— შეიძლებოდა თუ არა გვეთქვა, — განვაკრძე ღრმა ნაფაზის შემდეგ, — რომ ლევან გზირიშვილმა პირველმა პიაკვლია მეზონებს და მის მრავალრიცხოვან ოჯახს? აკადემიკოსი ამ აღმოჩენის ზღურბლზე იდგა. ბუნებრივია, მეზონების ოჯახის აღმოჩენა არ იყო იმ რანგის მეცნიერული სასწაული, კოსმოსურ სხივებში ახალი, სრულიად უცნობი ელემენტარული ნაწილაკების არსებობა რომ მიეკვლია. მაგრამ, თავისთავად, მეზონების ოჯახის აღმოჩენა და ექსპერიმენტით დადასტურება ლევან გზირიშვილს მსოფლიო სახელს დაუკავიდრებდა. სამწუხაროდ, იგი დიდხანს ვერ შეეგუა მარცხს. ზნოლოდ სულიერად ძლიერ, რკინის ნებისყოფიან ადამიანს შეეძლო გადაეტანა ის დიდი დარტყმა, ლევან გზირიშვილმა რომ გადიატანა. თუმცა შოკიდან დიდხანს ვერ გამოვიდა. ჯიუტად ცდილობდა დამტკიცებინა პატარა პიკების არსებობა, ჯიუტად ცდილობდა აღმოეჩინა ბუნებაში არარსებული ელემენტარული ნაწილაკები. ბოლოს და ბოლოს, როცა დარწმუნდა თავის შეცდომაში, ყველაფერი გვიან იყო. მეზონების ოჯახი უკვე მიკვლეული და აღმოჩენილი გახლდათ. ერთი სიტყვით, ლევან გზირიშვილის მიერ შემჩნეული მეზონების აღმოჩენის და ექსპერიმენტით დადასტურების სიხარულიც სხვისი კუთვნილება გახდა. ასე დაინგარა ოცნების კოშკი. ტრიუმფი შეცვალა სასტიკმა მარცხმა. ოცნების კოშკიდან კი, ერთი მშვენიერი ფიზიკოსის და მწერლის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ნანგრევები არ რჩება.

პაუზა.

— არ ვიცი რამდენად გასაგებად ვილაპარაკე, რამდენად გავეცი პასუხი თქვენს შეკითხვას.

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ბევრი რამ არის გასაგები. მაგრამ... (ბჭრეს იჩეჩავს) მაინც ვერ მივხვდი, რამ აიძულა, თავი მოეკლა. აბა ჩვენ რა ვქნათ, უბრალო ადამიანებმა, ვისაც არ შეგვწევს უნარი მაღალი რანგის მეცნიერული აღმოჩენებით მსოფლიო გავაოცოთ, თავი უნდა მოვიკლათ? ბოლოს და ბოლოს, ლევან გზირიშვილს უამრავი დამსახურება ჰქონდა და კიდევ შეეძლო ბევრი სასარგებლო საქმე გაეკეთებინა.

— დიდი გემი ნაკადულში ვერ იცურავს. მოდით, ჩვენ, „უბრალო ადამიანები“, როგორც თქვენ ბრძანეთ, ნუ განვსჯით ლევან გზირიშვილისთანა ადამიანების მოქმედებას. მან მეცნიერებას შესწირა ყველაფერი; არ შეუქმნია ოჯახი, არ უჭირუნია აბქეყნიერ სიამოვნებაზე, იქნებ არც კი დაფიქრებია საოცნებო და სათაყვანო ქალის საყვარულით. **მისი აზრი, ნიჭი და ენერგია სამყაროს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლოებათა ამოხსნაში გაიხარა უკანასკნელ ერგამდე (ალბათ სკოლიდან ემახსოვრება, რა არის ერგი). არ დიზოგა არც ნიკი, არც დრო, არც ახალგაზრდობა, არც ჯანმრთელობა. როცა ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა, აკადემიკოსის ცხოვრებამ ახრი დაკარგა. ვფიქრობ, გაუგებარი არაფერია. ჩემს ნაამბობს ერთ სიტყვასაც ვეღარ დაუმატებ.

გამომძიებელს რაღაც უნდოდა ეთქვა, ვერ მოასწრო, კარმა გაიჩრიალა და ეკა შემოვიდა. ალბათ მიხვდა, საუბარი [illegible] სასურველს რომ უახლოვდებოდა დაწყვეტა შემოგვიტანა.

იქნებ ეს ყველაფერი სიზმარია? გრძელი, საშინელი სიზმარი?

იმედი უნუგეშოდ მიპყვება სიგარეტის ბოლს.

ყრონტში ისევ ვგრძნობ ყვითელი შხამის ბლანტ სითხეს.

## თავი მეექვსე

აღარ მახსოვს, მესამე ჯიქა დავლიე თუ მეოთხე. ყინული უკვე ჩამდნარიყო შამპანურში. ჭიქა ერთხანს ხელში ვატრიალე და ჩარჩენილ ორ ყლუპს გალეული ყინულის ნაჭრებიც ზედ მივაყოლე. მერე სკამის საზურგეს მივაწექი და ზურაბს თვალებში შევეხედე. ეგრძობოდი, უკვე მეკიდებოდა. გამიკვირდა, სულ ერთი ბოთლი დავლიეთ. ეტყობა, კიდევ ვერ გამოვედი იმ საღამოს შოკიდან. დროდადრო გულიდან ტკივილი მეწსნება, ძველებურად მშვიდი და აუღელვებელი ვხდები, შემდეგ, ვერც კი ვატყობ, როდის მივიწროვდება ძარღვები. ერთ ბოთლ ღვინოს ორი კაცისთვის რა უნდა ექნა. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს და იოლად იმიტომ მერეკა სასმელი. დიახ, ვიგრძენი რომ შამპანური მეკიდება. სასიამოვნო განცდა თანდათან მეუფლება. ძარღვები მიფართოვდება. ახლა ჩემი სისხლი ლაღად ბრუნავს ალკოჰოლით გამსუბუქებულ ორგანიზმში. სამწუხაროდ, მეტი ღვინო აღარა მაქვს. ზურაბის ოთხკუთხედი, ბრტყელი და გადატკეცილი შუბლი კიდევ უფრო პრიალა მეჩვენება. მისი უსიძპპაიო თვალები საწყალობლად მომჩერებიან, თითქოს მეკედრებიან კიდეც. არა, უფრო ერთგულებას, მეგობრობას მიმტიცებენ.

შამპანური კი ნამდვილად აღარა მაქვს. მაღაზიაში ჩასვლა არც მიფიქრია. ჯერ ერთი, ზურაბთან დალევა არ მსიამოვნებს. მე, უბრალოდ, სხეული მთხოვდა ცივ, ლიმონიან შამპანურს. ლიმონი ამ დროს არ იშოვება. იძულებული ხარ, მარტო შამპანურით და ყინულით დაკმაყოფილდე.

ნაღვლიანად ჩავცქერი **ცარიელ ჭიქას**. ჩემს თაფზე გული მომდის, ხომ ვიცოდი, რომ ერთი ბოთლის მეტი აღარ მქონდა, ჩავსულიყავი და მეყიდა. ზურაბი რადაცას მეტეუტურება. ყურს არ ვუგდებ. დროდადრო მაინც ჩამესმის მისი შეწუხებული ხმა.

რა კარგი კაცი იყო (ალბათ ლევან გზირიშვილი), ახლა რა უნდა ვქნათო, მაინც როგორ მოიკლა თავი (ეჰვი არაა, ლევან გზირიშვილზე ლაპარაკობს). არა, მე მესმის შენი და აბსოლუტურად გამართლებო. ან კი რა უფლება გქონდა, პროფესორის საქმეში ჩარეულიყავიო. ახლანდელი გამომძიებელი, ისიც ახალგაზრდა, ამას რას მიხვდებოდაო.

უცებ გონება მინათდება, — სამზარეულოში, პატარა ქილებს უკან ერთი ბოთლი კონიაკი უნდა იდგეს — „ვარკახე", მარკაც კი ახსოვს. ვფიქრობ, მოვიტანო და გავხსნა თუ არა, რასაკვირველია, თუ მეხსიერება არ მღალატობს და კონიაკი ნამდვილად დგას თაროზე, პატარა ქილებს უკან. მებადება მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერანაკლებ გენიალური აზრიც — იქნებ სჯობია, ზურაბს პიჯაკის საყელოში ხელი ჩავაფლო, სკამიდან წამოვაგდო, ბრტყელ შუბლში მივფურთხო, მერე შევაბრუნო, წიხლი გემრიელად ვუთავაზო და გავაბრძანო?

არა, ამას არ ვიზამ, პირველი წინადადება უფრო მომხიბვლელი მეჩვენება — გავიდე და კონიაკი ვიპოვო. მეორე იდეა მოიცდის, საჩქარო რა მაქს: სჯობია, ჯერ გავიგო, ასე უთენია რატომ მოცუნცულებულა ჩემთან.

მაინც რა დროს გამოგვეცალა ხელიდან, უცხო კაცის მოსვლას ისევ ლუვან გზირიშვილის უფროსობა გვერჩიაო.

ეეჰი შემეპარა, მართლა მაქვს კონიაკი? ბუნდოვნად ახსოვს, მგონი ამ ერთი თვის წინ სიმთვრალეში კარადის თავზე ჩამწკრივებული ქილების უკან ჩავდეი.

ძალიან ვწუხვარ, რომ თავი მოიკლა. ახლა ვის გამოგვიგზავნიან, ღმერთმა იცისო. თუმცა რატომ უნდა გამოგვიგზავნონ, უფროსად რომელიმე ჩვენთაგანი, თუნდაც შენ რა, არ გამოდგებიო?

დაახლოებით მივსდეი, რისთვის მობრძანებულა ეს ვაებატონი. ჯანდაბას, გამოვიტან კონიაკს. ეს იდეიტიც ბოლომდე ჩამოყაჯავს გულისნადებს.

წამოვდექი და სამზარეულოსკენ გავწიე. ოთახიდან გასასვლელ კარში შევჩერდი, უკან მოვიხედე. ზურაბი ჩემსკენ ზურგით იჯდა. იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილს ჭიქა ორთავე ხელით ეჭირა და ჩასჩერებოდა. ვინ იცის, ახლა რა აზრი მწიფდებოდა მისი ტვინის უკრედებში. მრგვალი, მართლაც მშვენიერი მოყვანილობის თავზე (ამას ვერ უარეყოფ) შუაგულში თმა გასცვენოდა და კეფა მშვილდ-ისრის სამიზნეს მიუგავდა. რევოლვერსაც სიამოვნებით ესროდი კაცი.

„ურა!" — კონიაკი მჭონია. ორი პატარა ჭიქაც მოვნახე. კონიაკი დავასხი და ჭიქა ზურაბს მივაწოდე. ის ისევ შამპანურით სავსე ჭიქას აწვალებდა. დავისხი თუ არა, იმავე წუთში გადაკარი, სიტყვა არ მითქვამს, ისე დავლიე. ვინმე უცნობს რომ დავენახე, ნაღოდ ალკოჰოლიკი ვეგონებოდი.

ზურაბი ისევ საცოდავად აწვალებს შამპანურით სავსე ჭიქას.

ან კი სხვა რატომ უნდა გამოგვიგზავნონ ხელმძღვანელად, შენ აგერ არა ხარო? მერე რა, რომ ახალგაზრდა ხარ, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკის ამ დარგში შენზე კარგი სპეციალისტი რესპუბლიკაში არ მეგულებაო.

მეორე ჭიქა კონიაკი ბოლომდე არც კი მჭონდა. დალეული, რომ თითქოს ცა გაიხსნაო, ისე გამინათდა გონება. ახლა მივხვდი, ამ პაპანაქება სიცხეში კოსტიუმში რატომ გამოპრანჭულა. ჰალსტუხიც ელეგანტური უკეთია, თეთრი პერანგის მანჟეტებზე სადა საკინძები მოუჩანს. ჩემს თავზე გული მომდის, აქამდე როგორ ვერ მივხვდი მისი ადრიანი ვიზიტის მიზეზს.

არა, ნამდვილად შენ უნდა იყო მიკროსამყაროს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორიო.

ჩვენი თვალები მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს. ჭიქა ისევ ორთავე ხელში აქვს ჩაბღუჯული. ეტყობა, ჯერ წვეთიც არ მოუკლია. ახლა ვხვდები, რომ იმ ჭიქა შამპანურს გარეა, ასე ნერვებისმომშლელად რომ აწვალებს ხელში ზურაბი, დანარჩენი მიღიანად მე დამილევია. ამ დიდი აღმოჩენით გაოცებულმა კონიაკის ჭიქა მაგიდაზე დავდგი და სიგარეტი ამოვიღე. ზურაბმა შამპანურით სავსე ჭიქა უმალვე მაგიდაზე დადგა და ბენზინის კვესი ამინთო. ვგრძნობ, რა მძიმედ, რა ბლანტედ წვება ყრონტში ყვითელი შხამი, მაგრამ მაინც ვიწვევი.

არა, ბატონო, ვიცი, შენ ნამდვილი მკვლევარი მეცნიერი ხარ, ადმინისტრაციული ხელმძღვანელობისათვის სად გცალია, მაგრამ ამ ოხერ ინსტიტუტს დირექტორი ხომ უნდაო.

რატომ ადარ მხვდება თვალში ზურაბ გომართელის მკვეთრი და თავხედობაში გადაზრდილი ყესტები? რა ცვლილება მოხდა მის სულში, მის არსებაში?

სიგარეტის წვეთს ვამთავრებ და მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე აღმოჩენასაც ვაკეთებ: ამდენი ხნის მახძიღზე ძხოლოდ ზურაბი ლაპარაკობდა, მე კრინტიც არ დამიძოვეს. კოზიაკს ისევ ვისხამ. უეცრად შიშველს ეკერნოს, შემაწუხებელ შიშველს. სამბელმა ბაღი გამიხსნა, შინ კი არაფერი მეგულება. სამზარეულოში გავდივარ. გულში ბრეი მიჭიატებს, იქნებ პურის ნატეხი ნარჩენ ვიპოვო-მეთქი სადმე. ბეღი ეკოლია. შავი პურის ნატეხი საკმაოდ გამოძხმარა, მაგრამ რას ეზამ, თავს ზეგით ალა არაა. ოთახში ვბრუნდები. თვალს ისევ ხვდება შშვილი-ისრის სამიზნე. რატომ აქამდის არ შემინიშნავს? ეჭნებ შემოხიშნავს კიდეც. ჩემს ტვინში ფიქდდე არ მომძდარა ამ ფიდად ნნიშვნელოვანი ფაქტის ფიქსაცია. მიჯეზი ოილი სამოკეფლია. საერთოდ ფეხებზე მკიდია ხურაბ გომართელის აოსებობა.

პურის ნატეხს ჯერ პირში ვალბობ და მეოე ვლეკავ. ძსიაძოვებს. ნეტა ქვეყანაზე ოამე ზეედრება პურის გემოს? ახლა უფრო ფიტარებით ესვამ კონიაკს, სასმელი კიდევ უფრო მეკიდება, ძარღვებიც უფრო მიფართოდება და სისხლიც თავისუფლად დაგოალებს წონადაკარგულ სხეულში. კონტროლის გრძნობას არ ვკარგავ. ვფიქრობ, საით წავა ჩემი სიმთვრალე — სიბრაზისაკენ თუ სითბოსკენ? საერთოდ, სიმთვრალეში ძალზე გულსაწყალი ვხდები. ყველა მიყვარს, ყველა მეკოდება, მინდა ყველას მოვეფერო, ტკბილი სიტყვა ვუთხრა. ამ დროს ისეთ ადამიანთანაც კი გულისხმიერი და გულწრფელი ვხდები, დასანახად რომ მეზიზღება. სიყვარულს გულწრფელად ვეფიცები, ერთგულებას ვუმტკიცებ. სიმთვრალეში შემიძლია ყველას ყველაფერი ვაპატიო, ყველა დანაშაულს დადებითი საწყისი მოვუძებნო, სულით და გულით დემოკრატი გავხდე, გავამართლო თავისუფალი სიყვარული... მეორე დღეს კი ლოგინში თვალის გახელისა მრცხვენი. მე კედლისკენ მხარს ვიცვლი ხოლმე, მაგრამ კედელსაც ვეღარ ვუყურებ, ვამჯობინებენ, შუადღემდე ლოგინში ვიწევ, გავირინდო და არაფერზე ვიფიქრო, სანამ სასმელი მთლიანად არ გამომცლია. ჩემს თავზე გული მომდის, მეზიზღება კედეც ჩემი პიროვნება და მტკიცე გადაწყვეტილებას ვიღებ, მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ბოლოს, როცა ახეული მთლიანად გამოდევნის ალკოჰოლს და გუნება საბოლოოდ გამომიკეთდება, თავის გასამხნევებლად ძალზე ხელსაყრელი დასკვნა გამომაქვს ხოლმე: გუშინდელი ჩემი უმსგავსო მოქმედება კარგი და უკანასკნელი გაკვეთილი უნდა იყოს მომავლისთვის. ალბათ გამიკირდება გახსენება, რამდენჯერ მქონია ცხოვრებაში ასეთი „კარგი და უკანასკნელი გაკვეთილი".

თერთმეტს ათი წუთი აკლია.

ნეტა ეკა მალე მოვიდეს.

მეშინია, მეორე გზით არ წავიდეს ჩემი სიმთვრალე, ნერვიულობა მაშინ მეძალება, სუფრაზე რომ თავიდანვე არ მომწონს ვინმე. თუ ნერვები პირველი წუთებიდანვე არ მოვთოკე, შეიძლება ყველაფერი ცუდად დამთავრდეს. ორჯერ თუ სამჯერ უკვე მქონდა ბედნიერება, ჩემი რისხვა გადმომეფრქვია გარკვეული პიროვნებების მიმართ.

არავითარი სურვილი არ მაქვს, ზურაბ გომართელი გახდეს ჩემი გაკოფების მიზეზი. თუმცა ერთი-ორჯერ უკვე სიფეკოდ შევხედე მის ბრტყელ შუბლს. რასაც ახლა ლაპარაკობს (არადა უკვე საათნახევარია ენა არ გაუჩერებია), ეს დიდებული აზრები ვითომ ამ წუთში იბადება მის ტვინში თუ ავტომატივით უშვებს წინასწარ მოფიქრებულ დ. რიგში ჩამდგარ წინადადებებს?

მე მინდა ვფიქრობ, შენ უნდა იყო ინსტიტუტის დირექტორი. არა, ვიცი, ბატონო, ძალიან კარგად ვიცი, აღმინისტრაციული მოღვაწეობა შენი საქმე არ არისო, მაგრამ როცა ინსტიტუტის და მეცნიერების ინტერესები მოითხოვენ, მსხვერპლი უნდა გაიღოო. უცხო კაცი უცხო სხეულივით იქნება ჩვენს ინსტიტუტშო.

---

ბუბა ფანჯიკიძე
აპრილი ოზი ფულიფადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხომ არ სჯობდა, ჯერ ის უბედური დაგვემარხა?

ესაა ჩემი პირველი და ერთადერთი ფრაზა მთელი ამ დროის განმავლობაში. თავისთავად იგი ნეიტრალური და ცოტა ბანალური ფრაზაც კია. ეფექტი მაინც მოახდინა. სკამზე წინ წახრილი გომართელი წელში გაიმართა, თვალებში ჯიქურ შემოხედა და გაშეშდა.

პაუზა კარგა ხანს გაგრძელდა. თვალი თვალში გავუყარე, თან შევეცადე ბაგეზე ირონიული ღიმილი გამომესახა. ასეთ ეფექტს არ ველოდი. ამ უბრალო წინადადებას ალბათ ჩემმა ორსაათიანმა დუმილმა შესძინა ძალა, დამუხტა და მაღალ ძაბვაზე გადართო.

ბრტყელი შუბლის ქვეშ გაუქვავდა ისედაც ცივი თვალები. იქნება სინდისის ქენჯნა იგრძნო? იქნებ თავისმა სულსწრაფობამ შეარცხვინა და ატკინა გული? არა, ამ ბრტყელ შუბლს უკან ჭაობივით მობუყბუყე ტვინი ასეთი ახრების მოსამწიფებლად ჯერ არ იყო მზად. შეშინებული იმიტომ მიყურებდა, ვაითუ მოკაკშირედ არ გამომადგესო.

ზურაბ გომართელის დაკონებული მზერა მაღიზიანებს, უფრო კი ეკლარის ქვასავით ჩადგმული თეთრი, ოთხკუთხედი შუბლი მაგიჟებს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, შუბლზე სიამოვნებით ამოვტვიფრავდი რაიმე ჩუქურთმას.

ვგრძნობ, ჩემს არსებაში როგორ აიფოფრა ტალღები. ზღვა ერთბაშად აღელდა, ერთბაშად ატორტმანდა. არა, ამას ატორტმანება არ ჰქვია. უზარმაზარმა, მთისხელა ტალღამ თავზე თეთრი ქაფი დაიხვია. ვცდილობ, ტალღების შხეული გავდევნო გონებიდან. არაფერი გამოდის. ტალღები მწყობრად მოისწრაფიან და უზარმაზარ კლდეზე იმსხვრევიან.

— ხომ არ აკობებდა-მეთქი, ჯერ ის უბედური დაგვემარხა?

„მეთქი“ ძალზე მკვეთრი მახვილით გამოვთქვი.

წელან თუ ირონია ჰარბობდა, ამჯერად ჩემს ხმაში მუქარა გარკვეთილ-ად ისმა.

პაუზა.

ზურაბ გომართელის სახეზე ისეთი ტანჯვა გამოისახა, ჩემს ტვინში მღელვარე ზღვა უმალვე დაწყნარდა.

— მერე გვიან იქნება, ძალიან გვიან!

გაქვავებული თვალები ერთბაშად აუწყლიანდა. ჭიქა, საიდანაც ჯერ ერთი ყლუპიც კი არ მოესვა, საფუძვლიანად მისწია ტაბლის მეორე მხარეს და ფეხზე წამოვარდა.

მის დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარა, რომ ჩემს არსებაში ზღვის ტალღები ადარ ასკდებოდნენ პიტალო კლდეებს. სტეკიონზე წუთიერად გამეფებული სიმშვიდით უნდა ესარგებლა.

— როგორ არ გესმის, ნოდარ. შენ ზიხარ შინ, თორემ ხალხი უკვე დარბის აკადემიაში და იქ, სადაც საჭიროა. არავის ადარდებს, რომ შეურაცხყოფას აყენებენ მთელ ინსტიტუტს. არ გეენდობიან. ნუთუ კაცი არ აღუზრდია აკადემიაოს ლევან გზირიშვილს, ნუთუ არც ერთი არა ვართ ღირსი, რომ ინსტიტუტი ჩავიბაროთ? ძნელია და აღმაშფოთებელი შეეგუო აზრს, რომ არ გენდობიან. თანაც არ გენდობიან ასაკის ვაძო. ყველამ მშვენივრად ვიცით, ვინ რას წარმოადგენს. ჩვენი გამოკვლევები, მით უმეტეს შენი, ნოდარ გელოვანო, ათი თავით მაღლა დგას მათ ნაცოდვილარზე. მიკოსიმყარო და ელემენტარული ხაწილაკების ფიზიკა ჩვენი და ჩვენი მომდევნო თაობის მეცნიერებაა!

გულწრფელად მომწონს ზურაბ გომართელის ტემპერამენტი, არ მეგონა თუ ასეთი აღელვება შეეძლო.

— ჯანდაბას, დავიკოთ თავმოყვარეობა და შევეგუოთ სრულიად უცნობი და თანაც სხვა დარგის ფიზიკოსის უფროსობას. სანამ ერთმანეთს ხეირიანად გაეცნობით, სანამ ერთმანეთის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს გავიგებთ. სანამ ადამიანური ურთიერთობები მოწესრიგდება, სანამ ის ვაკბატონი ჩვენი კვლევის ახრის ჩასწვდება, გავა ორი და შეიძლება სამი წელიც. ორი წელიწადი,

გესმის. ნოდარ, ორი წელიწადი! თუმცა შენზე კარგად ვინ იცის დროის ფასი!

პაუზა.

—ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში განსაკუთრებულ აკადემიკოსს ჩვენს მეტი მოწაფეები არ ჰყოლია. არც ერთი ფიზიკოსი არ მეგულება საქართველოში, ამ დარგში რომ ჩვენზე მეტი იცოდეს და ჩვენზე უკეთ ერკვეოდეს. რატომ უნდა მოგვიყვანონ სხვა ხელმძღვანელი? თუ შენ თანახმა იქნები, ყველანი მხარს დაგიჭერთ და კატეგორიულად მოვითხოვთ, დირექტორად დაგნიშნონ. ღღესვე, ახლავე, ამ წუთიდანვე უნდა ვიმოქმედოთ.

ზღვაზე მშვენიერმა მზემ გამოანათა. მყუდროებას მხოლოდ პატარა, ცელქი ტალღების ხმა და კენჭების სასიამოვნო ჩხრიალი არღვევდა. სახეზე ღიმილი გამომესახა. ერთი სული მქონდა, გადამეხარხარა. ხუთამ გომართელს თავისი ტემპერამენტი თვითონვე მოსწონდა. ამის შეტყობას დაკვირვებული თვალი არ სჭირდებოდა. იგი უკვე თამაშობდა, ნერვებს ხელოვნურად იშლიდა.

უცებ ზიზღი მომერია. გაღიზიანებული შეგცქერი ბრტყელ შუბლს, რომელიც ხელს ჰიშლის მისი ტვინის პრიმიტიული მექანიზმი, სულ ორიოდე კბილანა ბორბალი დავინახეთ.

თვრამეტი წლის მოსული, დაკუნთული ბიჭი ლოგინში გულღმა იწვა და ფიქრობდა.

ალბათ უჩვეულო იყო მისთვის მამიდის ძველებური, სამოთახიანი ბინა სოლოლაკში. უჩვეულო იყო მისი მოჩუქურთმებული, ამურებით დამშვენებული ჭერი და ბროლის მდიდრული ჭაღები. უჩვეულო იყო ბინის ქალაქური მოწყობილობა, თუნდაც ეს ხის უხარმაზარი საწოლი და ზომაზე მეტად აფუმფულებული ლოგინი, თვითონ რომ იწვა.

არც მამიდას, არც მისი ოჯახის წევრებს არ გახარებიათ ყმაწვილის სტუმრობა. ეს თვითონაც კარგად იგრძნო და თეთრმა, პატარა ხუჭუჭა ძაღლმაც, ბიანაში ფეხის შემობიჯვიდანვე ეჭვიანად რომ ულრენდა.

ცივი მიღება არ შეიმჩნია. შეურაცხყოფა გადაყლაპა, მაგრამ სამუდამოდ ჩაიბეჭდა გონებაში. უკან დასახვევი გზა არ ჰქონდა. ჭაბუკის მოქნილი, გამჭრიახი გონება მიხვდა, თავმოყვარეობის გაღიზიანება ახლა მხოლოდ საქმეს გაფუჭებდა. დავიწყებით კი არაფერს დაივიწყებს, არც მამიდას შეჭმუხნულ შუბლს და არც მამიდაშვილების ირონიულ ღიმილს, ალბათ მისმა სოფლურმა ტანსაცმელმა რომ გამოიწვია.

ენერგიული სახე ჰქონდა და მკაცრი გამოხედვა, ასე რომ ნიღბავდა მის მოქნილობას და ანგარიშიან ბუნებას. სიამაყეს და თავმოყვარეობას მხოლოდ მაშინ აძლევდა ამოხეთქვის საშუალებას, როცა გამარჯვება განაღდებული ჰქონდა. სიამაყე და თავმოყვარეობა, ეს ორი ჯინი, სიამედოდ ჰყავდა ჩაკეტილი თავის არსებაში და იცოდა, ოდესმე მათი ამოშვების დროც დადგებოდა. როგორც ვირტუოზი მუსიკოსი ინსტრუმენტს, ისე იყო დაუფლებული თავის არსებას. ნებისმიერ დროს შეეძლო ენაებები მოეთოკა და როგორც კარგ მძღოლს მანქანა, საქმე სასარგებლო მიმართულებით წაეყვანა.

ვაგონში მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მაგრამ არც ანალი ეკარებოდა ოული. ჭაბუკი სწავლის გასაგრძელებლად მოდიოდა თბილისში. გახუნებულ და გაცვეთილ სპორტულ ჩანთაში მხოლოდ ერთი ხელი ტანსაცმელი, ოქროს მედალოსანს ატესტატი და რუსულ-ქართული ლექსიკონი ედო. ეს იყო თელი მისი ავლადიდება. მაგრამ ჭაბუკს ჰქონდა ნათელი მიზანი — გამხდარიყო ფიზიკოსი, ჩაკლეკვარი მეცნიერი. ჰქონდა მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვის საოცარი უნარი, დიდი ენერგია, შესაწერი ნებისყოფა, თანაც ელასტიური, კაუჩუკივით მოქნილი ბუნება. უკან დახევა მისთვის მხოლოდ დროებითი

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ

ტაქტიკური სვლა იყო, ზუსტად ისე, მანქანას რომ დაახვევნებენ ხოლმე უკან, უფრო მძლავრად და სწრაფად რომ აიაროს ციცაბო აღმართი.

ალბათ ვაგონიდან იმავე წუთში არ ჩამოსულა, მატარებელი რომ საბოლოოდ გაჩერდა. ფეხზეც არ წამომდგარა, ფანჯარასთან მიმჯდარი და მინაზე შუბლმიყრდნობილი ბაქანზე მოფუსფუსე ხალხს აკვირდებოდა.

ივლისის ცხელი დღე თენდებოდა.

იქნებ ნაწვიმარიც იყო, მაგრამ სისველე ოდნავადაც ვერ ანელებდა იმ ბუღს, გუშინდელი მცხუნვარე მზის სხივებით ჩამდნარი ასფალტი უკან რომ აბრუნებდა. იქნებ გრილოდა კიდეც.

აი, ჯაბუკი უკვე ფიწი ნაბიჯით მიემართება ვაგზლის გასასვლელისაკენ. არ ჩქარობს, ყოველ ნაბიჯს ზომავს.

ბედის საძიებლად დედაქალაქში ჩამოსული ახალგაზრდის სახეზე ვერ წაიკითხავ, მის შეგრძნებაზე რაიმე ზემოქმედებას ახდენს თუ არა ვაგზალზე გამეფებული მისთვის უჩვეულო, ნერვიული რიტმი, ხმაური, მგზავრებისა და დამხმარე მუშების ფუსფუსი, სატვირთო პატარა ვაგონეტების სრიალი, მათი მძღოლების ვამაფრთხილებელი შეძახილები, ჩამოსულებისა და დამხვდურების ტკრციალი, ხვევნა-კოცნა, სადგურის სამანევრე ორთქლმავლების მოულოდნელი შეკივლება, ვაგზლის რადიოს გაბზარული ხმა.

იგი ხალხის ნაკადს მიჰყვება. იცის, ეს ნაკადი მიიყვანს გასასვლელთან, მისთვის სრულიად უცნობი დიდი ქალაქის ჭიშკართან.

როგორი ცხოვრება დღეს იმ ჭიშკარს იქით?

გასასვლელთან წამიერად შეჩერდა.

იქნებ უნდა დიდი ქალაქის ორომტრიალში შესვლის წამი განსაკუთრებულად აღიბეჭდოს მის გონებაში?

იქნებ ამ წამზე ბევრი აქვს ნაფიქრი და ახლა იმ სანუკვარ თუ ამაღელვებელ მოლოდინს ათვითცნობიერებს?

ჯაბუკი ვერ გრძნობს, თუ ყურადღებას არ აქცევს დაფეთებულ გამვლელთა მოჯალუბუნებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ზედმეტი სიფრთხილის გრძნობა აქვს, პროვინციიდან ჩამოსულებს რომ ახასიათებთ ხოლმე, არაფერი გაიკვირვონ, ცნობისმოყვარეობა დაიოკონ და ყველაფერს ისე შეხედონ, ვითომც ეს მათთვის ყოველდღიური, დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული ამბავი იყოს?

იქნებ პირიქით, მის გამოხედვაში არის რაღაც გამომწვევი, ჯიბრის ცეცხლით ანთებული სხივები?

იქნებ საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდა, დიდი ქალაქის დაძაბულმა, ნერვიულმა რიტმმა, ვრანდიოზულობამ, უცნობ ხალხთან, უცნობ ცხოვრებასთან, უცნობ გარემოსთან პირველი შეხვედრისათვის დამახასიათებელმა მარტოობის გრძნობამ და სიცივემ, უხარმაზარმა შენობებმა, მიუჩვეველი თვალისათვის ტრანსპორტის უწესრიგო და თავბრუდამხვევმა მოძრაობამ, ტროტუარზე თითქმის სირბილით მოსიარულე ხალხის შეწუხებულმა თუ აფორიაქებულმა სახეებმა, ასე უჩვეულო რომ არის სოფლისოდენა ქალაქისა თუ დაბის მაცხოვრებლისათვის, რომ არ დაბნია, ვერ შეაკრთო, ვერ წარიტაცა, თავის მორევში ვერ ჩაიხვია და ვერ ჩაჰკრგა.

იქნებ მორიგს ლაღად მოეკცა თავზე, სიმსნევე იგრძნო, დამშვიდდა და იმედი მიეცა, ხოლო მისი სხეული სიცოცხლით სავსე კვირტს ჰგავდა, აფეთქებას რომ ლამობდა?

ვხედავ, დინჯად მიუყვება ჩელიუსკინელების ქუჩას. ქუჩის სიფართოვეზე და ტრანსპორტის სიმრავლეზე მიხვდა, ეს გზა ცენტრისკენ მიდიოდა.

ორიენტირად მთაწმინდა მონიშნა. მიდის, თან მაღაზიის ვიტრინებს სხვათაშორის თუ შეავლებს თვალს, თუმცა მისი ცინცხალი გონება კინოპანორამირებს ასეთ ფანტაზიებს, ეს ბავშვობა ... ეს ... ეს ... ეს

სთვის ჯიბეში უდევს, თუმცა გონებაში საფუძვლიანად აქვს ამოტვიფრული. იგი მთაწმინდისკენ მისწრაფვის. საშინელი სურვილი იპყრობს ზემოდან გადმოიხედოს, მთლიანად დაინახოს ქალაქი, სადაც დღეიდან, ამ საათიდან, ამ წუთიდან უნდა დამკვიდრდეს. ერთი სული აქვს მთლიანად შეიგრძნოს მძლავრი, უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმი, რომლის ერთი უჯრედიც დღეიდან თვითონ უნდა გახდეს. სურს დაფიქრდეს, აწონ-დაწონოს თავისი შესაძლებლობანი, რომლითაც ამ მილიონიან ქალაქში უნდა გაიკაფოს გზა სანუკვარი მიზნისაკენ.

ფუნიკულიორის ღია ვაგონი ნელ-ნელა მიიწევს მაღლა. ქალაქი თანდათან დაბალ რჩება, მაგრამ მისი საზღვრები ისე მატულობს, სამზერი არე ისე იზრდება, გეგონება, თბილისი თანდათან მაღლა მიიწევსო.

ხუთიოდე წუთში ჭაბუკი ალბათ უკვე ქვის მოჯირთან იდგა და ქალაქს დაფიქრებული გადმოსცქეროდა. მტკვრის ხეობაში ნისლი გაწოლილიყო, რუხი, მტვრით გაჯერებული ნისლი, იგი აეროპორტისაკენ უფრო მკვრივად და ფართოდ მოსდებოდა გარემოს. კაცს ეგონებოდა, ძველი თბილისი ერთთავად ამღვრეულ წყალს დაუფარავსო. მხოლოდ ავლაბრის ეკლესიის გუმბათებს, ნარიყალას, მეტეხსა და ვახტანგ გორგასლის ძეგლს ვერ შესწვდენოდა წყალი.

ნისლი თანდათან მატულობდა და მტკვრის ხეობას აღმა მიუყვებოდა. ეკლესიის გუმბათებიც უკვე დაეფარა მღვრე წყალს. ალაგ-ალაგ მხოლოდ ჯვრები კიაფობდა ვერცხლისფრად. ვახტანგ გორგასლის ცხენს თავიც ამოეყო მღვრეე ტბორიდან.

თბილისს ნელ-ნელა და საფუძვლიანად გადაეკრა რუხი ნისლი. უკვე ბუნდოვნად მოჩანდა მაღალი შენობების კონტურები. მანქანების მოტორების გუგუნი ყრუდ აღწევდა ჭაბუკის ყურამდე. სქელი ნისლის ქვეშ გაწოლილი უზარმაზარი ქალაქი უცნაურად ღმუოდა.

ჭაბუკი დიდხანს დგას ჩაფიქრებული და მუშტრის თვალით ზომავს პირქუშ ნისლის ქვეშ გაწოლილ ქალაქს, რომელთანაც ჯიდილს დღეიდან ეწყება.

ჯერ კედლისკენ გადაბრუნდა, მერე ლოგინში თავდაქმა ჩაეშხო და თავი ბალიშში ჩარგო. მდიდრულ, მყუდრო, მაგრამ უცხო და ცივ გარემოში ძილი გაუტყდა. დიდ და უცნობ ქალაქში გატარებული პირველი დღის შთაბეჭდილებებმაც გადაღალა და აღაგზნო.

მეორე ოთახიდან მამიდაშვილების ჩუმი ლაპარაკი ესმის. გულზე უსიამოდ ხვდება მათი სიცილი. თითქოს ეს სიცილი იმ ირონიული ღიმილის გაგრძელება ყოფილიყოს, დილით რომ შენიშნა მამიდაშვილების ბაგეებზე.

ქუჩაში მოტოციკლეტის გუგუნი გაისმა. იგი იქვე, ეზოში შემოსასვლელ ჭიშკართან გაჩერდა. მერე ვიღაცამ ჭიშკარი გააღო. მოტოციკლეტი ეზოში შემოვიდა. ძრავის ხმა ჯერ მიწყნარდა, მერე სულ მიჩუმდა. მერე ლაპარაკი შემოესმა. ვიღაცა ვიღაცას ეძახდა. სიცილიც გაიგონა, სიცილს გულმოსული შეკურთხებაც მოჰყვა, ჭაბუკის მითვლემილი გონება სიტყვებს არ ათვითცნობიერებდა, სიცილს, ლაპარაკს, ხმაურს ცალ-ცალკე, დანაწევრებულად არ აღიქვამდა, ვაგზალი, მთაწმინდა, ქვემოთ უზარმაზარი მრავალფეროვანი ცხოველივით გართხმული და ნისლში ჩაძირული თბილისი, რაღაც უსიამო, მოგუდული ხმით რომ ღმუოდა, ხალხმრავალი ქუჩები, მაღაზიის ვიტრინები, ტრანსპორტის ორომტრიალი, უნივერსიტეტის თეთრი შენობა, საბუთების მისაღები სარკმელი — ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი რომ ეწერა, მამიდის ცივი სახე და ბეჭუებით დახუნძლული თითები. მამიდაშვილების ირონიული ღიმილი, ამურებით მოხატული ჭერი, დიდი როიალი და მოტოციკლეტის გუგუნი — ეს ყველაფერი ერთმანეთთან შეზავებული და

გურამ ფანჯიკიძე
აკადემიკოსი მზის ფიზიკოსი

შედეგებული მისთვის თბილისი იყო — ახალი ცხოვრების დასაწყისი. როგორ მოეწონა, როგორ მიიღო ეს სიახლე, ჭაბუკი ამაზე ახლა არ ფიქრობს. ერთი სული აქვს, მალე გათენდეს, ეჩქარება დედაქალაქის უზარმაზარ და მძლავრ ორგანიზმში შეიჭრას და მისი ცხოვრების მძლავრ მდინარეში თავისი გზა მონახოს.

თორმეტის ოხუთმეტი წუთია. ხუთ წუთში ჩემს მანქანას ეზოში მზე მიადგება.

— ძვირფასო ზურაბ! („ძვირფასოს“ განსაკუთრებით ჩავატანე გემო), თქვენ ხომ შესანიშნავად იცით, ჩემს სიცოცხლეში ელექტრული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორობას არ დავთანხმდები, კიდევაც რომ მთავაზობდნენ. იცით და გჯერათ თუ არა ეს?

ზურაბ გომართელი ყურადღებას არ აქცევს ჩემს ირონიულ თქვენობით ფორმას.

— ვიცი!

— ჰოდა, თუ იცი, მიკიბ-მოკიბულ ლაპარაკს თავი დაანებე. პირდაპირ მითხარი, რა გინდა!

ზურაბი დაიბნა, თუმცა ამას დაბნეა ალარ ჰქვია, ზურაბ გომართელი ახლა ხფანგში გამომწყდეული თაგვივითაა და გამწარებული ეძებს გამოსაძრომს. გომართელი მიხვდა, რომ ჩემთვის ყველაფერი ნათელია და დიპლომატიას აზრი ალარა აქვს. ბრტყელშუბლა ყმაწვილს სურდა ისეთი სიტუაცია შეექმნა, თვითონ მეთქვა, ზურაბ, მოდი, შენს კანდიდატურას დავასახელებ-მეთქი ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე. საბოლოოდ დარწმუნეა, აბის მოქმელი მე არ ვიყავი.

— შენ მარადალ ხარ. ვიცოდი, ინსტიტუტის დირექტორობაზე არაფერი არ დათანხმდებოდი. ჩემი საქმეები დიპლომატიურ თამაშში არ ჩამთვალო. პირველ რიგში, ეს თანამდებობა შენ გეკუთვნის. თუკი თანხმა იქნები და დირექტორობას მაინც მოასრულებ, ყველანი სახარულით ამოგიდგებით მხარში და სადაც საჭიროა, იქ ვიბრძოლებთ ამ საქმის დასაგვირგვინებლად. მაგრამ ერთსაც ვიტყვი, თანაც თამამად ვიტყვი, — შენს მერე ინსტიტუტის დირექტორის პოსტი მე მეკუთვნის. შენ ძლიერი მეცნიერი ხარ, ალღოიანი მკვლევარი და ექსპერიმენტატორი. ადმინისტრაციულ საქმეებზე და სხდომებზე შენი გაცდენა საცოდაობა, უფრო მეტიც, დანაშაული იქნება. ამ საქმეებს მე მოვუფლი. შენც კარგად იცი, შემწევს უნარი,საქმე წინ წაეწიო, ფეხზე დავაყენო. ვგრძნობ, მეყოფა ენერგიაც და გამჭრიახობაც. ადმინისტრაციული საქმიანობა ჩემი სტიქიაა. მე ისეთი ხელმძღვანელი ვიქნები, რომელსაც კარგად ესმის ინსტიტუტის მიერ გადასაჭრელი ყველა პრობლემა. ჩემთვის გასაგები იქნება ყველა პრეტენზია და მოთხოვნილება, რომლებიც მეცნიერული მუშაობისთვის გახდება საჭირო. მართალია, მე შენ ვერ შეგედრები პრობლემის მეცნიერულ განვრეტაში, ერუდიციაში, კვლევის ნაყოფიერებაში, მე შენსავით არა მაქვს განვითარებული ექსპერიმენტატორი ფიზიკოსის უტყუარი ალღო, მაგრამ მეც გამაჩნია ჩემი ღირსებანი და მჭერა, ეს ღირსებანი მაძლევს ერთვალი უპირატესობას, ვიყო ხელმძღვანელი. ძალიან გთხოვ, ცუდად არ გამიგო:. კარიერისტად არ მომნათლო. კარიერისტი არ გახლავარ, მე საქმის კაცი ვარ. ტანში მაკრიალებს, როცა ვხედავ ხელმძღვანელის არაარაფესიონალიზმს, ეაუბედობას. პროფესიონალიზმ ვერ ვიტან. დღეისადაგ ვოცნებობ ნამდვილ, პროფესიონალურ გარემოსა და მუშაობაზე. ვოცნებობ რაციონალიზმზე, ვოცნებობ საქმის ლოგიკურ განვითარებაზე. მე დროის ფასი ვიცი. ერო კი ყველაზე ძვირი „საქონელია“ მეოცე საუკუნის მიწურულში. ვინც დროის ფასი ვერ გაგო, ვინც დაკარგული წუთის ღირებულება არ განსაზღვრა, იგი გეომეტრიული პროგრესიით ჩამორჩება მეცნიერების წინსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ყოველმხრივ დაგიჭერთ მხარს შეხვედრა ყველა დანარჩენ ნიჭიერ მეცნიერს. იდეალურ პირობას შეგიქმნით ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის. არ იფიქრო, თქვენი გულის მოსანადირებლად ვლაპარაკობდე. არც მთლად ასეთი ალტრუისტი ვარ. მე ხელმძღვანელი ვიქნები და თქვენი დაფნის გვირგვინის ერთი ტოტი ყოველთვის ჩემი კუთვნილებაც იქნება. გთხოვ, ჩემი საუბარი ვაკრულ გარიგებაში არ ჩამითვალო. მე ახლა ვდელავ, ყველაფერს გულახდილად გეუბნები, ყურადღებას ნუ მიაქცევ ჩემი წინადადებების სტილსა და მსატვრულობას, მინდა ყველაფერი სწორად გამიგო. გამგო ის, რისი თქმაც მსურს და არა ის, რასაც ანერვიულებული ვლაპარაკობ.

საათზე ვიხედები. პირველის ათი წუთია. ჩემი მანქანის ცვლის მზე უკვე უმოწყალოდ აცხუნებს.

რამდენად კეთილშობილად მეჩვენება ჩემი მანქანა ზურაბ გომართელთან შედარებით. ჩუმი, კეთილი, ნამდვილი ძვირფასი, უხმოდ რომ ემორჩილება ყველა ჩემს ნება-სურვილს. ახლა მას ჭაზე ადგას, მე კი ზურაბ გომართელის ტრაბახებს ვისმენ, კონიაკის ჭიქას ხელში ვაწვალებ და ისე ვუსმენ.

დიდი არჩევანის წინაშე ვდგავარ, კონიაკი შევასხა სასვამი, სილა გავარტყა თუ ელემენტარულად გავაპანღურო? სამიე ცდუნება თავისებურად მომხიბლველი.

ისევ მანქანაზე ვფიქრობ. მზე ნელნელა ეუფლება მის მოყვითალო, მბზინავ სხეულს. ვდგები და ჯიბეში ხელს ვიფათურებ, მანქანის გასაღებს ვეძებ. ინსტიტუტის დირექტორის საკრძალის მაძიებელი განცვიფრებულია ჩემი ინდიფერენტულობით. არ დავმალავ, ცოტა მსიამოვნებს კიდეც მისი გამწარება. რა არის ეს? სადიზმი? იქნებ ყველა ადამიანში არის სადისტური საწყისები, შესაფერ პირობებში რომ იღვიძებენ ხოლმე? თუ ეს ასეა, მაშინ სადიზმმა ჩემს არსებაში ამ-ირად საკმაოდ ენერგიულად გაიღვიძა. არ კი, უზმორებია, თვალის გახელაც არ დაზარებია. მშვენივრად ვიცი, რა ცვლილ ტრიალებს ზურაბ გომართელის გულში. ბრტყელშუბლა ყმაწვილმა კარგად იცის, ჩემი მხარში ამოდგომა, ორიოდე თანელი სიტყვის შეშველება გზას გაუხსნის ინსტიტუტის დირექტორობისკენ, ისიც კარგად იცის, მე თუ მხარი არ დავუჭირე და წინააღმდეგი წავედი, ვერ ეღირსება ამ სანუკვარ თანამდებობას. მხოლოდ ერთი რამ არ იცის ზურაბ გომართელმა, აბსოლუტურად არ მაინტერესებს, ვინ იქნება ჩემი დირექტორი. კაცმა რომ თქვას, პირადად ჩემთვის ზურაბ გომართელი უკეთესი ვარიანტიც კია. მან შესანიშნავად იცის ყველას ფასი, უყოყოლობას ვერ გაბედავს, დიდი პრაქტიკული ნიჭით და ენერგიით მუშაობისათვის ყველა პირობას შეგვიქმნის, ბენეფიციარია, ჩვენი გამოკვლევებით თვითონაც კარგად მოითბობს ხელს.

გუნებაამღვრეული შევცქერი მის უსიამოვნო სახეს.

ეკა რატომ იგვიანებს?

სკობია, ჩავიდე და მანქანა გადავაყენო, გასაღებს ხელში ვათამაშებ. მისი ეტლარენი თუ ჩხაკუნი ალბათ საშინლად უწყრანს ნერვებს ზურაბ გომართელს, კიდევ უფრო აცოფებს ჩემი გულგრილობა. რომ შეეძლოს, ტყვიას მეცხრდა. მართლა რამდენად მიზანსწრაფული უნდა იყოს კაცი, რომ დასძლიოს ამდენი ზიზღი, აჯობოს სხეული ამობიერებულ სიბრაზეს და მშვიდად, თითქმის მუდარით გელაპარაკოს.

მოსუცი პრეზიდენტი ჩაფიქრებულია.

ვინ შეცვლის აკადემიკოს ლევან ეზრინეშვილს?

ბურაკ ფანჯიკიძე
აკადემიკოს ჭის ფულიფადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორჩეული ავტორიტეტი მეცნიერული შემოქმედებითაც და შესაფერი, სოლიდური ასაკითაც არავინ დარჩა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში.

ახალგაზრდები, რასაკვირველია, არიან, ძალზე ნიჭიერნიც. ჰერსპექტიულნიც. ბევრი მათგანის სახელი საზღვარგარეთაც საკმაოდ გახმაურდა. რამდენიმე ახალგაზრდას თანაბარი შანსი აქვს, დაინიშნოს ინსტიტუტის დირექტორად. უპირატესობას მაინც მე მაძლევენ. ასე მოახსენეს პრეზიდენტს, ყველაზე ღირსეული კანდიდატი ნოდარ გელოვანიაო. ისიც დასძინეს, უარზეა, ქვა აიგდო და თავი შეუშვირაო.

ყველას სახელს და გვარს ათასი კუთხიდან სჯიჯგნიან, ტიტულებს უმოწმებენ, ავტორიტეტს აფთიქის საყურეს სწრნიან. დირექტორობის კანდიდატები რთულ ასპარეზობაა თანდათანობით ეთიშებიან. რგოლი უმოწყალოდ ვიწროვდება. ბოლოს ორი კაცი რჩება. უპირატესობა აშკარად ზურაბ გომართელის მხარესაა. მარტო მეცნიერული და ორგანიზატორული თვისებებით როდია მოპოვებული ის ორი თბილი სიტყვა, ჰინა რომ ზურაბ გომართელის მხარეს გადასწონა. ეს ბინი უჩვეულო ენერგიისა და მიზანსწრაფულობის წყალობაცაა.

ზურაბ გომართელის ენერგია მაოცებს, უფრო სწორად, მაწუხებს. მარტო გომართელი კი არა, საერთოდ მაწუხებენ ენერგიული ადამიანები. მე არ შემიძლია, ერთდროულად ათას პრობლემაზე ვიფიქრო, ათასი საქმე წამოვიწყო და ვაკეთო. ერთ საქმეს რომ ჩავუჯდები, მეორეზე გადასვლა მიჭირს. უფრო მეტიც, მაბნევს, სასოწარკვეთილებაში მაგდებს, ორად მყოფს და უიმედობის განცდა მეუფლება.

მე ემოციური ბუნების, განწყობილების კაცი ვარ. ერთი უსიამოვნო ამბავიც კმარა, რომ საქმეზე ფული ავიცრაო. ზურაბ გომართელი ემოციებიდან დაცლილი, მაგრამ ჯიუტი და მიზანსწრაფული.

მოხუცი პრეზიდენტი დაფიქრებულია.

„ზურაბ გომართელი?!“

კაცმა არ იცის, ხანდახან ადამიანის ბედი რა წვრილმანზე, რა უმნიშვნელო ამბავზეა დამოკიდებული. აჰა, მსჯელობისას სასწორი ზურაბ გომართელის სასარგებლოდ გადაიხარა. საკითხიც თითქოს უკვე უნდა გადაწყდეს... მაგრამ... ამ დროს ტელეფონის ერთმა უბრალო ზარმა შეიძლება მთლიანად შეატრიალოს კაცის ბედი. ტელეფონში კი შეიძლება ათასი რაღაც გითხრან, მნიშვნელოვანიც, უმნიშვნელოც, ძალზე უმნიშვნელოც, ბოლომდე მიყვანილი საქმე კი დიამეტრალურად შეგრუნდება.

მაგალითად, მოხუც პრეზიდენტს შვილიშვილი გახდომია ცუდად, ოცდათექვსმეტი და ცარა ხანი ჰქონია. ასეთი ტემპერატურა ზაფხულში შეიძლება სრულიად ნორმალურად ჩათვლის კაცმა. ოღონდ ნუ დაგვიწყდება — პატარა ბავშვია ავად, საჭიროა რომელიმე ცნობილი ექიმის გამოძახება.

შეიძლება ზემდგომი ორგანოებიდანაც დარეკონ, თათბირზე მიიწვიონ ან მოკრძალებით სთხოვონ, გაზეთისათვის საიუბილეო პატარა სტატიის, თუნდაც ორსიტყვიან მილოცვას ხომ არ დაგვიწერთო.

ყურადღება იფანტება. კანდიდატების შერჩევის დროს ზურაბ გომართელის მიერ მოპოვებული მცირეოდენი უპირატესობა უმალვე ქრება. სხვა ფიქრი ისადგურებს პრეზიდენტის გონებაში. სჯობია, ეგ საკითხი ხვალ განვიხილოთო, იტყვის მოღლილი. სიტყვას ვერავინ შეეპრუნნებს. ხვალ პრეზიდენტი ვერ მოიცლის, ეგ სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება, მაზეგ უცხოელ სტუმრებს მიიღებს და აკადემიის დასთვლიერებლად გაჰყვება. სხვა დროს სხვა მოვლენები და კრიტერიუმები წამოჰყოფენ თავს.

ეტყობა, ზურაბ გომართელს ბედი სწყალობს.

ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორობის მაძიებელს ისე აცვია, ოფიციალურ გემოვნებას რომ შეეფერება: საქმიანად, სადად, სხვისგან არ გამოირჩევა, წვერიც ისე აქვს გაპარსული და თმაც ისე აქვს შეკრეჭილი, ოფიციალური სტანდარტები რომ მოითხოვს. რესტორანში სიარულს მაქსიმალურად მოუკლებს, თუ, რასაკვირველია, მთლიანად არ შეწყვეტს. წვეულებებზე და ოფიციალურ სუფრებზე მხოლოდ ნახევარ ჭიქა ღვინოს დალევს, თუმცა ამჯობნებს სრულიად შეიკავოს თავი იმ ორი ყლუპი სასმელისგანაც; უფროს თაობას აგრძნობინებს, ცხოვრების ერთნაირი ნორმები გვაქვსო.

უცებ ერთი ახალი გვარი ახსენეს — „კობახიძე, რომან კობახიძე“.

— ვინ, ვინ? — კითხულობს პრეზიდენტი.

— რომან კობახიძე.

მისი გვარი სრულიად მოულოდნელად გამოხტა ასპარეზზე. მონადირე კაცს ალბათ ჰქონია შემთხვევა, ხანდახან კურდღელი მაშინ გამოხტება ხოლმე თოფი რომ ბუდეში გაქვს ჩადებული და მანქანაში ჩაჯდომას აპირებ შინ გამოსამგზავრებლად.

თურმე დუბნაში მუშაობს. ორმოცი წლისაა, ბუნებრივია, დოქტორია. კარგი ექსპერიმენტატორი და ზრდილი ახალგაზრდაა (თუ ორმოცი წლის კაცს ახალგაზრდა ჰქვია).

ვინც კობახიძის გვარი ახსენა, დახასიათებაც მშვენიერი მოაყოლა, ჭკვიანური და ლოგიკური.

ზურაბ გომართელის მცირე უპირატესობა თოვლივით გადნა.

ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტში რამდენიმე კაცია, უფროსობა რომ თანაბრად ეკუთვნით, ყველანი ახალგაზრდები არიანო. შედარებით ხანშიშესული და ავტორიტეტული მეცნიერებიდან ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში [illegible] მუშაობსო. ახალგაზრდებიდან რომელიმეს გამორჩევა განხეთქილების გაშლის გაგორებას ნიშნავსო. ისინი ერთმანეთს მეგობრობენ, ხვალ კი ერთი მათგანი დირექტორი იქნება. მის საყვედურს ან შენიშვნას შეურაცხყოფად მიიღებენ, დაიბოღმებიან და ერთმანეთს დაუპირისპირდებიანო. აი, რომან კობახიძე სულ სხვაო. უცხო კაცი მეგობრების თავმოყვარეობას არ გაალიზიანებსო. მართალია, ნოდარ გელოვანი ყველაზე ღირსეული დირექტორი იქნებოდა, მაგრამ არაფრის გაგონება სურს. ახლა ყველაზე ჭკვიანური იქნება რომან კობახიძე ჩამოვიყვანოთ, რასაკვირველია, ჩვენს წინადადებას თუ დათანხმდებაო.

ზურაბ გომართელს ბედი ნამდვილად სწყალობს.

ვიღაცამ წისქვილის ღარს წიფლის ძძიმე ფიცარი ჩაუდგა და წყალი გვერდზე გადაადგო.

ლევან გზირიშვილმა ინსტიტუტი შექმნა, ხალხი გამოზარდა და არცთუ ურიგო მეცნიერებიო. განა მიკვლეულის შეურაცხყოფა არ იქნება, მის მოწაფეებს უცხო კაცი გადავასტუნოთ თავზეო? ხალხმა მთაში იმოდენა ლაბორატორია საკუთარი მარკვენით ააშენა. უხერხული არ იქნება მათი პირმშო, ელემენტარული ნაწილაკების შესწავლის პიონერი, მთელს კავშირში და მსოფლიოშიც ცნობილი ლაბორატორია, მიკროსამყაროს შემსწავლელ ქართველ ექსპერიმენტატორთა სიამაყე, უცებ ჩავაბაროთ კაცს (ცუდად არ გამიგოთ, მე ვიცნობ რომან კობახიძეს, მშვენიერ მეცნიერს, დინჯ და სერიოზულ პიროვნებას), რომელსაც არც ეს ინსტიტუტი და არც ეს ლაბორატორია ჯერ არ უნახავსო?! როგორ შეხდება ამ ამბავს ინსტიტუტის კოლექტივი, იქნება თუ არა ეს მათი შეურაცხყოფაო?! პირადად მე ვთვლი (კიდევ ვი-

ზურაბ ფანჯიკიძე
აკადემიკოს მზის ფელიფანდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერრებ, გარდა სიმპათიისა, რომან კობახიძის მიმართ სხვა გრძნობა არ გამოჩნია), რომ მათი აღფოთება სრულიად სამართლიანი იქნება, გამოდის, ინსტიტუტში კაცი ვერ გვიპოვიან.

ჟაღარა პრეზიდენტი მაგიდაზე რიტმულად აკაკუნებს ოქროსფერ პარკერს.

სასწორის პინები ჯერ ნელ-ნელა წონასწორდება, შემდეგ ოდნავ, მაგრამ შესამჩნევად იხრება ზურაბ გომართელის მხარეს.

მაინც რატომ უნდა ვიჩქაროთ, საკითხი სერიოზულია, დაფფქრდეთ. კიდევ ავწონ-დავწონოთ, ბოლოს და ბოლოს, ცეცხლი ხომ არ გვეკიდება.

საქაღალდეები იკეცება. ყველანი დგებიან და ფეხაკრეფით სტოვებენ პრეზიდენტის კაბინეტს.

პრეზიდენტი სათვალეს იხსნის და ცხვირსახოცით ენერგიულად აპრიალებს.

ზურაბ გომართელი რძისფერ „ვოლგაზე“ ზის და ლაბორატორიისაკენ მიიჩქარის. ვაკე და კარგი გზები უკან დარჩა. ხევში გადაუხვია. მანქანას თითქმის შეჭანკურად მართავს, თან გონებაში თავის მცირე უპირატესობას სწონის, ფფასებს, მუშტრის თვალთ უუურებს. ხან მცირედ ეჩვენება და გულზე ნაოელი გადაუვლის, ხან პირიქით, სიხარული შემოაწყვება და მანქანის სიჩქარეს უნებურად უმატებს. ინსტიტუტის კოლექტივი მის მხარეს ვიქერთ, პირადად მე, ნოდარ გელოვანი, თანახმა ვარ ზურაბ გომართელის ბრძნული ხელმძღვანელობით განვაგრძო მეკოროსამყაროს ბინადართა გამოსაკვლევი ექსპერიმენტები.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენც შეგვიძლია ხელი გამოვიღოთ, უარი ვთქვათ რომან კობახიძის კანდიდატურაზე და მტკიცედ მოვითხოვოთ ზურაბ გომართელის დანიშვნა.

მაგრამ ამაზე თავს არავინ შეიწუხებს. უბრალოდ, ყველანი (გარდა ერთი-ორი კაცისა, თვითონ რომ ებრძოდნენ ამ თანამდებობისათვის), ფანაგია ვართ, ზურაბ გომართელი ინსტიტუტის დირექტორად დანიშნონ. ეს ჩვენს თავმოყვარეობას არ შელახავს. თავს კი ნამდვილად არ გამოვიდებთ, თუ უნდათ, თვითონ დანიშნონ.

ხვალვე თბილისში უნდა იყოს. დღეს მაინც მოინახულებს მთაში ბიჭებს. თანამშრომლებს მოუფერებს, ღია გულს დაანახებს, ფსიქოლოგიურად შეაგებებს, რომ მისი დირექტორობა ძალზე ნორმალურია და მისასალმებელი.

დროდადრო ოცნება იტაცებს, სასიამო გრძნობა იპყრობს. თბილისის ელემენტარული ნაწილაკების ინსტიტუტი უბრალო კვლევითი ინსტიტუტი როდია. ლევან გზრიშვილმა მას მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. მარტო ის რად ღირს, აქ, ამ ლაბორატორიაში იგრძნეს მეზონების ოჯახის არსებობა. პირველი სენსაციური ტალღაც მიკროსამყაროს ბინადრებზე აქედან აგორდა და ქვეყნის ქვეყნამდე გაიშალა.

მანქანა მიჰქრის და ფიქრებიც სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს. ხეობა თანდათან იქუფრება. დღის თერთმეტი საათია, მაგრამ ღრუბლები ისე ჩამოწვა და ჩამოიქუფრა, კაცს სალამო ეგონება.

ზურაბ გომარფელის სახელს ერთბაშად გაიგებს ელემენტარულ ნაწილაკებზე მომუშავე ფიზიკოსთა არმია. ახლა იგი სხვა რიხით ჩავა დუბნაში, სულ სხვა თვალით შეხედავენ სერაფუხოველი ფიზიკოსები. სხვა ეშხით წარსდგება სიმპოზიუმებსა და კოლოკვიუმებზე. ახლა ზურაბ გომართელის სიტყვას სხვა ფასი და წონა ექნება — ახალგაზრდა მეცნიერის უკან დგას სახელმოხვეჭილი ინსტიტუტი და საქვეყნოდ განთქმული კოსმოსური სხივების ლაბორატორია.

სად არის ზურაბის მძიმე, იაპონური საათი? სად არის მისი ნატიფად ამოტვიფრული ოქროს მძიმე ბეჭედი?

რატომ არ აცვია მოდური, ზოლებიანი კოსტიუმი და საფირმო პერანგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ არ ელავენ მისი მანქეტებიდან ძვირფასთვლიანი საკინძეები?

ახლა არაფერი არ არის საჭირო, რაც ყურადღებას მიიქცევს, რაც არასასურველ მოსაზრებებს დაბადებს.

ხეობა თანდათან ვიწროდება. აი ის ადგილიც, ჩვეულებისამებრ ზურაბი რომ ყოველთვის აჩერებს ხოლმე მანქანას. გადმოვა, საბურავებს შეათვალიერებს, მერე კმაყოფილი კვეკასონს გადასხედავს, დაბლა, თხელ, გამჭვირვალე ნისლში გახვეულ სოფლებს თვალს შეავლებს..

ფულატაბის ტრადიციას? არ გააჩერებს მანქანას?

თუ გააჩერა, ხალისიანად ყოფილა, მის გონებაში იმედს დაუძლევია ასოწარკვეთა.

მანქანამ სვლას უკლო და ნელ-ნელა გზიდან გადადგა.

მანქანიდან მხნედ გადმოვიდა. თვალები ძველებურად აფრქვევენ ენერგიას. თუ კარგად დაკვირდები, სახე სიხარულით აქვს ანეგზნებული. მანქანის კარი მიხურა, სიგარეტს მოუკიდა და კლდის ქიმთან მივიდა. ოჰო, სიგარეტის წვეტა დაუწყია. პირველი სწორი ნაბიჯი უკვე გადაუდგამს. აწი პის ჯანმრთელ და მთის წყაროსავით სუფთა ფილტვებს ნიკოტინი ვერაფერს დააკლებს, სოლიდურობას კი შეაძენს. ზუსტად ვერ ვიტვი, რაიმე შეკითხვაზე პასუხის მოფიქრების დროს პაუზის შევსების საშუალებას მისცემს. საკითხს ერთბაშად არ გადაწყვეტს, პასუხსაც სამი-ოთხი ნაფაზის მერე გამოიმეტებს. ოთხ ნაფაზს საკმაოდ დიდი დრო უნდა. ამ დროის მანძილზე დუმილი უხერხულია. როცა ეწევი, ამ უხერხულობას ვერ გრძნობ, მოძრაობაც უფრო სოლიდური და ბუნებრივი გაქვს, თან პასუხის მომლოდინეც ნაკლებად ნერვიულობს.

დაბლა, ჩაქუფრულ ხეობაში მდინარე მიიკლაკნება. მაღლა ძლივს აღწევს მისი ხმაური. საოცარი სიჩუმეა, ჩიტების ჭიკჭიკიც კი არსაიდან ისმის.

ზურაბ გომართელმა ხელები გაშალა, მერე რამდენიმეჯერ ჩაიმუხლა და მანქანისკენ წავიდა.

ყველაფერი რიგზეა.

მისმა რაციონალურმა გონებამ უწვრილმანესი დეტალებიც კი ყურადღებით აწონ-დაწონა, შეაფასა, განსაზღვრა და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. დარწმუნდა, თუ ყოველად წარმოუდგენელი არ მოხდებოდა, მის დირექტორობას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. სასიამოვნო ნაკადმა სხეულში ისე დაურბინა, თითქოს მისი მოძრაობაც კი დინჯსა.

ახლა მხოლოდ რამდენიმე დღე იყო საჭირო. ბევრი-ბევრი, ერთი კვირა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ხვალ დილითვე გამობრუნდება თბილისში. ვინ იცის, იქნებ საკითხი ზეგაც გადაწყდეს, პრეზიდიუმზე. ახლა მთავარია დროზე ავიდეს ლაბორატორიაში, დროზე დააკანონოს ბრი, რომ ზურაბ გომართელის დირექტორობას წინ ალარაფერი უდგას.

სიგარეტი უკანასკნელად მოქანა, კლდიდან მოისროლა და მანქანაში ჩავდა. კარის მიკეტვებაც და მანქანის ადგილიდან დაძვრა ერთი იყო. მანქანას ოსტატურად მართავს, რაც მართალია, მართალია.

წუთიერმა შესვენებამ, მუხლის გაშლამ და ხეობაში ჩამდგარმა სუფთა ჰაერმა მეტი მხნეობა შესძინა. სიჩქარეს უმატა და მიზანიც დააკონკრეტა — ორ საათში ასულიყო ლაბორატორიაში.

მხოლოდ ერთი რამ არ იცოდა ზურაბ გომართელმა — განსაცდელი იქვე, ხუთი წუთის სავალზე იყო ჩასაფრებული.

ნუთუ ადამიანი ვერ გრძნობს განსაცდელის მოახლოებას? ნუთუ წინათგრძნობის იმპულსი არ მიანიშნებს მოახლოებულ საფრთხეს? აბა როგორ მივხვდი ვიდ ვიმესელაზე, რომ დედაჩემი გარდაიცვალა? იქნებ ეს იმპულსი გიამ გადმომცა თავისი ფრთხილი, უჩვეულო შემოსვლით? მაგრამ მე ხომ გია არ დამინახავს? ჯერ როგორ მივხვდი,

ბუბა ფანჯიკიძე
აქტიური მზის ჭელიჭადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გია იყო? ხოლო მერე, როცა ხმა ამოიღო, როგორ მივხვდი, რომ დედაჩემი გარდაიცვალა?

ნუთუ ახლა ვერ გრძნობს ზურაბ გომართელი, რომ ხუთი წუთის, არა, უკვე სამი წუთის შემდეგ იგი თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ქალიშვილს გაიტანს?

მე თვითონ სამინლად განვიცდი უბედურებამდე დარჩენილ სამ წუთს, მკვლელი და მსხვერპლი ერთმანეთს უახლოვდებიან. მსხვერპლი ფეხით მოაბიჯებს, თუმცა მანქანის სისწრაფესთან შედარებით მეჩვენება, რომ მოაბიჯებს. პატარა გოგონა ხბოს მოსდევს. ზურაბ გომართელი სამოცდაათი კილომეტრის სისწრაფით უახლოვდება მსხვერპლს. გოგონას სახლში მიეჩქარება, ტელევიზორში საბავშვო გადაცემას უნდა მიუსწროს. ზურაბ გომართელს ერთი სული აქვს ლაბორატორიაში როდის ავა. სამოცდაათი კილომეტრი სოფლის მიხეიულ-მოხეიულ, ვიწრო და დანგრეულ გზაზე დიდი სისწრაფეა. გომართელი არც მანქანას ზოგავს, არც თავის თავს.

რჩება ერთადერთი წუთი!

ნუთუ კიდევ არ გრძნობენ არაფერს?

დაძაბულობისაგან საშინლად ვკანკალებ.

კიდევ ნახევარი წუთი, თხუთმეტი, ათი, ხუთი სეკუნდი...

მეტი აღარ შემიძლია, შიშისგან თვალს ვხუჭავ. შეჯახება გარდუვალია. ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი, ერთი წლის წინ, სამი... ხუთი წლის წინ... იმ დღეს, იქ საათში; იმ წამს არის გადაწყვეტილი, როცა გოგონა დაიბადა. მერე თოთხმეტი თუ თხუთმეტი წელი უნდა გასულიყო, და აი...

სამი სეკუნდიღა რჩება, ორი, ერთი...

მკვდარი მოსახუვები.

გოგონამ წინ გადაირბინა. ზურაბ გომართელმა მუხრუჭს ფეხი დაეჭირა, საჭე მთელი ძალით მოქაჩა. მანქანა შემობრუნდა და გარდიგარდმო დადგა გზაზე.

რა საშინელი იყო დაჯახების ხმა, თითქოს ტვინი ერთდროულად ეფეთქა. ონმა ელექტრობურღმა გახვრიტა წიგნილი. გამწარებული საჭეს თავს ურტყამს და მანქანიდან გადმოსვლას ვერ ბედავს. სისხლში მოსვრილი გოგონა გზის გადაღმა გდია ,— მანქანის ბამპერმა მოისროლა დაჯახებისას.

მანქანა ისევ გარდიგარდმოა გაჩხერილი. ძრავა აღარ თუხთუხებს.

ზურაბ გომართელს ორთაევ ხელით საჭე ჩაუბღუჯავს. ვერც კი გაიგო, ძრავა როდის ჩაერა. გასალები გადაატრიალა, ძრავა ჩართო. მანქანა ოდნავ უკან დახია და თბილისის მიმართულებით შეატრიალა.

რაც დროის ამ მცირე მონაკვეთში გაკაკეთა, ზურაბ გომართელის გონებას არ აღუნეხსავს. არ გაუფაზრებია, არც შეუგრძნია რატომ ჩაქრა ან როდის აამუშავა ძრავა. აღარც ის ახსოვს, თბილისისკენ როდის შეაბრუნა მანქანა.

ამ დროს მისი გონება სულ სხვა ფიქრით იყო შებოჭილი. დაჯახებისას კარგად დაინახა შეშინებული და საშინელი ტკივილით დატანჯული თვალები. ყურში ისევ უწოიდა მუხრუჭების საშინელი ხრეიალი და გოგონას კივილი.

მერე?

მერე ათასგვარი ფიქრი, საშინელი სისწრაფით რომ ენაცვლება ერთმანეთს.

ზურაბ გომართელი მიხვდა — ყველაფერი დაღუბა. თანამდებობას ვინ დაეძებს, ცოხე ელოდება — ყველაზე ცოტა, ოთხი წელი მაინც.

„რატომ წამოვედი, რატომ?!“

„რატომ არ ჩავსახი ბეწზინი მცხეთაში, იქ შეჩერება ხომ გადამარჩენდა ამ უბედურებას“.

„რატომ არ ჩავიჯინე ის შავოსანი ქალები, გზაზე რომ გადამიდგნენ, მცხეთასთან? ხუთი წუთი მაინც მოუნდებოდნენ ისინი ჩასხდომას. ერთი სეკუნდის დაგვიანებაც კი იყო საკმარისი...“

შემდეგ?

შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებიან შვილებისა და მეუღლის სახეები, მოყ-

ვრების მტირალი თვალები, მტრების კმაყოფილი ღიმილი.

როდის გადაწყვიტა თბილისისკენ გაბრუნება? როდის შეაბრუნა მანქანა? არაფერი ახსოვს. უკვირს, მაგრამ სინამდვილეს სად გაიქცევა, მანქანა თბილისისკენაა შებრუნებული. რომელმა თავდაცვის ინსტინქტმა უკარნახა, თბილისისკენ გაიქეცითო? იქნებ მეორე ინსტინქტმა უბრძანა, ადგილიდან ფეხი არ მოეცვლია და ლაჩრულად არ მიმალულიყო? იქნებ შიში — მკვლელი არ გავსდეო, გააფერმკრთალებდა კარიერის დაღუპვის შიშს?

მანქანიდან მკვდარივით გადმოვიდა. გოგონას ორთავე ფეხი ჰქონდა გადატეხილი, ირგვლივ სისხლის გუბე იდგა. შიშით და ვედრებით სავსე თვალები სანახეგროდ მიელულა, სხეული ბომბაკდავი გულივით ფეთქავდა. მარცხენა ხელიც მოტეხილი ჰქონდა, ღონეგამოცლილი ამბოდ ცდილობდა მარჯვენა ხელით მიწას დაყრდნობოდა და თავი წამოეწია.

უცებ ზურაბ გომართელის ტვინში დაიბადა ყველაზე საშინელი აზრი, რაც კი შეიძლებოდა ადამიანს თავში მოსვლოდა.

ზურაბ გომართელი კანკალებდა, ირგვლივ შეშინებული იცქირებოდა, მაგრამ საშინელი აზრი, საშინელი გადაწყვეტილება თანდათან უფრო იმორჩილებდა და იმონებდა.

გონებაზე ბინდი გადაეკრა, სახეზე ლურჯმა ფერმა გადაჭკონა, პირზე დუჟი მოერია, იქაურობას მგლური თვალები მოავლო. კაცის ჯაჭანება არსად იყო.

ღრმა ხევს გადახედა. გზა ფრიალო კლდის პირს მიუყვებოდა. კედელი თითქმის ვერტიკალურად ეშვებოდა შორს. სიღრმეში ჩაკარგული მდინარისაკენ. უკან შემობრუნდა, ირგვლივ კიდევ ერთხელ მიმოიხედა და როცა ვერავინ დალანდა, გოგონას ძივარდა. ხელები მხრებში ამოსდო, ტვინი საშინელი სისწრაფით მუშაობდა, მიხედა, ხელში აყვანა არ შეიძლება, სისხლით დავისვრებიო. გზაზე ფრთხილად გადაათრია. რაღაცას ბუტრტყუნებდა, თითქოს ყმუოდა. [illegible] განიზმიდან უჩვეულო ხმები ამოსდიოდა. მოტეხილი ფეხები გულსაკლავად მისთრევდა სხეულს და გზაზე სისხლიან კვალს სტოვებდა.

გოგონამ სიმწრისაგან თვალი გაახელა, ზურაბს შესცქერა. ზურაბ გომართელმა მუდარით სავსე თვალებს ვეღარ გაუძლო. გვერდზე იხედებოდა და მოჩვარულ სხეულს ისე მიათრევდა. როცა კედლის ქიმი დაინახა, გოგონა მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა დღეც ელოდა.

ყველაფერი ვვიან იყო, შეკვლებაც, ხვეწნაც, მუდარაც. ზურაბ გომართელის სმენამ და შეგრძნებამ ისე აირეკლა სულისშემძვრელი სიტყვები, როგორც ფოლადის სქელი კედელი აირეკლავს სუტი ხელით ნასროლ კენჭებს. გონებაში ჩაეკვეა მხოლოდ შიშით გაფართოებული და გაოცებული თვალები.

ერთხანს გაშეშებული იდგა. თითქოს თვალებმა მონუსხეს და ადგილზე გააქვავეს. ოდნავდა აღწევდა კენჭების ჩხრიალის ხმა, გოგონას სხეულმა რომ წაიყოლა.

ზურაბ გომართელი ერთბაშად გამოერკვა, მანქანას მივარდა.

„თბილისისაკენ!“ — დარეკა გონებამ.

„თბილისისაკენ! თბილისისაკენ! თბილისისაკენ!“ — ეკოსავით მეორდებოდა ხეობაში მისი ბანდაწყვეტილება.

რაც შეიძლება ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გასცილდეს აქაურობას. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეუერთდეს მთავარ მაგისტრალს. მერე უკვე ფონს იქნება გასული.

წინიდან მომავალი მანქანა შენიშნა, უდარდელი სახე მიიღო და სიჩქარეს დაუკლო. დიდი სიჩქარით აუცილებლად მიიპყრობ ყურადღებას, — ჰკარნახობს ვიღაც მის ტვინში მოკალთებული სხვა პიროვნება.

„ვითომ შეამჩნევს სისხლს?“

„ვითომ შეაჩერებს მანქანას?“.

ეშვი ჭიასავით შეეპარა გულში.

„თუ შეამჩნევს, ჩემზე იეჭვიანებს. ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომ დამახსოვრებული ექნება მანქანის ნომერი?“.

ახალი აღმოჩენა — მთლად სველია. არც კი გაუგია, ოფლმა როდის დაასხა.

კიდევ ოცი კილომეტრი და გავა მთავარ ავტოსტრადაზე. შეერევა მანქანების მდინარეს და სამუდამოდ დაფარავს კვალს. მაინც სჯობია, ავტოსტრადაზეც ნაცნობს არსად გადაეყაროს. მთავარია, თბილისში შეუმჩნეველად ჩავიდეს.

უზარმაზარი ქედი შეილდვიდ იყო მოდრეკილი.

კიდევ სუთი კილომეტრი.

კიდევ ორი, ერთი...

ზურაბ გომართელი შეერია ლითონის მდინარეს და მის ერთ ზვირთად იქცა.

შვებით ამოისუნთქა, იმედმა ისევ გაიტიატა გულის სიღრმეში. ახლა მთავარია თბილისში დროზე ჩასვლა.

„მანქანას ხომ არაფერი ეტყობა?“.

„ჯერ ცოტას კიდევ ვივლი“.

კიდევ სუთი კილომეტრი მოიტოვა უკან, მანქანა გვერდზე გადაადგენს და ფრთხილად გადმოვიდა. უდარდელი კაცის სახე მიიღო. ჯერ საბურავებს შესდა, მერე სალონში ხელი შეყო და კაპოტი ახადა. ვითომ ძრავას ათვალიერებდა. სინამდვილეში ბამპერს ჭამდა თვალებით. მანქანას არაფერი ემჩნეოდა, ოდნავადაც კი არ იყო შეფუნული. მხოლოდ რამდენიმე ალაგას სისსლი შეხმობოდა. ნიკელი ცხვირსახოცით გაწმინდა, მერე ცხვირსახოცში ქვა გაახვია და შორს მოისროლა. თავისუფლად ამოისუნთქა.

ავტოსტრადამდე მთელი გზა ისე გამოიარა, იმ ერთი „ყიეულის“ მეტი არაფერი შეხვედრია.

„ვითომ დაიმახსოვრებდა ჩემი მანქანის ნომერს?“.

„კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დაემახსოვრებინა?“.

„მთავარია თბილისში ჩქარა ჩავიდე, მანქანაა პროფილაქტორიაში გავარეცხონო და მერე ვინმეს ვესტუმრო. დილით თბილისში მნახს, საღამოსაც ბევრმა უნდა მნახოს. დღეს მე თბილისიდან არ გავსულვარ. კიდევ კარგი, არავისთვის მითქვამს, ლაბორატორიაში წასვლა ... რომ გადავწყვიტე“.

„მანქანა სვალ დილით მაინც საგანგებოდ უნდა შევამოწმო, შეეუსული არაფერი ჰქონდეს. სვალ დილით რატომ, დღესაც კარგად მოვასწრებ. ბოლო-ბოლო, საღამოს სუთ საათზე თბილისში ვიქნები“.

„დიახ, დღეს თბილისიდან არსად არ გავსულვარ, დღეს მხოლოდ ქალაქში ვტრიალებდი. სჯობია, ჩასვლისთანავე აკადემიაში მივიდე, რაც შეიძლება, ბევრს დავეესახო“.

აი, პატარა გორაკიც და დაბლა გორი გადაიშალა.

„კიდევ საათნახევარი და თბილისში ვარ“.

„ფრთხილად უნდა ვიარო, წესები ოდსავადაც არ უნდა დავარღვიო, რომ ინსპექტორმა არ გამაჩეროს“.

გორიც უკან დარჩა.

ზურაბ გომართელს მხნეობა მოემატა.

სადღაც გაჭრა ის საშინელი ტკივილი, გამოდებებით რომ ყურში ჩაესმოდა. აღარც იმ გაოცებულ და შეშინებულ თვალებს ხედავდა, აღარც კენჭების ჩხრიალის ხმა აწუხებდა, პატარა გოგონას სხეულმა რომ წარიტანა.

სამშვიდობოდ ორი ნაბიჯიღა იყო.

საათს დავხედე.

ცოფიანივით წამოვვარდი, ჩემი მანქანა ახლა მთლიანად მზის გულზე იდგა.

— ორ წუთში ამოვალ! — მივუგდე უხეშად ზურაბ გომართელს და კიბეზე დავეშვი.

მანქანას, ალბათ ნახევარი საათი მაინც იყო, მზე დასჩერებოდა. გავარვარებულ ლითონს ხელი დავადე. გული შემეკუმშა. კარი დამნაშავესავით გამოვაღე. სალონში დაუბებული ბუღი სახეში მეცა. ფანჯარა სასწრაფოდ ჩამოვწიე, ძრავა ჩავრთე, მანქანა მეორე მხარეს გადავაყენე.

საღამომდე შემეძლო მშვიდად ეყოფილიყავი, მზე ექვსის ნახევრამდე აღარ მიადგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისევ დავადე** ლითონს ხელი. თავი უკმაყოფილოდ გავიქნიე და სადარბაზო შესასვლელისკენ წამოვედი.

უცებ თავში გენიალური აზრი მომივიდა. უფრო სწორად, ეს იდეა ტვინს ცარიელმა კუუმა უკარნახა, კონიაკმა რომ სულ მთლად გააცოფა. იქვე ჩვენი შენობის გადაღმა გადავირბინე და პური ვიყიდე. მერე პირველ სართულზე მოთავსებულ გასტრონომში შევედი, ძეხვი, ორი ბოთლი შამპანური და ერთი კონიაკი ამოვიღლიავე.

ოთახის კარი ფეხით შევაღე. ზურაბ გომართელს წამოდგომა უნებებია, ფანჯარასთან მისული და დაბლა იცქირება.

კარის მიჯახუნების ხმაზე უმალვე შემობრუნდა. ხელში ბოთლები, პური და ძეხვი რომ დამინახა, სახეზე იმედმა გადაჭკა, იქნებ ეს ჩვენი მოლაპარაკების საწინდრად მიიჩნია? ახლა, როცა კვლავ სუფრას მივუსხდებით, საუბარი უფრო გულახდილი იქნებაო, ფიქრობს მისი რაციონალიტი ტვინი. ჩემი დაბლა ჩასვლა და სასმელის ამოტანა უკვე თანხმობას ნიშნავდა. ერთბაშად გამოცოცხლდა, ენერგიულად შემომეგება. ბოთლები გამომართვა და ტაბლაზე დაწყო. მერე დანას წამოაკლო ხელი, პური და ძეხვი დაჭრა.

შამპანურება სამზარეულოში გავიტანე, ტაბლაზე მხოლოდ კონიაკი დავტოვე. უკან რომ გამოვბრუნდი, კოსიაკიც გახსნილი დამხვდა.

ახლა აშკარად მოსვენებულად ვგრძნობ თავს. მანქანა სადამომდე ჩრდილში იქნება. ბეზზინის ბაკი ბოლომდე სავსეა. მუხრუჭები გუშინ ვარეგულირე. რაკი მანქანის საქმე მოვაგვარე, ზურაბ გომართელის ოთხკუთხედი შუბლიც ისე გამაღიზიანებლად აღარ მოქმედებდა. უკვე აღარ მიკვირს, სტარა გოგონა როგორ გადაუშვა კლდეზე. ის უფრო გაკაოცებდა, სხვანაირად რომ მოქცეულიყო.

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! — ამბობს რიხიანად და კონიაკის ჭიქას მიჯახუნებს. ჭიქა ბოლომდე გამოსცალა. მეტი ჯერ მას არაფერი დაულევია. შამპანურით სავსე ჭიქა ისევ ტაბლის დეფში იდგა. ჭიქაში ყინული კარგა ხნის ჩამდნარი იყო. არც ამ ერთ ჭიქა კონიაკს დალევდა, იმდენ რომ არ მისცემოდა. მივხვდი, ძეხვისა და სასმელის ამოტანით საბოლოოდ დავარწმუნე, რომ მასთან გულითადი საუბარი მინდოდა.

ამ იმედს სულ მალე ჩავუკლავ გულში!

ეტყობა, ენერგიულ და რაციონალურ ტვინში მთლიანად აქვს ჩამკედარი წინათვრძნობის უჯრედები.

სადღეგრძელოზე არ მიპასუხია, კონიაკს ჩუმად ვსვამ. ძეხვისა და პურის ნაჭერს საოცარი ნეტარებით ვეახლებით.

— პირველსავე დღეს ლენინგრადში წავალ, მაგნიტის დამზადების საქმეს დავაჩქარებ. შემდეგ მოსკოვსა და დუბნაში ჩავაწყობ საქმეს, საგაზაფხულო სიმპოზიუმს სერაუხოვის ნაცვლად თბილისში ჩავატარებინებ. მანამდე მაგნიტი ჩამოტანილი და გაშვებული გვექნება.

მადა ერთბაშად დამეკარგა. სკამის საზურგეს გადავაწექი და ზურაბ გომართელს მოკუტული თვალებით გავხედე.

— დირექტორობას, ბუნებრივია, პირველად შენ შემოგთავაზებენ. თუ შენ დათანხმდები, ხმის ამომღები არა ვარ, კიდევ ვიმეორებ, ყველაზე მეტად შენ გეკუთვნის ხელმძღვანელის პოსტი. მაგრამ წელან ამბობდი და მეც სავსებით გეთანხმები, შენ არ გგრძნდება ეს თანამდებობა, შენ უნიჭიერესი ექსპერიმენტატორი ხარ. შენი მოცდენა ადმინისტრაციულ საქმეებზე დანაშაული იქნება.

ყურს აღარ ვუგდებ, ოღონდ გონებაში აღვადგინე მისი ინტონაციით წარმოთქმული სიტყვა „უნიჭიერესი“. ამ ერთი სიტყვით მცირედიდან უსასრულობამდე შეიძლება გაზარდო ნიჭიერების ხარისხი მხოლოდ ინტონაციის საშუალებით. ზურაბ გომართელის ინტონაციამ ამ სიტ-

---

ზურაბ ფანჯიკიძე
აქტიური მზის წელიწადი

ყვას იმდენა ხარისხი მიანიჭა, მე რომ არ ვიმსახურებ.

— შენს სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება!

იმ „უნიჭიერესიდან“ აქამდე რა ილაპარაკა, გამოვტოვე. ახლა მისი სიტყვები ისე ჩამესმა ყურში, თითქოს ტრანზისტორით ახალი სადგური დავიჭირე.

— თუ შენ მხარს დამიჭერ, საეჭვო აღარაფერი იქნება, ჩვენ გავიმარჯვებთ (ჰმ, „ჩვენ გავიმარჯვებთ“). მე მჯერა ჩემი ენერგიისა, მე მჯერა ჩემი პრაქტიკული ნიჭისა და გამჭრიახობისა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, მე ორგანიზატორი ვარ, მაგრამ არა მარტო ორგანიზატორი, კარგი მეცნიერიცა ვარ. შენ ეს მშვენივრად იცი. ჩემი ორგანიზატორობის უნარი ყოველთვის შეთანხმებული იქნება მეცნიერულ ჭვრეტასთან. მე შემიძლია გუმანით ვიგრძნო, განვჭვრიტო, ბოლომდე ჩაეწვდე თქვენს წინადადებებს, მოსაზრებებს. ისე წარვმართავ ინსტიტუტის მუშაობას, ორიენტირად მეცნიერების ხვალინდელი კი არა, ზეგინდელი დღე ვევქნება. სხვისი რჩევა თავმოყვარეობას არ მილახავს, მე არ მაქვს ხელმძღვანელის უშნო თავმოყვარეობა..

— ნუ ღელავ, ჩემო ძვირფასო, დაიოკე ტემპერამენტი, შენ აუცილებლად იქნები ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. შემიძლია სანაძლეოც დავდო. გინდა, შენ თვითონ დაგენიძლავი?..

ვხედავ, თვალებში როგორ ჩაუდგა სხივი. ჩემი სიტყვები ეკლესიის ზარის რეკვასავით ჩაესმა ალბათ.

— ეს შენ გაგიმარჯოს, — ჭიქა ავწიე და ზურაბ გომართელს გვერდულად გავუღიმე.

— ჩვენს მომავალ საქმიანობას გაუმარჯოს! — შემახსენა მან წეღან წარმოთქმული სადღეგრძელო, ჯერ რომ არ დამელია.

— მინდა პირადად შენი, ზურაბ გომართელის სადღეგრძელო დავლიო.

საკუთარი ხმა არ მომეწონა. მუქარის ინტონაციები ჩამესმა, ახლავე უნდა ჩოვთოკო თავი, თორემ შემომელახება ჩემი მომავალი უფროსი. ეს არ იქნება! მთლად ეთიკური.

— შენ გაგიმარჯოს, პირადად! — ვიმეორებ.

აი ეს მომწონს, ჩემს ხმას სითბო შეეპარა, მუქარის ნოტები უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. კარგია. ესე იგი, ჯერ კიდევ ვფლობ ჩემს ნერვიულ სისტემას.

— შენ იქნები ჩვენი დირექტორი, აუცილებლად დაგნიშნავენ, ასაღლეებელი და სანერვიულო არაფერი გაქვს. ოღონდ იმედი არა გქონდეს, რომ სიტყვას შემოგაშველებ. ხელს არ შეგიშლი, ეს უკვე დიდი დახმარებაა! თუ მკითხავენ, როგორი ამხანაგია ამხანაგი ზურაბ გომართელიო, ვიტყვი, დიდებულიამეთქი. ამას გპირდები. აბა მკვლელიათქო, იმას ხომ არ ვიტყვი?! გუშინ ჯინსებით დადიოდი, დღეს, ამ პაპანაქება სიცხეში კოსტიუმში იხრჩობ თავს. სწორია, ამ ეტაპზე ასეა საჭირო. („ამ ეტაპს“ განსაკუთრებულად დავაწეი), თმაც სადად შეგიკრეჭია, ბაკენბარდები დაგიმოკლებია („ბაკენბარდს“ — არა ტიტული ეფერადობა მივანიჭე), შენი მსხვილი ბეჭედიც სადღაც გამქრალა, მართალი ხარ; შეიძლება ვინმეს ცუდად მოხვდეს თვალში. უფლებას გაძლევ ყველას უთხრა, რომ არასდროს ფიქრად არ მომსვლია, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გავმზადარიყავი. აზრი არც ახლა შემიცვლია. საერთოდ არ მიყვარს მერყევი ხასიათის ადამიანი. განა რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ჩემი უფროსი? შენ არ იქნები? ვინმე შენისთანას დანიშნავენ. იქნებ შენზე უარესსაც კი. განა ამით საქმის ვითარება შეიცვლება?

— ნოდარ!

— არავითარი „ნოდარ“ და, საერთოდ, სჯობდა, ჯერ ის კაცი დაგვემარხა.

— ნოდარ!

რა სასოწარკვეთით შემომჩერებიან მისი უსიამო თვალები, ვერც კი დაიჯერებ, რომ ამ საცოდავი თვალების პატრონი ასეთი ენერგიული და დაუდეგარია. შევაცქერი და ვგრძნობ, ტვინი როგორ მენილება. კაცმა არ იცის, რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიმოქმედებდი, უცებ ზარს რომ არ დაერეკა.

რასაკვირველია, ეკა. დიდი მიხვედრა არ უნდა მისი ზარის გამოცნობას — ორი წყვეტილი სიგნალი, ეს არის და ეს.

ზურაბ გომართელი რატომღაც შეაკრთო ზარის ხმამ, ფეხზე წამოვარდა და გაშშდა.

სკამიდან ძლივს წამოვიწია. კარი რომ გამოვაღე, გაოცებისგან კინაღამ შევკივარე — ეკასთან ერთად გამომძიებლის მოღიმარი სახეც დავინახე.

— ნუ ღელავთ, ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს კიბეზე.

გამომძიებლის სიტყვებში ხუმრობის პრეტენზია იგრძნობოდა.

— არ ვდელავ, მხოლოდ გავოცდი.

შემობრუნებისთანავე ზურაბის ნირწამხდარი სახე მომხვდა თვალში, ეუნება მოეწამლა, მიხვდა, მოლაპარაკება უიმედო ადგილზე შეწყდა. საუბარს გაგრძელება აღარ ეწერა. ტეჩებზე ღიმილს გაჭირვებით მოუყარა თავი და ეკას თავაზიანად მიესალმა.

— ჩაი დაიყენე! — ვეუბნები ეკას.

ისევ ჩემს სავარძელში ჩავეშვი. გამომძიებელს ხელით ვანიშნე, სად უნდა დამჯდარიყო. აწყარად გამოვხატე, რომ არ მესიამოვნა მისი დანახვა.

— მე წავალ!

ზურაბ გომართელის ხმაში სასოწარკვეთა სჭარბობდა.

— წადი, მშვიდად იყავი, ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ გინდა.

არ წამოვმდგარვარ, არ გამიცილებია, კარი ფრთხილად გაიხურა.

— ჭიქას ახლავე მოგიტანთ! — ვეუბნები გამომძიებელს და წამოდგომას ვაპირებ.

ეკამ ეტყობა გაიგონა ჩემი ნათქვამი და ჭიქა მოიტანა.

— ნუ წუხდებით, მე ვერ დავლევ!

მაინც დავუსხი.

მიკვირს, როგორ ახერხებს ხალხი, ცუდი განწყობილება არ შეიმჩნიონ (ან თუნდაც კარგი; ხდება ხოლმე, კარგი განწყობილებაც ვერ გამოგიმჟღავნებია ეცს).

— ვიცი, არ გესიამოვნათ ჩემი დანახვა! — გაღიმება სცადა გამომძიებელმა.

— არ მესიამოვნა გამომძიებლის დანახვა.

ეკა სამზარეულოშია, მაგრამ თვალი და ყური ჩემსკენ აქვს, იცის, შეიძლება ვიფეთქო. ერთი შეხედვით შეუძლია წაიკითხოს, ჩემს ტვინში რა აზრი მწიფდება, ჩემს სხეულში რა იდეა შლის ფრთებს.

გამომძიებელს უსიტყვოდ ვანიშნე, დალიე-მეთქი. მანაც რაღაც გრიმასით ისევ უარი თქვა და ჭიქა გვერდზე გასწია.

— თქვენი ნებაა, — ვთქვი და კონიაკი ერთბაშად გადავკარი. იდაყვებით ბარძაყებს დავეყრდენი და თავი ხელებშუა ჩავდე. ვხედავ, ნელ-ნელა როგორ დატრიალდა ყველაფერი. ჯერ ოთახი შებარბაცდა, მერე მთელი სამყარო. თითქოს ბევრი არ დამილევია. ალბათ ნერვიულობამ დამათრო.

„ერთი ბოთლი შამპანური, — ვანგარიშობ ჩემთვის, — თუ არ ჩავთვლით იმ ერთ ჭიქას, ზურაბ გომართელს რომ შევუუსვე და ახლაც რომ ხელუხლებელი დგას. თითქმის ერთი ბოთლი კონიაკი“.

ვმშვიდდები, ამდენი სასმელის დალევის შემდეგ, ნორმალური ადამიანი მთვრალი უნდა იყოს. ვინც სვამს და არ თვრება, კრეტინია.

თავი უცებ ავწიე, გამახსენდა, რომ გამომძიებელი ჩემს პირდაპირ იჯდა. ვერ გეტყვით, როგორი გამომეტყველება მქონდა. ერთი კია, გამომძიებელი უმალვე ფეხზე წამოდგა.

— სჯობია, ხვალ განახულოთ, ახლა არა ხართ ლაპარაკის ხასიათზე.

— სჯობია, საერთოდ აღარ მინახულოთ. ერთ სიტყვას აღარ დავუმატებ იმას, რაც უკვე მოგახსენეთ.

ეკა უმალვე ოთახში გაჩნდა.

— მაგრამ არის რამდენიმე ფორმალობა...

— ეკა, სტუმარი გააცილე!

---

ბუბა ფანჯიკიძე
აბტიური მზის ფალიფანდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნოდარ! — მესმის ეკას შეწუხებული ხმა.

— ნუ ღელავ, გეთაყვა! — ვამბობ ბრაზიანი ღიმილით.

„გეთაყვას“ ირონიულ ინტონაციას კარგა ხანია შეეჩვია.

გამომძიებელი ნელა წამოიმართა, თუმცა ამ წამოდგომაში მოთენთილობა როდი იგრძნობოდა. დინჯი, მაგრამ ღონიერი იყო მისი მოძრაობა. უფლებებით გათამამებულს შეურაცყოფის მწვანე ფერმა გადაჰკრა სახეზე.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — უფრო ეკას მისამართით თქვა მან და წავიდა.

არ ვიცი, რა გამომეტყველება ჰქონდა ამ სიტყვების წარმოთქმისას. ვცდილობ გამოვიცნო — გამოეხატა თუ არა ღიმილი სახეზე? თუ გამოეხატა, როგორი იყო ეს ღიმილი — სიბრაზისა და ეჭვარისა? იქნება სულაც უხერხული სიტუაციის გასსაფუტებად გაიღიმა?

— ჩაის ახლავე მოგიტან, მეტი აღარ დალიო.

— მოდი აქ!

— ჩაის მოგიტან.

— მოდი აქ-მეთქი!

ეკა შეშინებული მომიახლოდა. მიხედა, ჩემში პირუტყვი იღვიძებდა.

— მუხლზე დამიჯექი.

— ნოდარ, გეხვეწები, დაწექი, ჩაის ლოგინში დავალევინებ. დაწექი, თორემ გავიქცევი.

— აქ დაჯექი.

წინააღმდეგობას ვერ მიბედავს.

მსიამოვნებს მისი სხეულის სითბო. თავს მკერდზე ვაყრდნობ და თვალებს ვხუჭავ. წელზე ხელს მაგრად ვუჭერ. ალაღა ვგრძნობ, მთელი სხეული მიცახცახებს.

ეკამ ხელები შემომხვია და ლოყაზე თავზე დამეყრდნო.

უცებ შუბლზე ცრემლი დამეცა. ეკა ტიროდა, უხმოდ ტიროდა. ერთ ცრემლს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე...

არ გავნძრეულვარ, ვითომ ვერ მიგხვდი, ეკა რომ ტიროდა.

„რა მოხდა, რა გემართება, ასე უთენია დათირობა შეიძლება?“

„განა რამე მნიშვნელობა აქვს, როდის დალევ?“

„შენ რაღაც გაწუხებს, ნოდარ!“

ეკამ თავისი ნატიფი თითები ნელ-ნელა შეაცურა ჩემს თმაში.

„მე ძალიან მაჯირს, ეკა, შენ არც კი იცი, როგორ მიჯირს“.

„მაინც რა გაწუხებს, იქნებ ცოტათი მაინც შეგეშველო“.

„შენ რას მიშველი, ეკა, განა შეგიძლია ადამიანი იხსნა მკვლელებისაგან და გამყიდველებისგან, ქურდებისაგან და მოღალატეებისაგან, გულქვებისაგან და სადისტებისაგან? წადან მე მკვლელთან ვიჯექი და შამპანურით სავსე ჭიქას ვუპატუნებდი“...

„სისულელეს ნუ ლაპარაკობ, ნოდარ!“

„სისულელე გგონია, არა? ხვალ მაგ მკვლელს ინსტიტუტის დირექტორად დანიშნავენ, ჩემს უფროსად. ალბათ მკითხავენ, როგორი კაციაო. როგორ გგონია, რას ვიტყვი? „შესანიშნავი ამხანაგია, უკეთესს კაცი ვერ ინატრებს“— ეს იქნება ჩემი პასუხი, ნაცვლად იმისა, რომ განვაცხადო: „მკვლელია, თხუთმეტი წლის ქალიშვილი გიატანა და მერე ცოცხალი კლდეზე გადაჩეხა!“

„ნოდარ, რას ლაპარაკობ!“

„აბა, რა გგონია! იცი, ქვეყანაზე რამდენი კაცი ცხოვრობს კეთილშობილის, ვაჟკაცის, სათნო გულის მქონე კაცის სახელითა?! იმიტომ რომ ბედნიერ ვარსკვლავზე არიან დაბადებულნი და გაჭირვება არ შეხვედრიათ, გამოეჩინათ თავისი ნამდვილი ბუნება. შემთხვევა არა ჰქონიათ, რომ თავისი კარიერის გადასარჩენად, თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მოეკლათ კაცი, გაეყიდათ მეგობარი, ერი...“

„ნოდარ, მეშინია, გაჩუმდი!“

„ვინ იცის, რამდენი მკვლელი და გამყიდველი ჩავა საფლავში ვაჟკაცი კაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით. ვინ არის მსაჯული, ვინ განსჯის ცრუსა და მართალს, მკვლელსა და ვაჟკაცს? იქნებ ღმერთი, რომელიც არ არის, ან თუ არის, უმოწყალოდ დუმს?"

„ნოდარ, გემუდარები, გაჩუმდი!"

„მე შენ აღარ მიყვარხარ, ეკა, ვერ მოგატყუებ. იმიტომ კი არა, რომ მომბეზრდი და გული გამიცივდა, უბრალოდ, გამოვიფიტე, სიყვარულისთვის აღარ გამოვდგები, ოჯახზე ფიქრი ხომ ზედმეტია. არ მინდა, ჩემი შვილი მკვლელებსა და გამყიდველებში ცხოვრობდეს, თუ რასაკვირველია, თვითონ არ იქნება მკვლელი და გამყიდველი. არ მინდა შვილი, ეკა, იცი, რატომ არ მინდა? ქვეყანაზე იბადებიან ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი ხიროსიმას თავზე ღილს ხელი დააჭირონ და სამასი ათასი ადამიანი წებოსავით შეადნონ ერთმანეთს. მერე შეუძლიათ მშვიდად ივაზშმონ, საყვარელ ქალს მოეფერონ და კინოფილმსაც უყურონ".

„არ მინდა, არ მინდა, არ მინდა!"

— ნოდარ, რა გემართება!

— არ მინდა, ეკა, გესმის, არ მინდა!

— ნოდარ, ნოდარ, ნოდარ! — შორიდან ჩამესმის ეკას სასოწარკვეთილი ხმა.

მერე...

უფსკრულში მივექანები თავბრუდამხვევი სისწრაფით, ირგვლივ საშინელი შხუილი გაუდის ცივ ჰაერს, სხეულით რომ მივაპობ. ლამისაა ყურები დამიხეთქოს.

უცებ ყველაფერი ერთბაშად დადუმდა.

მერე...

მერე აღარაფერი მახსოვს.

დამძიმებულ, ერთმანეთზე დაწებებულ ქუთუთოებს ძლივს ვახელ.

თავზე ეკა მადგას, შეშინებული, ტირილით თვალებდასიებული.

თანდათან მაგონდება რაც მოხდა. ეტყობა, სახე დამილაგდა, აზრი გამიჩნდა. ახლადა მივხვდი, ლოგინში ვწევარ და მკერდზე ცივი წყლით დასველებული ტილო მადევს.

თვალებს ისევ ვხუჭავ, მარჯვენა ხელით ეკას ხელს ვეძებ. ეკა ხვდება რაც მინდა და ხელს მაშველებს. მისი ნატიფი თითები მოკრძალებით მიმაქვს გაცივებულ და ჩალურჯებულ ტუჩებთან.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეგონება

დათო მაღრაძეს

ქარი ლერწმის სალამურს
ისე ლაღად აჟღერებს,
რომ აღვიძებს განაბულ
მზეს, ჩიტებს და ჩანჩქერებს.
ჯოხის ცხენით მიფრინავს
უშფოთველი ბავშვობა,
თვალებში კი ფიქრი გაქვს,
გულში — რითმის მაჭრობა.
გიხმობს სიტყვა ალერსით,
საქართველოს მსახურად
და მთვარიან ღამეში
მუზის საბანს გახურავს.
აჰა, ლექსის ნანატრი
ბედაურიც ჭიხვინებს,
გადაევლე, გავარდი
და სამყარო იხილე.
პოეზიის შმაგი ზღვა
გასჭერ, ჯიქურ გასცურე,
ცისარტყელად ნაპირსა
ლექსი გაუტკაცუნე.
კვალი რომ დაგეჩინოს,
მწარე რომ სთქვა ტკბილის ხმით,
სხვის შარაგზას გერჩიოს
შენი ლექსის ბილიკი.
ვერ დარჩები უვნებლად,
მაინც ტანჯვა მოგელის,
ოდეს გაცნურდება
შეუცნობი ყოველი.
ოდეს შურის ეკლები
მოგიშხამავს მგოსნობას,
ლექსით წამოენთები
სამოყვასო კოცონად.

თუ მიჯნურმაც მზაკვრულად
მოგიჩრდილა მარაო —
იმ ვრილობას განკურნავს
მხოლოდ ლექსის მალამო.
იქნებ მიწის დადაფენა
ეკალბარდად დაგწამონ.
ლექსი მაინც აღაპყარ
ცოდვა-მადლის საწყაოდ.
ზიზღი ტრფობის სანაცვლოდ
ტყვეებივით გასცვალე.
დღე ბადაგით აავსე,
ღამის შხამი დასცალე.
ლექსი — გულის საკირე,
ლექსი — სიტყვის სამარე.
აღმაფრენით ატირე,
სიყვარულით აწამე.
იქნებ ერთგულ მეგობრის
ორგულობამ დაგკოდა.
ლექსი მაინც მოჰგავდეს
შენს უცოდველ ბალღობას.
და შეუნდე ხორციელს,
კეთილ იყავ მარადის,
მაგრამ რაკი შეუნდო
ქართულ ზეცის ღალატი.
და სტრიქონის სანჯალი
მკერდში ჩაეც ვადამდე,
რომ კაცობის მარჯანი
ლექსს გვირგვინად ფარავდეს.
გესმას, ნორჩო მგოსანო,
მთების იავნანური
და ჭაღარას გლოცავდეს
მარადმწვანე მამული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა ჯანელიძე

# ხე

ქალმა უხერხულად იგრძნო თავი და გაიფიქრა, რომ მისი არსებობა უბადრუკი იყო, არაადამიანურიც, რადგან მას ახლა არ შეეძლო ეპასუხა ბავშვის კითხვაზე. ბულდოზერის რახრახში ქალმა ვერც გაიგონა, რა ჰკითხა ბაშვმა, გუშანინთ მიხვდა: ხე ქუჩის გადალმა მოსალამობულ ცას აჰკვროდა. სხივჩამდგარი, მოვერცხლისფრო ფოთლები უკრთოდა, თუმცა ჰაერი არ იძვროდა. თითქოს შარავანდი შექნილიყო მის ირგვლივ, საიდანაც რაღაც მომნუსხველი ნათელი და საშშვიდე ყონავდა.

ქალს უცებ დაავიწყდა ფეხის ტკივილი, მთელი გზა რომ აწამებდა. დაავიწყდა საკუთარი ქრონიკული დაღლილობა. შვილიც ხომ ღლიდა თავისი ამოუყორავი ცნობისმოყვარეობით, რომლის დასაკმაყოფილებლად ბავშვი ხშირად თავს იბრიყვებდა კიდეც, ისე გულმოდგინედ, რომ დედა იბნეოდა. დაიჭერდა ღიმილს, ჩასაფრებულს ანკარა თვალების სიღრმეში, მაშინ ტუქსავდა. უმეტესად კი ემორჩილებოდა ბავშვს, ნებდებოდა რაღაც ულონოდ, უფრო სწორად, თითქოს იმ მოქმედების მონაწილე ხდებოდა, რომელშიაც ქალის წარმოდგენით მეოავნდებოდა მუდმივი შეცნობის არსი.

ბავშვს აღიზიანებდა საგნების თვალსაჩინოება. იმის მიღმა დაბორიალებდა, აკავშირებდა დაუკავშირებელს, მუდამ დაეძებდა რაღაც ნამსხვრევებს, რომლებისგანაც შეიძლებოდა შეეკოწიწებინა სასწაული და გაოცებულიყო იმით. დედა უფრთხოდა ამ გამოუნელებელ გრძნეულებას. ქალმა იცოდა რეალობის ფასი. მას ხომ დილიდან აღებული რიტმი ამოძრავებდა. ქალი გრძნობდა მის სისასტიკეს, ბედისწერასავით გარდუვალს, და ამიტომ ბრაზი ერეოდა, როდესაც ბავშვი არაფრად აგდებდა მის დროს. წუთები ხელიდან უსხლტებოდნენ, კვდებოდნენ ცარიელნი და უსახელონი. დრო ქალის ცნობიერებაში სამსხვერპლო სისხლს წაადგა ამ მძვინვარე კერპისთვის განკუთვნილს, ყოველდღიურობას რომ უწოდებენ ხოლმე.

აი ახლაც, ბავშვმა გამოსტაცა ხელი და ჯიუტად დაერჭო ზედ გუბის წინ, მაღაზიის შესასვლელთან. ამ გუბის გარეშე ქალს საერთოდ ვერ წარმოედგინა ეს ქუჩა. ბავშვი ყოველთვის ცდილობდა ზედ შუა ტბორში გაეტოპა. ფრთხილად, რაც ნაწილობრივ დათმობას ნიშნავდა, მიაბიჯებდა შიგ წუმპეში და დედაც ჩუმდებოდა. მას ხომ ბავშვის ხელი ეჭირა. რაღაც მანუგეშებელი იყო ამ სიფრიფანა მტევნის სითბოში და ალბათ ეს აყუჩებდა ქალს.

ახლა კი გაბრაზდა (ფეხიც აწუხებდა), დაუყვირა. ბავშვი იდგა და თითს იშვერდა. წამი და ქალმა დაინახა ხე.

და თუმც ვერ გაიგონა ქუჩის ხმაურში შვილის სიტყვები, მიხვდა, რასაც გაგიცდიდა იგი.

„აი ეს წუმპე, ხომ სულ უბრალო რამეა ზოგიერთ იმ უსმაგესოებასთან შედარებით, რომელსაც გვარგუნებს ხოლმე ყოფა, ხომ სულ არაფერია, — გაიფიქრა ქალმა, — მაგრამ მახსოვს, ვარ სადმე სხვაგან და ქვეშეცნეულად ვგრძნობ ამ წუმპეს. მაჯლაჯნებით ავიბორხლე ამ ბოლო დროს. ხე ვერ დავინახე (ქალს ხშირად უხდებოდა აქეთ ყოფნა), რატომ ვერ შეეამჩნიე ამაბდე ეს ხე?“ — გაკვირვებული ეკითხებოდა ქალი საკუთარ თავს. ახლა ქალში ეღერდა რაღაც მოცამცამე ჰაერივანი ჰანგი. დაყრუებულიყო თითქოს — ქუჩას გამოეთიშა. საკუთარ თავს უსმენდა ეხლო�e, იმ უცაცარ შინაგან სიმსუბუქეს, ბედნიერების განცდას რომ ჰგვდა. ოდნავი თავბრუხვევაც კი იგრძნო.

ქალი გამოერკვა. ბავშვი ეკითხებოდა, რა ჰქვიაო ამ ხეს. უკვე ჭირვეული ხმით იმეორებდა შეკითხვას. ბავშვმა შებრალება არ იცოდა, თუკი სურდა გაეგო რაიმე. ქალი შეწუხდა. მას ახლა მოერია ძველი სინანული, აუნაზღაურებელი დანაკლისის ის შეეხუთავი შეგრძნება, ყოველ ადრეულ გაზაფხულზე რომ მოაწვებოდა ხოლმე. სტკიოდა შიგ სული ჩარჩენილი სოფლის სურნელი, ეზმანებოდა დიდი, ჰაერით სავსე სივრცეები. მის სამფუშაო მაგიდასთან ტოტი რომ იყურებოდა ფანჯარაში (არც იმ ხის სახელი იცოდა ქალმა), ის ტოტი დენივით უვლიდა ტანში. ასე ემართებოდა გაზაფხულის ეჟამს, მერე ცხრებოდა, მერე უბრალოდ სიამოვნებდა ხოლმე შვებულებაზე ფიქრი.

ქალი და ბავშვი ცხოვრობდნენ ჩასახვევში, „საქმიანი კაცის“ ქუჩაზე (ასე უწოდა ქალმა თავის ქუჩას). ქუჩის გაბგებელი საქმიანი კაცი ხულით ავადმყოფი იყო, მაგრამ ისეთ მაგიდას უჯდა, რომ ამას ვერავინ ამჩნევდა. ქუჩისთვის ჰყავდა განკუთვნილი სამი ჩიაკაცი და ერთი ჩაფსკვნილი დედაკაცი, რომელსაც სატკივნი მანქანა ებარა. მოვიდოდნენ, აყრიდნენ ხოლმე ასფალტს მთელი ქუჩის სიგრძეზე. მანქანა იშვიათად ტკივნიდა ქუჩას. ასფალტი უფრო აყრილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დაგებული. ასეთი იყო თამაშის წესი. როდესაც ქალი ხედავდა ტელევიზორში სუფთა, უცხოდ გაწყობილ ქუჩებს, წარმოიდგენდა ხოლმე სულით ავადმყოფს, სავარძელში რომ ცქმუტავდა ამ დროს.

— დედა, რა ჰქვია ამ ხეს, მითხარი, ამ ხეს რა ჰქვია? — ხელი, ესოდენ ფაფუკი, ავად ქაჩავდა დედის კალთას, ბავშვს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ დანახული. მის წარმოსახვას აღაგზნებდა სიტყვა. სიტყვასთან ბავშვის თამაში, თავისი შინაგანი, იდუმალებით აღსავსე მოძრაობით რიტუალურ ცეკვას რომ მოაგონებდა ხოლმე დედაქალს, რითმებში ფათურით იწყებოდა.

ქალმა მიიხედ-მოიხედა. მაღაზიის გაყოლებით ქუჩას ჩასდევდა ხის ღობე. ჭიაკარში ქალი და კაცი იდგა. „ეს რა ხეა?“ — გააწყვეტინა მათ ლაპარაკი ბავშვის დედამ. პიკამოიანმა კაცმა ზანტად მოაბრუნა თავი, გახედა ქუჩის მეორე მხარეს და ბულდოზერს დააკვირდა: „თელა, რაღა“. „თელა არა, — გაიცინა გვერდით მდგომმა, — ცაცხვია“...

„ეგენ ნაძვია?“ — გაჯავრდა გულში ქალი. ცაცხვები სწორედ „საქმიანი კაცის“ სამფლობელოში იდგნენ. შურისძიებას ჰგავდა ხოლმე ცაცხვების საგაზაფხულო სურნელის ფრქვევა აოხრებულ ქუჩაზე.

„დამგვიანდა“, — შეკრთა ქალი, მაგრად ჩასჭიდა ხელი ბავშვს. პატარა, უკვე ქალურად მოხაზული თითები გაუძალიანდნენ. დედა მიხვდა, რომ მთელი გზა უნდა ეზღო დანაშაული და დაღლა შემოაწვა. ისევ მწარედ ასტკივდა ფეხი. „ვინც ეს მაღალი ქუსლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიგონა...“ — გაიფიქრა მერამდენედ. უცებ გაახსენდა ის ფეხსაცმელი, დღეს რომ მოიტანეს სამსახურში, (ეიდეცას არ მოერგო, ყიდდა). ქუსლი — თერ-

ომეტი სანტიმეტრი! რა გაეწყობა, ერგი რომ არი. ქმართან პატარა ლაპარაკი მოუწევს. თითონ საჭირო თანხის ნახევარი აქვს მხოლოდ.

# გაგოთხოვების პერობა

ᲧᲔᲛᲐᲚᲘ მჭადს შეექცევა, ისე ხანი არ მიუმიაო, სიამოვნებისაგან თვალებს ჭუტავს. მიგიდაზე ᲩᲧᲘᲜᲢᲘ ყველია, სოფლური, ნიგვზიანი ლობიო, მოხარშული ქათამი. ელენემ ღვინო ჩამოასხა. ვანო ბიძია ძველ ამბავს ᲩᲧᲔᲑᲐ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ მონაყოლს: ᲑᲣᲤᲣᲗᲘ რომ ახალგაზრდობაში ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ სოფელში გოᲩᲔᲑᲘ ჩამორეკა, გზაში რომ დაᲪᲕᲘᲓᲜᲣᲜ, ორად ორი სულთმობრძავი გოᲩᲘ ხელში ატატებული კაი ᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐᲜᲘ რომ შემოიყვანა ᲭᲘᲨᲘᲐᲠᲨᲘ. უფრო ახალი ამბავიც თქვა: აგერ ახლა იყო, ᲑᲣᲤᲣᲗᲘ ბიძიამ რომ ᲑᲝᲜᲓᲠᲘᲐ კიტია გაკოკა — ცოლზე წაწუალა თურმე. მოექნია ᲑᲣᲤᲣᲗᲘ ᲑᲝᲜᲓᲠᲘᲐ და წყალში იაროლა. ᲑᲝᲜᲓᲠᲘᲐ ნაპირზე გამოსულა ვერ ᲑᲔᲓᲐᲕᲓᲐ, შუაწყალში იფიცებოდა: აგი პირველი და აგი უკანასკნელიო.

ვანო ბიძიას იმერული ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘ, თუმც ახლა ნაძალადევი ჩანს, სულს ეფერება. სეᲡᲯᲔᲜᲐᲠᲘᲗᲒᲐ სიამოვნებᲐᲗ შემაᲮᲐᲠᲘ. ᲩᲛ შეეელიეთ საკუთარ სოროებს, თუნდაც წუთით დავეᲑᲘᲡᲒᲘᲜᲗ უᲪᲘᲛᲝᲓᲐᲛ ფუᲨᲐᲤᲣᲚᲘ, რომ ისევ ერთ წიაღში მოᲥᲪᲘᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ — ჩვენი სიᲡᲮᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ კავშირი შეგეეგრძნო, ის რომ, ძველთაძველი სათავე ᲒᲐᲕᲥᲘ, და რაც ჩვენს დინᲑᲐᲨᲘ ᲬᲓᲝᲛᲝᲒᲐᲜ ᲓᲔᲜᲘᲐ, უკვალოდ არ გამქრალა, ისევ ჩვენია, ჩვენს სულსა და ᲮᲝᲠᲪᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲥᲘᲚᲐ.

ᲔᲚᲔᲜᲔᲛ — სოფელი აწია სანახავიო, მამა ჩავა და ᲪᲣᲤᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ კეᲠᲢᲘ დაასკდება, მალე მუᲮᲐᲪ შეიფოთლᲔᲑᲐო.

ᲑᲔᲠᲘᲐᲙᲘᲪ ᲚᲝᲒᲘᲜᲗᲘᲐ წამომᲯᲓᲐრი. ახლაც მაკვირვებს ის, რაც ᲑᲐᲒᲠᲘᲐ

თვალს არ გამოᲭᲐᲠᲒᲘᲐ. იშვიათად ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲘᲗ სოფლიდან ჩამოსულ ᲑᲘᲫᲐს, მაგრამ მახსოვს, ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲘ, რაᲓᲐᲪ უᲩᲔᲕᲣᲚᲝᲚᲓ, ᲚᲐᲛᲐᲓ რომ იყო ნაძᲔᲠᲬᲘ. ახლა ᲮᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲐᲚᲜᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐ მიწᲘᲠᲔᲚᲘᲪ. ᲓᲝᲜᲔᲚᲘᲔᲠ ყელის ᲓᲠᲛᲣᲚᲨᲘ ძარღვი უტოკავს, უᲮᲢᲘᲡ ᲛᲫᲐᲤᲠᲐᲦ, უთანაᲑᲠᲝᲓ. ეს ფეთქვა გულისაა, იმ გულის აწ მარადიული კუთვნᲔᲚᲘᲡ სიᲛᲨᲘᲜᲔᲚᲘ მაგიერ ყოფნა რომ დაუᲩᲘᲜᲔᲑია. და ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ახლა ამ ᲐᲛᲯᲐᲠᲐ ძალᲓᲝᲑᲐᲨᲘ ვᲘᲛᲝᲜᲬᲘᲚᲝᲠᲗᲐᲗ. ამ ყოფნას ვანᲘᲗᲘᲔᲠᲔᲑᲗ, იმ ნᲘᲨᲜᲔᲑს ვასახᲔᲚᲔᲑᲗ, რომᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲣᲤᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲓᲠᲛᲘ ᲐᲠ ყოფილა უᲑᲠᲚᲝᲛ. მას შეეᲫᲚᲝ სიᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗ ფაᲫᲘᲡ ტკᲑᲝᲜᲐ და არ დამᲪᲮᲠᲐᲚᲐ, მიუᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ავᲔᲓᲝᲑᲘᲡა, უსაყᲕᲐᲠᲚᲔᲡᲗᲐ დაკარგვისა. ტᲐᲜᲯᲕᲐᲪ ᲮᲛᲐ სიᲪᲮᲚᲘᲡ იყო, იმ უᲮᲘᲜᲐᲘᲡი მაᲓᲚᲘᲡ სამაგიერო, რომᲔᲚᲡაც იგი ᲚᲝᲑᲗᲐ ᲔᲠᲐᲡᲔᲠᲝᲡᲗᲡ ვერ მᲝᲣᲜახავდა განსაᲮᲘᲗᲠᲕᲡ.

ამᲯᲠᲐᲓ „ᲤᲣᲗᲠᲝᲡᲔᲜᲘᲗᲛᲐᲪ“ ვერ მიᲡᲪᲐ შვᲔᲑᲐ, რᲣᲛᲑᲐᲓᲐᲓ ᲪᲘᲪᲔᲚᲘ ფეᲮᲔᲑი არადა არ დაᲣᲪᲮᲝ. ᲔᲚᲔᲜᲔᲛ მაᲘᲜᲪ შემᲝᲘᲪᲐᲜᲐ წამᲐᲚი, ისე ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲐᲜᲐᲓ თქვა, — დᲠᲝᲐ, თითქოს ᲔᲥᲘᲜᲯᲘ არ გაᲔᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘᲜᲝს, მᲝᲮᲣᲪᲘს წვᲐᲚᲔᲑა ᲐᲦᲐᲠ ᲦᲠᲘᲚᲝ. ᲑᲣᲤᲣᲗᲘ რომ ნᲐᲛᲭᲔᲑᲨᲘ ᲦᲠᲘᲚᲘᲔᲠ უᲦᲒᲐ, ახლა ᲮᲣᲗᲠᲐ. ᲓᲠᲝᲔᲚᲘ სᲐᲛᲚᲘ, სᲣᲜᲗᲥᲕᲐ ᲩᲐᲐᲩᲣᲛᲐ. სᲐᲑᲐᲜᲗᲘᲡ წყალი მაᲘᲜᲪ დაᲘᲫᲕᲐᲠᲐ. თავი გაᲘᲫᲚᲝᲜᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲛᲐ სიᲛᲫᲝᲠᲕᲔᲡ მიᲐᲯᲣᲠᲐ მᲬᲔᲠᲐ: — სულ ᲮᲣᲗᲘ ᲓᲦᲔ მიᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐო, ᲔᲘᲗᲝᲛ...

ნანომ ბაᲑᲘᲡ განიერ ᲮᲣᲠᲗᲥᲔᲕᲨᲘ კი-

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲯᲘᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ
ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲠᲗᲔᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ერთი ბალიში ამოუდო, ვაშლიც გაუთალა. რომ გვიყვარს, მერე როგორღა უნდა ვიცხოვროთო, — დაეხენებით კითხულობს ნანო, ღამე საშოლზე წამოჯდება გოგნებული. ელენეს თვალებში მოუსვენრობა შეეტყო. რა ხანია დისშვილი მისთვის უებარ, ოცი წლის მასწავლებლობით პირნათლად მონაპოვარი ჭეშმარიტების ჩარჩოში არ ეტევა. მოზარდს სიხარული უნდა ამოძრავებდესო, ელენემ. მასში ბორბატიც სიცოცხლით გატაცების სურვილით იბადებაო. ნანოს სული კი მხოლოდ სიკეთით საზრდოობს. მყიფეა, აზიზი და თანაც შეუვალი. დეიდა-მისს ნაცადი ხელი მოეცარა, მის ზედაპირზე როგორღაც უსხლტება. ბოლო ხანს ჩანაწერებმა უფრო დაფრთხეს, თოლიები უკვდებიან ნანოს. ვინც მათ სილაღის ნიჭი აღუთქვა, მერე არ მისცა. სპეტაკი ფრთები ემსხვრევთ — ჰაერთან ჭიდილს ვერ უძლებენ. მათ უკიდეგანო სილურჯე — სიკვდილი — თითქოს იზიდავს კიდეც.

ნანო და ლაურა ზღვის პირას გაიზარდნენ. ზაფხულები ბაბუასთან იმერეთში გაუტარებიათ. — ჩვენი ნანო ყვავილებს ეჩურჩულებაო, — პირველად ბუბუ ბაბუამ თქვა, მაგრამ რატომღაც ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. მაშინ უფროსი, ლაურა, წამოიჩიტა და სწორედ იმ საიდუმლოსავით იყო, რომლის გახსნას, როგორც სასწაულს, ისე უნდა დაელოდო...

ჯემალმა ნიორწყალს შეუწყო მადა. შუქი რომ ჩაქრა — ესეც ჩემი იღბალიაო! — ისე თქვა, ელენე შეწუხდა, ხელის ცეცებით სამზარეულოსაკენ მიდის, სანთელს დაეძებს.—საცხა აქანა მეგდოო, — მესმის ჩვენგან მოშორებით თავის ქართულს რომ ლალატობს.

მიშიკომ ამ სიბნელეშიც არ დაგვინდო, კვლავ ლექსით გვიკლებს. ახლა სკამს უქნა ყირა, ტელეფონის ზარზე ფეთებით გარბის. ჯემალმა ხელი გაიწოდა და დაასწრო კიდეც. ბუბუ ბაბუას რა უჭირსო, ყურმილს შესჩივლა ჯემალმა, ქათმის ბარკალს რომ ნიორწყალში ამოავლებ და პირთან ვერ მიიტან, მაშინ ხარ კაცი საკითხავი. ვანო ბიძიას გულიან ხითხითს უზერხულობის იერი დაკრავს. ფარდაზე ჩამოკონწიალებულ მიშიკოს სწვდება, ყურში რაღაცას უჩურჩულებს, ჩაბღუჯულ არშიას ხელიდან აცლის და, გაყუჩებულს, მუხლებზე ფრთხილად ისვამს. ღია ფანჯრიდან არეკლილ სილურჯეში ლაურას სილუეტი გაცხადდა, მსუბუქად მოიხაზა. გამქვირვალე ქსოვილი ახლა მის ირგვლივ ფარფატებს, მკრთალად ილანდება.

ჯემალი გარეთ მიდის, თან სკამი და ასანთი მიაქვს, იქ დამცველს უკრიკატებს. უეცარ დუმილში მწოლიარის აფორიაქებული სუნთქვა ისმის მხოლოდ. სიბნელე ბერიკაცის უსასრულო სიმარტოვით და ნანოს ჩუმი შეშფოთებით იმუხტება.

შუქი აინთო. — შენ აგაშენა ღმერთმა, — აღმოხდა ბუბუს, შემოსულ ჯემალს მზერით მიესასოვა.—არიქა, ახლა ბაღანას კარგად მიჭმიეთო...

ელენემ ისევ ჩამოასხა ღვინო და მოწიწებით დიმიტრის შეაჩერდა. დიმიტრის, თუმცა უსინათლობამ სიტყვა გააწყვეტინა და თანაც ვანო ბიძიას და ჯემალის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ამჩატება მგონი ვერაფრად ეკუმშნიკა, ამხოლოდ წარბი უთამაშებს. ავადმყოფის ნაღვაწზე ლაპარაკობს: ბუბუმ აგრონომობისას ნაძვი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაცხვი რომ შემოიტანა სოფელში და მოაშენა, ბრწყინვალე მამულიშვილი თუ იყო, ნამდვილად არ იცოდა. უნებლიე მოძრაობაზე შეეტყო, გაუპარსავ ნიკაპზე სიამოვნების გამო ჩამოისვა ხელი.

ჩვენი სუფრა მოხუცთან გამოთხოვებისაა. აწი ბუჭუ ბიძიას სიკვდილი თუ შეგვყრის კიდევ. გვიანია. მიშიკო ჭუპრივით შეფუთული უკვე ღია კარებში დგას. უცებ მამამისს მოსწყდა, ლაურასთან მიიჭრა, მაღლა ახედა, თითებზე ხელი ოდნავ შეახო: „რა ლამაზი ხარ!“ უშფოთველ ნაკვთთა სრული სიწატიფე რა ხანია ყველას დაგვნათის.

მალსაც, ახლა პირს რომ აღარ აცმაცუნებს და თითქოს გაშტერდა. ბიტრის ღიპი აუტოკდა — გაეცინა. ვეცინთ. წასვლისას ბუჭუს გამხნევება არ გვავიწყდება. შემოდგომაზე თავისი ხელით დათესილ სიმინდს რომ მოიწევს ბუჭუ, სწორედ საიმედროოდ ვპირდებით ჩასვლას. ბერიკაცის დაშრეტილ სახეზე მზერა აკიაფდა. ვანო ბიძია ისევ თავისებურად უქცევს, მაგრამ ახლა, როდესაც ავიშალეთ, ბუჭუს გარდა, მართლა აღარავინ უგდებს ყურს.

ბნელ კიბეზე ნანომ ნავთის ლაჩპა გამოიტანა, რომლის პატარა ალი მის კრძალვით მკთომარე, ფართოდ გახელილ თვალთა სილრმეში ირეკლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კინოფილმი: „თუში მეცხვარეები“

დამდგმელ რეჟისორს
სოსო ჩხაიძეს.

მწყემსის დარდი, სიხარული
გუგულივით კაფე-თესე.
ბიჭო, შენი სიყვარული
არაყივით უსვამთ მწყემსებს!

ეს რა გითქვამს —
გილექსია,
ეს რა ომი მოგიგია.
ის — რაც ოფლით გითესია,
სიყვარულით მოგიმკია.

შირაქის და თრუსოს მთები
ნაბიჯ-ნაბიჯ გისერია.
ეს ლომივით ვაჟკაცები
რა ხატივით გიცქერიან.

შენთან ერთად უბრძოლიათ
ნიჭით — ქვეყნის იარაღით.
ბალახივით უძოვიათ
შენი გულის იალაღი.

მისულია სული სულთან,
ჩახვეულა გრძნობა გრძნობას.
მყინვარივით არის სუფთა
მათი სული, სიტყვაც, ძმობაც.

ჩანჩქერივით არის წმინდა,
მათი გული რასაც გეტყვის.
შენც სხვა ჯილდო რაღად გინდა,
ამათ სიყვარულზე მეტი.

გარჯით, შრომით, ოფლით, კირთვით,
უღელივით უნდა ზიდო —
ეს ყველაზე დიდი ტვირთი
და ყველაზე დიდი ჯილდოც.

კვლავ სამშობლო საოცარი, —
შენი სულის საკსავი:
იყოს შენი საღოცავი,
შენი გულის სალესავი!

## ბოლო სადგური

ღამის სიჩუმე ფიქრებს აწვალებს,
და ძილს იპარავს შუქი ნათურის.
რეპროდუქტორში ვიღაც აცხადებს:
— მოემზადენით, ბოლო სადგური!

თუმცა დუმილით დამე ათიე,
ფრთა აიწყვიტეს მაინც ფიქრებმა. . .
ვიღაც ჯიუტად ისევ გაფრთხილებს:
— ბოლო სადგური მალე იქნება!

— ბოლო სადგური! ბოლო სადგური! —
სასესა ეს ხმა გლოვის ზარებით
წკრიალებს სული, როგორც სანთური,
იხრჩობი დარდით, ბოღმით, ზმანებით...

მიაფრევს დღეებს, როგორც ვაგონებს,
წუთისოფელი — ლოკომოტივი,
და სულში სევდას შემოაგორებს
სიკვდილ-სიცოცხლის ძველი მოტივი.

წლებს,
იმედივით
ჩავლილ სადგურებს,
დიღხანს, როგორც ხავსს, ისე ეკიდე.
განძივით ტოვებ სოფლის სამდურავს,
და ეძებ შენი სულის მემკვიდრეს.

ნაკვერჩხალივით ცხელი ფიქრები
ვერ მოიშორე მაინც თავიდან.
აგერ, გიღიმის და ხელებს გიქნევს, —
ვინც ვაგონიდან ადრე ჩავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ათასი ხმებით აყვირდა
ეჭვი, იმედის ძაფით დაბმული.
იქნებ არ ღირდა, იქნებ არ ღირდა,
გავლა ამდენი გზის და სადგურის.

ცხოვრება არის ჯვარის ატანა,
ბალახად რჩები, თუკი დაეცი.
სული — სხეულის თეთრი ანტენა,
ცაში იმედის ტალღებს დაეძებს.

დაეძებს მათ, ვინც მამულს დაშორდა,
მხოლოდ სიკვდილით, არა ფიქრებით;
ვინც დაუბრუნდა ისევ სამშობლოს —
ეკლის გვირგვინით, ფრესკით, წიგნებით.

მაგრამ, ვაი რომ, გლოვის ზარებით
ყველა იმედი ერთად ხუნდება.
შენ კარგად იცი, ამ გამგზავრებით
არ გიწერია შინ დაბრუნება.

და მისვალ შენი ბარგი-ბარხანით
ამღვრეული და გულდაწყვეტილი...
აბა, გამოჩნდა ბოლო ბაქანიც,
შენი ცხოვრების ბოლო წერტილი.

●

თუმც გულგრილობით გამთელე და
ასე დამაზრე,
განშორების წინ გულახდილად გეტყვი
ამასაც:
შენ შეიძლება შეგიყვაროს ჩემზე ლამაზმა,
მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე
ლამაზად.

თუმცა დადისარ გამარჯვებულ ქალის
იერით,
შენი სურვილით — უსუსურით და
მიწიერით...
შენ შეიძლება შეგიყვაროს ჩემზე ძლიერმა
მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე
ძლიერად!

## მგლის ლეკვები

მერაბ ბერძენიშვილს

ხმალი, ვით მძიმე ჯვარი,
მტრის არ შეჭმული ჯავრი —
მიგაქვთ!

დამტერებული სირცხვილს,
მამის დაღვრილი სისხლი —
გიხმობთ!

ცხელი, მზესავით ცხელი,
დედის გული და ცრემლი —
გიცავთ!

ფიცი, მამულის ფიცი,
თქვენი სისხლივით ფიცხი —
გიძღვით!..
....
აბა თქვენ იცით!

## რ ი ვ ნ ა

რისი ცა და რისი მიწა, —
არაფერი ჩანდა იმ წამს...
ხემოთხეში ლურჯი რიწა,
როგორც
ანგელოზი —
იწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ კაცია

### ქართველ ელმავალმშენებლებს

საშვიდნოემბროდ გამოვა 2500-ე ელმავალი

იყო მართლაც საოცრება და ზღაპრულად საკვირველი,
თქვენ რომ ისე მოკლე დროში ჩაუყარეთ საძირკველი,
მშენებლობას უახლეს და უმძლავრესი ელმავლების,
ნიშნად ჩვენი რესპუბლიკის მზის ტორებზე შემართების!

გვახსოვს, განა დაგვავიწყდა? შესაშური რუდუნებით,
საამწყობო საამქროში დღედაღამ რომ ბუხუნებდით,
ანდა, როცა გამზეურდა ის პირველი ელმავალი,
როგორ ქუხდა საქართველო — „ეს ერთი და სხვა მრავალი!“

და მას შემდეგ თქვენმიერი ელმავალი, არა ერთი,
ძლევით სერავს ფოლადის გზებს თვალუწვდენელ საბჭოეთის,
მათ ნახვაზე თვალი ტკბება, სისხლი შხუის, სული მღერის,
ყოველ მათგანს უღალატო გული უდგას ჩვენი ერის!

არის თქვენი დიდი ღვაწლი, რომ არ ითქვას არ ეგების,
ორიათას მეხუთასე ელმავალი მწყობრში დგება,
და მზად არის საქართველო, დიდების გზით აღმავალი,
უფრო მძლავრად რომ იქუხოს: „ეს ერთი და სხვა მრავალი!“

### გიორგი კურტანიძეს

სოციალისტური შრომის გმირს

შენ ეს იცოდი თითქმის ყრმობაში:
კაცის სიცოცხლე, სისხლით ხმიერი,
რომ მირიადი წლების სრბოლაში —
გაელვებაა ცის წამიერი,

და მაინც უმღერ მნათის ამოსვლას,
მინდვრების მწვანედ ახასხასებას,
და, მზით კითხულობ „ვეფხისტყაოსანს!—
ერის ბიბლიას და სახარებას!

ოცნების თვალი გაგირბის შორით,
წამწამს არ აცლი დახამხამებას,

ისე ესწრაფვი გმირული შრომით
ახალ-ახალი ციხის აღებას!

და უფრო მეტიც: საკუთარ სისხლით
მორწყავ ამ მიწას — საზვრეს, საირმეს,
ოღონდ დაცემა არ ნახო მისი
და არა ევნოს მტრისგან რაიმე,

თუმც კარგად იცი, ნამდვილად იცი,
კაცის სიცოცხლე, სისხლით ხმიერი,
რომ მირიადი წლების სრბოლაში —
გაელვებაა ცის წამიერი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ აშენდა...

მეც არ მასვენებს დედა-ბუნება,
ნიადაგ მისი ძახილი მესმის,
რომ სულ სხვა თვალით უნდა ყურება
სამცხეს,
სამშვილდეს,
თმოგვსა და
ხერთვისს.
მე ალბათ დიდხანს უნდა ვიდარდო,
რომ არ ვიცოდი რისთვის ვღელავდი, —
როცა პირველად ვნახე იყალთო!
როცა პირველად ვნახე გელათი!
დღეს სულიც მრჩება ქართლის ფშანებთან,
რადგანაც უკვე ვიცი ყოველი,
როგორ აშენდა,
ან რად აშენდა,
უფლისციხე და
სვეტიცხოველი!
მეც არ მასვენებს დედა-ბუნება,
ნიადაგ მისი ძახილი მესმის,
რომ სულ სხვა თვალით უნდა ყურება
სამცხეს,
სამშვილდეს,
თმოგვსა და
ხერთვისს!

●

ვწერდი და ვწვავდი,
ვწერდი და ვწვავდი,
გაორებული იჭვით და შიშით,
ოთხი კედელი ახშობდა მერე
საკუთარ ხორცის ტკივილს და შიშინს...
მე კი ღამეში ვტოვებდი ქალაქს,
რადგან სიცოცხლეს არ ჰქონდა აზრი
და ვერ ვარჩევდი, რა ჰკვეთდა არაგვს,—
ჩრდილი ღრუბლის თუ ცალხელა ლაზარს;
და მერე დიდხანს,
ძალიან დიდხანს,
ვერ ვუჯერებდი საკუთარ თვალებს,—
მოკვეთილ ხელით ვეჭიერე იმ ლაზს
და გადავყავდი არმაზის მხარეს!

## ნოდარ შამანაძე

### ვარძიის კლდეზე ამოკითხული

წუთია წუთისოფელი,
ეს ჩვენი იწიბიწია,
გზაზე რომ ვარდებს მოველით
ეკალია და წიწვია;
ხელით ცას ვეპოტინებით,
ფეხები საფლავს გვიწყვია.
მაგრამ ვინც მარჯვედ იბრძოლა,
დრო-ჟამი განზე მისწია,
ვინაც ფარ-ხმალი დაყარა, —
გადავწყება იწვნია.

### დ ე დ ა

შავი კაბით შენაბინდი —
შარაგზაზე დედა მიდის.
მიდის დედა,
დედა მიდის:
სევდა მიდის,
დარდი მიდის,
ფიქრი მიდის,
ოხვრა მიდის,
ნატვრა მიდის,
ლხენა მიდის...
მიდის დედა,
დედა მიდის, —
შავი კაბით შენაბინდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნამუსის ქუდი

ხელთ მაქვს თოხი უხილავი,
ფიქრთა ჩემთა ყანას ვმარგლი,
სარეველას დავდგი ხვავი,
სარეველას ხვავი დავდგი.
თოხს ხანდახან ვაგდებ განზე
და გალესილს ვიღებ სასხლავს,
ვით ჯიშიან
ნამყენ ვაზებს,
სურვილებსაც უნდა გასხვლა.
გასხვლა უნდა ნატვრას, წადილს,
ნდომას — გულში ბოდმის გამჩენს,
რომ სიწმინდე შერჩეს ჩემს ქუდს
და ნამუსის ქუდად დამრჩეს.

## შენი სიმაღლე

შენი სიმაღლე ის არის, რაც ხარ,
ის არის მხოლოდ,
მხოლოდ ის არის,
და შენი წონაც ის არის, რაც ხარ,
მეტი არა ხარ, ერთი მისხალი.
სულს ანებივრებ,
ხორცსაც ინახავ,
თავსა გრძნობ მშვიდად, ლამაზად,
კოხტად...
რასაც იწონი, მხოლოდ **ისა** ხარ,
ეს კი ცოტაა,
ძალიან ცოტა!

## მთაწმინდა

სავანე ქართველ წმინდანთა,
ქართველთა გულებს შერთვია;
ჩვენთან ბევრია წმინდა მთა,
მაგრამ მთაწმინდა ერთია.
გვიმზევებს სულის ზედაშეს,
გვახარებს ერთადერთობით...
როცა მივდივართ ზეცაში,
მის მაღალ კალთებს ვეყრდნობით,

# *შაქრო სამკლაშვილი*

## ეს სიკეთეა მშობლიურობის

სულამდე ატანს სხივი — ცის ეშხი,
ბედს არ ვემდური, ტკბილად ვბერდები.
როცა შევდივარ ბაკურციხეში —
მგონია, ისევ ვლონიერდები.
ეს სიკეთეა მშობლიურობის,
რასთანაც მუდამ ყოფნას ვნატრულობ,
რა ცუდად ვიყავ! შენ მომაბრუნე.
ჩემო სოფელო, ანდამატურო!

## ს ი ნ ა ნ უ ლ ი

ქველსა და ამაგდარს,
გატანჯულს, დავრდომილს —
ავს ვედექ, ვუვლიდი,
ფწუხდი და ვდარდობდი,
სულში სიბრალულის
თაკარა მენთო,
განწირულს ვერ ვუშველე...
შენ იცი, ღმერთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხავსიანი ჩუქურთმები

შვილებს — არმაზს და ზეზვას

ეს ხმა ისმოდა მამლის და ძაღლის
და აფხიზლებდა ზვინებს ნამქერი —
აქ, სადაც იდგა წინაპრის სახლი
არწივისფერი ქვებით ნაგები.

აქ ოცნებაში ამირანს ვგავდი,
ისევ მინდოდა ღმერთის ვანამდე;
რის ამირანი! — წინაპრის ლანდი
აქ ჩემზე უფრო მეტად ანათებს.

ცას სტკივა ხმელი ტოტები ბაღის,
მოსწყურებია წყაროს ბაგენი...
თქვენ უნდა იხსნათ წინაპრის სახლი
არწივისფერი ქვებით ნაგები.

ჩემი უბრალო ბაღის ჭიშკარი
მზის შვილებისთვის ღიაა მუდამ!..

აქ მოდით ყველა, თქვენი სიცილი
ბაღის ნათელში გაბრწყინდება
ეწვანე ჭავლებად;
აქ მოდით ყველა,
დედამიწის თავდავიწყება
კრიფფეთ, შეკონეთ მოგიზგიზე ... ...ულებად;
აქ მოდით ყველა, სადაც ბილიკი
მიწაზე მოჩანს,
ვით ნაწოლი ცისარტყელასი...
ჩვენ დავიბადეთ სიყვარულის
გადასარჩენად!

## უცნობი გოგონები

თქვენ გარინდულხართ მდინარის გაღმა
მოხიბლულები მაისის ხმებით...
აქედან ისე კარგები ჩანხართ,
ვით ყვავილოვან მინდორზე სკები.

აჰა, გამოჩნდა ნანატრი წყარო,
ჯერ ვამბორე და მერე შესვი;
ყველა ფრინველი
აქ ისე გალობს,
თითქოს ვარსკვლავებს
შემოუძღვა ირემი ტყეში.

ტოტებში მზეა და ღრუბლის ფთილა,
ხევში — კლდეები ხავსიანები...
ყველა ფოთოლი
აქ ისე ბრწყინავს,
თითქოს სიზმრები
ცაში სხივებს აშრიალებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურჯი ლივლივი მწვერვალებს შორის.
ლაჟვარდის ხავსზე ყვითელი მტვერი.
ბროლში — ჰაერი
და ქვაში — ბროლი
და ხეივანში ნაბიჯი ნელი.

სინათლის ფიქრი — მზის თბილი ძაფით
მაღალ ბალახში ნაქარგი რბილად.
გოგოს მუხლებზე ტალღების ქაფი.
ტოტებში ბუდე და ღრუბლის ფთილა.

დედის გულივით მფეთქავი სკები
და ნახნავების კერტები მწვანე.
ცა — გადარჩენა დაღლილი ფრთების.
ირმის ტანივით ხასხასა მზვარე...

როგორ ნატრობდა ტკივილი ჩუმი
ამ ულამაზეს თრობას და ბურანს!
მე ვცოცხლობ! ვცოცხლობ...
და ფეთქავს გული,
ვით ყვავილოვან თივაში სურა.

## ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲓᲐᲨᲕᲜᲔᲚᲘ

### ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ

მე ვიცი, ხშირად გაგახსენდება
მაისის თბილი წვიმის თქარუნი,
და წლების ტევრში ისევ ენთება
ის სიყვარული, ის სიხარული,

ახალ ბინაში, ძმათა წინაშე,
და ვიწრო წრეში შენს მეგობართა,
ლურჯი საღამოს დიდი სინაზე
ლამაზმანივით შემოგვემატა.

ისმოდა თეთრი ფარდების იქით
ცისფერ სარკმელზე კაკუნი წვიმის.
უექველესი ლამაზი ჭიქა
გარშემო ღვრიდა
სითბოს და ღიმილს.

და აღარ იყო სავალდებულო
დიდი სასმისის —
თასის გამოცლა.
არ გვეთმობოდი,
ჩემო კეთილო,
აღარ გვინდოდა სახლში წამოსვლა.

იმ ლამაზ სუფრას — სიცილით სავსეს —
ქათქათა ფერის ერტყა არშია.
ღმერთო,
იმ თბილი საღამოს მსგავსი —
არ მოგვიშალო მომავალშიაც.

●

დატანტალებენ ტიტლიკანა
ბალღაუჭები.
სავსე ქალები სარაფანა
კაბებში სხედან.
მამაკაცები ჩრდილს ეძებენ
თვალმოჭუტულნი.
ჩრდილები უცებ დაკარგეს ხეთა.
მინდვრის ყვავილთა სურნელება
ტრიალებს მძაფრი.

და თივის სუნი — საოცარი —
ერთბაშად გიპყრობს.
უახლოვდები ნელა-ნელა
ბურანის ნაპირს....

. . . . . .

ივლისის მზეო,
რა გულუხვად
არიგებ სითბოს!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „დრუგბა ნაროდოვის“, ლიტეს ახალგაზრდული ჟურნალის „ნიამენასისა“ და ჟურნალ „ცისკრის“ თაოსნობით ვილნიუსში მაისის ბოლოს გაიმართა „მრგვალი მაგიდა“. საინტერესო ლიტერატურულ საუბარში, რომელიც ჟურნალ „ნიამენასის“ რედაქციაში შედგა, მონაწილეობა მიიღეს ლიტველმა, რუსმა და ქართველმა მწერლებმა.

საუბრის თემა ეხებოდა მიმდინარე ლიტერატურულ პრობლემებს, თანამედროვე ახალგაზრდული ლიტერატურის მდგომარეობას, ლიტველ და ქართველ ახალგაზრდა შემოქმედთა მეგობრობას.

ჟურნალმა „ნიამენასმა“ ვრცელი ადგილი დაუთმო ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებას. დაიბეჭდა ავთანდილ ჩხიკვიშვილის, ნუგზარ შატაიძის, ჯემალ დავლიანიძის, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები, ვანო ჩხიკვაძის, მზია ხეთაგურის და ლილი ბედიანიძის ლექსები.

ჟურნალ „ცისკრის“ ამწკი ლიტველ მწერალთა საპასუხო დელეგაცია. ჟურნალის ამ ნომერში ვიკეკუნებთ ახალგაზრდა ლიტველ შემოქმედთა რამდენიმე ნაწარმოებს.

## ᲚᲔᲒᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡ ᲛᲘᲙᲣᲢᲐᲡᲘ

### ᲡᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

მაშ ასე, დღეს ჩვენ დავხატავთ ელვას,
ელვას გაფოთლილ ვაშლის ხეების,
ანდა ქალაქის კოშკების თავზე,
თუ ვნებავთ თაფლით დახუნძლულ სკებზე.

როშელი ფერით შევღებოთ იგი?
ყვითელით, ლურჯით, ან სულაც მწვანით.
ან შეგიძლიათ დატოვოთ თეთრი —
ვით ბნელ ღამეში კბილები ზანგის.

რას ემგვანება ელვის ზიგზაგი?
იქნება სიმწრით დამტვრეულ ხელებს,
იქნება ნერვებს, იქნებ ხის ფესვებს,
ან უკეთესი ყველაზე — ნუკრებს.

ნუ დაიზარებთ, დაღვარეთ ოფლი
და დაინახავთ, სულ ერთ საათში,
როგორ ანთია თბილი მაისის
ელვა—მიკრული სახატავ დაფას.

გინახავთ რამე ამაზე უფრო
თქვენ სევდიანი და უწყინარი,
გინახავთ რამე თქვენ უფრო მშვიდი,
ვიდრე ქაღალდზე ნახატი ელვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცრემლის ვარდები

ვის გაამტყუნებ, სად იპოვნი დამნაშავეებს
    დამნაშავენი გამქრალან ბრბოში,
ვის გააგონებ, ძახილს შენსას ვის გააგონებ,
    ვინ გიპასუხებს გარდასულ დროში.
ჰყვავის ვარდები ამოზრდილი ტალახებიდან
    და ცრემლებიდან და ლაცვანიდან
კედლებს აწყდება ცარიელი ოთახის ეკო
    ამ ოთახიდან ყველა წავიდა.
ჩემო ძვირფასო გოგონებო, ასე უღმერთოდ
    საით მიჰყავხართ ომის ქარიშხლებს,
ან საით მიგაქვთ ზარდახშები თქვენი გულების
    ან ეს ზარის ხმა რას მიგვანიშნებს.
მიაქვთ სანგრებზე, ბანაკებზე, მავთულხლართებზე
    თქვენი მოჭრილი ლამაზი თმები,
მატარებელში ზიხართ ჩუმად და პერონებზე
    ისევ შემთხვევით ერთმანეთს ვხვდებით.
ეს შემთხვევითი ვაგონებიც ძალიან შავი,
    არ აგისრულებთ არასდროს წადილს,
რადგან ცვლადია თქვენი ბედის ბარომეტრები.
    უცნაური და ხაოცრად ცვლადი.
რადიო უკრავს, გერმანული რადიო უკრავს,
    ღია სარკმელში კვლავ საშინელი
და საეს ტრადო ტელეგრამებს გიგზავნით კაცი,
    ვისაც აცვია ხაკის შინელი.
ქარს მოაქვს თქვენთან დანაცრებულ წიგნების ფერფლი,
    შურისძიების მარად მძებნელი,
ზოგჯერ მგონია, აღარ დარჩა უკვე ამ ქვეყნად
    აღარაფერი შეუძლებელი.
ბინდში ისვრიან ნადირობენ ვით ავსულებზე
    კვლავ თქვენზე — თურმე თქვენნა ხართ მტერი?!
გაუთავებლად, ღმერთო ჩემო, გაუთავებლად
    კვლავ გერმანული რადიო მღერის.
ხანდახან ქვეყნად ყველაფერი მოხდება თურმე,
    უნდა ელოდე კაცი ყველაფერს.
დამძიმებულან ღამეული თქვენი ფიქრები
    და თქვენნა ჰგავხართ ჩამქრალ კელაპტრებს.
ჰყვავის ვარდები ამოზრდილი ტალახებიდან
    და ცრემლებიდან და ლაცვანიდან,
ოთახის კედლებს გამომწვარი ბათქაში ცვივათ,
    ამ ოთახიდან ყველა წავიდა...
დაყრუებული ზათქებისგან ისვენებს წამი
    თოფის კონდახზე ჩამოყრდნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მახსენდება შუადამის
სიცხეში ყველა
ქერათმიანი ჩემი დობილი.
ისევ მძიმე და საშინელი ფიქრით ვიესები,
თითქოს წარსულის ტკივილი შევსვი
და ცივი წყალი, შავი წყალი ნელ-ნელა ატანს
და დაკინებით შემოდის ჩვენში.

თარგმნა ევგენი ნიჟარაძემ.

*რომუალდას გრანუშკასი*

# ხის კაცუნები

დაუბარასი ცოლშვილს კარგა ხნის წინათ გაეყარა და ქოხში ყარყუმივით მარტო ცხოვრობდა. ცოლმა თქვენი ჭირი წაიღო, ბიჭები კიდევ დაკაცდნენ და მამას თუკი გადაეყრებოდნენ სადმე, დაბღვერილები თვალს არიდებდნენ. ერთი ორიოდ მეასედი მიწა ეჭირა, მაგრამ რაღაც უწადინოდ ამუშავებდა. როცა კაცები კოლექტივის ჭვავსა მკიდნენ, ის მუდამ კუდში მიჩანჩალებდა, კარტოფილს ეზიდებოდნენ და ბებერი ყვავივით იყუჩებოდა დროგში. ხან ისე ჩაივლიდა დღეები, კრინტს არ დასძრავდა, დაილაპარაკებდა და ისე დუდღუნებდა, იტყვი პირიდან მარწუხებითა ჰგლეჯენ სიტყვებსაო. კვირაობით მოკუზული დაეხეტებოდა ტყე-ღრეში, დაფოფხავდა მდინარის ფლატე ნაპირებზე, გეგონებოდათ რაღაცას ეძებს და ვერკი უპოვნიაო. ზოგჯერ გაჩერდებოდა და დაკინებით დააცქერდებოდა ქვას, ჯირკს ან კიდევ ვაშლის ციცქნა რტოს.

ნათესავი იმას არა ჰყავდა და მეგობარი, მეზობლები კი მარტო საშური საქმისთვის თუ შეეხმიანებოდნენ. იმისი ჰატარა ქოხის გამურულ კედლებს ჭერსა და იატაკს რაღაც უცნაური სუნი სდიოდა. ჭუჭყიან მაგიდაზე ერთადად ბაურეცსავი თეფში იდგა, ფანჯრის რაფაზე კი პურის ქერქები ხმეიოდა. პატარა სამზადიდან მეორე ოთახშიც გადიოდა კარი, მაგრამ შიგ ცხვირს არავის აყოფინებდა. სოფელში ერთ კაცს აეხირებინა, როგორმე იმ ოთახში უნდა შევიძვრე და გავიგო ერთი ეს ჩვენი დაუბარასი რას ჩიჩმაგურაობსო. მისულა, გაუბამს ამ მთისა, იმ ბარისა და მერე, ვითომც შემთხვევით მომივიდაო, კარებს დასჯახებია. გამოიწია — უთქვამს დაუბარასს, იმას კი ყურიც არ შეუბერტყავს., ახლა მხრით მისწოლია, მაგრამ კარი არ გაღებულა. მაშინ წამომხტარა მასპინძელი, ცულისთვის წამოუფლია ხელი და გაცეცხლებულს დაუწყია ქნევა.

იმ ამბის შემდეგ სოფელში ისე ეშინოდათ მისი, როგორც შეშლილისა, მინდორ-მინდორ რომ დარბის, კალთაში ქვებს იგროვებს და თანაც მგელივითო ყმუის. ის კი, ვითომც არაფერიო, ძველებურად, ყურადღებით ათვალიერებდა ადამიანებს, თავიდან ფეხებამდე ზომავდა და თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, დაფიქრებული და მხრებში თავ-ჩარგული ჩუმად გაეცლებოდა. მერე კი იმ საიდუმლოებით მოცული, ფანჯრებდაწულულ ოთახში გვიანობამდე ეხთო სინათლე. „დაუბარასი ჩუმ-ჩუმად თვითმფრინავს აკეთებს და თავის დოლა თბასთან ერთად მთვარეზე გაფრენას აპირებსო“, — დაასკვნა სოფელმა, მაგრამ ეტყობა თვითმფრინავი არ გამოუვიდა, რადგან ერთ შემოდგომა-

ზე დაუბარასმა დოლა თხა დაკლა და მთელ ზამთარს იმისი ხორცით გაიტანა. ...
ბოლოს დაბერდა, დაჩაჩანაკდა, სამუშაოდ აღარ დადიოდა და ბოსტანში თუფლ ...
რებდნენ თვალს, სადაც ხან კიტრსა ჩაკრეფდა და ხანაც კარტოფილს სთესდა.

ისე მოკვდა, რომ სოფელში ვერაფერი გაიგეს. ქალები ტომრებს რეცხავდნენ და ღობეებზე აფენდნენ — საცაა კარტოფილი უნდა ამოეღოთ, საღამოთი მეზობლები მოერეკვებოდნენ ძროხებს, ბატებს, უყვიროდნენ ბალღებს, ვაშლამს იმზადებდნენ. დაუბარასის ქოხიც სახურავზე, ერთხანს ჩამავალი გზის ათინათი ენთო, მერე ისიც უეცრად ამოვარდნილმა, ციცქა ქარაშოტმა ჩააქრო, რომელმაც რაკიღა ცარიელ მინდორში ვერაფერი დაიგულა კვლავ ტყეს მიაშურა ქშუილით.

გრძელი ღამის შემდეგ ისევ ამობრწყინდა მზე და ოთახში შეიჭყიტა, იქ წყნარად ზამთრდნენ ღამის სიმშვიდესა და სიჩუმეში გამოძინებული ბუზები. მზის სხივმა ნელა გადაკვეთა ბაგიდა, მერე იატაკზე დაეშვა, საწოლს შეეხო, დაუბარასის გაყინული ლოყების გათბობა სცადა, მაგრამ თითქოს რაღაცამ შეაშინაო — უკან დაიხია, ოთახი ფიატოგა და ფანჯარასთან აქანავებულ ფოთლებზე აციმციმდა. დაუბარასის ღიად დარჩენილი შუშის თვალებიც ფანჯარას მიშტერებოდნენ.

შუადღისას სოფელში ველოსიპედით მოვიდა ფოსტალიონი — ახალგაზრდა, სულ მთლად ნორჩი გოგო. ღიმილით მოდიოდა და მხიარულად იცქირებოდა გარშემო. მერე ველოსიპედი ქოხის [illegible]ზე მიაყუდა, შიგ შევიდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ თვალებდადიდებულ[illegible]და საყვირლად პირდაფჩენილი განთვარდა ეზოში. ახლომახლო არაენი იყო და ალბათ ამიტომაც აღარ დაუყვირია, ველოსიპედს მოახტა და მახლობელი სახლისკენ გაუტია.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაუბარასის ქოხისკენ უკვე მოიჩქაროდნენ კაცები, ქალები და ბალღები. წინ ძაღლები მოუძღოდათ. ადამიანები ხელების ქნევითა და ყაყანით მოდიოდნენ. კარის ზღურბლთანაღა გაჩუმდნენ. მერე თამამად შევიდნენ ქოხში და კედლების გასწვრივ, ნახევარწრედ დადგნენ. მოღნაოშებული კარიდან, იმათ თავების მიღმა გამოჩნდა განიერი მინდორი. ძაღლმა იატაკი მოფხოჭნა და ვიღაცამ ჩუმად დაუუბარასნა. ერთმა კაცმა გაბედა, იმ კარს მიაწვა და მაშინვე საწოლზე გაჭიმულ დაუბარასს მოჰხედა.

— იქნებ არ შეიძლება, ჰა?

— გაადე, კაცო, რატომაც არ შეიძლება!

კარმა გაიჭრიალა და ყველანი ზღურბლთან გაქვავდნენ. ერთმაც ვერ წადგა ნაბიჯი — ყველანაი, მაგიდაზე და კედლების გასწვრივ იატაკზე, ხისგან გამოთლილი უთვალავი ფიგურა იდგა. პატარა, ნაჯიჯგნ კუნძთან ტარზე ძონძშეკოხვეული და მოლად გაღეული დანა ეგდო. ხის საკვირველი თვალებით მისჩერებოდნენ ადამიანებს მერქნისგან გამოთლილი ღმერთები, ქალები, დედაბრები, ცხენები, ფრინველები... ისინი კი იდგნენ და კარგა ხანს ვერ გაებედათ მათი ხელის ხლება.

— აბა ერთი უყურეთ, ხალხო, ზედგამოჭრილი რაჩკუსია! — ჯირკზე ჩამომჯდარ ულვაშა ბერიკაცს ზურგზე თოფი და მოკლული კურდღელი ეკიდა. ცოტა ხნის მერე ის ბერიკაცი უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა — დასაკერდნენ და ჰკვირობდნენ,... ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. ყველანი გაოცებულნი ათვალიერებდნენ ხის ფიგურებს, დიდხანს ეჭირათ თავიანთი დაშაშრული, გაშავრკინავებული ხელებით, სცნობდნენ საკუთარ თავსა და მეზობლებს — დაუბარასის ქოხში ხისგან გამოთლილ სოფლის თითქმის ყველა მცხოვრებს მოეყარა თავი. ისინი საოცრად ჰგავდნენ მათ და ამავე დროს გახსსოვდებოდნენ კიდეც, თითქოს უსენხულიც კი იყო მათი ცქერა, რადგან ეჩვენებოდათ, საკუთარ თავებს გაშიშვლებულებს ვუმზერთო.

დაუბარასი კი იწვა ყველასაგან დაგიწყებული და შორიდან ისე ჩანდა, თითქოს კმაყოფილი იღიმებაო.

თარგმნა **ნუგზარ შატაიძემ.**

# ლობილე. 1944 წლის ერთი ღამე

ნაფუძლევს მძიმე ღრუბლები გადაეკვრნენ სიცხით გათანგული სოფლის ცას. ავდრის მოახლოებიდან დაფრთხალი ჩიტები მინდვრებიდან წამოიშალნენ და არეულად გაფრინდნენ ტყისკენ. ღრუბლებიდან დადენილიმა ჩრდილმა არემარეს ფერადოვნება დაუკარგა, კარმიდამოები გაადერმქრალად და ბინდში ჩაძირა. გრუხუნით ჩაიქროლეს მტკრიან შარაზე ფორნებმა, აბდავლდა შინაური პირუტყვი, სოფელი მობინადრეთა შეშფოთებული ხმებით აივსო. უეცრად ჩამოწოლილ ბინდში ჭერ კიდევ მწვანედ ხასხასებდა სამყურას მინდორი, სადაც ბალახებში გაბნეული კალები ამღერდნენ სეტყვის მოლოდინში. მინდვრის კიდეში მდგომი პატარა კოხის ეზოში მოუსვენრად წრიალებდა ნაგაზი.

მარტანასისთვის, სოფლელი ბიჭისთვის ახლა ეს სხვა, განცალკევებული, ყველფერს მოწყვეტილი სამყარო იყო — პატარა სოფელი ქოსოსრად გაბნეული სახლებით, სამყურას მინდვრებით და ტყის ზოლით...

სოფელი გაირინდა, თითქოს უხილავი სუდარა გადაეფარა, რომელმაც ყოველივე ხმა მოაშთო. სამყურას მინდორი, ხალი და ნაგები ეზოში სეტყვის მოლოდინში გარინდულიყო.

მარტანასის დედა კი ისევ იწვა და სმენადაძაბულს, თვალებში ჩვეულ წუხილთან ერთად, შაში ჩაჰგუბებოდა. ბიჭმა იცოდა, რომ მას მძიმე, უკურნებელი სენით შეპყრობილს ახლა მოახლოებული სეტყვის ეშინოდა. მარტანასი ფანჯარასთან იდგა და ღრუბლების ჩრდილისგან საოცრად დაპატარავებულ მინდორს გაჰყურებდა. ბორიზონტი — ტყის ზოლი თითქმის სოფელში შემოჭრილიყო. ბიჭი ახლა ბორიზონტს მიღმა მდებარე სხვა, სულ სხვა სამყაროზე ფიქრობდა. იმ სამყაროზე, რომლისთვისაც სულ ერთია, რით და როგორ ცხოვრობს ახლა სამყურას მინდორზე გაბნეული სოფელი. მარტანასმა რადიომიმღები ჩართო და ყურსაცვამები გაიკეთა; იქ ზორეული ქვეყნების ამბები ყვებოდნენ. უსახსოლო, ნათელ სივრცეებზე, რომელთაც არავითარი ზოლი ზღუდავს, იქ მატარებელი და პატარა მანქანები დაჰპრიალ, ხოლო სამყურათა მობიბინე მინდვრებიდან კალები და ბრიქნები კი არა, მწვანე თვითფრინავები აფრინდებიან. ზორეული ხმა წყდებოდა, იხრინწებოდა, ყურსაცვამებში ტკაცუნი ისმოდა, ხმა ილეოდა და იკარგებოდა...

მარტანასმა ყურსაცვამები მოიხსნა და დედისკენ მიბრუნდა. კოხში დაბუდებულ სიბნელეში უკვე ძნელი იყო მისი ჭაღარა თმის და ბალიშის ერთმანეთისაგან გარჩევა, მხოლოდ ყავიფერი, ჩამობმული ხ�ე გამოირჩეოდა. ისინი მარტო ცხოვრობდნენ და მათ ყოფას სამყურას მინდვრის კიდეზე გართხეული ტყის ზოლი — ბორიზონტი ქობავდა. ბიჭმა იცოდა, რომ დედამისი უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობით გამოფიტულს, სხეული შიშით ავსებოდა. მას კი არ შეეძლო ეს შიში განედევნა დედის დაფლეთრებული სხეულიდან, მამამისი კი უკვე იქ, სასაფლაოზეა და ვერასოლეს ეტყვის მშვიდად და დამაჯერებლად: „დედ იქეთხოს, იელვოს! ან მე მიეკვარს, როცა ყველფერი ჰკუხს და ელავს, ასეთია ბუნებაა! საშინი არაფერია“. ალბათ ეს ახლა მარტანასმა უნდა უთხრას მამის მაგივრად, მაგრამ ბიჭი ეშინია, რომ ისე არ გამოუვა, როგორც მამამისს.

— იქნება დობილი ბოსლში დაგვმწყვდია? — ესმის დედის ჩურჩული, — არ შეეძოხვის რამე... დასეტყვავს, აუცილებლად იქნება სეტყვა.

— ჰო, — თავს უქნევს მარტანასი, იქნება; ქარმაც ისე აიწკვიტა, რომ სეტყვა მოვა. ღობილეს კი არაფერი უქნის, ჩვენ ბოსლეშიც ხომ თითქმის იგივეა, რაც გარეთ, მინდოორში კიდეც სჯობს. ხომ შეიძლება ბოსლის მეხი დაიცეხ? ხომ ხდება ასეთი რაღაცეები. მე ალბა სხვა რამ მაწუხებს უფრო; გამგერობაში წასვლას რომ ვერ ვასწრებ...

ბიჭი ოთახის კუთხეში სკამზე შედგმულ სათლთან მიდის, წყლით სავსე ჭიქას აწვდის დედამისს და სარკმელში მინდორს გაჰყურებს; იქ, ტყის ზავ ფოშზე, ეულად დგას დობილე, მძიმე, ვეება ღრუბლებს ქვეშ საოცრად პატარა და ალბათ სევდიანი. ღრუბლები კი უფრო და უფრო მძიმდებიან, უკვე ელავს კიდეკაც და ჭოხს ანათებს.

— მოახსწრებ... ესმის მარტანასს, — მოახსწრებ გამგერობაში მისვლას, მალე გამოდგარებს... იქნება მაინც მოგვეყვანა დობილე? ცოდოა იქ მარტო...

უეცრად გრძელი დაკლაკნილი ელვა სერავს ცას და ღრუბლებში ჩაგუბებული, შებოჭილი

მეხი ზაანქოი ეცემა გარინდულ სოფელს. ისევ ჩქუხს. მარტინანი დობილეს გასცქერის, რომელიც ღრუბლებსა ლაბის მიწას მიაკუღინარნ და დიდი თვითფრინაგები ახსენდება, სულ ახლახან ომის დროს რომ გადაუფრენდნენ მინდორს და იქ, სიდაბაც სოფელში მატარებლების მოგუდული ხმები ისმოდა, ოროის აკეთებდნენ, რომ ზუსტად ჩამოეყარათ ბომბები. მერე კი მფრინავები, თავიანთი სიზუსტე და ნამოკმედარი რომ ეშმეზმებინათ, პატარა პარაშუტებზე დაკიდებულ, თეთრად, თვალის-მომჭრელად ბოკაშკაზე მაშხალებს ჩაერიდნენ...

ისევ ჩქუხს. დეიდამისი საწოლზე ზამოწეულო და იდაყვსდაყრდნობილი, ბალიშს ისწორებს, ყოველი დაქუხებისას აკანკალებული ხმით ამბობს:

— ახლა კი ნამდვილად დაეცა, საღღაც ახლოს დაეცა მეხი, მარჩუს...

— მერე რა, დედა, რა მოხდა მერე, მოელი ღღე ისე ცცელოდა, რომ უნდა გაავდრებულიყო კიდეეც. ასეთია ბუნება... — ბიბი გრძნობს, რომ ისე არ გამოუდის, როგორც მამამისს, სულ არ გამოუდის, დამაკერვლითა და სიდინჯე აკლია. ბუნება კი სულ გაშმაგდა; მარტინანი უკვე ველარ არჩევს, როდის ელავს და როდის არა. მთელი სოფელი, მინდორი გაათეთლა და ტკეცე თითქოს ქვისგან გამოთლილს ბგავს უწყვეტ ელვაში, სახლება კი თითქოს ბალლური ზომალღებია ზღვაში.

ზეიზარავად ჩქუხს, სულ ახლოს, ლამის ფანჯარაში შემოჩერას მეხი. ბიბს დედის სუნტი შეკოცვლება ესმის. იგი ხვდება, რომ მან გრძნობა დაკკარგა. ყოველი ქმეაქუხილის დროს ემართება ასე. მარტინანი ბორძიკით გარბის სათლისკენ, პირსაბოცს ახვეულებს და დედამისს შუბლზე აფენს. ბიბი ლოგინის კიდეზე ზის შიშით გულმოწყურეული და დედამისის ბალიშზე გაბნეულ ბალღირა თმას ფასცქერის. მას საოცრად უყვარს ეგი, ეს პატარა, სათუთი ქალი — დედა. შიშს საოცარი სიზუსტვიდე სცვლის. მარტინანი წყალს ასხურებს ბაგეზე და ღარნუნენეულია, რომ დედა თვალს გაახელს. ის კი ახლა ნამდვილად შეძლებს უთხრას:

— ნუ ღელავ, დედა. პირველად ხომ არ ჩქუხს, ასე ადელვება არ შეიძლება ამ სანაშიც არაფერია!

— ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ — ბალიმეას ცდილობს ქალი, — ოდნავ დავფრთხები და ხომ ხედავ, რა ემართება... დობილე მეცოდება, ჩვენ ხომ მაგითა გვიდგას სული...

— დობილეს არაფერი უჭირს, დედა. იგი მიჩვეულია მინდორში ყოფნას. ნუ ფიქრობ, რომ დობილეთი გვიდგას სული. [illegible] მინდორის იქით უნდა გაიხედო, [illegible] სევდიანად ამბობს ბიბი და გული ეწურება; გრძნობს, რა ახლოა მათი ყოფის ზღვარი-მორიზონტი, სადაც დობილეა ბალიშე დაბმული.

ქალი არ ცხრება. გაბერვებით დგება საწოლიდან და ღამის პერანგის ამარა ფანჯარასთან მიდის. ღონეგამოცლილი, ჩამომმარი ხელებით ეყრდნობა რაფას და ელვით განათებულ მინდორს უყურებს.

— არ ვიცი... — ესმის მარტინანს სუსტი, აკანკალებული ხმა — არ ვიცი, იქნება მე ვერ ვარჩევ, მაგრამ დობილე არსად ჩანს...

ბიბი ელდანაკრავივით მიდის ფანჯარასთან; პირუტყვი მართლაც არ ჩანს იქ, სადაც რამდენიმე წუთის წინ იდგა ბალოზე დაბმული, მორჩილად თავდახრილი. მარტინანი შიშჩამგარი თვალებით უყურებს დედამისს, დედის თვალებში კი ხედავს, რომ მარტინანი მისი პირიშლია და ეშინია, არ წავიდეს, ელვით გადათანთქოს მინდორში არ დაიკარგოსო. მარტინანი ყველაფერს ხვდება, მაგრამ ახლა მან უფალლებულად უნდა თქვას შშვიდად და დამაჯერებლად:

— დაწექი, დედა, დამიცადე. წავალ და მოვძებნი. ალბათ დაიღალა დგომით და ბალახში ჩაწვა...

ბიბი ხაწვიმარს იცვამს და გარეთ გადის. გზაბარეული ნაგაზი გულზე ახტება და სასის ალოკვის ცდილობს, ხათიანი, გრილი ენა აქვს. მარტინანი მინდორისკენ გარბის, ნაგაზი მისდევს. ეზოდან გასვლისას ბიბი უკან იხედება; ედდა ისევ ფანჯარასთან დგას, ელვა ხან გამოსცვეთს სიბნელეს მის სუსტ მხრებს, ხან ისევ წყვდიადში ნთქავს.

მარტინანი მირბის, გაოფლიანებულ სახეზე წვიმის წვეთები ასხამს და ხაკინტში ეღარება. ყოველი გაელვებისას შეხტები ეკვეთება, გაწყვეტილი ნაგაზი წკმუტუნით მისდევს. ბიბს ხაოცრად უნდა ვინმეს შეხვდეს, ყველაზე ხანატრელი კი — მამის შეხვედრა იქნებოდა, რომელიც მშვიდად იტყოდა: „არაფერია, მარჩუს, ასეთია ბუნება". მაგრამ მინდორი უკაცრიელია: არც ღობილეა, მხოლოდ ბალო და გაწყვეტილი ხაღელი. ირგვლივ კი ელვა, შეხი და წვიმაა. ბიბი და ძაღელი უკან გამორბიან; იქნებ თვითონ დაბრუნდა ღობილე და ახლა გიმიერშია, მაგრამ არა. ბიბი და ძაღელი ისევ მინდორში მირბიან.

უეცრად თხმელის ხელ. დაცარემლილ ფოთლებში ბიბი ღობილეს თეთრ შუბლს ხედავს და მოუსალნელობისგან შეშდება. არაფრის თქმა ძალუძს, ნაგაზი იქვე ცუცქდება და გულგრილად უყურებს ბიბს და ძრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხედავ, რა ქენი... — სულს ითქვამს მარტინანი, — სანელი გაწყვეტე და ახე შორს გაიქეცი...

პირუტყვს თვალებში რაღაცნაირი, უსასრულო სიშშვიდე ჩაჯგუფებია და გულგრილად იცოხნება; წვიმა შუბლზე ეხლება და ღარებად ეშვება სველ, ელვანაგან აპრიალებულ ბეწვზე.

— ხედავ, რა ქენი — საყვედურით ამბობს ბიჭი და დიბილეს კისერზე ხელს ხვევს. — ბოჭკებში დამაღლულხარ და ჩვენ კი გადარეულებივით დავრბიეართ მინდორში... — მარტინას უეცრად დედა ახსენდება, რომელიც ალბათ ისევ ფანჯარასთან დგას და ტირის...

სახლში ბრუნდებიან. ნაგაზი წინ უსწრებს და მალიმალ უკან იხედება; ამოწმებს, მიყვება თუ არა მარტინასი. ბიჭს კი სიშშვიდე დაუფლებია, თითქოს წვიმამაც იკლო, ოღონდ სხეული ისევ უზურს და ოფლს ასხამს. მარტინას ერთი ხაქმე ახსენდება, რომელსაც უკვე ვერაფრით გაკეეთებს დღეს; მათ ზომ მოლაპარაკეს, რომ კოლმეურნეობის გამგეობაში შეიარიბეებოდნენ, იქედან კი სატვირთო ავტომობილით ქალაქში წავიდოდნენ პერზე. ქალაქში ალეოსზე უნდა იყო, რიგი რომ დაიკავო, თორემ ცოტათი დაგვიანებულს, გამხმარი უუაც არ შეეხვდება. მარტინასს ბრაზი ეკიდება — წვიმა და დიბილეა ყველაფერში დამნაშავე.

ბიჭი თავიანქნდრული მილასლასებს. უკვე გვიანაა, ეზრი არა აქვს სიჩქარეს; გამგეობაში ალბათ უკვე ყველა შეიკრიბა. ეუკაუსკენეც, მისი სოფლელი ქვრივი ქალი იქვეა თავისი სამი ცეროდენათი, რომლებიც ქალაქში მიპყავს. ბავშვები საცოდავად, გულსაკლავად ამთქნარებენ, ჯერ სულ პატარები არიან, მაგრამ უკვე იციან, როგორ მოეწყონ რიგში დედის ზურგს უკან. პორის მაღაზიის დახლიდარი ხვდება, რომ ეხენი ეუკაუსკენეს შვილები არიან, მაგრამ ვინც აძლევს თითო პურს თითო კაკაზე, თუ-კა კაცობამდე ჯერ ბევრი აკლიათ ამ ომის შემდეგომი მძიმე და უშედეგათო დროით დაკავებულ ბავშვებს...

ისევ წვიმს. დედა ფანჯარასთან დგას დამის პერანგის ამარა; ავადმყოფი, ჭალარა და ახე საყვარელი. მარტინასი სახიდან ოფლს და წვიმას იწმენდს და უეცრად მოწოლილ სიხარულს ვერ ეიკავებს, რომ დიბილე მოიძებნა.

— ბოჭკებში იყო, დედა, მეხმა შეაშინა ალბათ. წავალ, ბოსელში დავამწყვდევ. დაწექი ახლა, ყველაფერი კარგადაა! გამგეობაში დამაგვიანდა ოღონდ, მაგრამ ეგ არაფერი...

თარგმნა ვიპა ლომაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ილია გლაზუნოვისა.

# 60 იოსებ ნონეშვილი 60

## სიკვდილის გზა

პოეტის ღირსება იზომება იმ სიყვარულით, რომელიც მან ხალხის გულში მოიპოვა. ეს არ არის სადავო. ეს მთავარი კრიტერიუმია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუხარებია მკითხველის გული იოსებ ნონეშვილის ლაღსა და ფრთიან სტრიქონებს! ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როცა პოეტი პირისპირ ხვდება თავის მკითხველს. მახსენდება ზაფხულის ერთი ცხელი დღე ფოცხოვის ბეობაში (ახალციხის რაიონი). ეს იყო მინდვრად, კოლმეურნეებმა შესვენების დროს თავი მოიყარეს ერთ გრძელ ფარდულქვეშ. აქ იყო თითქმის მთელი სოფელი. რა გახარებულნი იყვნენ, როცა თავიანთ გვერდით დაინახეს პოეტი, რომელსაც მანამდე მარტო წიგნებით იცნობდნენ, მარტო რადიოთი მოესმინათ. არც მაღალი ტრიბუნა იყო იმ ფარდულში, არც მიკროფონი იყო საჭირო. პოეტი იჯდა კოლმეურნე ქალებს შორის და კითხულობდა ლექსს დედაზე. უსმენდნენ და სიხარულის ცრემლით ტიროდნენ იქ ყოფილ დედებიც და შვილებიც. ჩვენმა იოსებმა იმდენი სიხარული მიუტანა მათ, იმდენი სითბო გულისა, რომ აღარ უნდოდათ მისი გაშვება, ეძებელებოდათ მასთან გამოთხოვება, სთხოვდნენ, კიდევ ჩამოდიო... და მე მგონია, ეს იყო ყველაზე ძვირფასი რეცენზია, ყველაზე უკეთესი შეფასება, რაც კი ჩვენს პოეტს მოუსმენია თავის ლექსებზე.

ყოველივე ბუშმარიტი პოეტის ოცნება — ეს არის ივოვის გზა ხალხის გულისაკენ. ეს ძნელია, მაგრამ აუცილებელი. უამისოდ პოეზიის არსებობას აზრი არა აქვს.

იოსებ ნონეშვილი წერს იმაზე, რაც უნახავს, რაც განუცდია, მას კი ბევრი რამ უნახავს — ის ორმოცი წელიწადი, პოეტას სამწერლო მოღვაწეობას რომ ძოიცავს, საავე იყო დიდი ისტორიული ძვრებით, დიდი ეპოქალური მოვლენებით და ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა პოეტის შემოქმედებაში. იოსებ ნონეშვილი სრულიად ახალგაზრდა პოეტი იყო, როცა სამამული ომი დაიწყო. იმ დღეებშივე მან ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა და მისი ლექსიც იქცა მგზნებარე საბრძოლო მოწოდებად. ჩვენი მკითხველისათვის მუდამ მოსაგონარი იქნება ნაწერმოებები, რომლებშიც აისახა ჩვენი მამაცი მეზღვრების, ქართველი ვაჟკაცების საბრძოლო შემართება, შინ დარჩენილთა თავდადებული მრომა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა სიყვარულის ის დიდი გრძნობა, რომელიც აერთიანებდა პოეტისა და მეფიერის, ფრონტზე მებრძოლისა და დაზგასთან მდგომი მუშის, დიდისა და პატარის გულს. ნინოშვილის ლექსებში მთელი ძალით, მთელი თავისი სიწმინდით გამოჩნდა ხალხის უტეხი სული, გამოჩნდა არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ისტორიული ტრადიციაც ქართული რაინდული თავდადებისა, რომელმაც სასწაულები მოახდინა სამამულო ომის ფრონტზე, სადაც ქართველი ჯარისკაცები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავდნენ მთელი კაცობრიობის მომავალს, იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

იოსებ ნინოშვილის ომისდროინდელი ლექსები — „ოთხი ძმა ლესელიძე", „ადექ, აიღე ფრანგული", „ბარათი ფრონტიდან", „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე" და სხვები გამოირჩეოდნენ დიდი მთამაგრნებელი ძალით.

1944 წლის ბოლოს, საახალწლოდ დაწერილ ლექსში პოეტი ამბობდა:

> ვადღეგრძელოთ ბრძოლის ქარში
> ვისაც დროში მიაქეს ახლა,
> ვინც ახალწლის გარიჟრაჟი
> სანგარიდან დაინახა,
> ვისაც ქარი ეუბერს კალთებს,
> არ ეღლება ბრძოლით ხელი
> და ნისლიან ღამეს ანთებს
> მოქნეულ ხმლის ცისარტყელით.

გულწრფელი და ღრმა მწუხარებაა პოეტის სტრიქონებში, როცა იგონებს მებრძოლებს, რომლებმაც მამულის დასაცავად სიცოცხლე გასწირეს, როცა მკითხველს მოუწოდებს სიყვარულით გაიხსენონ —

> ...ისიც, ვინც ღღეს ვეღარ ხელობს,
> მეხლმაგარი, ვით არსენა,
> საყვარელი საქართველო
> სიკვდილის წინ ვინც ახსენა.

1944 წელს დაწერილ ლექსში — „მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვახარა" — წარმტაცი ფერადებით არის დახატული, როგორ მოდიოდა, როგორ ყოველდღიურად ახლოვდებოდა საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. ამ გამარჯვებას ჭედდა მთელი ხალხი, და პოეტის მართალ სიტყვას აქ მცირე როლი როდი ჰქონდა მიკუთვნებული. მაშინ პოეზიაც ომში იყო, სანათლის გამარჯვებისათვის იბრძოდა.

ომის დამთავრების შემდეგ იოსებ ნინოშვილმა გამოაქვეყნა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა", რომელშიც მკაფიოდ გამოიკვეთა ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილის ზოია რუხაძის წარმტაცი სახე. ეს არის ნაწარმოები ერთ ადამიანზე კი არა, მთელ თაობაზე, მთელ ჩვენს მშვენიერ ახალგაზრდობაზე, რომლისთვისაც ყველაზე მაღალი მცნებაა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობა.

პოეტის ლირიკული ლექსების თავარი თემა საქართველოა, მისი წარსული და აწმყო, მისი თვალწარმტაცი პეიზაჟები, მისი შესანიშნავი ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები. პოეტი გვიხატავს მათ ფიქრებს, გრძნობებს, მათ მდიდარ სულიერ სამყაროს. მისი ლექსები თბილისურ შემოდგომასა, თუ ყამირზე წასულ ქართველ ჭაბუკებზე, გუთნისდედებსა თუ მეზაიეებზე, მისი ლექსები სიყვარულზე, სილამაზეზე — უაღრესად პოპულარულია ჩვენს ხალხში. ეს აიხსნება იმით, რომ პოეტის სიტყვა ფუდამ მართალია, გულწრფელი, უშუალო, მის ლექსში იგრძნობა ლაღი ტემპერამენტი, სითბო და ინტიმი.

სწორედ ამით არის საინტერესო პოეტის შემოქმედება, ამით იქცევს იგი ყურადღებას არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. არ ვიცი, ვინ წარმოთქვა ეს ფრაზა პირველად, მაგრამ საკმაოდ ხშირად გაიგონებთ, პოეტი ელჩია თავისი ქვეყნისაო. როცა იოსებ ნინოშვილის ლექსების კრებულს ათვალიერებთ, ბუნებრივად გახსენდებათ ეს სიტყვები. მართლაც და, მსოფლიოს რომელ ქვეყანას დაასახელებთ, რომ იოსები მას არა სწვეოდეს, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი თავისი სამშობლოსი, საბჭოთა საქართველოსი, მისი გულწრფელი მეხოტყვე და პოეტი, სად არ ყოფილა ის, სად არ ჩაუტანია ქართული სალამი და გამარჯვება!

ამ გაუთავებელმა მოგზაურობამ დიდად გაამდიდრა იოსებ ნინოშვილის პატრიოტუ-

გიორგი ნაბროშვილი
სიკეთის გზა

ლი პოეზია. სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, ოცნებით ქართულ-კახეთის ველ-მინდვრებს, რაჭისა და აჭარის მთებს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს, იმერეთსა და მესხეთს შეხვარის, მუდამ ახსოვს თავისი ხალხის დანაპირები — იბრძოლოს სიკეთისა და სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის წმინდა იდეალების დასამკვიდრებლად, და რა სასიხარულოა, რომ ქართველი პოეტის ხმაც მთელი ძალითა და ძლიერებით ისმის მსოფლიო პოეზიის იმ დიდ ორკესტრში, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ბოროტისა და ბნელის დასათრგუნველად არის ამზიანებული. ი. ნონეშვილი წერს მსოფლიოს ხალხთა ტკივილებსა და ჭრილობებზე, წერს მათზე, ვისაც ჯერ კიდევ ქედზე ადგას იმპერიალიზმის უღელი, წერს მათზე და თავისი ხალხის თანაგრძნობა მიაქვს მათთან. პოეტის ფერები აქ მუდამ ორიგინალური და ცოცხალია. აქ ბინდა გავიხსენო მისი „ნიაგარა“. პოეტი მოუხიბლავს ბუნების ამ უცხო სანახაობას, თვალი ვეღარ მოუწყვეტია ცისფერი ტალღებისათვის, კლდეებზე რომ იმსხვრევიან. პოეტს აქვს სამყაროს სილამაზის უმძაფრესი შეგრძნება და ეშვებება, რომ აქ წყალი კი არ მოდის, ტალღებად მოღელავენ ღოლო და ასკილი, გვირილა და გულისაბა, ბიღილები იქაური მთაბარისა, მამაზეციერს ვვება ცელით რომ მოუთიბავს და წყლისათვის გამოუტანებია. მაგრამ ნამდვილი პოეტისათვის ბუნება განუყოფელია ისტორიისაგან, ის ცალკე, გამოთიშულად არ შეიმეცნება. ნიაგარას მიდამოები მარტო ლამაზი პეიზაჟი როდია, ის ადამიანთა ტანჯვის, ბრძოლის, სისტარულის, სასოწარკვეთისა თუ იმედების ასპარეზიც არის. ეს გაგება ბუნებისა ოდითგანვე ტრადიციულად დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში, სადაც მარაბდა თუ კრწანისი არასდროს ყოფილა მარტო ყვავილებით აჭრელებული მინდორი, არამედ იყო ბრძოლის ველიც, სადაც ხალხის ბედი წყდებოდა, და მდინარეები იმაზე უფრო მეტს მოუთხრობდნენ პოეტს, ვიდრე ამას უბრალო მგზავრის ყური მოისმენდა. ისინი ბუტბუტებდნენ თავიანთი იდუმალ ენაზე და პოეზია იყო გზა, საიდანაც ეს ხმა ხალხის გულამდე აღწევდა. ასე, ინსტიტუტებოდა პეიზაჟი ქართულ პოეზიაში, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა მოწინავე მოქალაქეობრივი იდეებით. სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ასეთი გაგება პეიზაჟისა მარტო ქართული პოეზიის ნიშანთვისება იყოს, მაგრამ აქ ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ი. ნონეშვილს ქართველი პოეტის თვალით უნდა შეეხედა პირველად ნანახი უცხო სამყაროსათვის, საგნისა თუ მოვლენისათვის, იქნებოდა ის ქალაქი, მთა თუ მდინარე. და ასეც მოხდა — ნონეშვილის ამ ლექსებში იგრძნობა ძველი ქართული პოეზიის ფესვვებიც და თანამედროვე ჩვენი ფიზიის ადამიანის ძლიერი გულისფეთქვაც; და აი, ნიაგარას ჩანჩქერის ხმაურსა და ზრიალში მას აგონდება, რომ აქ არის სამშობლო ძველი ეროკეზებისა, რომლებიც გაწყვიტეს ინგლისიდან გაძევებულმა პურიტანებმა, ხოლო გადარჩენილ... მათ ჩაკეტეს რეზერვაციებში; ბუნების ხილვა აქ უშუალოდ და ორგანულად ეერწყმის ისტორიულ ასოციაციებს, ჩანჩქერების ზრიალში, ტალღების ქუხილში პოეტს ჩაესმის აქ გაწყვეტილ თაობათა კვნესა და ზუხილი. ესმის მათი საბრძოლო შემართების ყიჟინა და ხმაური.

ინეგა ინდიელთა ტომები მოდიან
კლდეებიის ღარტაფით,
მეზვერეთალა უბიონ?!
თავზე სრიალემის ფრთები
უფრიალებთ,
ხელში უპრიალებთ მშვილდი
და შუბი.

ფიქრში იდვიძებენ და ახლოს მოდიან ნაცნობი ემირები, ჩვენი ზმანების ადრინდელი თანამგზავრები — ჩინგაჩგუკი და უნკასი, უა-ტა-უა, ტომის ახალგაზრდა ბელადის ულამაზესი საცოლე; ამათი შთამომავალნი, ვისაც ოდესღაც ეკუთვნოდა ეს ტყეები, მდინარეები და პრერიები. პოეტის სტრიქონებს და მის მიერ ხილულ ნიაგარას ამ სამყაროში გადავყავართ. აქ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

იქნება ღრუბლებიდან ანთებულ
ისრებს,
ზედიზედ გვიშენს ჰაიავატა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ და ისევ,
ისევ და ისევ,
ამ ისრებს
ბოღმას და რისხვას
იტანს.

აქ არის ნამდვილად დიდი პოეტური ხილვა, სილამაზის დიდი და ჭეშმარიტი ერნობა, ასე ბუნებრივად გადაწნული ადამიანურობისა და ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრების კათოსთან.

ნიაგარიდან გზა ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ცათამბჯენებისაკენ მიდის და აი, პოეტი ცდილობს გადმოგვაცქეს კაპიტალისტური სამყაროს დიდი ქალაქების შთამბეჭდილებანი. ლექსს თავისი მკაცრი კანონი აქვს — აქ ფართოდ განზოგადებებს ვერ გაკეკვები, აქ უბრალო მხატვრულმა სახემ, ერთმა უბრალო შტრიხმა უნდა დაიტიოს დიდი აზრი, მოგვცეს წარმოდგენა იმაზე, რაც ყველაზე მეტად ნიშნეულია კაპიტალისტური ცივილიზაციისათვის; და აი, ვხედავთ, რომ პოეტმა იპოვა ყველაზე ზუსტი სიტყვები, ყველაზე ტევადი და შინაგანი აზრით სავსე სახეები. სწორედ ამით გამოირჩევა იოსებ ნონეშვილის „ცათამბჯენები". მაღალი ცათამბჯენები, ღამის ღრუბლებამდე ატყორცნილან, მაგრამ თურმე უფრო მაღალია ლურჯი კვიპაროსი, ეს ჩუმი ლოცვა მიწისა და სიცოცხლისა; პოეტი აქ იხსენებს თავთავთა შრიალს, შხაპუნს წვიმას, ყვავილთა ფაფანს, მოცელილ ბალახს, რომელსაც შორეული ცისა და წვიმების სუნი გამოპკოლია, იხსენებს მზესუმზირას, დილით ბავშვივით ცერებზე რომ დგება და ისე ეგებება მზეს, იხსენებს ყოველივე ამას არა იმიტომ, რომ ბუნების პირველყოფილი შშვენიერება და უშუალობა დაუპირისპირს საერთოდ ცივილიზაციას, არამედ მზის სინათლეზე გამოიტანოს და დახატოს კაპიტალისტური ცივილიზაციის შინაგანი წინააღმდეგობანი. პოეტური მეტაფორა (შენობები — ხეები) აქ იძენს დიდ სოციალურ ჟღერადობას. ეს არის კეთილი ხეები და პოეტიც ასე მიმართავს მათ:

არც იცით სად არის თქვენ —
თქვენი მებალე,
ვინც ფეხები გაგიდგამთ, ვინც
მაღლა აგწიათ,
ჩრდილს როდი მიაწვდეთნ,
კეთილ ხასიათით,
იქნება უეჭრო, მაშვრალი
ქაცია.

ქალაქის პეიზაჟი პოეტმა აქ ასახა კეთილისა და ბოროტის, ბნელისა და ნათელის მრავალსახეუშუნოვანი ბრძოლის ასპექტში და იპოვა მშვენიერი მხატვრული სახე, რომელმაც ერთ სიტყვაში გამოხატა დიდი სათქმელი. ეს სიტყვაა ბაბილონი.

ათასი ფიქრი გაქვთ თამამი,
თავნები,
ათასი თვალი გაქვთ ყვითლად
რომ გიელავთ.
ათასი თვალი გაქვთ, მაგრამ ეგ
თვალები,
ერთმანეთს უყურეთ ხარბად
და ცივრად.
ო, ნუ ყელყელობთ, რომ
ძალები სხვავგარი
გაქვთ მარილაც მაგარი, ნაკები
ლოდებად...
განა ბაბილონზე ხართ უფრო
მაღალი
და უფრო მაგარი?
გაშოროთ განგებამ იმ გოდლის
გოდება.

ამ ლექსში იოსებ ნონეშვილი დგას იმათ მხარდამხარ, ვინც იბრძვის საქვეყნო შშვიდობისათვის, დედამიწაზე სამართლიანობის დამკვიდრებისათვის. ამ თემას ეძღვნება მისი ლექსები „ვიყოთ გულღია", „ყური დავუგდოთ", „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ", „ბეიერუთში", „შეხვედრა", „გოეთს მუზეუმში", „ღამე ბენარესში", „რიცა შენ ცეკვავ", და მრავალი სხვა.

როგორ მიძნელდება დაწერა იმისა, რომ იოსებ ნონეშვილი უკვე სამოცი წლისაა. ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა მკითხველისათვის, რომელსაც ნონეშვილი უყვარს, იგი კვლავ ჭაბუკური ცეცხლით აღსავსე პოეტია, რომელიც უმღერის თავისი ხალხის შრომასა და ბრძოლას. ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ პოეტს ახალი წარმატებანი ამ სახელოვან გზაზე.

**გიორგი ნატროშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო იოსებ!

ჩვენო საყვარელო მგოსანო, მეგობარო, სასიქადულო თანამემამულევ!

მხურვალედ ვლოცავ შენი მშვენიერი ცხოვრების „სამოცეულ მოქცევას“, შენი კალმის მრავალნაყოფიერ ნაჭირნახულევს, სიკეთით სავსე, უბოროტო და უწაკველ ცხოვრებას!

ნახევარი საუკუნე რეკენ შენი პოეზიის „ვარსკვლავა ზარები“, ნახევარი საუკუნე გუგუნებს სამშობლო იმედებით აღსავსე შენი „სხივებნათამამარი“ მზე, „მზე — ოქროს ბეკი“. ღვთაებრივ ფანტასმებად ირხევიან შენს „კლდეებზე ბონდის ხიდად გადებული ცისარტყელები“. მოჭქუხან და მორაკრაკებენ შენი მშობლიური „დალის ნაწნავა ვდინარები“, მადლიერი მზერით გიმზერენ „ქალწულის თმებით გამთბარი ვაზები“, ისევ მიისწრაფიან ზეცისკენ შენი მცხეთა, შენი ელათი, შენი ჯვარი, „ჯვარი — ლაქვარდში აჭრილი მიმინო“.

„სიტყვა ნივთთ არათდეს ბრძანოო“, — გვაფრთხილებს „ვისრამიანის“ ბრძენი მთარგმნელი და შენი ნიჭის პატივისმცემლეს სწორედ ეს გვეამაყება: პოეტ იოსებ ნინეშვილს არასოდეს არ უკადრებია სიტყვა „უნივთო“ და „უსაგნო“, არც უქმი რითმა ან უნიათო და უძარღვო ასოთგაწყობილობა. მისი სიტყვა არის „პოეტური ზუქურთმაც“ და არის „მაღალ-ნივთოვანი“ მოქალაქეობაც. დიახ, ეს ჭეშმარიტი „საბალხო მომდერალი“ არასოდეს არ მდერის „ვით ფრინველი გარეგანი“.

ალალი იყოს, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, შენთვის შენი მშობელი ხალხის სიყვარული და თაყვანისცემა! იყავ ჯანმრთელი, იყავ ბედნიერი, რამეთუ „საქართველოს ისევ სჭირდება ჩვენი გული და ჩვენი მარჯვენა“!

დაე, ისევ განიერი ლესურით მიარღვევდეს შენი სალმასური კალამი ქართული პოეზიის ნოყიერ საძოვარს!

**ლევან სანიკიძე**

## ძმაო იოსებ

— საქართველოში არაა დასახლებული პუნქტი, სადაც შენთვის მზად არ იყოს ყურნი სმენად და ხელნი ტაშად! — გითხარ ათი წლის წინათ.

ჩემი ეს სიტყვა მაშინ, ვიცი: არც ყველას გახარებია და არც მარტო შენ.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ.

დღეა შენ უკვე სამოცი წლისა ხარ, მაგრამ, ღვთის წყალობით, შენ ჯვარი გწერია და, შენი, — აწ განსვენებული სეხნიისა არ იყოს:

ჯერ მელანი არ გაგთეთრებია
და არც რითმაში გიკრთია ჭიღარა.

იცოცხლე!

კარგი ხარ და, ამიტომ!

ღმერთმა ხელი მოგიმართოს დღეის ამას იქითაც!

**ეუზრან მაჭავარიანი**

„შემოდგომას სულ პირველად რუსთაველზე გაიგებ“... ახლა თბილისში შემოდგომა დგას. ამბობენ, სამოცი წელი დამ.ინის ცხოვრების შემოდგომაო. ვისთვის როგორ... ყველა როდი იქნება ყაბულს — წინ მხოლოდ ხაძთარი რჩება. ცოტაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში, იოსებ ნონეშვილს ლექსის რთველი უდგას ეწერება და წერს. კახეთიდან მოვარდნილი „ფეხმარდი მოამბე", სამოცი წლის ჰოეტი ალალ ჰურს ჭამს ალალი ლექსით.

მე მაც ყველაზე ხშირად რუსთაველის პროსპექტზე ვხვდები. მიდის, მიაბიჯებს და ესალმებიან ნაცნობები და უცნობები. იოსებ ნონეშვილი „ყველას იცნობს". ეს ყველა — ქართველი კაცია, მისი მკითხველი. მოდის და გულუხვად, უშურველად ფანტავს სალამს, ღიმილს, შეძახილს!...

თავს ძალით არ იდარბაისლებს — არ სჭირდება.

ვინც ძალით არ დაიუმადურებს თავს, მისგან შეგრი სიკეთე ეხსომება.

დიდხანს იარეთ, პატონო იოსებ, რუსთაველზე, არიგეთ სალამი და ღიმილი.

შემოდგომაა!..

ჯუმბერ თითმერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ენთუზიაზმი, თუნდაც „უნაპირო“

## მწერალი და პრობლემა

ახალგაზრდების ცხოვრებაზე შექმნილ წიგნებს რომ მიმოიხილავენ, კრიტიკოსები ხშირად ორი მიზეზის გამო ვამოიკვეთენ შეშფოთებას: პირველი ის გახლავთ, რომ ჩვენი ლიტერატურა ახალგაზრდა კაცის ცხოვრებას სათანადოდ ვერ ასახავს, ყოველთვის ვერ გვეალინება მის ეკითილ მრჩეველად და მასწავლებლად. ხოლო მეორე, რაც მათ აწუხებთ, ახალგაზრდობის ერთი ნაწილის სოციალური მოუმწიფელობა გახლავთ. გულგრილობა, ინდიფერენტიზმი და ცხოვრების მთავარი მიზნის უქონლობა ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდის საშიშ საფმაწვილო სენად იქცა. ავტორთა სპეციის ორივე შეთხზვაში საკმაოდ სერიოზული საფუძველი აქვს, მაგრამ მისი გადაქცევის სირთულე შორდება ახალგაზრდებზე დაწერილი რამდენიმე სუსტი მოთხრობის სიუჟეტის გაკრიტიკებას და ჩვენი შეიღების სოციალური მოუმწიფელობის მდარე ლიტერატურის ზეგავლენით ახსნას. ამ გარემოების უფრო რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს.

ე. წ. ახალგაზრდული მოთხრობები, არც თუ ხშირად რომ ვხვდებით ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში ჩვენი დღეების ახალგაზრდებზე დაწერილი მოთხრობები, მსოფლიო იმდენადაა, რამდენადაც მათ ქვეშ დაწერის თარიღი უწერს. ჩასვით მათს ადგილზე ოცი-ან ან ოცდაათიანი წლების ახალგაზრდები, მოახვიეთ თავს ოგიგე ინტრიგები და ვნებანი, რაც სადღეისოდ დაწერილ მოთხრობებშია, შეიცვლება რამე? მე ვფიქრობ, არაფერი. საქმე იმაშია, რომ ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ნიშან-თვისებები, მათთვის ორგანული სულიერი წონასწორობა ვერ მოძებნეს ავტორებმა. ამიტომაც ასეთი მოთხრობები თანამედროვე ახალგაზრდების სულიერ ცხოვრებაზე ნაკლებ გავლენას მოახდენს. წ�ეთხოვეთ ისინი ამგვარ ნაწარმოებს და გულგრილად გადადებენ ყველაზე. იმის შეკნებით, რომ ეს მათზე დაწერილი სრულიადაც არ არის. მწერალმა ამოდ ჩაიცვა თავის პერსონაჟებს ჯინსები და სულ ტყუილად მისცა ხელთ ტარანზისტორები, ამ გარეგანმა სამკაულებმა ისინი თანამედროვეს ბიკებად ვერ აქცია.

მაგრამ დაამიჯეს თაობიდან თაობამდე პაპკა კორჩაგინი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი თანატოლი, ჩვენნი უმცროსი ძმა, ჩვენი შვილი... მოდიდან გვიდა პაპკას ძველი, ყურებიანი ქუდი, ალარც „ტელეგრეიკას“ იცვამს ახლა პაპკას თანატოლი. პაპკასდროინდელი მეთოდებით როდი გაჰკვავთ ახლა რკინაგზა, ან ბებერ სასლებს. მოძველდა წერიაქვი და ჩაქუჩი, პაპკას რომ ხელი ეპარა, მაგრამ ახალგაზრდული სიყვავარე შეინარჩუნა პაპკას შემართებამ, თავგანწირვამ, გულწრფელობამ, რწმენისადმი ერთგულებამ.

როგორია იგი, ჩვენი დღეების ახალგაზრდა კაცი? მორალური კოდექსებიდან გადმოსული კი არა, ხელმატურ მოთხრობებში იდეალიზებული კი არა, ნამდვილი, წინააღმდეგობრივი, როგორიც არის იგი ცხოვრებაში...

თუ ცხოვრებაში არის, იგი ლიტერატურაშიც აღრე თუ გვიან უსათუოდ მოვა. მოვა და გვაიძულებს მისი გვჯერდეს, მის შესახებ სერიოზულად ვკამათობდეთ. მაგალითად ვუსახავდეთ სხვებს.

ჩვენს მწერლობას მაღალი დიდაქტიკური იდე-

ების მხატვრული გარდახასიათება და „სანიმუშო ყოფაქცევის“ ჭეშმარიტ ხატვაში სადღაც გაჩნდა მირაბი (თუ ხელოდან გაუსხლტა) იგი, ჩვენი დღეების ახალგაზრდა კაცი. ახლა, როცა სოციოლოგიის ენებანური ანეკდოტით მიდგიოვრო მახთან და ან გამადიდებელი შუშით ვთვალიერებთ, კოლოსალური ნახატიის წინაშე აღმოვჩნდით. ჩვენ მას არც თუ კარგად ვეცნობით. ვეუბნებენ, რომ ჩვენ იგი ასეთად არც კი ჩავდიოქრებია. ეს ყველაფერი, ეს საოცარი მეტამორფოზა, თითქოს ჩვენდაუნებურად მოხდა. ჩვენი დღეების ახალგაზრდა ხასწულებრივად განსხვავებება წინა თაობის ახალგაზრდებიდან — ცოდნით, ინტელექტით, ცხოვრებახთან ღამოკიდებულებით, პოლიტიკური აქტიურობით, მსოფლმხედველობით და, წარმოდგენეთ, ტემპერამენტითაც. ჩვენ ეუფას ვიფიზათ და ამ მეტამორფოზის ახსნას ვიცდილობთ. ჩვენს შორის ზედმეტად უნდოდნი ან დაეკვებულნი ამბობენ, რომ იგი — ეს თამაშვებული თანამედროვე ფრანტი, შინაგანად ფუფუა, ინფანტილური, სუსტია, ცხოვრებისთვის მზად არ არის, ახალგაზრდული ცეცხლი თითქოსდა ვინღეებუნოდ მის გამოხდვაში. მეორენი კი — შედარებად დაკერებულნი და ფუროატმოსფერი, ამბობენ, რომ ეს შესაფოთიენელი არადერია, იგი ჩვენზე ჭკვიანია და ლამაზი. იგი არაჩვეულებრივად ეკითხია და საყოველთაო ჰარმონიის მომხრეიგი, თუ დასკირდა, სიმამაცის სახწოლებს მოახდენს...

დრო კი მიდის. ცვლილებანი ფფერო და ფუერო შესამჩნევი ხდება. მე ოჭროს ზეადგილის მომხრე ვარ ახალგაზრდებზე კამათში. მათში, მათს მომავალში დიდი რწმენის და ამედის გარეშე ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. მაგრამ ისევ ჩვენი პირადი კონტაქტები და სოციოლოგიური არაოფიციალური კვლევები გამოვეფიზიზეტის ხანდახან: „ეიდნიერება ის არის, რომელ ცხოვრობ ისე. როგორც ვინდა“, „ალიკიანარი სუფრელი არა მაქვს, ვინმეს მოვეწონო“, „მარჩენია ჩემთვის ყოფნა. მაგალი სიტყვებისგან, საზოგადოებისგან თავისუფლად“. ხასწულარიდ, ამგვარი პასუხებიც გვსდგება ანეკდოტში.

ეს ყველაფერი გამონაკლისებია, ანომალიებია, თითქმ ჩამოსთვლელი მაგალითებია, მაგრამ ხომ მაინც არის? ხომ საზოგადოების ფენებიდ იქცა უკანასკნელ ბანს ჩვენს კონკრეტნარეფ კოფფერენციებზე საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ფულარიდ ახალგაზრდებზე ლაპარაკეი?

და უკანასკნელ წლებში განა რომელ ნაწარეოებში წაგიკითხეთ თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ცხოვრების, მის წინაშე მდგარი პრობლემების, მისი ხასიათის თანამედროვე ნიშნების მაგალმსახეგრული კვლევა და ჩვენები? ეკითხულთ ახალგაზრდათა ცხოვრებაზე დაწერილ მოთხრობებსა და რომანების ხერიას და მეშვეობა, რომ ჩვენი კვლევის ფორმები მოყვეყნ[illegible] და, ჩვენი დამოკიდებულება ახალგაზრ[illegible] ადმი დიდაქტიკური მატერიებით დაიშტაპა, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, ნაკლებად ვიცნობთ ჩვენი დღეების ახალგაზრდას.

ჩვენ არ ეყო ლამის ლიტერატურულ ეტალონად რომ ვაქციოთ ჩვენი მოთხრობებისა და რომანების უმეტესობათა მთავარი მოქმედი პირი— სკოლის დამთავრების შემდეგ სიმწიფის ატესტატთან წარმოებანი მისული ახალგაზრდა? გადადიოდა იგი ზეგნნდან წიგნში, ფილმიდან ფილმში, პოლიტეკნიკუნი ალზრდის მსხვერპლი, მწერლის მიერ ყურაზიფლრალებული და თითქმის ძალით მიდგნილი სახარატო ჩარხამდე, ბაღარის შავ ხახაშიდ. მაგრამ სად ჩანდა ჩვენს წიგნებში იგი, ვისაც ცხოვრებაში თავისი ადგილისა და მოწოდების პოვნა სწორი გზის ძიებაში საკმაოდ ადინ სტტიალად დაუყდა? სად არის იგი — ჩვენი წინაალდგომბრივი ბუნების, ზოგჯერ დაკვეგიმული, თანამედროვეობის რთულ წიაღში ალზრდილი და გამოყვანილი, პრაკტიკული ან ოდნავ სეედინი თანამედროვე ახალგაზრდა?

მე არა ვარ მომხრე თანამედროვე ახალგაზრდაში რაღაც განსაკუთრებული, ყველასა და ყველაფრისგან განსხვავებული ორიგინალური ნიშანთვისებების ძიებისა, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი დღეების ახალგაზრდა კაცს ჩამოაცვა გასული თაობების ნაკონი პორალურ-ეთიკური თუ ინტელექტუალურ-ზნეობრივი ნორმების შაბაშრეული ქურქი. არსებობს სულიერ თვისებათა კომპლექსი, რაც თანამედროვე ახალგაზრდებთან მიმართებაში სხვაგვარ მნიშვნელობას იძენს. როცა დავარწმუნებენ ახალგაზრდა მკითხველს, რომ ჩვენ მას კარგად ვეცნობთ, მერე დაგვიჯერებს იგი, და მერე შეგვეკითხა ნელა, შეეშინეველად, მეკარილობისა და პოპულეზორობის გარეშე მისი წარმართვა სასურველი მიმართულებით.

ლიტერატურამ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდა კაცის ალზრდაზე უნდა იზრუნოს. ეს, მე ვფიქრობ, თანამედროვე ახალგაზრდობის ალზრდის ერთ-ერთი მთავარი პრობლემათაგანია, თუ ადამიანს ხასიათგადაბმულად ალზრდიდეს, ანსტრაქტულად განვიხილავთ, თუ მის ფორმირებაზე საზოგადოებრივი წარმოების, შემოქმედებითი შრომის როლს უყურადღებთ, მაშინ ადამიანის ბევრი სასურველი თვისება აუუხსნელი დავარჩენა. ფილოსოფიურ მიმდინარეობათაგან მსოფლიო მარქსიზმმა შეძლო ადამიანის არსის და დანიშნულების სწორი გაგება. საზოგადოებრივი ინ-

ISSN 0130-0105

რევაზ მიშველაძე
ფილოსოფოსი, თბილისი „ულაბარი“

ტერესების გარეშე შეგნებული ადამიანი წარმოუდგენელია. „თუ გსურს პირუტყვად იქცე, ზურგი უნდა შეაქციო კაცობრობის სატკივარს და იზრუნო მხოლოდ საკუთარი ტყავისთვის" (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული თხზულებანი, ტ. 31, გვ. 454).

მწერალი კი რატომღაც ახალგაზრდობის საკითხთან დაკავშირებული მოვლენების ქეშმარიტ არსს ვერ წვდება, ან მორცხვად უელის ვეებრს, ვერ გვიანმტერესებს ცხოვრებისეული კონფლიქტებით. გაიგსო ჩვენი მოთხრობები გამოსჩერებენი ახალგაზრდებით და მოწონივე მუშებით (დაუსწრებლად მეორე ფაკულტეტს რომ ამთავრებენ.) მათ წინაშე იმდენად პატარა უოფით პრობლემებს სვამენ მწერლები, რომ ასეთ პერსონაჟთან შეხვედრა მკითხველს ვერაფერს აძლევს საგულისხმოს და დანიფიქრებელს.

არის სხვა უხერხულობაც. ჩვენ ელამპარაკობთ მეოცე საუუნის სამოცდათიანი წლების ახალგაზრდა კაცის ღრმა ინტელექტუალურ, ეპოქალურ სახეზე და ამ დროს ჩვენი მეგობარი მწერალი მოთხრობებში ეხვედებით ვიწრო ნაციონალურ და მოძველებულ ეთნოგრაფიულ ჩვეულებებზე დაფუძნებულ ნოველებში. ასეთი „გმირი" ხუდ მცირე ხუთი საუუნისთი უკან ეწეთ ჩვენს ახალგაზრდას — ქალს მოტაცებიან, აკვანშიაე დანიშვნის, პირველი კოცნის მიმართ ავადმყოფური ეკვიანობის, სიხსნის ალების, რელიგიური ფანატიზმის, „ქალურობა" და „კაცურ" პროფესიების შორის გულუბრყვილო განსხვავების, პატრიარქალური ფეხების პაკუნისა და სხვა მოყირჭებული რელიეფის მოსაწყენი აღწერილობით.

კიდევ უფრო აუტანელია, როცა ნიჭიერი მწერალი პერსონაჟს „გართულების" აკვიატებული მაზნით ხელოვნური, ნაძალადევი სიტუაციებით და მისტიკური ბურუსით შემოსავს თავის გმირს.

არ მომწონს ნიშნისმოგებიანი საუბარი ახალგაზრდობასთან. ჩვენ კარსს ნუ ავიღებთ იმაზე, თუ რას შრომობდა 16 წლის გიდარი, ან როგორ ხელმძღვანელობდა დივიზიას ოცი წლის ჭაბუკი — ვასილ კიკვიძე. ახლა ახალგაზრდობას ახაკმა ცოტა აქეთ გადმოიწია. ეს ჩვენი ბრალია არის, ზზრრდა ჩვენ თვითონ არ ვანდობთ ოცი წლის ემაჯილებს დიდ საქმეებს, ძალიან დიდხანს ამბოდ მიგვაჩნია ისინი ბავშვებად და ეროზიებად.

ჩვენ ელამპარაკობთ ლიტერატურის დიდ ალზრდელობით როლზე, მაგრამ წარმოიდგინეთ, ვერც ამ საოცრად მოქნილ ემოციურ იარაღს ვიყენებთ სათანადოდ. ლიტერატურის ისტორიას არ ასწავლიან უმაღლეს სკოლაში მომავალ ექიმებს, ინჟინრებს, აგრონომებს, თბილისში თვით თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ლიტერატურის ისტორიას არ ასწავლიან უცხო ენის მცოდნე მომავალ ენციკლოპედიებს.

ამასწინათ ახალგაზრდა მწერლის ოერი ადამოვის მოთხრობა „პირველი ხელფასი" წავიკითხე. მოთხრობაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ მიიეკნა დედამ ქარხანაში ვასკა, რა უნდოდნდად შეავლე თვალი მუშებმა ახალმოსულს, როგორ უნდოდა ვასკას ჩქარა გამხდარიყო ხარატი, მაგრამ „ხარატობას" მას ჯერ-ჯერობით არ ასწავლიან — დამბატრი ახალმოსულს ჩაჩხს ვერ ანდობს. ემაჯილი ხაამქროში ათას წერილმან საქმეს აკეთებს. ცოტ-ცოტას ყველას ემხარება. ნარჩენები გაკქეს, იატაკს მგვის, ხელსაწყოებს ალაგებს. ეკ ფუნდელო არადერია. ყველი ახე იწყებს. მერე? რა მოხდა მერე? გავიდა დრო, ვასკა შეეჩვიოა ბრიგადას. მის ირგვლივ მზრუნველი და ყურადღებიანი მუშები ტრიალებენ. ყოველგვარი იმედი იმისა, რომ ვასკა კარგი ხარატი დადგება. მთავარი ის არის, რომ ვასკა ჯანსაღ კოლექტივში მოხვდა. იმდენად თბილნი და მამობრივნი არიან მუშები, რომ როცა ვასკამ თავისი პირველი ხელფასით ღვინის ყიდვა და ბრიგადის გამასპინძლება გადაწყვეტა, ანდრეი ეფიმონიჩმა კატეგორიულად აუკრძალა: „რა დროის შენი მასპინძლობაა, ფული დედას წაუდე". ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. ვასკამ მაინც დაიყოფია ანდრეი და საამქროში ყუთებზე ჩამოსმხდარმა მუშებმა ვასკას პირველი ხელფასით ზვალიწილი ხარატის სადღეგრძელო დალიეს. მოთხრობის ცალკეულ დეტალებს ეტყობა, რომ მის ავტორს აქვს დაკვირვებული, მწერლური თვალი, მაგრამ როცა კითხვა დავამთავრე, დიდხანს ვფიქრობდი იმის შესახებ, რომ მე „პირველი ხელფასი" სხვა დროსაც არაერთგზის წამიკითხავს. მე დიდი ხანია ვიცნობ უკანასკნელ წლებში ახალგაზრდობაზე დაწერილი წიგნების გამჰაურებულ გმირს, ასე ჭიუტად დაპროგრამებულს მწერლის მიერ ვასკა ქარხანაში სამუშაოდ მიეგზა (თუ დედამ მიიყვანა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). მერე კი ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. ყველაფერი ნაცადი- გზით უნდა წარიმართოს, ვასკას პირველად უნდა დასცინონ, შენგან რა ხარატი გამოვალო, ვასკამ ცრემლები ჩუმად უნდა გადაყლაპოს, ვასკას ღამეები არ უნდა ეძინოს ჩარხზე ფიქრით, ვასკას პირველ ხანებში უნდა გაუჭირდეს. ემაჯილის ირგვლივ მუშათა დაკუნთულ მკლავებიანი, ვაქკაცური, ჯანსაღი, კოლექტივი უნდა შრომობდეს. ბოლოს ვასკამ უნდა იმოგოს თავისი მოწოდება. უფროსებმა დახმარებით ხარატის ძნელ პროფესიის უნდა დაეუფლოს და პირველი ხელფასი... თუმცა პირველი ხელფასს ვასკასა და მის მეგობრებს მწერლები, კაცმა რომ თქვას, სხვადასხვანაირად

ახარჯვინებენ. განა არ შეიძლებოდა ვახკა სრულიადაც არ მოსწენებოდა სამქერო? განა არ შეიძლებოდა ვახკა მზრუნველი მუშა-ხახწავლებლების ხელშ არ მოხვედრილიყო? განა არ შეიძლებოდა ვახკა ვერ შეგუებოდა ქარხანას და პირველ ხელფასამდე ძლივს მიეწვა, რათა მერე ქარხნისაკენ პირი აღარ ექნა? ან დედმამისთვის საჩუქარი კი არა, გაკეცულიყო მაღალიაში და თავისთვის მოდერნი, პლაფფორმინები ფეხსაცმელი ეყოდა? შეიძლებოდა.

ჩვენს მკითხველს სურს მხატვრულ ლიტერატურაში ეძებოს თანამედროვე ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისი ახლებური დამოკიდებულებით მოვლენებისადმი სახიერეო ემოციურ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა მკითხველზე. ხოლო მომავალ თაობებს საუკუნის ხურნელებას და ხინდოლის შეუნახავს. მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაუგებარია კრიტერიუმი, რომელიც ზოგიერთ ავტორს თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ამოსაცნობად გამოიშუშავებია.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, ახალგაზრდის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა არნახულ ზრდაზე", „ოდესმე საუკუნის აზროვნებაზე". მაგრამ, მე ვფიქრობ, მკითხველის უყურ მოგსესენებ, რომ მეოცე საუკუნის აზროვნების ძიება ადამიანის ფსიქიკაში ახე ადვილშესაძრნვად და ცალკეული მოთხრობების პერსონაჟთა დიალოგების ცოტრებით ქუმშაოტებამდე ვერ მიგვიყვანს. შეიძლება საუკუნის აზროვნება არ იყრძნობდეს ორი ახალგაზრდა ფიზიკოსის ულტრამეცნიერულ კამათში ატომური ფიზიკის ურთულეს პრობლემებზეც კი და საუკუნის ხასიათი მოთხრობის ერთ ეპიზოდში, პერსონაჟის მოქმედების პატარა დეტალში გამოჩნდეს. ლადო მრელაშვილის საინტერესო რომანის „ყაბახის" მთავარი მოქმედი პირი შავლეგო ქალაქიდან სოფელში ჩასული ახალგაზრდა კაცია, რომელიც მეცნიერულ კარიერაზე ოცნებობს. ჭშმბლიურმა სოფელმა თავის საკრძოროტკა პრობლემებში ჩაახედა იგი. კოლმეურნეობის ხაანგარიშო კრებაზე, როცა ახალი თავმჯდომარის კანდიდატურას ახასელებდნენ, შავლეგომ სიტყვა აიღო და დაბეჯითებით მოითხოვა, თავმჯდომარედ მე ამირჩიეთო. რა იყო ეს? სხვა შემთხვევაზე, ზოგს შეიძლება მისი საქციელი უცნაურად მოეჩვენებოდეს, მაგრამ მოელი რომანი გამართულია შავლეგოს ამ ნაბიჯისა.

ახალგაზრდა კაცმა იგრძნო, რომ მხოლოდ იგი შეძლებდა სწორი გზით წაეყვანა სოფელი და თავმჯდომარეად სწორედ ის უნდა ერჩინათ. არის ამ ნაბიჯში საუკუნის აზროვნებაზე ფიქრობ, არის. თუ შეიძლება საყოფილ ლაპარაკი იმ თაობის ორიგინალურ თვისებებზე, რომელმაც ეგზამენ ათასწლეულში უნდა იცხოვროს, იგი სწორედ ამგვარ მოვლენებში. უნდა ვეძებოთ. საერთოდ კი, ვფიქრობ, ადამიანთა წინაშე საუკუნეების მანძილზე მდგარი სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ ზნეობრივი პრობლემების უმეტესობის ჩვენი საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დღის წესრიგიდან სრულიადაც ვერ ეხსნა. ზოგ მათგანს სახე უცვლია მხოლოდ. ადამიანის რთული ფსიქიკური კომპლექსი მეცნიერულ ინფორმაციათა ეკიპერტიული პროგრესით ზრდას არ დაემორჩილა.

ქართულ ლიტერატურაში ახალგაზრდა კაცის გამოსახატვაზე საუბრის დაწყებისთანავე თვალწინ წარმოგვიდგება ნოდარ დუმბაძის, ოტია ოსესელიანის, ლადო მრელაშვილის, არჩილ სულაველის და თამაზ ჭილაძის პირველი რომანთა გმირები. ეს გასულავო ომისდროინდელი მოზარდი უმაწვილი, რომლის ბავშვობის დღეები ომის შმიშე წლების დაემთხვა, ისინი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს თავიანთი ცხოვრების წესით, უყვიან მათგანის ხასიათს წარუშლელ კვალად ეტყობა ადრე დაკაცების სიმძიმე. ისინი გამოირჩევინენ გულწრფელობით, ცხოვრების ფასის ცოდნით, ეპოკის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ასე რომ ომისდროინდელი ბავშვი თანამედროვე ქართველ მწერლობაში მთელი სისხლხორცეულობით და ზეთმბეჭდოობით აისახა. სამწუხაროდ, წლების მანძილზე ამაოდ ველით ჩვენი დღეების ახალგაზრდა კაცის საინტერესო ხასიათს. თუ რამდენნაირ გამოსაკლისს მხდველობაშია არ მივიღებთ შეიძლება დავასკვნით რომ ჩვენმა ლიტერატურამ ჯერ-ჯერობით ვერ დაინახა, ან სრულიადაც ვერ შეიცნო იგი, ვისაც, მართალია, ომის ცრემლიანი დღეები არ უსახავს და არც მამის დაკარგვის ვეიშმაუწყებელი დეპეშა სკერია ხელთ, მაგრამ მის ხავმირო ახასიერზე თავი რადა შეურცხვენია, მისი პრძოლის ველი— ყაბარი, სწავლის ურთულესი ლაბირინთები, მაღლების გზისადმი ერთგულების ფიცი ნათელ-ქუოს ანახ.

იქნება მართალი არ არსებობს ახალგაზრდული ცხოვრების პრობლემები? იქნებ ამ „მშვიდ დროს" დაბადებულ ეშაწვილთათვის ყველაფერი კეთილად გვარდება და ეპოქისიერ ტკივილად მათი ტკივრე წინაადმდეგობების ქიცვის ანარი არა აქვს? სინამდვილეში, სამწუხაროდ, ასე არ გაჭოავეთ. ნაოკვაშის დაბტკიცებას ერთი პრობლემის მოშვეულებით შეეეხები. ეს გახლავთ ჩვენი დღეების ერთი გახმაურებული პრობლემა — სოფელი და ახალგაზრდობა, რომელსაც საფუძვლითა გასხვის შემდეგ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები უკავშირდება.

ამას წინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმ-

რევაზ მეშველაძე
ენციტზიანზი, ეროვნული „ნაციონალი"

ᲛᲔ 56. ე. შევარდნაძე თქვა: „უმაღლესი გაანათლების მქონე არცერთი ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲧᲐᲓᲐ ᲭᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲙᲐᲚᲘᲡ, ᲠᲝᲭᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ რაიონების კოლმეურნეობებს, არცერთი ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘ ᲔᲚᲔᲛᲘ არ არის ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲒᲝᲠᲩᲘᲜᲘᲡ, ᲓᲔᲛᲘᲜᲘᲡ, ᲝᲜᲘᲡ, ᲪᲐᲪᲮᲘᲜᲘᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ რაიონებსა და ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ კოლმეურნეობებში“.

ᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲔᲚᲘᲡᲔᲜᲘ ᲘᲧᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲔᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲓᲝᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲜᲘᲡᲬᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელდა, ხომ უნდა გამოეწვია უკუპრიალები? სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ პირველპირი კოლმეურნეობაში მოსული ახალგაზრდა კაცის პრესის გმირად ქცევა და სოფლის შრომელეთათვის მათი პატრიოტული ვალის წამდაუწუმ მოგონება, როგორც ჩანს, საკმეს ვერ ზეველის. საჭიროა მიზეზთა უფრო გონივრული გაანალიზება ამ კმეედით ღონისძიებანი.

ახალგაზრდა სპეციალისტი რომ მოიზიდოს სოფელმა, უმთავრესი პირობა ის გასწავლა, რომ სპეციალისტს იქ საკმე გააჩნდეს. ვახერხებთ თუ არა სოფლად მყოფი ახალგაზრდობის დასაქმებას? ეს კითხვა ზოგს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, სოფელში საკმის მეტი რა არისო, მაგრამ დასკვნის გაკეთებამდე ნუ იჩქარებს, სანამ ამ ერთ მაგალითს არ მოუკვირდება.

დაცარიელების საფრთხე ყველაზე მეტად ეშუკრება ფშავ-ხევსურეთს. უკვე აღარავინ ცხოვრობს ისეთი უძველეს სოფლებში, როგორიცაა ლებისსკარი, პისტანი, გური და მრავალი სხვა.

მიზეზი? რას უცადოს ახალგაზრდა სპეციალისტმა ფშავ-ხევსურეთში, როცა მას, ცხოვრების პირობებს რომ თავი დავანებოთ, სამსახურით ვერ ვუზრუნველყოფთ? იქვე მეთხეველმა, რომ ფიული ფშავ-ხევსურეთი, ერთ კოლმეურნეობაშია გერთანაწილებული, ხოლო კოლმეურნეობის ცენტრია მაღაროსკარშია? დიახ, ეინვალიდან ჩენენ-ინგუშეთამდე ერთი კოლმეურნეობაა მხოლოდ და რაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზოგ სოფელი ცენტრიდან 80-100 კილომეტრითაა დაშორებული და სოფლიდან პატარა ცხობისათვის უეზობობაში ამხელა მანძილის გავლა უსდებთო?

სად იმეშოს დიპლომიანმა ახალგაზრდამ? მაგალითად, სოფელ ბუნეულურთაში ამ შვიდი-და წლის წინათ ორმოცი კომლი ცხოვრობდა, ახლა ხუთი კომლია ცხოვრობს. ის ხუთი კომლიც, რომ იტყვიან, ბარაგზე ზის დღეს თუ ხვალ ისინიც დატოვებენ სოფელს, ამ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხსენებულ ხუთ ოჯახში უკვე შვიდმა უმაღლესდამთავრებულმა მოიყარა თავი, ხოლო შესაფერი სამუშაო კი ირგვლივ ხუთ-მოცდაათი კილომეტრის რადიუსზე არსად არის. რა ჰკნან? ჩამოვლენ ბარად და ოჯახიც თან ჩამოჰყავთ.

„ჩვენი რესპუბლიკა მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკაა. უნდა იქცეს!" — ეს დიდებული სადღეისო დევიზი თავისი კონკრეტული ამოცანებით ვანა უფრო საჭიროველოს მთიანთან არ ეხმიანება? სად არის უფრო მეტი იალაღები და სამოვრები ან თუ არა იქ? მერე ნეხოლოკი ძროხა? ეს გამქელე და საოცრად სარგებლიანი ჯიში ქართული საქონლისა ხომ თითქმის დაკარგულია ჩვენი მეურნეობისათვის. რატომ უნდა იქცეს ზოოლოგიურ მეზეიფეთა კუთვნილებად ნეხოლოკი ძროხა? ეს ფშავ-ხევსურეთის ბალახით მდიდარ მთავარიანებზე რომ რამდენიმე სამრთე მეურნეობა შეიქმნას, ფერმები გავხსნათ, ვანა თითმცრივ სასარგებლო საქმე არ იქნება ჩვენთვის? ფერმას გაგეგე, მწყეფლები, ეფტერნარი ეტაპი დასტირდება, ზოოტექნიკოსიც დასჭირდება, სოფელი ადარ აიყრება. გარდა ამისა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ისეირუნს, ფერმის ირგვლივ მისი მომსახურე პერსონალი დასახლდება, მამალი დაიოვლება, ბუნერებიდან კვამლი ამოვა...

ეს ყოველივე მთიანი რაიონების სპეციფიკა და სხვა კუთხეებზე არ შეიძლება გავრცელდესო, ვაიფიქრებს მკითხველი და მართალიც იქნება, მაგრამ გაფდაბერების სენი ხომ უბარველესად მთიანეთს შეეპრო, ხოლო ბარად სოფლები იქნება არ ცარიელდება, მაგრამ ახალგაზრდობის ადგილზე დაკავების საქმე განა იქ კი ბრწყინვალედაა გადაწყვეტილი?

არ არის ოიფი მშობლიური ქალაქი, შეჩვეული გარემო, მეგობრები კომფორტი მიაბოგთ ახალგაზრდა კაცმა, ჩაიდო დიპლომი ზურგჩანთაში და სოფლად წასვიდა. წასვიდა იქ, სადაც რა დასაბადია, და ეელიდება ტალახიანი შუკა, ცივი ბუბარი, უეზობობა და ზოგჯერ მომპაეზრებელი მარტოობაც. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტების დიდი ნაწილი ჯანსაღია, გაცნობიერებული აქვს მისი ვალი ქვეყნისა და ხალხადმეფნის წინაშე და მიდის. მერე? განა ნეფდგებელი ყოველთანი მათ ადგილებზე, რაიონებში? განა იქ კი თავზე საყრელადა აქვთ ადგილები? თავს ნუ მოვიტყუებთ. მოხალისედ ჩასული სპეციალისტს კი არა, განაწილებული, საგზურით გაგზავნილთაც კი ხშირად უმოდებოდ ეუნებებთან, საგზურზე ხელს მოგეწერთ რომ გაწიცანადდით. რაც შეეხება სამუშაოს, ჭერჭეროთი არა გვაქვს; გნებავთ ისეე უკან წაბრძანდით (შუბეიფის გზა ეკრანთან), გნებავთ დარჩით და დაეელიდეთ, სანამ მუშეკვალეთის ადგილი ვამონთავისუფფლებადეს. რა ჰკნან ჩამოსულმა, უსასყიარო და უადგილო კაცმა? დაჯდეს ჩემოდანზე და ელოდოს როდის შეუნარულდება საბენხო ასაკი მავან სპეციალისტს, ან როდის გავა ეს თუ ის თანაშრომელი დეკრეტულ შვებულებაში? ამგვარ საეეკვო ლოდინს ეი უკან დაბრუნებას არრეეს. შედეგი? დაჯარგა სოფელმა ერთი ახალგაზრდა სპეციალისტი. რომელიც, ვინ იცის, რა დიდი იმედებით და ამოცანებით ჩამოვიდა. მერე და რამდენს წლობის განავლილაშეი, რომ იტყვიან, „მოკვეფილელ" აქეს ეს თუ ის თანაშედგომა, რამდენი შეშა-

ალეკო მიშველაძე
ეკონომისტი, თბილისის „ზანაპირელ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს არასპეციალისტად და რამდენია პენსიიაზე მიდგომით გასასაუბრებელი ჩვენს სოფლებში? სოფლიანი ის გაბლავეთ, რომ ეს უკანასკნელნი, ღვაწმოძღოსანი და ბერნასანა მოსაუცები სიტყვით ბევრს ამბობენ ახალგაზრდებს გზა მივცეთ. ადგილი დავუთმოთო, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, გულდასაწყვეტი ენერგიულობით ებღაუტებიან თავიანთ ადგილებს.

ახალგაზრდა კაცს სხვათა შორის ერთი თვისებაც აქვს: ავტონომიურობისკენ, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. უხალისოდ ემუშაობა იგი ისეთ საქმეში, სადაც მის სიტყვას და ხელოვნებ ვადაწყვეტენ მნიშვნელოვანი არა აქვს. სადაც მას მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებლად, დამხმარე ძალად თვლიან. ახალგაზრდა სოფლის პატრონ-პატრონად უნდა ვრძნობდეს თავს, უნდა იცოდეს, რომ იგია უშუალო და პირდაპირი პასუხისმგებელი იმის გამო, რაც სოფელად ხდება. ასეთ შემთხვევაში იგი გულმოდგინედ მაუურებლად, ასისტენტად კი ეთანხმება ერთ და ერ დარჩება. გარდა მორალური პასუხისმგებლობის გრძნობისა (რომელსაც მატერიალურ სტიმულირებაზე ნაკლები ძალა როდი აქვს), მასში გაღვიძებს თავმოყვარეობის, ეფექტიანობის, თავის გამოჩენის წყალობა. განა ფაქტი არ არის, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელის უთავობის გამო იყო წლები, როცა სოფლად ხელმძღვანელ უბნებზე ახალგაზრდა კაცის გამოჩენა უიშვიათესი შემთხვევა იყო? მომეწონებოდა, დანაშაულებრივად დიდხანს გრძელდებოდა ჩვენი „ბავშვობა“. სწორედ ამის გამო დაწინაურება ფშვიათად ხდებოდა ნიჭისა და უნარის მიხედვით. შეიძლება ძალელ ცოცხრება გადეტარებნა მოადგილედ. ეს ხნის განმავლობაში ცხოვრერ შეეცვალეთ თავმჯდომარე და შენი კანდიდატური არავის გასხენებია, იმის გამო, რომ თავმჯდომარის საკითხი სხვა „ნომენკლატურა“ გახლდათ და სხვა სფეროებში წყდებოდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენში პროფესიონალი ხელმძღვანელის ტიპი. ვიღაცამ თავის დროზე დააბარეთ მას ორგანიზატორის დიდი უნარი. შეიძლება ახალგაზრდობისას ასე იყო, მაგრამ როცა წლებმა მოგლეს და „სხვა ინტერესებიც“ გაუჩნდა, მეთაური პოსტებიდან მისი დათხოვნა ფიქრადაც არავის მოსდიოდა. გადადიოდა სკამიდან სკამზე, თანამდებობიდან თანამდებობაზე ეს „ხელმძღვანელად დაბადებული კაცი“, გასაკვირია არ აძლევდა ახალგაზრდა სპეციალისტებს. მაჯლაჯუნასავით ბოჭავდა საქმეს თავისი მოძველებული შეხედულებებით, ხელმძღვანელების მოყიროებული ფორმებით. ამავარი „პროფესიონალი ხელმძღვანელები“ უმეტეს შემთხვევაში ამუჩრუტვენენ საქმეს. არასპეციალისტი, რომელსაც პასუხსაგები სამეურნეო დარგის გაძღოლი მინდეს, იშვიათად თუ შეცვლის სპეციალისტს. ხშირად ასე ხდება. ქვეშევრდომნი აფასებენ მის ორგანიზატორულ ნიჭს, გარეგნულად უფროსებიან მის ფასდაფასებაში და მაგიდაზე ხელებს ეპრანტნენ. ირონიული ღიმილი გაკაჟდებოდენ ერთმანეთს და თავს უქნევენ, თითქოს ყველაფერში ეთანხმებიან. უცოდინარი კაცის სადირექტივო სალტა-მორტალე მის კანონებსავე რჩება. საქმე კვლავ თავისი გზით მიდის. გაქნილნი ქვეშევრდომებმა სათნოების ნიღაბი აიცვიეს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებენ ზოგიერთ „მაღლიდან მოყვლენილ“ არასპეციალისტ უფროსს. დიახ, ამ სავალალო ტრადიციამ ბევრ ახალგაზრდა მუშაკს საქმეზე გული გაუცივა, თავის მართალი, ახალგაზრდულ ოცნებებზე და გეგმებზე ხელი აიღებინა. ხელმძღვანელის პოსტზე ნაშნავდნენ კაცს და არც კი კითხულობდნენ, ოდნავ მაინც უახლოვდებოდა თუ არა მის ახალ თანამდებობის ან პროფილი, მის მტვერწყარიელ, მაგიდის უკრიფი საიმედოდ ჩაჩერთულ დიპლომში რომ ეწერა. ვის ინტერესებდა სპეციალობა, ვინ ჩახედავდა დიპლომს, როცა კაცი „უფროსად“ იყო დამაფიებული.

ქართველებს ერთი კარგი სიტყვაც გვაქვს „დანაშულებაა“. დანაშულების მაგიერი ძალი აშკარაა და ახალგაზრდა კაცის მობილიზებაში მას დიდი როლის შესრულებაა შეუძლია. ხშირად ახალგაზრდისთვის საქმის მინდობის, პასუხისმგებლობად მისი გამოცდილების ფორმებს ყალბუფუროსული, დრიტატიული ხასიათი აქვს. ობიექტივ, ამის გამო, ფუნოს�d ეკიდება მისთვის „თავმოსწავლეულ“ საქმეს. გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში მიუხედავად რაიკომისა და აღმასკომის არაერთი ენერგიული ჩარევისა, ახალგაზრდები სამუშაოდ არ მიდიოდნენ. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ამასწინანთ მეურნეობის კომკავშირის კომიტეტში ოთხი სკოლადამთავრებული გოგონა დიპრიტა. კომკავშირის მდივანმა მოალეგდ აუხსნა მათ საქმის ვითარება და პირდაპირ უთხრა: ერთი სიტყვიით თქვენს ამედზე ვართ, თქვენზეა ამ ფერმის გადარჩენის საქმე. თქვენ იცით და თქვენმა ქალოსამო. დაკვალების მიეცემის ამ მეთოდში გაუგონარი რამ როდია, მაგრამ ოთხმა ქალიშვილმა იგრძნო, რომ არხეთმიდან ხაქმე, რომლის ბედი მათს კარგ ქალობას უნდა გადაეწყვიტა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოხდა? ახლა ვარიანის ის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა მეიელ რაიონში, ხოლო ამ ერთ ფრის „მიტოვებულ“ ფერმაში სამუშაოდ წასვლის მსურველ ახალგაზრდათა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

„ყველას ვარიანში უნდა წასვლა და უადგილობის გამო ფარს ვეუბნებითო“, მითხრეს კომკავშირის კომიტეტში. განა ოთხი ხუთი ქალიშვილის ფერმაში მისვლით ის ფერმა ერთბაშად გარდაიქმნა და გაუყეთესდა? რა თქმა უნდა არა, მაგრამ მათი მისვლით, მოსულებმა

ანაბარად დარჩენილ ფერმაში, ახალგაზრდული ენთუზიაზმი მოვიდა, სილამაზე და სიხალისე დაბრუნდაო.

საგარეჯოს რაიონის სოფელი კოჯბალი სადმე მთებში მიკარგული, მიუვალი სოფელი არ ჩანს, მაგრამ მობდი ისე, რომ ეს სოფელი ჩვენს თვალწინ დაცცინიელდა. ერთმანეთის წამბეღდურობით მეზობლები იიკარნენ და ზოგმა რაიონის ცენტრში დაიდო ბინა, ზოგმა კი დედაქალაქს მოაშურა და მამამაპეიულ სახლსა და სუფთა ბაერს კომუნალურ ორ ოთახად ბინაში, ასოცალის მტვერსა და მანქანების ღრიალში ყოფნა არჩია. გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ერთ დღეს კოლმეურნეობა გაუქმების სანაზროებრივ წინაშე აღმოჩნდა, რადგანაც სოფლად დარჩენილი თითო-ოროლა მოხუცის იმედით სოფელი ვერ იარსებებდა. ასე განსაკუთრ, სათავეჭედოსარო კაცია ვერ დაიგულეს ამ სოფელში. ოფიერეს, ოფიერეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სტუდენტი ნათელა სულიაური აირჩიეს. მეხოცს, საკარაულის კომკავშირის ოცდაშვიდე ყრილობაზე გამოსული ნათელა, თითქმის ტირილით ამბობდა, ამოდენა საქმე მომანდეს და ხალხი არა მყავს, სოფელში სკოლა არ არის, ხახარები არა გვაქვს, დავკვეხარეთო. იმარჯვა ამ ქალიშვილმა და მისი მონდოგეგა რომ დაინახეს, ხსენებამაც გაუწოდეს დახმარების ხელი. კოჯბალი ისევ გაცოცხლდა. სკოლაც გახსნეს და ბიბლიოთეკაც. თავმჯდომარეშ განთესილ სოფლელებს ზოგს თვითონ ჩამოიყარა, ზოგს წერილი გაუგზავნა. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ოჯახი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. უმეტესწილად ახე მოხდება, როცა ახალგაზრდა სოფლის პატრიოტად, მის ავკარგზე პასუხისმგებლად იგრძნობს თავს.

მართალია, გულდარღვეული ჭია თვალსაჩინოდ შეეტანა თითო-ოროლა, მეენიერს, მაგრამ განა, ათასობით არ არიან? მათ შორის ნამდვილი პატრიოტები, მოწოდებით საზოგადო მოღვაწენი? განა ამგვაროვან არ არის ჩვენს შორის კაცი, რომელსაც თავისი სოფლისთვის რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთების კეთილი განზრახვა არ უდგეს გულში? აი, პატარა მაგალითი: სიღნაღში თქვენს ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობს მშვენიერად გაფორმებული შინამოსულელთა ობელისკი. იკითხავთ და გიპასუხებენ, რომ ეს ობელისკი გაკეთდა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დენდროლოგიური პარკის უფროსმა სეკერიან ჯებაშვილმა. ქალაქში მცხოვრებმა კაცმა თავის მშობლიურ რაიონს, თავის სოფელს სრულიად უანგარიოდ და უსასყიდლოდ ეს სპასკინ საჩუქარი, ძვირფასი ნაში დაუტოვა. არ არის იგი მადლობის და წაბალისების ღირსი? სხვა შემთხვევაზი კი ჩვენ, საამუხარად, ჩვენი სოფლების სტუმრები ვართ მხოლოდ და მეტი არაფერი. ჩვენი ხელოვნების დარგის მუშაკთა გასაგონად ვიტყვი: ათეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლების განმავლობაში ეულ ფაქტად რჩებოდა დიდებული საქმეები ვიორეი ლეონიძემ რომ პატარძეულს წყალი გაუყვანა და ლეო ქიაჩელმა თავის მშობლიურ სოფელს — ობუჭს ბიბლიოთეკა რომ აუშენა.

არც ეს არის დასამალავი, რომ მიუხედავად კულტურის სასლებისა და ბიბლიოთეკების ფართო ქსელისა ზოგიერთ სოფელში გეგმის შესრულების მიჩვენებლებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე სოფლელთა კულტურულ მომსახურებაზე, მათი ყოფაცხოვრების გალამაზებაზე. უნდა მოსავლის მიღებისთვის გაშლილ ბრძოლაში არ უნდა დაგვიგვიანდეს ის, ვინც ამ მოსავლეზე ათასჯერ უფრო ძვირფასია — მისი მომავალი, ადამიანი. ჯერ კიდევ მოუგვარებელია ჩვენში გზების, კინომომსახურების, დროოვნი საფოსტო მომსახურების პრობლემებიც კი. დღესაც ჩვენში, ტერიტორიით ასეთ პატარა რეპუბლიკაში, ათასგვარ ტრაქტორთა და ბულდოზერთა არსებობის ვითარებაში, ზოგიერთი მაღალმთიანი სოფელი (და ზოგჯერ რაიონიც) თვეობით წუდდება ბარის, ცენტრალურ მაგისტრალს. შორს რომ არ წავიდეთ, ზედ თბილისზეა მიწებებული სოფელი ბაგები, ახლა მალე წვიმების რომ დაიგრძელებს, ბაგებში ასვლა უგზოობის გამო შეუძლებელი გახდება. გასაკვირებელია სულ ხუთასმეტრიანი გზა და ისაც ელენა ელენა ელენა

ათასჯერ ეროსელ მწუემესებს მსატვრული პროგრამა რომ მოაკითხვეს, მწვანე ბალახზე ტაშ-ფანდურას ვაუმართავს და ისევე სიღამის ფაკნ დაპრიწდება — ეს კულტურული მომსახურებისათვის საკმარისი როდია. ამასწინათ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე მომიხდა ყოფნა. შენდება რკინიგზა ციმბირის გაუვალ ტაიგაში. როგორც კი ტაეეში მშენებელთა თუნდაც სამიოდე კარავი გაჩნდება, ვეტაშფრეს, მთავრობის განკარგულებით მაშინვე მიაქვს მათთან კინოდანადგარი სპეციალურად შერჩეული ფილმების საკმაოდ დიდი მარაგით. რომელ ჩვენს ფერმაში აქვს მწყემსების კინოდანადგარი? კინოს თავი დავანებოთ, რომელ ჩვენს მაღალმთიან ფერმაში ვიწვდით მწყემსებს დროულად ჟურნალ-გაზეთებს?

არაერთხელ დაისვა საკითხი უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებისაგან თბილისის განტვირთვის შესახებ. ეს რა თქმა უნდა, ო�o და ერთი ხელისდაკვრით გასაკეთებელი საქმე არ არის, მაგრამ დედაქალაქისაკენ ახალგაზრდობის „ენერგიულ" დენის მნიშვნელოვნად შეაფერხებს.

რევაზ მიშველაძე
ენთუზიაზმი, თუნდაც „უნაპირო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სოფლების დაცარიელების, ქალაქად ახალგაზრდობის მასობრივი მიგრაციის პრობლემა ჩვენი დღეების საკმაოდ ერთ-ერთი ურთულესი პრობლემთაგანია. ამ საკითხს კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს ჩვენმა მწერლებმა. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ რომანებში ლადო მელელაშვილის „„ყაბახში", ალიო ადამიას რომანში „დიდი და პატარა ეკატერინე", ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელსა" და სხვა თხზულებებში დაისვა არაერთი საინტერესო საკითხი. ჩვენი სოფლის დღევანდელი ვითარების, მისი სიცოცხლის კანონზომიერების გზებსა და საშუალებების შესახებ. ამ საკითხებს გონივრული ჩაფიქრება და გულისხმიერი შესწავლა სჭირდება.**

**სოფელი და ახალგაზრდობა — ერთის მხრივ ჩვენი არსებობის უმთავრესი წყარო, ჩვენი ბელელი და მეორეს მხრივ ჩვენი მომავალი, ჩვენი ხვალინდელი დღე. ყველა ჩვენთაგანის ზრუნვისა და დარსების საქმედ უნდა იქცეს.**

**ხედავთ? რა ხელდასაკაპწეველი საპუშაო აქვს მწერალს თუნდაც ამ ერთ პრობლემაზე ჩაფიქრებისას. რა ცოცხალ და ამოუწურავ მასალას აძლევს ცხოვრება გონივრულო, საქმითნი საუბრისათვის? ჩვენი მწერლების დიდ ნაწილს რატომდაც „ლიტერატურული დელეკტორობის" დარღვევად მიაჩნია მიზეზთა ძიება, დიდი ილოას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცხოვრების ძირში ჩასვლა" და გარეკენელი ხილვებით კმაყოფილდება. გულისტკივილით იტყვის სოფელი ცარიელდებაო და ახეე თავის „მარადიულ თემებს" მიუბრუნდება. ამ მინშნებებით (და რაც მინიშნება უნდა, ყველანი კარგად ვხედავთ) თავის მამულიშვილურ ვალს შესრულებულად მიაჩნევს, ხოლო თუ ხელი წაუდგა და ამ თემაზე მოთხრობა ჩაიფიქრა, მისი პერსონაჟი უსათოდ იქნება ის გამოგონილი, ცოდან ჩამოფრენილი ახალგაზრდა ქალაქში სწავლის მოელი ბუთი წლის განმავლობაში ერთი ფიქრი ერეკ ეხლებენებს — როდის დაგამთავრებ, ბალაბანი ოჯახში დაბრუნდე და ხალხს გამოადგეო. ან ფარეს შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნაწარმოების ფურცლებიდან ეულგრილად შემოგაკურებთ „ჩვენი დროის ეგერი". მოშვებული, უნიათო, იმედდაკარგული უინიციატივო, დაცლილი ახალგაზრდა კაცი. კითხულობ ამგვარ ნაწარმოებს და ფიქრობ: არც ეს არის მართალი, ახე ბოროტად ახალგაზრდებზე განაწყენებული ფფროსანი საუბრობენ მოსაწყენი, გაცვეთილი საუბრით. „ეს ჩვენ დროს ხმა ახალგაზრდობა იყო"...

კ. ლორთქიფანიძეს აქვს ერთი მოთხრობა „ჩემი პირველი კომკავშირელი", მოთხრობა ოციანი წლების ახალგაზრდას გვაცნობს. თოთხმეტი წლის მეფრმე ბიჭმა მიაღწია თავისი საქმე, მშობლები და მსოფლიო რევოლუციის იდეით გატაცებულმა, წითელარმიელებს შორის, ჯავშნოსან მატარებელში ამოჰყო თავი. მაგრამ მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლების მისი სარაინდო გზა იქვე, ხუთიოდე კილომეტრის შემდეგ. იმერეთის ერთ პატარა სოფელში დამთავრდა. მენშევიკების ხიდი აეფეთქებინათ და მოსახლეს ჯარისკაცებს ხიდის შეკეთება და ბათუმამდე გზის გაყვანა უბრძანეს; რაც ერთი წლით წყალსა და ტალახში არაადამიანურ ძმიე შრომას ნიშნავდა.

...ყველავ ოცნების ყაბარდოულ ცხენზე ამხედრებული კ. ლორთქიფანიძის პატარა მეფრმე ბიჭი მაგონდება, კვლავ ჩამესმის დანგრეული ხიდის მშენებლობაზე მისი წერაქვის ტაკა-ტუკა.

**რა ძვირფასია ახლაც ჩვენი ახალგაზრდობისათვის პატარა „კოწიბის" ეს უნაპირო ენთუზიაზმი, რაოდენ საჭირო და აუცილებელია ჩვენი ცხოვრებისთვის საქვეყნო საქმეებისაკენ ახალგაზრდობის შემობრუნება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოდგენა

რევაზ თვარაძე

## პლატონი ქართულ ნააზრევში

შუა საუკუნეთა ქართული ფილოსოფიური აზროვნება პლატონის მსოფლმხედველობის თვალსაჩინო გავლენის გარეშე არ ჩამოყალიბებულა და ვერც ჩამოყალიბდებოდა. იმ ჩიხიდან თავდასხნის ერთადერთი გზა, რომელშიც ცალმხრივად გაგებულმა ქრისტიანულმა რელიგიამ მოაქცია კულტურული მსოფლიოის დიდი ნაწილი, არსებულ ვითარებაში იყო ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიისა და ანტიკური მემკვიდრეობის სინთეზი. ამგვარი სინთეზი განხორციელდა პტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) ნააზრევში, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველგან, სადაც კი გავრცელდა, იქცა ხსენებული ჩიხიდან გამოსვლისა და აზროვნების ალორძინების ფილოსოფიურ საფუძვლად.

იგივე მოხდა საქართველოში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არც აქვს, გავიზიარებთ თუ არა პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტობის ნუუკუნიძე-მონიკმანისეულ თეორიას. ვისაც უნდა ყოფილიყო არეოპაგიტული კორპუსის სახელით ცნობილი თხზულებები, ფაქტი ფაქტად რჩება: ამ თხზულებებმა განმსაზღვრელი გავლენა მოახდინეს შუა საუკუნეთა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე. სწორედ არეოპაგიტული თხზულებების შემდეგ შეიქნა ცხადი, რომ ანტიკურ ფილოსოფიასთან, განსაკუთრებით კი პლატონთან უშუალოდ მისვლის გარეშე მსოფლმხედველობრივი კრიზისი მუდამ გარდუვალი იქნებოდა. ამ ვითარებაში პტრე იბერიელის ნააზრევი ჩინებუული გზამკვლევის როლს ასრულებდა, რამეთუ უურადღებას ამახვილებდა შუა საუკუნეთათვის ძირითად მსოფლმხედველობრივ საკითხზე — სოფლისა და ზეთახოფლის მიმართების პრობლემაზე. ამ ასპექტით უნდა მომზდარიყო (და მოხდა კიდეც) ქართულ აზროვნებაში პლატონის ათვისება.

ოღონდ აქ ერთი გარემოება უნდა გითვალისწინოთ: სპეციალური ფილოსოფიისგან განსხვავებით, მხატვრულ ლიტერატურაში ფილოსოფიური იდეები გაცილებით უფრო ნელი ტემპით იკიდებს ფეხს, სიტყვაკაზმულ მწერლობას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, რათა შეიწოვოს, შეითვისოს და შეისისხლხორცოს ესა თუ ის ფილოსოფიური შეხედულება; მხატვრულ ლიტერატურაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ სოციალური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები. ამიტომ არის, რომ ესა თუ ის ფილოსოფიური ნააზრევნო მოხაპვარი მწერლობაში ხშირად გვიან გამოვლინდება ხოლმე. მოსამზადებელი პერიოდი აქ ზოგჯერ საუკუნეობით გრძელდება და არაერთი წინაადმდეგობის თანდათანობით, ეტაპ-ეტაპან დაძლევას გულისხმობს (ეს კი გამორიცხავს იმ შემთხვევებს, როდესაც მწერლობა თავად უსწრებს წინ ფილოსოფიას. მაგრამ ამჯერად მსგავს საკითხებს ვერ გამოვუდგებით).

ამას რომ ვამბობ, მხედველობაში ის ვითარებაც მაქვს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში იყო შექმნილი. სპეციალური ფილოსოფიის არარსებობის პირობებში ფილოსოფიური აზრის განვითარების თითქმის ერთადერთ ასპარეზად მწერლობა იყო ქცეული. ხოლო მწერლობას, მხატვრულ

ლიტერატურას, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, არაერთი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიის და ანტიკიური ნაზნეგიერი არეოპაგიტული სინთეზის არსებას ჩასწვდებოდა და ამ სინთეზზე შესატყვისი სიმაღლიდან შეძლებდა უშუალოდ პლატონის იდეებით ოპერირებასაც.

ამ საუკუნეთა განმავლობაში (ეგზულისხმობ პეტრე იბერიელის მოღვაწეობის მომდევნო პერიოდს ვიდრე XI საუკუნემდე) სიტყვაკაზმულ მწერლობაში გამოვლენილმა ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ არაერთი საუკუნისმცო ეტაპი დაძლია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო თავდაპირველად ინტუიტური, შემდეგ კი გაცნობიერებული წუხილი იმ კრიზისის გამო, რომელშიც მოექცა სოფლად და ზესთასოფლად გაბლეწილი სამყაროს მქადაგებელი მოძღვრება — ქრისტიანობის ცალმხრივად გაგების შედეგად ალმოცენებული დაუძლეველი დუალიზმი.

ინტუიტურო, როცა ვამბობ, მხედველობაში მაქვს უკვე „შუშანიკის წამება", რომელშიც, თუ კარგად ჩავუკვირდებით, გამოსჭვივის ერთგვარი უკმარისობის გრძნობა იმის გამო, რომ სოფლად ნამოქმედარს სოფლადვე არ მიეწყვება საზღაურო, რომ სოფლისა და ზესთასოფლის დუალიზმს დამყარებული ესკატოლოგიური თვალსაზრისი გარკვეულ სიძნელეებს წარმოქმნის მართლმორწმუნეთათვის (შუშანიკის ცნობილი მონოლოგი — „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პატიჰახშნ შუნ..." და სხვა).

ხოლო გაცნობიერებული წუხილის ხსენებისას მხედველობაში მაქვს ქართული მწერლობის საეტაპო ნაწარმოები — „სიბრძნე ბალაჰვარისნ", რომელშიც, როგორც ფოკუსში, ისე იყრის თავს ალრეული შუა საუკუნეთა საკრთველოს საარსებო პრობლემატიკა. ამ პრობლემატიკიდან ამჯერად ყურადღება ერთ საკითხს უნდა მივაპყრით.

როგორც ცნობილია, „სიბრძნე ბალაჰვარისს" უმთავრესი ამოცანა სოფლისა და ზესთასოფლის დუალიზმის პოზიციიდან უშუალოდ აღმოცენებული ასკეტობის იდეალის დაფუძნება: რაკი სოფელი თავისი ბუნებით არაარსია, მსწრაფლწარმავალი და მოსაძაგებელი, ადამიანი უნდა განუდგეს მას, თავი დაიხსნას სოფლიურ საკმეთაგან და უდაბნოში გაბმარტოებულმა მთლიანად ზესთასოფლელ გაუსაუთრო თავისთვი. სწორედ ასე იქცევა ჩვენი ძეგლის უფლისწული: მას შემდეგ, რაც განდეგილობა ბალაჰვარმა ქეშმარიტ მოძღვრებას აზიარა, მისთვის მამისეული მეფური ცხოვრების პატივსა და ბრწყინვალებას არავითარი ფასი ალარ აქვს, სულ მუდამ უდაბნოსკენ მიიმტყვის და ბოლოს აღწევს კიდეც მიზანს, განდეგილად იქცევა და უდაბნოში აღირსდება.

**ამ საკუთრადღებოა შემდეგი გარემოება:** უფლისწულის მიერ მეფური ცხოვრების მოთავეობისა და ქეშმარიტების საძიებლად განდეგილობის ამბავი მოდის პირველწყაროდან — ბუდას ცხოვრების ინდური ლეგენდიდან (სწორედ ამ მოტივმა მოხიბლა ლეგენდის ინდოეთიდან დასაფეთეთი დამშეშეებული ავტორები). ოღონდ, პირველწყაროთა თანახმად, ბუდასთვის განმარტოება თვითმიზანი კი არ არის, ოდენ საშუალებაა ქეშმარიტების მიღწევისა, რის შემდეგაც იგი უბრუნდება სოფელს, ხალხს, დ დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწევა (პირველდელი ბუდიზმისეთის ასკეტური თვითგვემის იდეალი სრულიად უცხო რამ არის). ბუდა განდეგილად იქცევა ქეშმარიტების წვდომამდე და არა ქეშმარიტების მოპოვების შემდეგ.

ლეგენდის ქრისტიანული გადამუშავების ავტორისთვის, ასკეტობის იდეალისკენ მიმსწრაფი მწიგნობარისთვის მოცვლნაა ამგვარი თანმიმდევრობა მიუღებელია: ქეშმარიტება ინდივიდუალური ძალისხმევით, თვითმარტივებით კი არ მოიპო

შემდეგ ქვეყნის მოქცევა ბეშმარიტ სარწმუნოებაზე; ოიფასაფი — ჯერ ქვეყნის მოქცევა ბეშმარიტ სარწმუნოებაზე, შემდეგ განდგომა).

როგორია ეს ახალი ტიპის სახელმწიფო? მასი უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ამ სახელმწიფოს სათავეში უდგას ბრძენი მმართველი, ბრძენი მეფე (ოიფასაფი ქრისტიანული თვალსაზრისით სრულ სიბრძნეს არის მიწვეული, ბალამვარის შემწეობით მან უკვე შეიცნო ყველაფერი, რის შეცნობაც სოფლიურ არსებობაში შეეძლო მარადმორწმენე ქრისტანეს). სწორედ მმართველის სიბრძნემ განაპირობა ის ამბავი, რომ მისი განმგებლობის ქვეშ მოქცეული სახელმწიფო ყოველმხრივ აყვავდა — მატერიალურადაც და სულიერადაც.

ეს თვალსაზრისი საკმაოდ მოულოდნელია სოფლისგან განდგომის გარდუვალობის მქადაგებელი ავტორისთვის. მისი მსოფლმხედველობის თანახმად ხომ სოფლიურ ყოფას არავითარი ღირებულება არ აქვს, მატერიალურ სამყაროში ადამიანის არსებობა მხოლოდ სამწუხარო აუცილებლობაა („ეფრეთს ხელეწიფების სამოსელი უზრწნელი, ვიდრე არა შევარდეს ხრწნელთასა ხორცთასა"), რასაც უნდა მოჰყვეს მარადიული ღვთაებრივ სახუფეველში დამკვიდრება.

მაშ ნაადან მოდის ეს მოტივი ჩვენს ძეგლში? პირველწყაროდან, ბუდას ცხოვრების ინდური ლეგენდიდან ის ვერ გადმოვიდოდა, რადგან ამ ლეგენდის არც ერთი ვარიანტი არ იცნობს ბუდას მეფედ დაკდომას ბეშმარიტების მოპოვების შემდეგ. გარდა ამისა, ეს მოტივი პირველწყაროსეულიც რომ იყოს, ლეგენდის ქრისტიანულად გადამშუშავებელი ავტორი მას უმტკივნეულოდ ამოიღებდა თხზულებიდან (იხეკი, როგორც უკანასკნელი ინდური ლეგენდის არაერთი სხვა ელემენტი).

არა, ეს მოტივი ლეგენდის ქრისტიანულად დამშუშავებლის მიერ არის შეტანილი, თხზულების არც ერთი სხვა ვერსია (არც ინდური, არც არაბული — მუსლიმანური თუ ქრისტიანული) მას არ იცნობს.

მაგრამ, ჯერ ერთი, რა მიზნებს ისახავდა ლეგენდის ქრისტიანული დამშუშავებელი, როცა ალნაშნული მოტივი შემოჰქონდა თავის თხზულებაში? და მეორე — რას ემყარებოდა, რომელი ტრადიციის იყენებდა ამ მოტივის დამუშავებისას?

უნდა ვიფიქროთ, რომ „სიბრძნე ბალამვარისის" სახით საქმე გვაქვს ისეთ ნაწარმოებთან, რომელშიც, მიუხედავად ავტორის ჩანაფიქრის ერთობ კატეგორიული მიზნისახსენებლებისა (ხოფლის უარეოფის, მისგან განდგომის იდეალი), უკვე იწყება გარდატეხა სოფლისა და ზესთასოფლის დუალიზმის დაძლევის სწრაფვის მიმართულებით. ეს არის ორთოდოქსული ქრისტიანობის „წიაღშიგან ჩამახსული ერეტიკული, მის მიერ ნაძალადევად დადგენილი საზღვრით გადალახვის პირველი, თუნდაც კომპრომისული ცდა, რომელიც ფაქტიურად ნიადაგს უმზადებს თვით „ეფეფსის-ტეოოსანსაც" კი (ბრძენი მმართველი — მატერიალურად და სულიერად აყვავებული სახელმწიფო).

ამავე დროს, თუ თვალს გადავავლეთ „სიბრძნე ბალამვარისის" შემქმნის საგულებელი ხანისთვის (VII საუკუნე) არსებულ ქრისტიანულ მწერლობას, ჩვენ ვერ ვნახავთ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ნიმუშად, დასაყრდენ, ტრადიციის მატარებელ მაგალითად გამოადგებოდა ამ ძეგლის ქრისტიანული (ქართული) ვერსიის ავტორს. ორადა ამგვარი ნიმუშის, ამგვარი ტრადიციის გარეშე ერთობ საეჭვოა ხსენებული მოტივის შემოტანა გაგებული ქრისტიანული მწერლობაში ისეთ ავტორს, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, არ იყო ქრისტიანული სამყაროს აღიარებული მეტრი და ავტორიტეტი (ხსენებული მოტივის შემოტანა მსოფლმხედველობრივი გადალტრიალების დასაწყისს ნიშნავდა, ხოლო ჩვენ ვიცით, რა მკაცრ ცენზურას ემორჩილებოდა ქრისტიანულ მწერლობაში ყოველი დებულება თუ მოსაზრება).

მაშასადამე დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ ძეგლის ქრისტიანული ვერსიის ავტორი ემყარებოდა ისეთ ტრადიციას, ისეთ წყაროს, რომელიც ქრისტიანული მწერლობის ფარგლებს გარეთ კი იყო, მაგრამ ქრისტიანან მოაზროვნეთათვის მისაღებად და შესაწყნარებლად მიიჩნეოდა.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ამგვარი წყარო იყო მხოლოდ პლატონის მემკვიდრეობა.

მას შემდეგ, რაც პეტრე იბერის მოძღვრებაში ესოდენ დიდი ადგილი დაიჭირა პლატონის ნააზრევმა, ქრისტიანული ორთოდოქსია გაცილებით მეტი ნდობით უნდა მოჰკიდებოდა ამ წარმართ ფილოსოფოსს და შემდგომ უნდა ცდილიყო საკუთარ დებულებათა გამაგრებას პლატონის მსოფლმხედველობით. ეს ასეც მოხდა. და, ეფიქრობ, „სიბრძნე ბალამვარისი" არის სწორედ პირველი ნიმუში ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში (იგულისხმება მხატვრული ლიტერატურა) პლატონისეული კარის გაღებისა.

მართლაც, ძეგლის ავტორის კონცეფცია, რომლის თანახმადაც ბრძენი მმართველის მეფობა განაპირობებს სახელმწიფოს მატერიალურსა და სულიერ აყვავებას, სხვა არა არის რა, თუ არ პლატონის თვალსაზრისი. სხვათა

ის არის მხოლოდ (სავსებით კანონზომიერი სხვაობა), რომ პლატონის ფილოსოფოსი, სახელმწიფოს სათავეში მდგარი, ჩვენს ძეგლში წარმოდგენილია ქრისტიანული სიბრძნის მფლობელ მოღვაწედ. „ვიდრე სახელმწიფოებში ფილოსოფოსნი არ იმეფებენ, ანდა მეფენი წოდებულნი მეფენი და მეფფენი კეთილშობილურსა და სიფუძვლიან ფილოსოფოსობას არ შეუდგებიან და ეს ერთიან რაიმედ არ შერწყმებიან... მანამდე სახელმწიფოება თავს. ვერ დაიხსნიან უბედურებათაგან" („სახელმწიფო", 473, d).

ამის შემდეგ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ჩვენს ძეგლში ვიცნოთ პლატონის შეხედულება სოფლის შესახებ: „წარმავალი ესე... არს და ვითარცა არა არს, და რომელთა უხარონ, ვითარცა არა უხარის, და რომელნი იშვებენ, ვითარცა არა იშვებენ, და რომელთა შეჭირს, ვითარცა არარაა შეჭირს, რამეთუ ერთი იგი წარმავალსა შინა მოყლე და წარუვალსა შინა არაჲ". შეუფდროთ ამას თუნდაც ეს ადგილი პლატონის თხზულებისა: „...ათასთავეს ათას შემოხვევაში არსი, უეჭველია, არ არსებობს; და ყოველივე დანარჩენი, თითოეული ცალ-ცალკე და ყოველივე ერთიანობაში, მრავალმხრივ არსებობს და მრავალმხრივ — არა" („სოფლტი", 259, b).

ვარდა აქ აღნიშნულისა, ნაგულისხმოდ მეჩვენება პლატონის თხზულებების ზოგიერთი ისეთი ელემენტები, რომლებიც „სიბრძნე ბალაშვარისაშიც" დასტურდება. ასეთნია, მაგალითად, შემდეგი ელემენტები: დიალოგ „პროტაგორაში" (313, c — d) სიბრძნის მფლობელი შეფარებულია ვაჭარს; დიალოგ „გორგიაში" არის მთელი რიგი ადგილები (491, e, 492, e, 494, b, 501, b-c, 507, e-508, a), რომლებსაც ძალიან ჰგავს „სიბრძნე ბალაშვარისის" რიგი დიალოგებისა, სადაც ხუროელთა დათრგუნვის აუცილებლობის და სიამოვნებას მიდგენენენ ცხოვრების წინააღმდეგ ირის ხაუბარი; „ფედონში" (77, e) კებეტის სიტყვები სიყვლილის წინ ზაშის ბუნებრიობის შესახებ ძალიან ჰგავს აბენეთის ამავე შინაარსის გამოსაქვამს; ზზის (სიბრძნის) პირველაური ბერტა დაბრმავების ხაშიშროებას რომ შეიცავს („ფედონი", 89, e), ამასვე ამეორებს ბალაშვარი; საგანთა არსებობა ლმერთის არსებობის დასტურია, ნათქვამია „სოფლტში" (265, c, 266, b), რასაც ამეორებს ბალაშვარი (მართალია, ფიქრობენ, რომ ეს ადგილი არისტოდეს „პოლიტიკიდან" მოღებ); ხიამოვნება, მსგავსად „სიბრძნე ბალაშვარისს" იკავნა, შედარებულია თიფლ („ფილებბოსი", 61, c).

მომდევნო ეტაპი ქართული მწერლობისა, რომელზეც მოხდა პლატონისეული იდეებისა და შეხედულებების დამოუშავება და უფრო ღრმად შერწყმა ქრისტიანულ თვალსაზრისისა, არის გიორგი მერჩულის „გიოგოლ ეფესელის" ცხოვრება. საგულისხმოა, რომ ამ ცხოვრებაში ეს ჩვენ ვხედავთ უკვე პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ ქართველი მწიგნობრთა წრეებში ამ ეპოქაში (VIII საუკუნე) ალარ სჭერდებიან ქრისტიანული ორთოდოქსიის და „გარეშე ფილოსოფოსთა" ნაწერებსაც ეცნობიან და ფურმავდებიან (მართალია, ქრისტანობის უკეთ დასაბუთების მიზნით): „სოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, და რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერ-ვალი განაგდის".

ეს ცოტაი კიდეე ერთხელ მზარს უკერს თვალსაზრისს, რომელის თანახმადაც პლატონის მოძღვრების ნაცნობობა VII-VIII საუკუნეთა საქართველოში საგულვებელი ფაქტია.

ამ ნაცნობობას, სხვის რომ ყოველსაე თავი დავანებოთ, მიგვანიშნებს ადამიანის ის ოდენ, რომელსაც სახავს გიორგი მერჩულე. თუ „სიბრძნე ბალაშვარისის" ავტორისთვის ეს ოდენი ჯერ კიდევ ოდენ სულიერ სრულყოფას გულისხმობს და „ხორცითა მოკვდინებას" თავისთვიდან რაიმედ მიინჩევს („და იეო ყოველი გვაჰი მისი გაბმაჰარ და დამჭკნარ, და ტკივი ოდენ გარდართმბულ ძვალთა ზედა"), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" უკვე ახალია ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა ბრმანებელი განვითარების ოდენალმდე. გავიხსენოთ, როგორ ხატავს ავტორი გრიგოლ ხანძთელის პორტრეტს: „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, მახაკითა სრულ, ყოველად კეთილ, სრულიად გვამითა მრთელ და სულითა უბინო".

მაშასადამე, სულიერი და ხორციელი სრულყოფილეა, — აი, ის იდეალი, რომელის წამოყენება ოდენ ორთოდოქსული ქრისტიანობის თვალსაზრისზე მდგარი ავტორისთვის იმ ეპოქაში მოულოდნელი იქნებოდა და რომელიც გულისხმობს ადამიანის სრულყოფილების ანტიკური იდეალის, უწინარეს ყოველისა — პლატონის შეხედულების აღორძინებას.

ამასვე მიგვანიშნებს ის უალრესად, გამორჩეულად თავისებური დამოკიდებულება ბუნებისადმი, რაც, როგორც მრავალნაზე აღნიშნულა, დამახასიათებელია გიორგი მერჩულეს თხზულებისთვის. გავიხსენოთ: „კეთილ არს უდაბნოჲ იგი ზრახსა მეცნიერებითა და მაკრობა შეჩვეებთა ყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიხარეს და სურეველად მოიკითხეს ურთიერთას...“

ამგვარი შეყვარული მზერა ბუნებისადმი იმ ეპოქაში შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც კარგად იცო გაცნობიერი პლატონის თხზულებებს, სადაც, მართალია, ზმირად არის ხაუბარი იმის თაობაზე, რომ მიწერი სილამაზე ოდენ ანრიდღალია მარადიული, ზენოსამყოფური სილამაზისა, მაგრამ, ამავე დროს, ამ სილამაზეს და მისით ტკბობას (ერო�, ბუნების მშვენიერებას) არცერთი ამაღლებული სტრიქონი აქვს მიძღვნილი.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, „სიბრძნე ბალავარისიე“, „გრეგორ ხანთვილის ცხოვრებაც“ მხოლოდ გარდამავალი საფეხურები იყო იმ მთლიანი მსოფლმხედველობის გამომუშავების გზაზე, რომელიც საბოლოოდ „ეუფხსტატაოსნით“ დაგვიგვანდა.

რუსთაველი რომ ახლოს იცნობს პლატონის მოძღვრებას, ეს კარგა ხანია შენიშნეულია მეცნიერებაში. ნაღრმავებული კვლევის დაწყებამდეც ამგვარ ნაცნობობას, უწინარეს ყოვლისა, თვით პოეზის ავტორი ვვდასტურებს: „მე სიტყვასა ერთსა გადერეს, პლატონისგან სწავლა-თქმეულსა...“ პლატონის ასე „შინაურულად“ ხსენება უკვე თავისთავად შეეძრა რასმე მეტყველებს. ისიც დიდად საგულისხმოა, რომ რუსთაველი თავის პოემაში ფასდებით ეხსენებს მხოლოდ ორ ფილოსოფოსს — პლატონს და ფუხვდო-დიონის არეოპაველს.

აქ არ შეიძლება წინასწარ არ შეეწერდეთ ერთ საკითხზე. მკვლევარ ი. ლოლაშვილს აპოფეგმურ კრებულში „სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“ („მეცნიერება“ 1969) მოაქვს რუსთაველის ცნობილი სტრიქონები („მე სიტყვასა ერთსა გადერეს...“ და „რაოგან თავია სიცოცხ...“), რის შემდეგაც წერს: „ამ ტაეპების პირდაპირი წყარო „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“. **უკანსკნელში** მე-17 მუხლად იკითხება აფორიზმი: „შური და ტყუვილი და ორპირობა თავი არს ყოველისა უბადობისა“. ასე რომ, ეროთ არა მარტო პლატონის აფორიზმს იმეორებს სიტყვასიტყვით, არამედ „ფილოსოფოსთა ბრძნობის“ სახით ამ აფორიზმის წყაროსაც ასახელებს. ეს კი უტყუარი ფაქტია, რომ პლატონის აფორიზმთა კრებული რუსთაველის ეპოქის ძეგლად ვცნოთ და მისი, როგორც რუსთველოლოგიური წყარის, დიდი მნიშვნელობა ვალიარით“. (გვ. 14).

ეს მოსაზრება, რბილად რომ ეთქვათ, არის უგულებელყოფილი მხაგრული ლიტერატურის სპეციფიკის კანონებისა. ეს იგივეა, რომ ვამტკიცოთ, თითქოს ვეფხვ-ფაველი თავის მოსაზრებებსა და სენტენციებს „ეეერიანი“ „დიამკვირეის“ რუბრიკით დაბეჭდილი მასალიდან სესხულობდა, ან კიდეე გალაკტიონ ტაბიძეს „ბრძნული ჯაზრების სამყაროში“ ედვა წინ და იმის მიხედვით ქმნიდა თავის ნაწარმოებებს.

ალნიშნული შეცდომა (უეჭველად შეცდომა!) იმითაც არის გამოწვეული, რომ მკვლევარი არ ითვალისწინებს, რაოდენ ღრმად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პლატონის მოძღვრებას. მართალია, ამ ნაცნობობის საფუძველი, როგორც ჩანს, არეოპაგიტიული კორპუსი იყო, მაგრამ რუსთაველი იმ მასშტაბის მოაზროვნეა, რომელმაც შეძლო პლატონთან უშუალოდ მისელა და მისი იდეებთან თავისუფლად ოპერირება. ფაქტიურად ის, რაც რელიგიურ ფილოსოფიაში პეტრე იბერმა განახორციელა (ღრმად გაგებული ქრისტიანობისა და ანტიკური ფილოსოფიის სინთეზი), მხატვრული აზროვნების სფეროში რუსთაველმა აღასრულა.

ამ ახსენებთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს იმ დეალიზმის სბოლოო დაძლევა, რომლის აზროვნებაში ბატონობამ არცერთი საუკუნით შეაფერხა კულტურული პროგრესი. რუსთაველის მსოფლმხედველობა არის მთლიანი სამყაროს (და, აქედან გამომდინარე, მთლიანი ადამიანის) მხოფლმხედველობა, რაც, როგორც ცნობილია, ეერც ორთოდოქსული ქრისტიანობის ფარგლებში მოხერხდებოდა და ეერც ქრისტიანობის ნეოპლატონიზმთან განზავების შემთხვევაში (რამე

(„მზე უშნოდ ვერ იქნებინის, რათგან შენ ხარ მისი წილი“), რომ ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება ამჯერად ზედმეტი იქნებოდა („შეადარეთ პლატონის: „ყოველი ადამიანი თავისთავს უნდა მიიჩნევდეს ღმერთის ერთ-ერთ თანამგზავრად“, „კანონები“, IV, 716, b; ან კიდევ: „ამ ადამიანებსაც უდევთ წილი სამყაროს ხელდრში“, იქვე, X, 905, b). შესაბამისად წარმოდგენილია მთლიანი სახელმწიფოს იდეალიც, ამ მთლიანობის მოშლის ყოველგვარი საფრთხე ლამის კოსმოსური მასშტაბის უბედურებად განიცდება. არაერთი გამოკვლევა მიძღვნია აგრეთვე იმ საკითხს, თუ როგორ მთლიან პიროვნებებს წარმოადგენენ პოემის უმთავრესი პერსონაჟები.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვამ ხაზი იმ გარემოებას, რომ ამგვარი თვალსაზრისის გამოუშვების საფუძველი არც ოროთოდოქსულ კრისტიანობაში იპოვებოდა, არც ნეოპლატონიზმში, არც იმ აღმოსავლურ მოძღვრებებში, რომელთა ნაცნობობა საგულვებელია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისთვის. ამგვარი თვალსაზრისი შეიძლებოდა დამკვრებოდა ოღონ პლატონის შეხედულებებს.

ამ ზოგადი ხასიათის წინასწარი შენიშვნების შემდეგ ჩვენ გვმართებს ყურადღება მივაკვროთ იმ მთლიანი სამყაროს ზედა ზღვარს — უზენაესის გაგების საკითხს.

ცნობილია, რომ პლატონის ფილოსოფიაში ერთი გაგებულია, როგორც არსება და არაარსებზე მაღლა, მათ მიღმა მდგარი, ზესთაარსი („კანონნიშემდგომი“, 981, a, „სახელმწიფო“ VI, 509, b), რომლის შესახებაც რაიმე აზრის გამოთქმა შეუძლებელია (ნეგატიური თეოლოგიის ჩანასახი). ზესთაარსი ერთისგან, საწყისთა საწყისისგან განსხვავებით, არის აგრეთვე ერთი, ოგვი გონება, რომელიც ყოველივეს საწყისია და მიზეზი, რომლის ნიმუშისამებრ იქმნის მთელი კოსმოსი. ამავე დროს, პლატონის მოძღვრების თანახმად, სოფლის საქმეი არც ზესთაარსი ერთი განაგებს, არც გამოგენილნი ერთი, სოფლის საქმეი ღმერთნი განაგებენ. თუ ყოველივე ამას შევფფარდებთ ქრისტიანობის რელიგიურ ფილოსოფიას, ცხადი გახდება, რომ პოლითეიტურ ღმერთთა უკუგდების შემოხვევაში პლატონის ზესთაარსი ერთი რაიმე თვალსაჩინო დაბრკოლებს გარეშე შეიძლებოდა გაიგივებოდა ქრისტიანული სამების პირველ პირს — მამა-ღმერთს, ხოლო ერთი, რომელიც არის ოგვი გონება და ყოველივეს საწყისი და მიზეზი — ქრისტიანული სამების მეორე პირს, ძე-ღმერთს, ქრისტეს.

ქრისტიანულ რელიგიას ერთი უდიდესი უსიკოლოგიური უპირატესობა ჰქონდა რიგორც ანტიკური რელიგიური ფილოსოფიის, ისე, კერძოდ, ნეოპლატონიზმის წინაშე (სწორედ ამ უპირატესობამაც განაპირობა მისი გამარჯვება): აქ ხერხდებოდა ისიც, რომ ეს ნაფსის ტრანსცენდენტურობის პრინციპიც წმინდად დაცულიყო და, ამასთანავე, უზენაესი პიროვნულ ღმერთად, სოფლიერ საქმეთა განმგებლად, ადამიანის შეშფოდ და მხსნელად დასახულიყო. ამ უკანასკნელ ფუნქციას ანტიკური ფილოსოფიაში, ნეოპლატონიზმის ჩათვლით, პოლითეიტური ღმერთები ასრულებდნენ, და, რელიგიური ფილოსოფიის თვალსაზრისით, ეს იყო მისი ძირითადი ნაკლი. მონოთეიზმამდე ამაღლებული თვალსაზრისი წარმართულ მრავალღმერთობას ვეღარ დაუბრუნდებოდა.

როგორია „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი?

უწინარეს ყოვლისა, ის არის „უცნაური და უთქმელი, უფალი უფლებათა“. „უცნაური და უთქმელი“ პეტრე იბერისეული ტერმინია, „უფალი უფლებათა“ — ძველი ალექსანდრიული. მაგრამ, ამ ტრანსცენდენტურობის გამოხატველ ნიშნებთან ერთად, ის არის აგრეთვე სოფლიერ საქმეთა განმგებელი, „არსთა მხედი“ და „შემწე ყოველთა მიწერთა“. თუ ამას დავუმატებთ, რომ მზე „ერთარსება ერთის“, მაშასადამე — სამების ხატია, ჩვენს წინაშე იქნება ქრისტიანული ღმერთის სურათი. სწორედ ამას მიუთითებს მკვლევართა ერთი ჯგუფი.

მაგრამ, ამასთან ერთად, „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის ცნება ისეთ ნიშნებსაც აერთებს, რომლებიც ოდენ ქრისტიანული რელიგიის წიაღიდან ვერ აღმოცენდებოდა. ამას, სხვას რომ ყოველსავე თავი დავნებოთო, თავად ავტორიც გარკვევით მიუთითებს: „ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან (მზეს) ფილოსოფოსნი წინანი“. ვინ არიან ეს „ფილოსოფოსნი წინანი“? ჩემის აზრით, ესენი არიან, უწინარეს ყოველთა, პლატონი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. ეს უკანასკნელი ღმერთის ხატად მზის დასახვისას უშფალოდ პლატონს ეშყარება და ამ მხრივ რუსთაველს შესაძლოა ხმა ეყაროს (ეოქვა, ნეოპლატონელთა თხზულებები) არც დასჭირეფთოდა. მაგრამ აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოემის კიდევ ერთი სტრიქონი, რომელის ასახსნელადაც არეოპაგიტული კორპუსი არ კმარა, საამისოდ პლატონის მოშველიებენაა საჭირო. ეს არის გახმაურებული სტრიქონი: „მე, მზეო, ვინ ხატად გთქეულ მზისანითა დამისად“. ამ სტრიქონის ირგვლივ მრავალი გამოკვლეეაა დაწერილი და მათი მიმოხილვა აშკერად ჩემი მიზნისი ვერ იქნება. აღვნიშნით მხოლოდ, რომ ამ თვალსაზრისით უეჭველად ყურადღებამისაქცევია პლატონის „კანონების“ ერთი ადგილი: „მხვიანად იმისა, როგორც დღისი მზის ბერდაბარ მკვრეტელნი თავს ისე ერძნობენ, თითქოს ირგვლივ დამე იყოს, ჩვენც ვერ

ვიტყვით. თითქოს ოდესმე შეგვეძლოს მოკვდავი თვალნით გონების დანახვა და მისი საკმარისად შეცნობა. უფრო უხიფათო ის იქნება, თუკი ხატს შეეხედავთ ისისს, რის ამბავსაც გვეუბნებიან“ (X, 897, d).

ქრისტიანული რელიგიისთვის თითქმის უცნობი ამ სიმბოლიკის (მზე — ღმერთის ხატი. ხალვათ წერილში მხოლოდ ერთი შემოხვევაა მზის ღმერთთან დაკავშირებით ხსენებისა, ისიც სულ სხვა მნიშვნელობით: ქრისტეს გამო ითქმის, რომ ის არის „მზე სიმართლისა“) გამოყენება უემეკილ ხდის, რომ რუსთაველი ღმერთის ცნების გაგების საკითხში არ კმაყოფილდება ოდენ ოროთოდოქსული თვალსაზრისით და ამ მხრივ ფილოსოფიურ წყაროებს, კერძოდ — პლატონსაც მიმართავს.

ასევე ძნელი ახასნელი იქნება ქრისტიანული რელიგიის ფარგლებში პოემის ერთი ცნობილი სტრიქონი: „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“. ამ სტრიქონის გაგების ერთადერთი გზა, ჩემის აზრით, არის პლატონის შეხედულება, რომლის თანახმადაც „სხვა“ (მატერია) თავისი ბუნებით არის ყოველად განუსაზღვრელი, გაურკვეველი („ტიმეოსი“, 48, e), მისი ბუნება არის უსაზღვროება და მხოლოდ ერთთან ზიარების წყალობით ეკმნება მას საზღვარი და გარკვეულობა („პარმენიდე“, 158, d).

საგულისხმოა, რომ მომდევნო სტრიქონიც პოულობს საფუძველს პლატონის თხზულებებში: „იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“. შევადაროთ ამას: „...სხვათა კაცობრივ და ღვთაებრივ ბუნებას შორის: ღმერთს ცოდნაც ეყოფა და ძალაც სიბრძნიდ, რათა სიმრავეთ ერთიანობად შერწყას და კვლავ სიმრავლედ განფინის ერთიანობა...“ („ტიმეოსი“, 68, d).

სამყარო შექმნილია შეუცნობელი და გამოუთქმელი ღმერთის მიერ — ეს ფორმულა ხელოვნა პლატონის ფილოსოფოსია და ქრისტიანობისთვის (ასევე — რუსთაველისთვის). მაგრამ როგორია სამყარო? იმის გამო, რომ ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფოსიმა ძნელი მისაკვლევი იყო ამ კითხვის პასუხი („ცანი ცათანი უფლისანი არიან და ჭეეყანა მოსცა ძეთა კაცთასა“, — ძველი აღთქმის ეს ფორმულა ზნირ შემოხვევაში ცალად რჩებოდა), ქრისტიანულ კულტურაში მრავალი რამ გაუკეთდა ამ ნაკლოვანებათა შესაძენელ. არადა ფილოსოფიურად მოაზროვნე მწერალთა ინ დასს, რომელნიც ოდენ აბსტრაქტული სასულიერო შინაარსის ნაწარმოებების შექმნას არ სჯერდებოდნენ, რომელნიც მიწიერ ამბებსაც მოგვითხრობდნენ, უეჭველად მართებდათ გარკვეული პოზიცია ჰქონოდათ ამ საკითხში — როგორია სამყარო? ცხადია, ამ საკითხში სავსებით ჩამოყალიბებული შეხედულება უნდა ჰქონოდა რუსთაველისნაირ შემოქმედს. ოღონდ, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში ქრისტიანული ფილოსოფია მას ნაკლებად შეეწყოდა.

სამაგიეროდ, პლატონის მოძღვრება ამ საკითხზე ამომწურავ პასუხს იძლეოდა: სამყარო არის კოსმოსი, მოწესრიგებული რამ („ტიმეოსი“), რამეთუ იგი არსებობს და იძერის ერთის (ღონების) ნიმუშისამერ; ის არის მშვენიერი, რადგან მარადიული მშვენიერების მოდელის მიხედვით არის შექმნილი; ის არის უმაღლესი პარმენიისეულ მიმსწორაგი პარმენია: „ბრძენნი გვასწავლიან... რომ ზეცას და მიწას, ღმერთებსა და ადამიანებს აერთიანებს კავშირი, მეგობრობა, წესიერება, თავშეკავება, სამართლიანობა. ამ მიზეზის გამო ისინი ჩვენს სამყაროს „წესრიგს“ („კოსმოსს“) უწოდებენ და არა „უწესრიგობას“... („ორგია“, 508, a).

ამგვარია რუსთაველის სამყაროც: „ჩვენ, კაცთა მოგვცა ჭეეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, — მთელი პოემიდან მხოლოდ ეს ერთი სტროფიც, აქ მოტანილი ერთი სტრიქონიც რომ გადაჩენილიყო, მაინც ცხადი იქნებოდა, რომ რუსთაველისთვისაც, მსგავსად პლატონისა, ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო არის წესრიგის, ჰარმონიის, მშვენიერებისა ასპარეზი. სწორედ ის არის კონფფლიქტის საფუძველი პოემაში, რომ ამ ჰარმონიულად მოწყობილ სამყაროში, კონკრეტულად კი — ჰარმონიულად მოწყობილ სახელმწიფოში შეიჭრება ბოროტება (ნეიტანის გადაცემა) და მერე მთელი ჭეეყნიერება აღდგება მის დასათრგუნავად.

ოღონდ არა მარტო ჭეეყნიერება. როგორც ვიცით, პლატონის კოსმოსი ისეა მოწყობილი, რომ სოფლიური ხაქმენი გავლენას ახდენენ ზესთასოფლიურ ყოფაზეც. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა მოვიგონოთ „პოლიტიკოსის“ ერთი ადგილი (269, c-274, e), სადაც ნათქვამია, რომ ეამიდან ეამზე ღმერთი ხელს აიღებს ხოლმე კოსმოსს და მაშინ წყდება მბრუნავი სამყარო უკუღმა იწყებს ბრუნვას, რასაც საზარელი კატასტროფები და ყოველგვარ ცოცხალს მოწყვეტა მოჰყვება; ამასთან, როდესაც საკუთარ თავს მინებებული კოსმოსი ერთობ დაშორდება პირველდელ ღვთიერ ბუნებას, მასში დაგროვდება ბოროტება და მანკი, ღმეიერი კვლავ მოჰბედავს მას და კვლავ წყდება დაბრუნებს, რასაც აგრეთვე კვლავ კატასტროფები მოჰყვება პირველ ხანებში. ეს კატაკლიზმები ციკლიური ხასიათისაა. და პლატონი აღწერს (მითის მეშვეობით), როგორ დასრულდა ერთი ამდაგვარი ციკლი: კრონოსის განმეგზეობაში მყოფი სამყაროს აღსასრული დადგა, სამყარო უკუღმა დატრი-

რევაზ თვარაძე
ბლუტონი ქართულ ნაწარეებში

ალდა და საზარელი კოსმოსური ძვრები და შერყევები განიცადა, ყოველივე მოისპო და შემდეგად მიეცა დასაბამი არსებობის ახალ ციკლს.

და, აი, ჩვენ ვხედავთ, რომ მორტალის ალზევება (რაც ნეფესანის ჭაჯეის დატყვევებით გამოიხატება და რასაც, ისევე პლატონის და მისი დიდი შეგირდის პეტრე ობერიელის მოძღვრების თანახმად, სიკეთის სამოდინო გამარჯვება უნდა მოგოლოდნოდა — „ამ საქმეს დაფარულსა...") დასრულდა, ჭაჯეის ალსასრული დადგა — სამი ღვთიებრივი ვმირის გამიცხადებამ დაამხო ბნელეთის საეფეო. აქ რუსთაველი ხატავს სურათს, რომელიც, ვფიქრობ, „ოთოტიკოსის" ზემოთ მითითებულ ადგილს უნდა უკავშირდებოდეს. ჩვენს ყურადღებას მბრალოდ კრონოსის ხსენება კი არ იპყრობს, არამედ პლატონისეული კოსმოსური კატასტროფის თითქოს უშუალო რემინისცენციები:

მაშინ ჭაჯეის მოიწია
უსაზომი რისხეა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან,
მოიშორეა სატანი მზისა,
მითვე რისხვით გარდუბრუნდა
ბორბალი და სიმგრგვლე ცისა...

პლატონის კოსმოგონიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთ ფიქრს — რეინკარნაციის, გარდასახულების (მეტაფსიქეზი) იდეას. ორთოდოქსული ქრისტიანობისთვის ეს იდეა უცხო და მიუღებელიც იყო (ზოთერეული ქრისტიანობისგან განსხვავებით). ოღონდ მოძღვრები სულთა გარდავლენის, გარდასხულების შესახებ გადავიდა ნეოპლატონიზმში. მეცნიერებაში უკვე ალინშნული (ნ. ნათაძე), რომ ნეფესანის წერილის ერთი ადგილი („ღმერთსა შემეფერე, ნეფუე კელა დამხსნას ხოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა თანა ძრომასა, მომცეს ფრთენი და ალფრინდე. მიკმხედე მას ჩემსა ნდომასა, ღღესით და ღამით ვბმედეიდე მზისა ელვათა კრთომასა") ამ იდეით უნდა იყოს შთაგონებული. ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში რუსთაველი ამოდენად უშუალოდ პლატონის მოძღვრებიდან. სახელდობრ, დიალოგ „ტიმეოსში" არის ერთი ადგილი, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი. რომ რეინკარნაციათა ჯაჭვისგან სული მაშინ განთავისუფლდებაო, როდესაც სძლევს ცეცხლსა, წყალს, პაერსა და მიწას უგონო შფოთს და უწინდელებურ ნეტარ მდგომარეობას დაუბრუნდება (42, c-d).

ცალკე მსჯელობის (მეტიც — ცალკე გამოკვლევის) საგანი შეიძლება იყოს პლატონის მოძღვრება ეროსის, საღრმო ტრფიალების შესახებ და რუსთაველის დამოკიდებულება ამ მოძღვრებასთან. აქაც ამ საკითხზე ვერ შეგჩერდები (დაწერილებით იხილეთ სტატია „პარეპიადელი და რუსთაველი", „ცისკარი", 1971, № 8). ვიტყვი მხოლოდ, რომ „ეროტიკულ ტეოლოგიის" პროლეგები ბაგლელი თვალსაზრისი მიგნურობის შესახებ მნათობად პლატონის ფილოსოფიიდან არის შთაგონებული.

ამ საკითხთან ახლოს დგას კიდევ ერთი საკითხი. პლატონის თვალსაზრისის თანახმად, ბენშარატი ცხოვრება ნიშნავს არა ცალკეულ ფიზიკურ ძალთა განვითარებას და სულის უგულებელყოფას, არც ცალკეულ სულიერ ძალთა ზეიმას და ფიზიკური სიძპატენეს, არამედ სხეულთა და სულის ჰარმონიულ განვითარებას. მოვიგონოთ ამ თვალსაზრისით პლატონის ფრაზიდან გამონათქვამი:

„...თუკი მოსდგება, რომ რომელიმე ადამიანის სულში დფფარული მშვენიერი ზნეობრივი ფესვებები მის გარეგნობასაც შეეხატყვინა, რამდენადაც მთ საერო ნიშნები მოეძებნებიო, ეს იქნება უმშვენიერესი სანახაობა ამისათვის, ვისაც ძალუძს ამის ხილვა" („სახელწოდეა", III, 402, d).

„როდესაც ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის, სათნოებისა და მანკიერების საკითხი დგას, იმის უმნიშვნელოვანესი არაფერია, ვიდრე თანაფარდობა თუ შეუფარდებლობა სულისა და სხეულის, როგორც ანეოფეს, შორის. გარნა ჩვენ არ ვუფიქრდებით ამას და არ ვგეესნის, რომ როდესაც ძალოვანნი და ყოველმხრივ ფიდი სული ვითარცა ეტლნუ ისე არის ამხედრებული ეროოს სუსტსა და ძაბულ სხეულზე, ან კიდევ როდესაც წოსასწორობა პირუკუ არის დარღვეული, ცოცხალი არსება მთლიანად ადარ არის მშვენიერი, რამეთუ სწორედ უარსებობის რაობაში არ ბუოფნის თანაზომიერებაა" („ტიმეოსი", 87, d).

ჩვენ მოგვიხდებოდა „ეროსიტატეოსნის" ასობით სტრიქონის ამოწერა, თუკი მოვიხსენებდით პლატონის ამ თვალსაზრისის შესატყვის ადგილთა ამ მოტანას. ამის აუცილებლობა, ვფიქრობ, ამკერად გამორიცხულია. ისევ დაგვრჩენია, დავსძინოთ, რომ მსგავსი თვალსაზრისის ეხოდენ გაბედულად დამკვიდრებისთვის საკმარის საფუძველს ეოეების ავტორი, ცხადია, ვერც ორთოდოქსულ ქრისტიანობაში ეოვებდა, ვერც ნეიპლატონიზმში, და, დასასრულ, მთ უფრო ნაკლებად — მისთვის ხელმისაწვდომ ალმოსავლურ მოძღვრებებში.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია მივუბრუნდეთ ზემოთ აღძრულ ერთ საკითხს. როგორც ცნობილია, „ეროსიტატეოსნის" მკვლევარნი ერთმანად ალსადგენენ, რომ პლატონის თსზოლეგებში არ ეიოვება რუსთაველის მიერ დამოწმებული სენტენციები — „ეე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისაგან სწავლა-თქმულსა: სიცოცხლე და ორპირთა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა. რათგანნ თავიანიცერუე ეოვლისა უბედობისა..." ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოებამაც გამოატანინა მკვლევარ ი. ლოლაშვილს ხსენებული დასკვნა — რუსთაველის ამ ტაეპების პირდაპირი წყარო არისო ალოფოგემფური კრებული „სიბრძნისგან პლატონ ფილოსოფოსისა". ამის განცხადებისას მკვლევარს მოაქვს „ვეფხისტყაოსნის" ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა". დიახ, მკვლევარს მოაქვს ეს ადგილი, და, როგორც ენახეთ, ხაზგასმული სტაეტების საფუძველზე დასკვნის: „ახე რომ, ზოთა არა მარტო პლატონის ალოროზეს ამეორებს სიტყვა-სიტყვით, არამედ „ფილოსოფოსთა ბრძნობის" სახით ამ ალოროზეს წყარობაც ასახელებს".

ჯერ ერთი, რანაირად ასახელებს რუსთაველი ალოროზეს „ფილოსოფოსთა ბრძნობის" ხსარებით, ჩემთვის მიუწვდომელი გამოცანაა (წყაროს, როგორც ვნახეთ, ჰქვია „სიბრძნისგან პლატონ ფილოსოფოსისა"). მეორეც, ეს ფუთვრენია, რაოდენ ნაკლებ ანგარიშს უნდა უწევდეს მკვლევარი შემოქმედების ფსიქოლოგიას, რომ ამის მოქმედს — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა" — მიაწეროს, თითქოს ამ თავის სიბრძნეში (რომლითაც „ზესთ მწყობრთა წყობას" უნდა ზიარებოდა!) ის ალოფოგემფური კრებულიდან ამოკრებდა ხოლმე.

პატივცემული ი. ლოლაშვილი ისე შორს მიდის, რომ ხსენებული ალოფოგემფურ ძველს („სიბრძნისგან პლატონ ფილოსოფოსისა") სწორედ ამის საფუძველზე ათარიღებს და რუსოველ ეპოქის ძეგლად მიიჩნევს, რომ ამ ძეგლის ფრაზა „ვეფხისტყაოსნისას" თანმხვედრა. მას კითხვაც კი არ ებადება, რომ შესაძლოა პირუკუ იყოს საქმე, შესაძლოა ამ ძეგლის შემდგენელს სწორედ „ვეფხისტყაოსნისგან" ამოეწერაო ხსენებული ფრაზა, სწორედ „ვეფხისტყაოსანზე" დამყარებინ მიეჩნიოს ის ფრაზა პლატონისეულად (მსგავს კრებულთა შემდგენელნი ხომ თვითონ კი არ არიან განსწავლულნი და სიბრძნეს ზიარებულნი, ისინი მეტწილად, ელემენტარული დონეტანტები არიან ხოლმე).

ამ შენიშვნების შემდეგ უნდა ითქვას ძირითადი მოსაზრება: ის ამბავი, რომ ხსენებული სენტენციები პლატონის ნაწერებში ამავე სახით მარილაც არსად გვხვდება, სრულებით არაფერს არ ნიშნავს. ისევე, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, რუსთაველიც კი არ იწერს ამა თუ იმ ბრძნული ციტატებს, არამედ ამ ბრძნის ზოგადი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. ამ თვალსაზრისით თუ შეეხედავთ საქმის ვითარებას, მაშინ პლატონის დიალოგებში არაერთ ადგილს ვპოულობთ, ამჟამად ჩვენთვის საგულისხმო. მოვიტანოთ ერთ-ორ ციტატები:

„თუკი ჩვენ არ მიეხდიეთ (ბრძენ ადამიანს). — რ. თ.), დავიდუმებთ და დავამახინჯებთ იმას, რაიც უსამართლო მოქცევით ილუმება... გვეღირს თუ არა უკარგოდ და დარღვეული სხეულით ცხოვრება?.. გვეღირს თუ არა ცხოვრება, როდესაც დარღვეულია ის, რასაც უსამართლობა ვნეს, ხოლო სამართლიანობა რგებს?" („კრატონი", 47, d-e).

„და, აი, ჯარდაცვლილნი მიდიან მსაჯულთან. ისინი, ვინც ჭიფელნი არიან, — რადამანტთან, და რადამანტი შეაჩერებს და სინჯავს ყოველი მათგანის სულს... და ადმოაჩენს, რომ ამ სულში არ არის ჯანმრთელი ადგილი, რომ ეს სული დაიარბეულია ცრუ ვიცოდაგან და უსამართლო საქციელთაგან... სული ერთიანად გამრეცდებულია სიცრუთა..." („გორგია", 524, d-525, a).

„... როდესაც არასწორი რასმე ამბობ, ეს თავიანთავად საძაგელი რამ კი არ არის მხოლოდ, ეს სულსაც ვნეს!" („ფედონი", 115, b).

„არად მოუხდება დამორჩილებს ორგულ, ჭირვეულ, შურიან, საძაგელ კაცს... რომელიც სხეულის მდგომარეობისთვისაც მაგნეა და კიდევ უფრო მაგნეა სულიერი განვითარებისათვის..." („ფედონი", 241, c).

„ყველა ნაკეთის თავში, როგორც ღმერთთათვის, ისე კაცთათვის, დკას ნიმრთელი. ვინაც სურს ბედნიერი და ნეტარი იყოს, ის ამ თავიდან უნდა ეზიარის ნიმრთელს, რათა შეხალმენლობისადგვარად ხანგრძლივ იცხოვრის მართლად. ამნაირი კაცი ნდობას ადგვიძრავს. გარნა ნდობას არ ადგვიძრავს ის, ვისთვისაც ნებაყოფლობითი სიცრუე არის სანუკვარი, ის უმკეთოა. გარნა არც ერთი შეხალრებელი და არც მეორე... (ამგვარი კაცი) თვითონვე იმზადებს ცხოვრების დასახარელთათვის სიბერის ძნელ მარტოობას!" („კანონები", V, 730).

„მაშასადამე, იმაშიც; რაც ჭეშმარიტებას შეეხება, ჩვენ ასეევ დასახირებულად მივიჩნევთ სულს, თუკი სული, წინასწარგაზრახული სიცრუისადმი თავიდა ზიზღის მიუხედავად... მაინც შეიწყნარებს უნებურ სიცრუეს..." („ხანელმწიფო, VII, 535, e).

დაუშვამთო ყოველსავე ამას, რომ, დიალოგ „სოფისტის" მიმდევთან, სიცრუე საერთოდ იგივე არაარსია (ხოლო, ანოოპაკეის თანამბრძოლ, ირეზულში ბორიკანთვის ადგილი კი ძმენენოდა, ბორიკანი არაარსისკენ სწრაფვა იყო). მაშინ ცხადი გახდება, რომ რუსთაველი პლატონის ხსენებისას ამოდის მისი მოძღვრე-

რევაზ თავაბაძე

ბის ულრმესი გაგებიდან (და არა ამოფთეგმური კრებულიდან!).

გარდა მსოფლმხედველობის ზოგად სისტემაში არსებული ამგვარი თანხვედრებისა, რუსთაველს პლატონთან სხვა მრავალი შეხების წერტილიც აქვს. აქ უკმენტაროდ ეს მოგვყავს რამდენსამე ცალეული შეპირისპირებაც. [illegible] განხილვა, ანალიზი და მსოფლმხედველობრივ სისტემასთან დაკავშირება ცალეულ გამოკვლევის საგანია:

| პლატონი: | რუსთაველი: |
|---|---|
| 1. „მსაჯული ხომ იმისთვის არის დანიშნული, რომ სიმართლის მიხედვით ქმნას სამართალი“ („სოკრატეს აპოლოგია“, 35, c). „მაშასადამე... მართალი სამართალი (გვიხნის) თავშეუკავებლობისა და უსამართლობისგან“ („გორგია“, 478, b). „რადგან ქვეყნად ყველაზე უარესი ბოროტება არის უსამართლობის ქმნა“ (იქვე, 469, b). „მოდი, განვიხილოთ იმ მსაჯულთა უნარი, ვინც მართალ სამართალს იქმს“ („პოლიტიკონი“, 305, b). | 1. „ცან სამართალი მართალი...“ „ქმნა მართლისა სიმართლისა...“ |
| 2. „არ გიკი როლისმე ან არ გსმენია, სხვანი როგორ აქებენ სიცოცხლესა და სიხმაფეს — სულერთია, სხეულთა მოძრაობას ეხებოდა ეს, სულთა მოძრაობას თუ სხვათა მოძრაობას?..“ | 2. „...სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. |
| 3. „... ჩვენს სახელმწიფოში ვნახავთ, რომ მეწყალე არის მეწყალე და არა მეხაქე თავისი მეწყალეობის საქმის დამატებით; მიწისმოქმედი არის მიწისმოქმედი და არა მსაჯული თავისი მიწისნოქმედების საქმის დამატებით; სამხედრო არის სამხედრო და არა საქმოსანი...“ („სახელმწიფო“, 111, 397, e. ის. აგრეთვე, 423, d, 433, a, 443, c). | 3. „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყიკ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...“ |
| 4. „...სულში უზენესი სიკეთის წარმოდგენის გაბატონება... ყოველ კაცს სათნო კაცად აქცევს. ახეთმა კაცმა რაიმე მცდარი ნაბიჯიც რომ გადადგას, მაინც სავსებით სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ამგვარად ჩადენილი საქციელი...“ („კანონები“, IX, 864, a). | 4. ტარიელი, ავთანდილი (ხვარაზმშა ამოკლეა, ჯაშნაგირის მოკლეა და სხვა). |

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ პლატონთან უშუალოდ მისეული და მისი შეხედულებებით და იდეებით თავისუფლად ოპერირება, რაც ნიშნავდრბლივი იყო XI-XII საუკუნეთა საქართველოსთვის, მომდევნო საუკუნეებში, ცნობილი მიზეზების გამო, თითქმის შეუძლებელ საქმედ იქცა. როგორც „დაცემის“, ისე „აღორძინების“ ხანაში პლატონის მოძღვრებასთან უშუალო კავშირი გაწყვეტილია, რაც, სხვა უარყოფით ამბებთან ერთად, იმასაც იწვევს, რომ უკვე ჭირს, თითქმის შეუძლებელიცაა თვით რუსთაველის მსოფლმხედველობის და, საერთოდ, რუსთაველის ეპოქის საუზრეული მონაპოვარის მართებულად გაგება და ათვისება.

ასეთ ვითარებაში გაოცებას იწვევს ის მოულოდნელი თანხვედრა, რაც დავით გურამიშვილის ზოგიერთ ნაწერშოიტეს თუ ცალეულ სტროფებს პლატონის ნაზრევთან აკავშირებს. დავით გურამიშვილი რომ პეტრე იბერიელის თხზულებებს იცნობდა, ეს არც საეჭვოა და არც მოულოდნელი. მაგრამ რა გზით შეეძლო მას პლატონის თხზულებებს გასცნობოდა? ამ კითხვის პასუხი ძნელი მისაკვლევია. ხოლო კითხვა იმის გამო აღიძვრის, რომ თანხვედრა ზოგჯერ მართლაც ზედმიწევნითია.

ამგვარია ზოგადი სურათი იმ მიმართებისა, რომელიც მწერლობაში გამოვლენილ შუა საუკუნეთა ქართულ ფილოსოფიურ აზრს აქვს პლატონის მემკვიდრეობასთან. ამ ზოგადი სურათის მოხაზვის შემდეგ დგება გადაყოფიერი ამოცანა: ფურო ჩაღრმავებით იქნეს შესწავლილი ეს მიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თინა კობალაძე

# დაუვიწყარი ხმები

რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის შენობის მეექვსე და მეშვიდე სართულზე ამ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მწერალი წიგნს უურცლავდა, მე და ჩემს ამხანაგს შორის გაიმართა ჩურჩული საუბარი, გიორგი მეუე უფრო ვეკუვრდა, თუ კონსტანტინე არსაკაძე.

ბატონი კონსტანტინე თურმე გვისმენდნა...

არც გამოუხდებაა, ისე გვითხრა, — კარგი ვიყაცები იყვნენ, არაო?

საოცარია მაინც ადამიანის ხმა..

აი, ბატონი კონსტანტინე კოთხულობს გიორგი მეფის საკვდილს...

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველი ღირსება და ყველი ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაქკაც


ვიყავი და მშიშარაც, კეთილს ვეძარებოდი, მეშინოდა ხვიარის ფიქვებისა, ვულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მავრამ ჩემი ხალხისათვის არასიდეს მოლალატნი, პაპა"....

თუმცა ოღნავ გაბზარული, მაგრამ მაინც როგორი შემართული ხმით წარმოსთქვამდა იგი ამ სიტყვებს... თითქოს ეკრეკება ზღვარი გმირსა და ავტორს შორის. შეუძლებელია მისი გულგრილად მოსმენა, ისე როგორც შეუძლებელია გულგრილად მოსმენა, როცა გრძნობ, როგორი ტკივილით განიცდის იგი თავისი საყვარელი გმირის სიკვდილს...

„...რა გატირებს! დამკარი, შე ულმერთო, ეგ ხმალი, ბარემ გათალეს ეს ცხოვრება, პაპა"... შემართული ხმით წარმოსთქვამს იგი ამ სიტყვებსაც, მაგრამ უკვე ბრძნობთ მის ცრემლებს... ამ ზმარე განცდას, ცრემლებს რომ აწვეთებს...

ჩვენს ფონდში „დედოსტატის მარკვენის" რამდენიმე ჩანაწერი ინახება. ესაა რომანის შესავალი, მისი ეპილოგი და სხვა... მაგრამ არ არის რომანის უკანასკნელი თავი — არსაკაძის სიკვდილი. ბეჭერკერ ვთხოვდით, მაგრამ უარს ამბობდა. მიზეზი არასდიდს ფიქვობს... ახლა კი ეფიქრობთ, ალბათ იმიტომ, არსაკაძე მაინც განსაკუთრებით რომ უყვარდა...

არ ჩაუწერია მას არც დავითის „უკანასკნელი ომი".

თუ ერთხელ მაინც მოგისმენიათ, როგორ შეიძლება დაგვიწყდეთ. „ზარები გრიგალში", ახლაც ვგრდებს ყურებში მისი ხმა:

„აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა საყდარს"... ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ჩანაწერია.

საოცარი ტკივილითა და სიყვარულით ვიბმენთ ახლა მის ლირიულ ინტერპრეტაციას. „ხომ არ მოგეწყინა ჩემი მეთხეველია", რომ წერს.. მეც თავად მოწყენინან ამაოებინა კალამი ხელშე და ვინმეო ჩემმა მოწყენამ შენი განაკვირვა-ხო".. ამ ჩანაწერში შესანიშნავად იგრძნობა **მისი მოუსვენარა, შემოქმედის** უკვდავი ენითა **შეიფარებული სული,** რომელიც თავისი ქვეყნისა და ენის ფანატიკური სიყვარულით ტანჯავს...

„თასსზე მეტი ლამეა ეზოვარ, ეზოვარ და ვითხრობ განთიადიდან განთიადამდის... და ლამეები მიმქრიან, როგორც ნაბდით დაკეფილი ბედურები...

...და როცა მე მეგონა მალავი შესდგომ, როცა ვფიქრობდი, დამეშრეტა გონების ძალი და ფანტაზიის ჩემსას ფრთები შეეკვეცოო, ენა ქართული — ეს უფსკრული თვალშეუდგამი ისევ აზვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და ეზამთვიდნენ სახეები ტალღების დარად. მერმე აზვავდა სისხლი ჩემი და მოკაკნული მდორე გონება თითქოს უეცრად დახხეპია ელვის ლეკურმა.

მოვსდექ და ისევ შევუტიე ამ უფსკერო ზღვას თვალშეუდგამს და გახელებულს და ალვავ მოვინდგა დავსწერო წერილად მე ქბაი დედებულისა ქართველისა ენისაო.

ისევ ეზოვარ განთიადიდან განთიადამდის და ლამეები მიქმრიან, როგორც ნაბდით დაკეფილი ბედურები..."

ვინც ამა ღრმად ჩახნულება მშობელი ქვეყნის, მშობლიური ენის სულს, მის ხვეულებს, ის მოიპოვებს ამ ქვეყნად ყველაზე მოავარს — სიყვარულს.

კონსტანტინე გამსახურდია იმითაც იყო ბედნიერი, რომ მან თავის სიცოცხლეშივე იგრძნო ეს სიყვარული.

მისი რომანების მკითხველებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას ხშირად აინტერესებდათ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამბები, როგორ წერდა, ჰყავდათ თუ არა მას ემორების პროტოტიპები, თავისი ნაწარმოებებიდან რომელი უყვარდა ყველაზე მეტად. და სხვა... მსგავსი კითხვებით ხავსე წერილები ხშირად მიუღია რადიოს ლიტერატურულ რედაქციას წლების მანძილზე... გვთხოვდნენ, ამ კითხვებზე პასუხი გაეცა თვით მწერალს... გასაკურებლად რადიოთი... ისიც არასდიდს უპასუხოდ არ სტოვებდა მათ.

და აი, ჩანაწერების ისევთ ფონდს ამგვარად შეემატა მისი კიდევ ერთი უნიკალური ჩანაწერი... „როგორ ვწერ"...

„ძნელია თქმა, თუ როგორ ვწერ, შემოქმედების ამბავი ჯერაც იდუმალებითაა სავსე. თუ ის ბალლები, ახლა რომ ქართველი დედების კალთაში, ან აკვანში წვანან, ჩემზე უკეთ დეუფლებიან ქართულ სიტყვას, ეს ძალიანაც გამახარებდაო", ამბობს მწერალი.

ამ ჩანაწერში იგი ეხება შემოქმედების მთელ რიგ საინტერესო საკითხებს. უმთავრესად კი თავისი შემოქმედების პრინციპებს. მას თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

სებურად ავსებს მეორე არანაკლებ საინტერესო ჩანაწერი, ესაა ლიტერატურული დიალოგი მწერალსა და კრიტიკოს ნოდარ ჩხეიძეს შორის.

აქვე მისი წერილები, სიტყვები, გამოსვლები. მსოფლიოს შეუძლია მოისმინოს მისი ხაუბრები, „დღეი ალმაშენებლისა“ და „დიდო

1968 წელს რადიოს ლიტერატურული რედაქციის მიერ მოწყობილი გადაცემა, რომელიც მწერლის რვაგომეფულის გახსოვლებას მიეძღვნა. ეს იყო შეხვედრა კონსტანტინე გამსახურდიასთან...

რედაქციამ სტუდიაში მოიწვია ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები და, რა თქმა უნდა, თვით კონსტანტინე გამსახურდია.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის მონაწილეთა სიტყვების უმეტესი ნაწილი დაიბეჭდა ეროვნულ „მნათობში"...

მეხსიერებას შემორჩა კიდევ ერთი სალამო, ისევ რადიოთი... ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ... ხერგო ზაქარიაძემ წაიკითხა „გეორგი მეფის სიკვდილი"... წარუწყლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნაწერმა თვით მწერალზე....

მხატვრული კითხვის ოსტატებსაც განსაკუთრებული ძალით აზოგადად მისი პოეტური პროზა... რადიოს „ოქროს ფონდი" ასეთი ნაწარმოებითაც მდიდარია...

„მხატვრული კითხვა განსხვავებული ხელოვნებაა... მე ბევრი მწერალი მიყვარს... ბევრ კიდევ მათი წაკითხვა, მაგრამ ისევითად ვეთხოვლობ და ვეთხოვლობ მხილოდ მათ, ვინც უფრო ახლოსაა ჩემს სულთან... მითუმეტეს როფლია პროზის წაკითხვაო". — წერს ერთგან ვერიკო ანჯაფარიძე..

შესანიშნავად კითხულობს იგი თარაშის წერილს თამარ შერვაშიძისადმი...

შესანიშნავად კითხულობენ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს აკაკი ფასაძე, თაოა ბაინდრავა, ოთარ მელვინეფუზუცესი, ეროსი ჯანჯგავაძე, გურამ ხაღაბაძე, გიზო სისარულიძე, ირაკლი უჩანეიშვილი....

„შავი ბატრდები", „როგორ მოიტაცა ენგურმა მთვარე" ისევ „გეორგი მეფის სიკვდილი", ისევ „წერილები მანდშის კოშკიდან", „შავი ბაზრობა", „უკანასკნელი ომი"...

ეს ნაწარმოები ხელახლი ძალით განცდევინებენ ადამიანებს მისი რომანების ამაღლებულ, პოეტურ სიღამაზეზეს... ესენი თავის დროზე თითქმის ყველა მოუსმენია მწერალს და მაღლობაც არა ერთხელ უთქვამს მათთვის...

●

მართლაც საოცარია ადამიანის ხმა.. ჯერ ანახავს სწორედ იმ პირველ წუთებს და მსმენელთან მოაქვს ის მთავარი და ძვირფასი, რაც ადამიანის სულშია. ხმა ალბათ, ყველაზე მეტად გვგარძნობინებს ადამიანის სულს... და ამის ერთი ნათელი მაგალითი ეს ნაწაწერებიცაა.

ამჯერად გვინდა შემოგთავაზოთ ერთი — ესაა მწერლის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი — იუბილეს ნაწაწერი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე სიმონოვი: კონსტანტინე გამსახურდიას 80 წლის იუბილეე — ესაა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწერლის იუბილე. კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ უდიდესი ოსტატი, ვის ხელშიც სიტყვა უდიდეს პოეტურ ყელიადობას იძენს. ეს ოსტატობა სამაგალითოოა ყველასთვის, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად ლიტერატურის სამსახური დაუსახავს. მე მინდა დღეს გაგიზიარონ ის წარუშლელი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე მოახდინა მისმა „დიდოსტატის მარჯვენამ". ამ რომანმა კიდევ უფრო შეამკვარა და დამახასოვრა არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ მის დიდ ხელოვნებას, ნალხის სულიერ სამყაროს... საოცარი ოსტატობითაა რომანში ნაჩვენები ისტორია და ხალხის მეგობრული, შემოქმედი სული, ეს ნამდვილი მაღალი ხელოვნებაა...

მე მინდა, ბატონო კონსტანტინე, გისურვოთ თქვენ ხანგრძლივი სიცოცხლე... უმორჩილესად ვხრი თავს თქვენი დიდი ნიჭიერების წინაშე..

გმადლობთ!...

მისიელ ლუკონინი: — ძვირფასო ოსტატო, ბატონო კონსტანტინე! ჩვენ განზრახა კეთილეული ისე, რომ თქვენი ოთხმოცი წლის იუბილე ჩვენი სახელმწიფოს იუბილეს წინა დღეებში მოიწყო. თქვენი შემოქმედება მთლიანად ეხმაურება ამ იუბილეს, იგი მისი ზეიმის ერთი ნაწილია... თქვენ ხომ თქვენს დიდ რომანებში უმღერეთ ყველაფერ უკეთესს, რაც ადამიანის სულშია, უმღერეთ ადამიანებს შორის სიყვარულს, ძმობას... ამის გამოცა, ისე ძალიან რომ უყვართ თქვენი წიგნები სხვადასხვა ქვეყნისა და რწმენის ადამიანებს.

ისევე წინამდამლეოვია, ამ იუბილეს თქვენი მეგობრები, ქართული პოეზიის ტრადიციული ზეიმის დღეებში რომ აღნიშნავენ. თქვენი პროზა, ყველაფერი, რაც თქვენ გაგიკეთებიათ, უპირველეს ყოვლისა ხომ პოეზიაა — ამ სიტყვის ყველაზე უკეთესი, მაღალი გაგებით.

გვნიშნავს თქვენი სიცოცხლისმოყვარეობა და მაღალი არტისტიზმი.

მიიღეთ მეგობრული სალამი და კეთილი სურვილები თქვენი მოსაყვანელი მეგობრებისაგან, მათგან, ვინც დიდი სურვილის მოუბედავად, ვერ შესძლო ამ შესანიშნავ ზეიმზე მოხვლა.

იყავით მუდამ პოეზიასთან. გმადლობთ...

---

* კ. გამსახურდიას ეს ღირსშესანიშნავი თარიღია რა თქმა უნდა, ქართველმა მწერლებმაც მიულოცეს. ამჯერად გთავაზობთ მხოლოდ სტუმართა სიტყვებს.

**რასულ რჯა:** — კონსტანტინე გამსახურდიას ოთხმოცი წელი შეუსრულდა. მე ეს არ მჯერა. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში, იუბილარს რომ ასაბოლნონ, ეუსნებინა, იგი ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, ის ბევრად უმცროსია. მე ვიტყვი პირიქით, კონსტანტინე გამსახურდია ბევრად უფროსია. ის ალბათ, ეს ოთხმოცი წლის მაინცაა, თუ მეტის არა... სხვა შემთხვევაში, აბა, როგორ შესძლებდა ყველაფერ იმის გაკეთებას, რაც გაკეთა. ეს ალბათ, ასე თუ ისე, მეტნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა ახოთხმოცი წლის განმავლობაში და ისიც თავაუდებელი, მუშაობის შედეგად.

**ვიტალი კორობინი:** — მე მოგეხსენებით უკრაინის სახელით, უკრაინისა, რომელსაც განსაკუთრებული უყვარს საქართველო, ქართველი ხალხი. თქვენ საქართველოს განსახიერება ხართ... ხართ არამარტო მისი ხმა, არამედ მისი საუკეთესო სახეც, — საუკეთესო გამოხატულებაც...

უკრაინაში ახლახან ისევ გამოვიდა თქვენი „დიდოსტატის მარჯვენა", და „მთვარის მოტაცება". ეს ახალი თარგმანენია. საქართველო მოდის ჩვენთან თქვენი წიგნებით. ეს მოსვლა კი ისეთია, თვით ჩვენც რომ გვშურს. გვშურს თქვენი ერის, თქვენი ხალხის, თქვენი ქვეყნის, რადგან თქვენ მისი შვილი ხართ...

ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენს საუკუნეში და არა მარტო ჩვენს საუკუნეში, არ არსებობს თქვენი ბადალი. მე თვით მთელს სლავიანურ ლიტერატურაშიც კი არ ვიცი მეორე წარმოდგენილი, თავისი მასშტაბითა და ისტატობით თქვენ რომ შეგეღწიოდეს, თქვენებრ დიდის ნიჭიერებით რომ აესახოს თავისი ხალხის წარსული და თანამედროვეობა. მე არ შემიძლია, მეოცე საუკუნეში მაინც თქვენს გვერდით და თქვენს თანაბრად კიდევ რომელიმე სახელი ვახსენო.

და აი, ახლა, როცა თქვენი მეგობარი მწერლები მოვიდნენ აქ, ამ დიდებულ დარბაზში, სადაც ყველაფერი თქვენი უსაყვარლესი სამყაროთი სუნთავს, მოვიდნენ, რათა მოგილოცონ ოთხმოცი წლის სახელოვანი იუბილე, გითხრან მადლობა თქვენს მიერ გაწეული შრომისათვის და გისურვონ კიდევ დიდი ხნის ხილოცხელი, მე ვფიქრობ მხოლოდ ერთ რა[illegible]ზე. ვფიქრობ თქვენ ახალ, დაუწერელ წიგნზე. და მინდა გისურვოთო, უფრო სწორად, თქვენს ხალხს და ჩემს ხალხს ვუსურვო ის ახალი წიგნი... ესაა ჩემი ყველაზე მთავარი და საოცნებო სურვილი... და მე მჯერა, რომ ეს სურვილი, მთელი საქართველოს სურვილია. იგი ჩემი უკრაინის სურვილიცაა.

მე გეთაყვანებით თქვენ მისი სახელით.

**ანისინ ულლოვი:** — საქართველო იშვიათი სილამაზის ქვეყანაა, იმდენად იშვიათი სილამაზისა, რომ შეუძლებელია მის ხალხს არ შეექმნა მადალი და უნიკალური წარსული ლიტერატურა, არ ეყოლოდა დიდი ნიჭის შვილები, ისინი მას ყოველთვის ჰყავდა და ახლაც უნდად ჰყავს. ერთი მთაგანი, განსაკუთრებით გამორჩეული და დიდი კონსტანტინე გამსახურდიაა. გამსახურდიამ თავის რომანებში უმჯობრა თავისი ქვეყნის ისტორიის უმამაცეს, თავისუფლების მოყვარე ლამაზ ადამიანებს. კაკაჯანის მთიელებიც ლამაზნი, ბრძენი და თავისუფლებისმოყვარენი არიან. მე გესალმებით თქვენ კაკაჯანის მთიელების სახელით, მათი სახელით, ვინც თქვენი წიგნების მოუწეირარი მკითხველები არიან. ისინი გეთაყვანებენით თქვენ, გესალმებით ამ ხალხის მწერალთა სახელითაც, ჩვენი საერთო ძმების სახელითაც...

გისურვებდი დიდხანს სიცოცხლეს.

**ვლადიმერ სოლოუხინი:** — ერთი წუთით რომ დავუშვათ, თითქოს არ არსებობს კონსტანტინე გამსახურდია... არ არსებობს წიგნები, რომლებიც უკვე კარგა ხანია ჩვენი ცხოვრების თანამგზავრებად ქცეულან, ადვილი წარმოსადგენია, რა კატასტროფა იქნებოდა ეს, მარტო ქართული ლიტერატურისათვის კი არა, საერთოდ მთელი კულტურული სამყაროსათვის, მე იგი ძალიან მიყვარს მარტო იმიტომ კი არა, რომ მან ბრწყინვალე ისტორიული რომანები დაგვიწერა და რომ ამ რომანებით თავისი ქვეყნის დიდებული ისტორიული წარსული გაგვაცნო, გაგვაცნო დავითის და გიორგი პირველის საქართველო, რომ თავის თანამედროვეობის ამსახველ რომანებში უმღერა ახალ ცხოვრებას, მის მძლავრ მაჯისცემას და ყოველივე ეს საოცარი პოეტური სილამაზით სამსალველმე აოცება... ყველაზე მეტად მე იგი მიყვარს იმისათვის, რომ ამ რომანებით თავისი ხალხის კეთილშობილი სული დაგვანახა, თავისი უმშვენიერესი სამშობლოს ბუნებას დაგვაახლოვა. მე ხშირად ვკოფილვარ მცხეთაში, მინახავს, როგორ ათვალიერებს ხალხი ხვეტიცხოველის ტაძარს, ეძებს მის ჩრდილო ფასადზე გამოსახულ მარჯვენას და როგორც წესი, ასეთ დროს, მუდამ „დიდოსტატის მარჯვენის" ავტორ[illegible]ს ახსენებენ. უბრალო. ხალხი, ამ ტაძრის ისტორიას ისე ჰყვება, როგორც ეს რომანშია აღწერილი... ამაშია მწერლის გამარჯვება... დ მართლაც, როგორ შეიძლება ეს ტაძარი ნახო, და არ მოგაგონდეს მისი დირსეული დიდი მეხოტბე? ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი; იგი განუყოფელია საკართველოს ისტორიისაგან, მისი სამშობლოსა და ხალხისაგან.

თინა კოპალაძე
დაუვიწყარი ხმები

უღრმესი მაგნისეული ვარი თავს თქვენი ღიდი ნიჭიერების წინაშე.

**მეხელ ფუდინი:** — კონსტანტინე გამსახურდიას ეშინიან ლაპარაკობენ, რომ იგი ღიდი მწერალია. რომ მისი წეგნები შეიყვარონ ხალხმა... რომ მას თანაბარი ინტერესით კითხულობენ ყველა ქვეყნის ადამიანები, მაგრამ რა ეპიოეტებიც არ უნდა იხმარონ მის შესაგმობად, ერთი მაინც ცხადზე ცხადია... ყველა, ვინც მის შესახებ ლაპარაკობს, ხმაღლოდ ერთ ფიცაზნაგედ მიდის... რომ კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედება, მისი მშობელი ქვეყნის განუყოფელი ნაწილია. იგი განუყოფელია თავისი ხალხისაგან. იგი ქართული მიწის შვილია და ამ მიწას სჭირდება იგი. მისი შემოქმედება ეკუთვნის ხალხის ღიდი შემოქმედებითი ენერგიის, მისი მოფიენარი სულის აუცილებელ ნაწილად. მან როგორც შემოქმედმა, ტალანტი ძალით ხაკუთარ სულში გამოატარა თავისი ხალხის ტრაგიკული, ისტორიული ბედი, და იგი უღირსებად ამაღლებული, ამაყად აღმართული მწვეგიანიდან ბანგაცაცდენენა.

ხალხი ღიღია და უკვდავი. და მწერალმა იცის ეს. სიოცარი ძალით ვეიჩვენებს იგი ამას არ. მარტო ყოფითი სურათების აღწერის დროს, არამედ, თვით ეპიკური ამბის ბანვითარებაში. მისი ბრძნობა მძაფრია... მისი ბედი შესაფერია და ყველაფერი, რაც მას შეუქმნია, ნამდვილი ღიდოსტატის მარჯვენის ნაბეჭდია... ღიდოსტატის, რომელიც ინტერმა მოსული ჭეეეყნაა, რომ განადიდოს თავისი ქვეყანა. თავისი ხალხი, თავისი ენა...

ბოლო, ღიდები. რომელიც მას მუდამ თან ახლავს. თანდათან კიდეე და კიდეე ეზრეკვენ. და იგი ახალი შთაგონებით აღავსებს სხვებს, ამ ქეეეყნაღ. შემოქმედის სულით მოსულებს.

ღიდ, ხიკეთისა და ერთგულების სიმბოლო — ცისფერი ფერი ნურასოფეს მოგშორებოდეთ თქვენს, მუდამ იყოს იგი თქვენს ზედიდან ხულთან.

თაყვანს ეცემ მიწას, რომელმაც თქვენ გეზიბად.

**ეგნატინა ლორსი:** — ბატონო კონსტანტინე! „ბატკა კონსტანტინე“ როგორც ეტყვიან ხოლმე, ჩვენთან, ბელორუსიაში.

მე ბედნიერი ვარ, რომ ღიდი საშუალება ეომეცა, გადმოგაცეო თქვენი ხახელის ღიდმოყვარე ბელორუსელი ხალხის სალამი ღ ხუგეეფენო ხუთიელები. თქვენ თანაბედნიერეობის უფიდესი მწერალი ბრძანდებით. თქვენ უფიდესი მწერალი ბრძანდებით ჩვენი ღიდ საშობლოს ყველა ხალხისა. თქვენ მხატვრულად შეასხეთ ხორცი ქართლის ცხოვრებას, გამოიტანეთ ქეაში ნაკრფელი საიდუმლო, გაეთბეთ ამ ქვის გული. გამოიტანეთ და ბაიეკოლეთ ადამიანების გულები, ბულეეე

ერთ დღეში მოხდა ბედნიერია ასეთი მწერალი. სოხუმელნი, ხედავ არ უნდა წასვიდეთ და ვინაც არ უნდა ჩაოთქოთ, ვეტყვიან. რომ გაგსაუბრიდნი მათი უსაყვარესი წერილია, რომ იგი სოხუმი ხალხს დიდი მეგობარია

ამისათვის გეთაყვანებით თქვენ, ამისათვის გეთაყვანებთ ყველა სოხუმი ადამიანი.

და ამ თქვენს დიდებულ ზეციან დღეს ამას გისურვებთ, თქვენ, რასაც ვუსურვებ ჩემს უსაყვარესს სოხუმ ხალხს.

ხაკიდ გულიანი: — დიდო ოსტატო!

მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ საუფლისაგან მეძლევა მოგიდიოთ თქვენი შეხვედრა ადამიანებ, მოგიდიოთ ფაზიანი ხალხის სახელით...

მე სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ უზბეკი ხალხი კრძალვ იცნობს თქვენს ფიგურას.

ახლახან კი ითარგმნა და დიდი ტრაქეთი გმოიცა თქვენი დიდი რომანი „მთვარის მოტაცება“.

თქვენ არა მარტო სიტყვის დიდი ხელოვანი ბრძანდებით, თქვენ ბანადიდებთ და მთელი შთაგონებით უმღერით ამ ახალს და მზარდს, რაც ადამიანებს ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოიტანა. თქვენ უმღერით ახალ ცხოვრებას, გზას, რომელსაც ამ ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალ ადამიანები. თქვენი რომანები ამითაც ხამაგალითოა ჩვენთვის.

პატივცემენთ ვხრი თავს თქვენი დიდი ნაბეჭდების წინაშე.

ამინოვა: — ძვირფასო ბატონო კონსტანტინ! მე დიდი პატივი მერგო, მოგელოცოთ თქვენ უდიდეს ოსტატს, მრავალი რომანისა და ნოველების ავტორს 80 წლის იუბილეე. ეს ნანდვილად ბედნიერებაა ჩემთვის. ტაჯიკი ხალხი კრავ ხანია იცნობს თქვენს ბრწყინვალე რომანებს: „ვაზის ყვავილობას“ „მთვარის მოტაცებას“, „დავით ალმაშენებელს“ და „დიდ-დიოტატის ბრძოლებს“.

მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და დიდ ხანს სიცოცხლე.

მოწიწებით ვხრი თავს თქვენი დიდი ნაბეჭ წინაშე.

რაბინ ხაკიმოვი. — ალბათ იმიტომაც, რომ მე თათრული წარმოშობისა გარეგავარ, მინდა დამინა, კოცნის დიდი მოყვარული არა ვარ. დღემდე, საყვარელი ქალის ხელისთვისაც არ მოკოცნია. მაუხდავად ამისა, ხაკრთველოში ძალიანებული ვიყავი ორჯერ მეოლანტნ ჩემი ჩვეულებასათვის. ორჯერ — პირველად, როცა ტეხეთში მახელი მამოდა-ზეიელის შეხვედნაში ბაღი ვნახე. მე ვეკამპარე ამ ბაღის მოამაგე მოხუცის ხელს, გუშინ კი, ბედნიერება მქონდა, ეყოფილიყავი თქვენი ხტუმარი. დაუკაწყარი შთაბეჭდილება დახტოდა ჩემს ბეჭდ კოლეფონაში კოშკში... ზელის ნუკრაში, რომელიც თქვენს ეზოში დარბოდა, ბროწეულებსა... ... ... 

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმადლობთ, გმადლობთ იმისათვის, რომ ჩვენს შორის ცოცხლობთ, რომ მე საშუალება მომეცა, ყოველივე ეს თქვენთვის ხმამაღლა მეთქვა.

**არშალუიზ საროიანი:** — დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება მარტო ქართველ ხალხს არ ეკუთვნის. იგი ყველას საკუთრებაა. ყოველთვის, როცა მე ვფიქრობ სომხური ლიტერატურის კლასიკოსზე — დერენიკ დემირჩიანზე, მახსენდება ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია — და პირიქით, როცა კონსტანტინე გამსახურდიაზე ვფიქრობ, მახსენდება დერენიკ დემირჩიანი. იმიტომ, რომ ძალიან ბევრია საერთო ამ ორი დიდი მწერლის შემოქმედებაში. კონსტანტინე გამსახურდია ქართული პროზის მძიმე არტილერიაა. იგი ისე ზუსტად ურტყამს მიზანში, რომ მისი სროლის ეკო საუკუნეებს გადაეცემა.

მინდა მოგილოცოთ დაბადების 80 წელი, პატონო კონსტანტინე; იცოცხლეთ დიდხანს. მადლობა თქვენი ბრძნული წიგნებისათვის.

**დოქტორი გუდენზიბი:** — დიდად პატივცემული ბატონო გამსახურდია, როგორც მოგეხსენებათ, გოეთე მოითხოვს მწერლისაგან, რომ მის ნაწერებში უნდა იყოს სილრმე, სიფაერთოვე და თანმიმდევრულობა. ყოველივე ეს სრულყოფილად არის განხორციელებული თქვენს შემოქმედებაში. მწერალი არ ჰქვია ამ ადამიანს, ვისაც ემარჯვება სხვადასხვა იდეები ძალიან სიტყვაუხვად გამოხატოს ქაღალდზე, რასაც დღეს ხშირად აქვს ადგილი. მწერალი ჰქვია ისეთ ადამიანს, ვისაც შესწევს უნარი, ისე დაგვიხატოს სხვა ადამიანები, რომ ჩვენ იმათთან თითქოს გავიგივდეთ, შევძლოთ ჩაეწვედეთ მათ სულსა და მათ გონებას, თქვენ ამის უნარი შეგწევთ. ამას ამტკიცებს თქვენი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა", რომელიც უკვე წაიკითხა გერმანელმა მკითხველმა.

ბატონო გამსახურდია, გისურვებთ მრავალ წელს, ჯანმრთელ სიცოცხლეს.




# ფრინ გადაღმეული ნაბიჯი

გივი ჯოხაძის — „თეთრი ყვავილი“, გაეროცელლოგა „მერანი“, რედაქტორი ლ. თურმანიძე, 1978 წელი.

„თეთრი ყვავილი“ გივი ჯოხაძის მოთხრობების მეორე წიგნია. პირველ კოლეგულში („ჯაჭვის რგოლები“) დაბეჭდილი მოთხრობები სამამულო ომის თემას ეხებოდა. წინამდებარე კრებული არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ამას საგანგებოდ აღვნიშნავ. აღვნიშნავ იმიტომ, რომ პირადად მე ეს მწერლის შემოქმედების ერთ-ერთ თავისებურებად მიმაჩნია. თანამედროვე მწერლის თვალსაწიერი, პირველ ყოვლისა, თემატიკაში უნდა გამჟღავნდეს. არც თუ უსაფუძვლოდ მეჩვენება სალიტერატურო კრიტიკის საყვედური თანამედროვე ქართული პროზის თემატიკის ხივნერივეზე, ზოგჯერ, მის ბანალურობაზეც.

გ. ჯოხაძე, როგორც ჩანს, საგულდაგულოდ მუშაობს ამ თვალსაზრისით, მთელი გულისყურით ფიქრობს ამ პრობლემათა წყეტაზე, რაც ახე სარინო და მტკივნეულია დღევანდელ ვითარებაში. საადგილოა პრობლემების რიგში, ჩემი აზრით, ერთ-ერთ უნიკალურ ეროვნული საკითხს წარმოადგენს ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური ნორმების, მისი სულიერი სამყაროს ახლებური წარმოჩენა, ახალი კუთხით დანახვა. მე მესმის, რომ ადამიანი, მისი მორალურ-ეთიკური ნორმებით მუდამ იყო ლიტერატურის ყურადღების ცენტრში, უფრო მეტიც, ამის გარეშე საერთოდ არ არსებობს მხატვრული ლიტერატურა. მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ პრობლემის ახლებური გაშუქება.

სწორედ ამ თვალსაზრისით იმსახურებს ჩვენს ყურადღებას წინამდებარე კრებულში მოთავსებული პირველივე მოთხრობა „ტანტრე ბიჭის ოჯახი“. მოთხრობის სიუჟეტი, შეიძლება ითქვას, მარტივია, ისიც შეიძლება ითქვას, იგი ოაფფაცხიან ეფექტზეა აგებული, მაგრამ მწერლის ჩანაფიქრის მხატვრული ხორცშესხმა ფრიად ემოციურ შედეგს იძლევა. „ტანტრე ბიჭის ოჯახის“ სიბრტყეზე განიხილება „ტუუპის ცალი“. პირველ მოთხრობაში ავტორი უბრალოდ, მაგრამ ლამაზად მოგვითხრობს ერთი შეხედვით უჩვეულო ამბავს. პატარა ლექსო საოპერაციოდ საავადმყოფოში მოათავსეს. აქვე იწვა უდედმამოთა სახლიდან მოყვანილი ლევანიც. ლევანი ლექსისაც შეეჩვია და ლექსის დედასაც. ბავშვის თვინიერმა საქციელმა ერთბაშად შეძრა ბელოს არსება. ობოლი ბავშვი შეიყვარა და საავადმყოფოდან შინდაბრუნებული ბელს ყურაფერს უდებდა, ერთთავად პატარა ლევანზე ფიქრობდა. მეუღლის ამ სულიერ ფორიაქს ტანტრეც გრძნობს და... ლევანი შინ წამოიყვანეს. ეს არის და ეს. მაგრამ ამ დიდ ადამიანურ გრძნობას ავტორი ხატავს ფიდი გზნებით, უშუალოდ, რამაც შეუძლებელია მკითხველი არ დაფიქრეს, ერთხელ კიდევ არ შეახსენონ ის დიდი მორალური ტვირთი, ადამიანურ ურთიერთობას რომ გულისხმობს.

„ტუუპის ცალში“, შეიძლება ითქვას, ანეგდოტური ამბავია ზოთხრობილი, მაგრამ მისი მხატვრული დამუშავება სასურველი ეფექტს აღწევს. ხუთი ქალაშვილის მამა, მატარებლის გამცილებელი ნიკა მღელვარებით ელოდება მეექვსეს — იქნება ამჯერად მაინც მეუოლოს ვაჟიო. მაგრამ ამჯერადაც „დასცინა“ ბედმა — ვიდრე მატარებელი თბილისში ჩამოდგებოდა, უცნობმა ახალგაზრდა ქალმა ჩვილი გოგონა შეატოვა ხელში, შინდაბრუნებულს სიდედრმა მწუხარებით აუწყა მეექვსე ქალაშვილის ყოლა. ნიკა, რაკი ჩემი საშველი არ ყოფილაო, უდარდელი ხარხარით შეეგება ბელს და „ორი ნაბოლარა ქალაშვილის შეძენის ერთი თვის თავზე იხეთი ქეიფი გადაიხადა, რომ მოელს უბანში სალამპარაკოდ იქცა“.

მე მაინც მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ არა ამბის უბრალოებას, არამედ მის მხატვრულ მოწოდებას, მის ემოციურ სიმძაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს, რითაც ასე შთამბეჭდავია გივი ჯოხაძის მოთხრობები.

შესაძლოა უფრო მეტი მსატვრული დამუშავება სჭირდებოდეს კრებულში შესული რამდენიმე მოთხრობას („ზღაპარი გაადამიანებისა", „ოჯახური", „მკვლელები"), აქა-იქ უზუსტობა ნახმარი სიტყვებიც შეგვხვდეს, მაგრამ ეს ეს ბოლოი მწერალს უთუოდ ვადადგა ნაბიჯი წინ.

რევაზ ბოიჯაძე

## სასიამოვნო ბოლოდროინდელობა

ალუდა არაბული — „ფიროვანების ამბები". გამომცემლობა „მერანი", რედაქტორი ლ. არაბიძე, 1978 წელი.

სამშობლოს სიყვარული ყოველი ბეჭედარი მამულიშვილის სასიცოცხლო მოვალეობაა. სამწუხაროდ, ზოგნი ამ განცდას, როგორც თვალსიმოსვრილ სამკაულს, როგორც რელეგამას ისე იყენებდა და იყენებს. მაგრამ როცა ალუდა არაბული ლექსთა კრებულის ავტორისეულ ანოტაციას კითხულობთ უმალ მიხვდებით: იგი ალალი მამულიშვილის სულში ნაწრთობი სტრიქონებია. „იატაგანნე ირაღალი, მაგრამ ქარიფელისთვის დავითფერუული უფრო ირაღალი, თუნდაც ცუდად ნაქედი. „რაგან მამულის იერი რასაც დაკკრავს, ის უძვირფასესი და უსაყვარლესია ყოველთვის..."

პოეტი ახერხებს საუკუნეთა მანძილზე ნადიდებ, ნალოლიავებ გრძნობას მისეული ხმოვანება შემაღაოს: „უძვირფასესი მე წინ მიდევს წიგნები ჩემთვის... ხოლო სულ ცალეკე, როგორც ფიცი და სვეტი ნათლის, მე ამაკვეს ხელში დროშასავით „ცხოვრება ქართლის", „შენმა დაიკომ, ნახე ერთი რამდენი...

... შენ მბოლოდ ითელი საკუთარ წლებს; — ერთი და ორი,—ის კი არ იცი — ვინ მოიგო დედგორის ომი", „ვერ ორიო



მწუალსები ჩვენი ქართველი ანბანის".

პოეტი ხალხურ მოტივებს თითქოსდა ნემანება მიმეკვები და გზადაგზა მისეული პოეზიისათვის დამახასიათებელი სიტყბოთი აზადებს, („ღანანშნავი ლექსი, „სიმღერა შავგრძამანისა".).

პოეტი ახერხებს ერთი სთქმელთდან მეორეზე შეუმჩნევლად გადასვლას და სხვადასხვა ეფერადობის აზრთა თანშერწყმას. აზრობრივი სიღრმეთა და ემოციური დამუხტვითი გამოირჩევა ლექსთა ციკლიდან „ეროვნება" შემდეგი ნაწყვეტი: „გადაიარეს, მამაჩემო, ნისლებმა უკვე სარაფლზე გადაიარეს. სოფლის შარაზე ტალახში, შეზვიდად მიდის ბალი და გუბეებში ზზეს ამბევებს და უკვირს ძლიერ, როგორ ათბობს ამ ბელი მიწას ზზე, რომელიც ასე პატარა გუბეებში კარვად თავსდება და ვერ ვაუთბო ფეხის გულები".

სასიამოვნო შეგრძნებაა იწვევს ისიც, რომ ალუდა არაბული სთქმელის გაგიდოულად ამბობს და ე. წ. „თავისუფალი ლექსების" ძალისძალად შენიღებას ერიდება. აღსანიშნავია ლაკონიურად დაწერილი ბალადა „თავდი" და ლექსი „სლავების სოფელი". უნდა ითქვას, რომ ლექსი „სლავების სოფელი" ხანიდაშია იმ ლექსებს შორის, რომლებიც ჩვენში ამ თემაზე დაწერილა. მასში უჩვეულოდ, ალლოიანად არის დანაღული სლავური სოფლის იდეალი, მისი მარადიული სული.

კრებულში შესული ლექსების ერთ ნაწილს ერთფეროვნების იერი დაჰკრავს. შეინიშნება ძაძადადეგად გარითმული სტარქონები, ბუნდოვანი მინიშნებები. პოეტი ზოგჯერ, თითქოსდა საგანგებოდ არ „ღალატობს" ტრადიციულ ლექსთწყობას, რაც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ვიმდაროვნებთ, ალუდა არაბულის ლექსების მომავალი კრებულები, პოეზიის მოყვარულთათვის კიდევ ბრავალზის იქნეს ხასიამოვნო სიურპრიზებით სავსე წიგნებად.

ჯანრი ბოგვეშვილი

## ჩვენი თანამედროვე

ამირან ახობაძე — „ნაწვიმარი ტყეები". გამომცემლობა „მერანი", რედაქტორი გრ. ჯულუხიძე, 1978 წელი.

ცხოვრობს ჩვენს გვერდით ადამიანი, თითქოსდა ვერც კი ვამჩნევთ მას. ამ ადამიანს თავისი ტკივილი და სიხარული, თავისი ფიქრი და ოცნება გააჩნია, თავისებური თვალით უცქერის ეგი სამყაროს და ცდილობს აზროვნების საკუთარ პრიზმაში მოიმწყვდიოს ბზის სხივი, რათა გათავისებულთან ისევ დედამიწას დაუბრუნოს...

უპრეტენზიო სხვების შინაარსი, საკუთარი თვისებები კი მომთხოვნად და შეიძლება ზოგჯერ

ზედმეტად — ასე წარმოვიდგა ამირან ახობაძე ლექსების კრებული „ხანგრძლივი ტკივილი".

არც ჩამეხლართა,
არც შესვენება,
არც შეწყალება
წამით თავის
და ღამეების
თეთრად თენებამ
გადამვიწყა
ფერი ღამისა...

ა. ახობაძე ქართულ ნიადაგში ეძებს სიახლეს. იგი ბრძად არ ეშორნილება აზრს, არამედ მას მუსიკალური ფერებით ამაგებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სულ მუდამ წარმატებით ვერ ახერხებს ამას და ცდილობს მხოლოდ ლექსის მუსიკალურით შენიღბოს უმნიშვნელოვანესი სათქმელი. „წყვნის ლირიკული ვმირი ჩვენი თანამედროვეი თავისი საქმით, განცდებით, სიხარულით და ტკივილებით," — ეკითხულობთ კრებულის ანოტაციაში. „ შორს გამიტაცებს ფიქრთა თარეში და გულს ავანთებს უფრო სხვაგვარად... დიდი ცხოვრება მიმზრის თვალებში, დადგა გამოცდის ჭერი დამდგარა". ამ დიდი ცხოვრების წინაშე ა. ახობაძეს მოკრძალებულად წარსდგა და ამ მოკრძალებით ყველაზე მეტად გამოსახავს თავის ნაფიქრალს, მაგრამ ზოგჯერ მას სძლევს ზედმეტად „პატივმოყვარე" სტრიქონები. ბერძული ნაადრევ ქადილს ჩამოგვაგზავნა: „და ამ ჩემს სათქმელს, რაც დღეს მაწვალებს, მე მოვახსენებენთო, ანდა არავინ."

კრებულში გვხვდება მშვენიერი ლექსები: „დაბადების ჰგავს", „სიტყვა უკვდავებას", „ხაუბარი დროსთან" და სხვ. ლექსში „დედა" უბარალო, მაგრამ მოიმბიბოვი სტრიქონები გვხვდებენ. „რაც ხანი გადის მე დედაჩემს ... შეეკერეს, — თითქოს ის ქარში გატანილი ხანეული იყოს"... ამირან ახობაძე ეძებს თავის თავს და მეთხელი ალბათ დარწმუნდება, რომ იგი ამას რამდენადმე ლექსით ილუვს. კრებულში ავტორი არა მარტო დღევანდელობაზე საუბრობს, არამედ წარსულსაც ეხება და ფრთხილად ფურცლავს მის დამტკერილ ფურცლებს. „ჩამოვიტანე ხარნინოდან ნერგი ვაზისა, დაფრე ხახლის წინ და ატირდა უცნო მაუგვივით", — ასე გვიჩვენებს ა. ახობაძე თითქოსდა უბრალო სურათს, მაგრამ ამ სტრიქონების წაკითხვისას რადაც ტკივილნარევი გრძნობა გვეუფლება, რომელიც დღევანდელობასთანაცაა დაკავშირებული და წარსულთანაც.

კრებულში შესული ბევრი კარგი ლექსის გვერდით, ხაქმოდ ფლიშდამო ლექსებიც ვვხვდება. ავტორი არ ერიდება ბრავალჯერ გამეორებულ თემებზე ისევ სცადოს წერა, მაგრამ ხშირად ამის ოსტატობა არ ჰყოფნის. „ეს ვახსენებსა სხვა განცდით მავლებს, მსურს გაწყდე... მაგრამ ვერაფერი წყდება... შენ რომ გცოდნოდა ფიფქივით ასე, გადადნებოდნენ ხასხასა წყლებს"... ანდა: „ამლა სოფელში სიზმარივით შემოდის ბინდი და ნელა ქრება ანთებული ატმის ხე ბაღში" და ა. შ. ეკვე წაკითხული თუ მოსმენილი ლექსების ცუდი ვარიაციაა!

ამირან ახობაძე ძიებისა და თვითკაძორეკვის პროცესშია. დარწმუნებული ვარო, რომ შემდეგ კრებულში იგი ახალი, უფრო ხაინტერესო სახით წარუდგება მკითხველს.

ავთანდილ ჩხაძე

## ქართული კოდექსი

ფ. იოსავაშვილი — „ქართული კოდექსის ფარგლები და აზეკი". გამოქვეყნებულია „ხელოვნებაში", რედაქტორი გ. ბოჭორიძე. 1978 წელი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პროფესიულ თეატრს არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს, მის რეპერტუარს ყოველთვის ასაზრდოებდა ქართული კოდექსი. ამდენად, თვით ქართულმა კოდექსმ შექმნა თავისი ისტორია, რომლის სრულიფოფილი შესწავლა და მისი განვითარების პროცესებთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა დაუსახავს მიზნად ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს დამიტრი იოსავშვილს თავის ახალ წიგნში „ქართული კოდექსის წარსული და აწყმო".

თვით წიგნის სათაურიდანაც აშკარად ჩანს, თუ რაოდენ ტევადი და პრობლემური ხასიათისთვის მოუკიდია ნელი ავტორს. მისი მიზანი იყო არა მარტო ქართული კოდექსის წარსულისა და აწყმოს ისტორიული სურათის შეწავლა, არამედ საერთოდ, კოდექსის ეკანონიერ სპეციფიკასა და მის თავისებურებებზე საკუთარი დაკვირვებების წარმოდგენა, მეცნიერულად საუკუნის ქართული კოდექსის ტრადიციების წარმოჩენა, თანამედროვე ქართული კოდექსის ეეოლუციის ძირითადი ტენდენციების დახასიათება.

ყოველივე ეს ავტორისაგან, ბუნებრივია, ოოთხოვდა ძრაველი წლის თავაუღებელ მუშაობას.

ვფიქრობთ, ამ თავაუღებელი მუშაობის ნაყოფიერი შედეგი წინამდებარე წიგნი. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ სურათს გვიხატავს ქართულ კომედიაზე და მასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე.

მაგრამ ვიდრე კონკრეტულად ქართული კომედიის წარსულსა და აწმყოს შეეხებოდა ავტორი, წიგნის პირველი თავი დაუთმო ვრცელ ნაშრომს „კომედია, როგორც ჟანრი"... ბადაც საერთოდ კომედიის ჟანრობრივი თავისებურებაზეა ლაპარაკი. ვფიქრობთ, ავტორმა საფუძვლიანად შეიძლო კომედიის ჟანრობრივი თავისებურებების განსაზღვრა ქართული, რუსული და უცხოური კლასიკური კომედიების ნიმუშების საფუძველზე. წიგნის ავტორი ახლავე ვრცლად მიმოიხილავს მეცხრამეტე საუკუნის ქართული კომედიების ტრადიციებს, გვაძლევს პირველი ქართველი კომედიოგრაფების გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიების საფუძვლიან ანალიზს, თავის კუთვნილ ადგილს მოუზღავს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, როგორც კომედიოგრაფებს. ავტორი გვინაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რ. გრიგოლიას და ავქ. ცაგარელის კომედიების ჟანრობრივ თავისებურებებს.

დ. იოვაშვილი თანამედროვე ქართული კომედიის განვითარების ძირითადი ტენდენციების განხილვისას არ ივიწყებს იმ პერიოდსაც, როცა ერთგვარად საბიფათო ტენდენცია ემუქრებოდა ქართული კომედიის განვითარებას უკონფლიქტო დრამის „თეორიის" პირობებში. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული საკითხის ანალიზი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ავტორი ახლევე მისეულ საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს პოეტური კომედიის განვითარების ახალი გზების შესახებ.

დაბოლოს, ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ინტერესებისათვის, აუცილებლობად მიგვაჩნია დ. იოვაშვილის წინამდებარე ნაშრომზე სპეციალისტებმა თავიანთი საფუძვლიანი სიტყვა თქვან.

რევაზ კაკაძე

# კულტურული ცხოვრების ქრონიკა

## ინგლისი

### ნენსის სახელს არქმევენ

**მარშლა** არსებობს ლეგენდარული ნენსი ზოოტალნდიის ტბაში? ამის თქმა ჯერჯერობით არავის ძალუძს. უზარმაზარი ურჩხულის აღმოსაჩენად საჭიროა მთლიანად „მოიჩხრიკოს“ 40 კილომეტრი სიგრძისა და 300 მეტრი სიღრმის ტბა. საშეცნიერო ექსპედიციები ყოველ წელიწადს იკვლევენ ამ ტბას. 1979 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა და განსაკუთრებით 12 მეტრის სიღრმეზე გადაღებულმა ფოტოსურათებმა საშუალება მისცეს სახელგანთქმულ ინგლისელ ზოოლოგს პ. სკოტს არა მარტო აღედგინა ცხოველის ხატებულება, არამედ იგი მეცნიერული სახელწოდებითაც — ნესიტერას რომპოსტერიქსად — მოენათლა. ეს პირველი შემთხვევა ზოოლოგიაში, როცა ცხოველს სახელს ისე არქმევენ, რომ არც კი იციან, არსებობს თუ არა.

## ირლანდია

### ლაჭსნენის ანალი რომანი

**გავოჩინილი** ირლანდიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰალდორ ლაჭსნესი შეუდგა ახალი რომანის წერას.

ნორკეგიელ ფილოსოფოსთან საუბარში მწერალმა განაცხადა, რომ ბევრს და გულდასმით მუშობს, მტკიცედ მისდევს ჩაფიქრებულ გეგმას.

ამასთან მწერალმა არ ისურვა რაიმე ეთქვა ახალი რომანის შინაარსზე. „მე არასოდეს ვუყვები ვინმესს, რაზეა ლაპარაკი ჩემს წიგნებში, ან რა მინდოდა მეთქვა. წაიკითხეთ და თვითონ გაიგებთ“. როცა ჟურნალისტმა ჰკითხა, სულ რამდენი წიგნი ეკუნებათ დაწერილიო, ლაჭსნესმა უპასუხა: ალბათ, ორმოცდაათამდე მაინც ეკუნებაო. აქედან ოცზე მეტი ესეები კრებულია. მე ხომ ბევრს ვწერდი საზღვარგარეთული გაზეთებისთვის. როცა საკმე ესეის ესეს, ყველაფერი გამოქდის ხელიდან: ვწერ პოლტავკაზე, რელიგიაზე, საზოგადოებრივი ცხოვრებაც მაინტერესებს, მუსიკაცა და ფერწერაც.

საკუთარი შემოქმედებისათვის ძველისლანდიური ლიტერატურის მნიშვნელოობაზე რომ ილაპარაკა, მწერალმა თქვა: მე უფრო მეტ სიამოვნებას მგვრის ძველი საგებნის კითხვა, ვიდრე თანამედროვე ისლანდიური ლიტერატურისა. საგები ხომ საუკეთესოა იმათ შორის, რაც ოდესმე მსოფლიო ლიტერატურას შეუქმნია. ისინი თითქოს ყოველთვის ამალლებულნი არიან. პირადად ჩემთვის საგები დიდებული ისლანდიური სიტყვაჯაზშოლების ეტალონია. თანამედროვე ისლანდიური ენა გადარიბებულია. ახე მეჩვენება, რომ ჩვენ არაფრის შექმნა აღარ ძალგვიძს იმ საუნიხოო ენასთან შედარებით, რაზედაც წერდნენ ძველი ოსტატები. მაშინდელი ენა უბარალო იყო, ავტორები განზრახ ხმარობდნენ ნაკლებ სიტყვებს აზრის ნიუანსურად გადმოცემისათვის. როცა საგებს შევიხსწავლით, მთელი სისავსით შეგიგრძნობთ ლიტერატურის ნამდვილ სიდამაზეს.

ლაჭსნესი შეეხო თავისი ნაწარმოებების საზღვარგარეთ გამოცემის საკმეს და აღნიშნა: — არ მინდა ჩემი წიგნები ნორვეგიაში იცემოდეს — იქ ასოთამწყობები შრავალ შეცდომას უშვებენ. სამაგიეროდ, ჩემს წიგნებს კარგად ბეჭდავენ უნგარეთში ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში, გერმანიის ფედერაციაულ რესპუბლიკაში, ესპანეთში.

## იტალია

### გოეთეს იტალიური ნახატები

1786 წელს ადმინისტრაციული საკმისაბმით გულაკარუფიერუმმა გოეთემ დატოვა ვეიმარი და იტალიაში გასწია სამოგზაურიდ. უძველესი კულტურის კვეყანაში თავისი ორწლიანი მოგზაურობის შთაბეჭდილებები მომავალმა დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ ნახატებში აღბეჭდა. მაშინ მან ჯერ კიდევ ზუსტად არ იცოდა, რა აქნებოდა მისი ნამდვილი მოწოდება: ფერწერა თუ ლიტერატურა. გოეთეს გრაფიკული მემკვიდრეობა, რომელიც ვეიმარში ინახება, 3 ათას ნახატს თვლის, მათ შორის 800 ნახატი იტალიურ თემაზეა აგებული. ამას წინათ 75 ნახატი იტალიაში გაგზავნეს და ჯერ ვენეციაში გამოაფენენ, მერე კი პოლონეთსა და რომში.

გამოფენა მოაწყეს, ერთის მხრივ, თომას მანის რომის ხაზოვადოებამ. და იტალიის გერმანისტიკის ინსტიტუტმა, ხოლო მეორეს მხრივ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა კულტურულმა დაწესებულებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

### ფვერი — საუკუნთა მანძილზე

პარიზში, თანამარსელზე, ბურდელის მუზეუმში გაიხსნა გასხაუთრებული გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ექსპონატები სხვადასხვა კოლექციიდან (მაგალითად, ლუვრიდან, კერძო კოლექციებიდან) და სხვადასხვა ეპოქების ახასიათებენ; ამ ექსპონატების ერთი თემა ეერთიანებთ — ფვერი. აქ ნახავთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7—4 საუკუნეების ბერძნულ ბიუსტებს, მე-12 საუკუნის იპპონელი ვენერიდის, ანრეთ-ვე ნაპოლეონ ბონაპარტის, სუზანნა და ვიქტორ ბრონერის ფვერიანი ქალის გამოსახულებებს.

ფვერი ძალიან საინტერესო თემა აღმოჩნდა; კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე ფრძელდებოდა კონფლიქტი ფვერისანთა და ფვერგაპარსულთა შორის. ფვერი მომვდებელი ჰქონდათ ახირებლებს, ბაბილონელებსა და ბერძნებს, ეგვიპტელებს — არა, მაგრამ როგორც ზოგიერთი ეთნოგრაფი ამტკიცებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ფვერსახათვის მეტი მნიშვნელობა მიეწერებინათ, ფარაონებსა და უმაღლეს მოხელეებს ჰქონდათ ყალბი ფვერის ტარების უფლება. ძველ რომში ფვერს იპარსავდნენ 40 წელს მიღწეული მამაკაცები. ახალ დროშიც გაგრძელდა ბრძოლა ფვერიანებსა და ფვერგაპარსულებს შორის. ფვერს ატარებდნენ მე-12, მე-14 საუკუნეებში, ფვერს იპარსავდნენ მე-13, მე-15, მე-17 საუკუნეებში. მე-18 ასწლეულში ფვერი სიღარიბის ნიშანი იყო. რომანტიკული ამბოხის ნიშნად ფვერის ტარება ისევ დაბრუნდა მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს და კარგა ხანს ატარებდნენ, სანამ აი, ჩვენი საუკუნის შუა ხანებში ახალგაზრდობა კვლავ არ დაიწყეს ფვერის მოშვება.

რა ფსიქოლოგიური ზნეშვნელობა უნდა ჰქონოდა ფვერს? საუკუნეთა განმავლობაში ფვერი იყო პატივისცემია, მამაკაცობის, მამაცობის სიმბოლო. ფვერს ატარებდნენ წინასწარმეტყველები, ბრძენკაცები. უთქვამთ, იგი გამორჩეულობის ნიშანიც უნდა ყოფილიყო. ზხატვრობაში ფვერის მოტივი ხშირად წარმოაჩენდა ზხატვრის ოსტატობას. მაგრამ ფვერით ყველაზე მოხიბლული ქალნი მოქანდაკეები იყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც როდენის, ბურდელის, კარბოს ქანდაკებები.

---

**კრიტიკისა** და ბიბლიოგრაფიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ნაბეჭდრო თაბახისა.

საწარმოო ტექნიკური მიზეზის შედეგად № 8 „ცისკარში" შეცდომით დაიბეჭდა. ჩანრთის წარწერა.

**რედაქციის** მისამართი: თბილისი, ზალვა დადიანის ქ. № 2.

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 72-26-85, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-62, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზაზე — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომელები — 72-47-62, „ცისკარის" დამატება — 72-17-01, ხელორეკტორი — 72-43-75.

ვადაეცა ასაწყობად 15. 8. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 10. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-სავ. თაბახი 15.35. შეკვ. № 2307. უე 00941. ტირაჟი 30.050.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. ფეიხსაძე

პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236